ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

მაუგლის ამბები

ელფის გამომცემლობა • თბილისი • 2018

მთარგმნელისგან

ნობელიანტი მწერლის, ჯოზეფ რადიარდ კიპლინგის „ჯუნგლის წიგნი", განსაკუთრებით კი „მაუგლის ამბები", მსოფლიოში დღემდე ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ითვლება. ვფიქრობ, ეს დამოკიდებულება არც არასდროს შეიცვლება, რადგან ადამიანები არა მარტო მოვდივართ ბავშვობიდან, არამედ ხშირად ვბრუნდებით კიდეც ბავშვობაში, სადაც ყველაზე კომფორტულად და დაცულად ვგრძნობთ თავს. მაუგლის შესახებ ამბები ქართულად აქამდეც იყო თარგმნილი და არაერთხელ გამოცემული „მაუგლის" სათაურით, თუმცა თარგმანი ხომ ენის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საუკეთესო გზაა, მით უმეტეს, როცა ქართული ენა გაძლევს სიტყვის, აზრის მრავალფეროვნად გადმოცემის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომაც ვთავაზობთ მკითხველს ახალ თარგმანს „მაუგლის ამბების" სახით.

ჩემო პატარა მკითხველო, ალბათ, ვერც კი წარმოგიდგენია, როგორ შეიძლება პატარა ბავშვი მგლებმა გაზარდონ, ავაზამ გამოისყიდოს ხარის ფასად, დათვმა ასწავლოს ჯუნგლის კანონები... წამოზრდილი ბიჭი კი ყველაზე საშიშ ვეფხვს – შერ-ხანს შეებრძოლოს და დაამარცხოს. ჰოდა, მოემზადე საინტერესო, თავგადასავლებით დახუნძლული მოგზაურობისთვის. წინ მრავალფეროვანი ჯუნგლის სამყარო გელოდება: გაიცნობ მაუგლის, მის ძმობილ მგლებს, ბაგირას, ბალუს, კაას, ვითომ საქმოსან მაიმუნებს და კიდევ უამრავ საინტერესო გმირს. რაც მთავარია, ისწავლი, როგორია ნამდვილი მეგობრობა, სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის და როგორ უნდა დაადგე ცხოვრებაში სწორ გზას. ეს წიგნი მოწყენის საშუალებას არ მოგცემს, რადგან მაუგლი თავის მეგობარ ცხოველებთან ერთად, მუდამ შენთან იქნება.

მთარგმნელი: თამთა გრიგოლია
მხატვარი: ლელა ცინაძე
© ელფის გამომცემლობა, 2018
ISBN 978-9941-464-90-4

წიგნიდან ტექსტის, ნებისმიერი ილუსტრაციის მაკეტის გამოყენება ნებისმიერი ფორმით გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია კანონით.

მაუგლი

მაუგლის ძმები

აი, ღამე მოიყვანა ძერამ,
ღამურებიც აფრთხიალდნენ ნელა,
საქონელმა მიაშურა თავლას,
ჩვენი შიშით ვერვინ ბედავს გავლას.
დრო დამდგარა სიამაყის, ძალის,
ვისაც შეგვრჩა ბრჭყალები და კლანჭი,
წარმატებით ნადირობა ყველას,
ვინც დაიცავს ჯუნგლის კანონს წრფელად!

ღამის სიმღერა ჯუნგლში

ცხელი საღამოს შვიდი საათი იყო სივანის ფერდობზე, როცა მამა მგელმა დღის ძილისაგან გამოიღვიძა, მოიქექა, დაამთქნარა და გაშეშებული თათები ერთმანეთის მიყოლებით გაშალა გამოსაფხიზლებლად. დედა მგელი იწვა და რუხი, ვეება ცხვირი თავის ოთხ მოუსვენარ და წკმუტუნა ლეკვებს შუა ჩაერგო; მთვარის შუქს გაენათებინა

მათი საცხოვრებელი გამოქვაბულის ხვრელი. – ღრრ! დროა, კვლავ ვინადირო, – თქვა მამა მგელმა, – და ის იყო ქედიდან უნდა დაშვებულიყო, რომ პატარა, კუდბუთქუნა ლანდი ზღურბლს ჩამოეფარა და აწკმუტუნდა:

– წარმატებას გისურვებ, მგლების მეთაურო! იღბალი და ძლიერი თეთრი კბილები ნუ მოაკლოს ღმერთმა შენს შთამომავლებს და არასდროს დავიწყებოდეთ ამ ქვეყანაში მცხოვრები მშიერნი!

ეს გახლდათ მსუნაგი და ჯამიტლეკია ტურა ტაბაკი. ინდოეთში მობინადრე მგლებს სძულთ იგი, რადგან ტაბაკი ზიანის მომტანი და მატყუარა ცხოველია, ჭამს ძონძებს და ტყავის ნაკუწებს სოფლის სანაგვიდან. მგლებს ეშინიათ კიდეც მისი, რადგან ჯუნგლის სხვა ბინადრებზე მეტად იცის გაცოფება! ამ დროს ავიწყდება, თუკი ოდესმე ვინმესი ეშინოდა, ტყე-ტყე დარბის და ყველას კბენს, ვინც გზაზე ეღობება. ვეფხვიც კი გარბის და იმალება გაცოფებული ტაბაკის დანახვაზე. ცოფი ყველაზე საშინელი რამაა, რაც კი შეიძლება მხეცს დაემართოს. ჩვენ, ადამიანები, ამ ავადმყოფობას ჰიდროფობიას[1] ვეძახით, მხეცები კი დევანის – ცოფს – უწოდებენ და უკანმოუხედავად გაურბიან.

– შემოდი და ეძებე, – ცივად უთხრა მამა მგელმა. – აქ ვერანაირ საჭმელს ვერ ნახავ.

– მგლისთვის შეიძლება არაფერი იყოს, – მიუგო ტაბაკიმ, – მაგრამ ჩემისთანა ძუნწისთვის გამხმარი ძვალიც კი დიდი ლხინია. განა რა ვართ ჩვენ, გიდურ-ლოგები (ტურების მოდგმა), რომ დახარისხება და რჩევა დავიწ-

[1] ჰიდროფობია – ცოფის ძველი სახელწოდება.

ყოთ? – და ტაბაკი გამოქვაბულის სიღრმეს შეეპარა, ირმის ცოტაოდენ ხორცშერჩენილ ძვალს მიაგნო და მხიარულად დაუწყო ღრღნა.

– დიდი მადლობა ასეთი გემრიელი სადილისათვის, – თქვა მან ტუჩების ლოკვით, – რა ლამაზები და როგორი ახალგაზრდები არიან ეს თქვენი კეთილშობილი ბავშვები! რა ფართო თვალები აქვთ!.. ოჰ, თუმცა სულ დამავიწყდა, რომ მეფეთა შვილები თავიდანვე მამაცებად იბადებიან.

ტაბაკიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ ბავშვების პირში ქებაზე უარესი არაფერია, მაგრამ სიამოვნებდა დედა მგლისა და მამა მგლის გაბრაზება.

თავისი საქციელით ნასიამოვნები ტაბაკი ცოტა ხანს გატრუნული იჯდა და მერე ღვარძლიანად ჩაილაპარაკა:

– დიდებულმა შერ-ხანმა სანადირო ადგილები შეიცვალა. მითხრა, რომ მომავალი მთვარის დროს აქაურ გორაკებში აპირებს ნადირობას.

ვეფხვი შერ-ხანი მდინარე უაინგუნგიდან ოცი მილის მანძილზე ცხოვრობდა.

– უფლება არ აქვს! – გაბრაზდა მამა მგელი, – ჯუნგლის კანონის მიხედვით, მას უფლება არ აქვს, ადგილი გაუფრთხილებლად შეიცვალოს. ათი მილის მანძილზე ყველაფერს დააფრთხობს ირგვლივ, მე კი ამ დღეებში ორის მაგივრად უნდა ვინადირო!

– დედამისმა შემთხვევით კი არ შეარქვა ლანგრი (კოჭლი), – მშვიდად ჩაერთო საუბარში დედა მგელი, – დაბადებიდანვე ცალი ფეხით კოჭლობს. ამიტომაც, მხოლოდ საქონელს ჟლეტს. უაინგუნგის მაცხოვრებლები საშინლად ბრაზობენ მასზე, ახლა კი აქაურების გასაჯავრებლად გამოემართა.

მაგის გამო მთელ ჯუნგლს გაანადგურებენ. თვითონ რა ენაღვლება, შორს იქნება. ჩვენ და ჩვენმა შვილებმა კი თავს უნდა ვუშველოთ, როდესაც ხალხი ბალახს ცეცხლს წაუკიდებს. დიდი მადლობა შერ-ხანს ამისთვის!

– ხომ არ გადავცე თქვენი მადლობა? – იკითხა ტაბაკიმ.

– გაეთრიე აქედან! – დაუღრინა მამა მგელმა, – გაეთრიე და შენს ბატონთან ერთად ინადირე. საკმარისზე მეტი ზიანი მოგვაყენე ერთ ღამეში.

– მივდივარ, – მშვიდად მიუგო ტაბაკიმ, – ქვემოთ, ტევრში, შერ-ხანის ხმას გაიგონებთ. შემეძლო, არცკი გამეფრთხილებინეთ.

მამა მგელმა ყური მიუგდო და ქვემოდან მართლაც მოესმა ვეფხვის გამყინავი, განრისხებული ღრენა; ეტყობოდა, ვერაფერი ინადირა და არც ის ადარდებდა, ამას მთელი ჯუნგლი თუ გაიგებდა.

– უგუნური! – თქვა მამა მგელმა, – როგორი ხმაურით იწყებს ღამის ნადირობას! ალბათ, ფიქრობს, რომ ჩვენი ირმები უაინგუნგის ნასუქი მოზვრებივით არიან!

– შშშ! ამ დროს იქ არც ხარია, არც ირემი, – შეაწყვეტინა დედა მგელმა, – ნამდვილად ადამიანზე ნადირობს.

ღმუილი შეცვალა გაბმულმა წკმუტუნმა, რომელიც თითქოს ყველა მხრიდან ისმოდა. ეს ის ხმა იყო, ღია ცისქვეშ ღამისმთეველ შეშისმჭრელებსა და ბოშებს შიშის ზარს რომ სცემს და ზოგჯერ პირდაპირ ვეფხვის ხახისკენ მიუძღვება.

– ადამიანი! – წამოიძახა მამა მგელმა და თეთრი კბილები დაკრიჭა. – ფუჰ! განა ცოტა ხოჭო და ბაყაყია გუბეებში, ადამიანის ხორცი რომ არ ჭამოს და ისიც ჩვენს მიწაზე?

ჯუნგლის კანონი, რომელიც ტყუილუბრალოდ არაფერს

ადგენს, მხეცებს უკრძალავს ადამიანის ჭამას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შვილებს ნადირობას ასწავლიან. მაგრამ მაშინაც, თავიანთი ხროვის ან მოდგმის ტერიტორიაზე არ უნდა ინადირონ! ადამიანზე ნადირობის აკრძალვის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ, ადრე თუ გვიან, გამოჩნდებიან სპილოებზე ამხედრებული, შეიარაღებული თეთრკანიანები, რომელთაც მოჰყვება რამდენიმე ასეული შავკანიანი – გონგით[1], მაშხალებითა და ჩირაღდნებით ხელში. აი, მაშინ კი საშინელი დღე ადგება ჯუნგლს. ერთმანეთთან საუბრისას მხეცები აღნიშნავენ, რომ ადამიანი სულიერ არსებათა შორის ყველაზე სუსტი და უმწეოა, ამიტომ მისი შეხება არ არის ვაჟკაცური საქციელი. ამბობენ იმასაც, და სწორიცაა, რომ კაციჭამია ქეციანდება და კბილები ძვრება.

კრუტუნის ხმა გაძლიერდა და ბოლოს გაისმა მსხვერპლზე შემართული მხეცის ღრიალი: ღრრრ!.. ამას მოჰყვა ვეფხვისთვის შეუფერებელი ყმუილი.

– მან მიზანს ააცილა, – შენიშნა დედა მგელმა, – ეს რა არის?

მამა მგელმა რამდენიმე ნახტომი გააკეთა და შერ-ხანის სასტიკი ღრენა და ქშენა მოესმა ჯაგნარში.

– იმდენი ჭკუაც არ ეყო, რომ შეშისმჭრელის კოცონზე არ შემხტარიყო და ფეხები არ დაეწვა, – წაიბუზღუნა მამა მგელმა, – ტაბაკიც მასთან ერთადაა.

– ვიღაც ამოდის გორაკზე, – ყური დაცქვიტა დედა მგელმა, – მოემზადე!

---

[1] გონგი – სარტყმელი მუსიკალური საკრავი – ბრინჯაოს თეფში, რომელსაც უკრავენ რბილთავიანი ჯოხით; იყენებენ აგრეთვე სიგნალის მისაცემად.

ტყეში ბუჩქები ოდნავ შეირხა. მამა მგელი მთელი ტანით დაიძაბა და ნახტომისათვის მოემზადა. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე საოცარი სანახაობა: შუა ნახტომზე ჰაერში შეჩერებული მგელი! მამა მგელი მანამდე ახტა, მსხვერპლს დაინახავდა, შემდეგ კი შეეცადა შეჩერებულიყო. ოთხი თუ ხუთი ფუტის სიმაღლეზე ამხტარი მგელი თითქმის იქვე დაეშვა.

– ადამიანი! – კბილებში გამოცრა, – ადამიანის ლეკვი! უყურე!

მამა მგლის პირდაპირ იდგა დაბალ ტოტს ჩაბღაუჭებული შიშველი, შავგვრემანი, ახლადფეხადგმული ბავშვი – ნაზი და ბუთქუნა არსება. იგი ღიმილით შეჰყურებდა სახეში მამა მგელს.

– ნუთუ ეს ადამიანის ლეკვია? – იკითხა დედა მგელმა, – არასოდეს მინახავს მსგავსი, მომიყვანე აქ!

საკუთარი ლეკვების ტარებას შეჩვეულ მგელს, საჭიროების შემთხვევაში, ისე შეუძლია პირით რამდენიმე კვერცხის წაღება, რომ ერთსაც არ გატეხს. ჰოდა, მამა მგელმა ბავშვის ზურგს მაგრად ჩაავლო პირი, ისე, რომ კანი ოდნავადაც არ გაუფხაჭნია და თავის ლეკვებს მიუწვინა.

– როგორი პაწაწინაა! სულ მთლად შიშველია და თანაც შეუპოვარი! – ალერსით თქვა დედა მგელმა.

პატარამ ლეკვები მისწი-მოსწია, რათა უფრო ახლოს მიკვროდა დედა მგლის თბილ ბეწვს.

– აჰა! სხვებთან ერთად მიირთმევს საჭმელს! აი, თურმე რანაირი ყოფილა ადამიანის ლეკვი! განა შეუძლია რომელიმე მგელს იტრაბახოს იმით, რომ მის შვილებთან ადამიანის ლეკვი წოლილა?

– ასეთი რამ მე მსმენია, მაგრამ არა ჩვენს ხროვასა და დროში, – მიუგო მამა მგელმა, – თითქმის სულ უბალნოა, ტორის ოდნავმა შეხებამაც კი შეიძლება იმსხვერპლოს. მაგრამ შეხედე, როგორ უშიშრად შემომყურებს.

უცებ მთვარის შუქი გაჭრა გამოქვაბულში. შერ-ხანის უზარმაზარმა ოთხკუთხა თავმა და მხრებმა მთლიანად დაფარა შესასვლელი. მის ზურგს უკან კი ტაბაკი წკავ-წკავებდა: – მბრძანებელო, ის აქ შევიდა!

შერ-ხანმა პატივი დაგვდო თავისი სტუმრობით, – წარ-მოთქვა მამა მგელმა, თუმცა თვალებში სიბრაზე უკრთო-და, – რა სურს მის უდიდებულესობას?

– ჩემი ნადავლი. ადამიანის ლეკვი ამ გზით წამოვი-და, – თქვა შერ-ხანმა, – მისი მშობლები კი გამექცნენ. მომეცით ახლავე.

როგორც მამა მგელმა ადრევე აღნიშნა, შერ-ხანი შეშ-ისმჭრელის კოცონზე გადაეშვა და ახლა დამწვარი თათების ტკივილი აგიჟებდა. მამა მგელმა იცოდა, რომ გამოქვაბ-ულის ხვრელი მეტად ვიწრო იყო იმისთვის, რომ ვეფხ-ვი შიგნით შესულიყო. ის ადგილიც კი, სადაც შერ-ხანი იდგა, იმდენად პატარა იყო მისი მხრებისა და შეკეცილი თათებისთვის, როგორც კასრი – მებრძოლი ადამიანისთვის.

– მგლები თავისუფალნი არიან, – თქვა მამა მგელმა, – ისინი ბრძანებებს ხროვის წინამძღოლისგან იღებენ და არა ზოლიანი ყასბისგან. ადამიანის ლეკვი ჩვენია და, თუ გვენდომება, მოვკლავთ კიდეც.

– მოისურვებთ თუ არ მოისურვებთ?! რა სურვილებზე მესაუბრები? ჩემ მიერ მოკლულ ხარს ვფიცავ, რომ აქ, თქვენს ძაღლურ ბუნაგში ცხვირშეყოფილი, დიდხანს ცდას

არ ვუპირებ იმას, რაც მე მეკუთვნის! ეს მე, შერ-ხანი გესაუბრებით!

ვეფხვის ღრიალმა გამოქვაბული შეაზანზარა. დედა მგელმა სწრაფად ჩამოიშორა ლეკვები და წინ გადახტა. მისი თვალები, როგორც ორი მწვანე მთვარე სიბნელეში, ისე შეჰყურებდა შერ-ხანის ანთებულ თვალებს.

– ეს კი მე, რაკშა (დემონი), გიპასუხებ, რომ ადამიანის ლეკვი ჩემია, ლანგრი, ჩემია, მხოლოდ ჩემი! ის არ მოკვდება, იცოცხლებს, რომ ხროვასთან ერთად ინავარდოს და ინადიროს. ბოლოს და ბოლოს, გაფრთხილდი, შიშველ ლეკვებზე მონადირევ, ბაყაყებისჭამიავ და თევზების მკვლელო, ის შენზეც ინადირებს! ახლა კი გაეცალე აქაურობას, თორემ ჩემ მიერ მოკლულ სამბჰურს[1] (მე მშიერ საქონელს არ ვჭამ) ვფიცავ, სანამ მეორე ფეხითაც დაკოჭლებულხარ, პატრონს დაუბრუნდი, შე შეტრუსულო მხეცო!

მამა მგელი განცვიფრებული შეჰყურებდა დედა მგელს. მას თითქმის დავიწყებოდა ის დღეები, როცა თავგანწირულ ბრძოლაში ხუთ მგელს გამოსტაცა მისი თავი, როცა დედა მგელი ხროვასთან ერთად დარბოდა და მხოლოდ პატივისცემის გამო არ უწოდებდნენ დემონს. შერ-ხანს შეეძლო პირისპირ შებმოდა მამა მგელს, მაგრამ დედა მგელს ნამდვილად ვერ გაუმკლავდებოდა. ის ისეთ ადგილას იდგა, რომ ყველა უპირატესობა მისკენ იყო და თავდაუზოგავად იბრძოლებდა სიცოცხლის ბოლომდე. ამიტომ შერ-ხანმა გამოქვაბულიდან ღრენით დაიხია უკან და როცა თავისუფლება იგრძნო, დაიყვირა:

---

[1] სამბჰური – აზიური დიდი ირემი, გავრცელებულია ინდოეთში.

– ყველა ძაღლი საკუთარ ეზოში ყეფს! ვნახოთ, რას იტყვის ხროვა ადამიანის ლეკვის შეფარებაზე. ის ჩემია და, ადრე თუ გვიან, ჩემი საკბილო გახდება, სქელკუდა ქურდებო!

დედა მგელმა ქოშინით მოიკალათა ლეკვებშუა. მამა მგელმა სერიოზული სახით უთხრა:

– შერ-ხანი მართალს ამბობს, ადამიანის ლეკვი ხროვას უნდა ვაჩვენოთ. ნამდვილად აპირებ მის შეფარებას?

– შევიფარებ?! – გაიკვირვა დედა მგელმა, – ის მოვიდა ღამით, მარტო, სულ მთლად შიშველი და მშიერი, თუმცა მაინც არ ეშინოდა. შეხედე, უკვე განზე გასწია ერთი ჩემი ლეკვი. ის კოჭლი ყასაბი მოკლავდა მას, თვითონ უაინგუნგისკენ გაქცევით უშველიდა თავს, აქაური მცხოვრებლები კი შურს ჩვენს ბუნაგზე იძიებდნენ. შევიფარებ თუ არა მას? რა თქმა უნდა, კი! იწექი მშვიდად, პატარა ბაყაყო. ო, მაუგლი! – ამიერიდან მაუგლის, ანუ ბაყაყს დაგიძახებ. მოვა დრო და შერ-ხანზე სწორედ ისე ინადირებ, როგორც ის ნადირობდა შენზე.

– კი მაგრამ, ჩვენი ხროვა რას იტყვის? – იკითხა მამა მგელმა.

ჯუნგლის კანონის თანახმად, ყოველ მგელს, ცოლის შერთვის შემდეგ შეუძლია ხროვას ჩამოშორდეს, მაგრამ, როგორც კი მათი ლეკვები იმდენად წამოიზრდებიან, რომ ფეხზე დადგომას შეძლებენ, ისინი აუცილებლად უნდა წარუდგინონ ხროვის საბჭოს, რომელიც თვეში ერთხელ, სავსემთვარეობისას იკრიბება, რათა სხვა მგლებმაც გაიცნონ ლეკვები. ამის შემდეგ ლეკვებს თავისუფლად შეუძლიათ სირბილი იქ, სადაც უნდათ; მანამ, სანამ ისინი პირველ ირემს არ მოკლავენ, ხროვის არცერთ მოზრდილ

მგელს არ ეპატიება ლეკვის მოკვლა. მკვლელს სადაც მიუსწრებენ, იქვე დასჯიან სიკვდილით. თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ეს ასეც უნდა იყოს.

მამა მგელმა დაიცადა, სანამ მისი ლეკვები სირბილს შეძლებდნენ და ხროვის შეკრების ერთ ღამეს ისინი, მაუგლი და დედა მგელი წაიყვანა საბჭოს კლდეზე – ლოდებითა და რიყის ქვებით მოფენილ ქედის მწვერვალზე, სადაც ასობით მგელი შეძლებდა თავის შეფარებას.

აკელა, უზარმაზარი, რუხი, მარტოხელა მგელი, რომელიც ხროვას თავისი გამჭრიახობითა და ძალით მართავდა, კლდეზე გაწოლილიყო; მის ქვემოთ კი – ორმოცამდე სხვადასხვა ფერისა და ზომის მგელი, – დაწყებული ჭაღარა ვეტერანებით, რომლებსაც მარტო შეეძლოთ გამკლავებოდნენ ირემს, დამთავრებული ახალგაზრდა, შავი, სამი წლის მგლებით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი შეეძლოთ. უკვე ერთი წელი იყო, რაც მარტოხელა აკელა ხროვას მეთაურობდა. ახალგაზრდობაში ორჯერ გაება მგლების ხაფანგში. ერთხელ, საშინლად ნაცემი, ცოცხალ-მკვდარი მიაგდეს, ამიტომაც კარგად იცნობდა ადამიანთა ზნე-ჩვეულებებსაც. კლდიდან უმნიშვნელო საუბარი ისმოდა. ლეკვები ერთმანეთზე ძვრებოდნენ წრის შუაგულში, სადაც მათი მშობლები ისხდნენ. ზოგჯერ რომელიმე უფროსი მგელი წყნარად მიუახლოვდებოდა ლეკვს, გულმოდგინედ შეათვალიერებდა და მშვიდად უბრუნდებოდა თავის ადგილს. ხანდახან კი რომელიმე დედა მგელი თავის ლეკვს მთვარის შუქზე გააგდებდა, რომ მისი შვილი შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო. აკელა მხნედ მოუწოდებდა მგლებს კლდიდან:

– თქვენ იცით კანონი, ფხიზლად იყავით, მგლებო!.. – და შეფიქრიანებული დედა მგლები მაშინვე ეხმაურებოდნენ ძახილს: – ფხიზლად, ფხიზლად, მგლებო!

ბოლოს, მამა მგელმაც წრის შუაგულში შეაგდო „მაუგლიბაყაყი“ (როგორც მას ეძახდნენ). ბავშვიც სიცილით ჩაჯდა და მთვარის შუქზე აბრჭყვიალებული კენჭებით თამაში დაიწყო. ამ დროს დედა მგელს მღელვარებისგან კისერზე ბალანი აეშალა.

აკელა თავაუწევლად, ერთ ხმაზე განაგრძობდა ძახილს: – ფხიზლად იყავით!..

კლდის გადაღმა მხრიდან ყრუ ღმუილი მოისმა.

შერ-ხანი ღმუოდა: – ლეკვი ჩემია! მომეცით! რად უნდა თავისუფალ მოდგმას ადამიანის ლეკვი?

აკელას ყურიც რომ არ შეუბერტყავს, ისე წარმოთქვა:

– ფხიზლად იყავით, მგლებო! თავისუფალი მოდგმა არავის ემორჩილება, გარდა საკუთარი ბრძანებებისა.

გაისმა ყრუ ღრენა და ოთხი წლის ახალგაზრდა მგელმა აკელას შერ-ხანის კითხვა დაუბრუნა:

– რა უნდა უქნას თავისუფალმა მოდგმამ ადამიანის ლეკვს?

ჯუნგლის კანონის მიხედვით, როცა დავა წამოიჭრება ხროვაში ლეკვის შეკედლების თაობაზე, ამაზე თანხმობა უნდა განაცხადოს ხროვის მინიმუმ ორმა წევრმა, რომელიც არც დედაა და არც მამა.

– ვინ ისაუბრებს ამ ლეკვის სასარგებლოდ? – იკითხა აკელამ, – ვინ ისაუბრებს თავისუფალი მოდგმიდან?

პასუხი არსაიდან ისმოდა. დედა მგელი, ყოველი შემთხვევისათვის, საბრძოლველად მოემზადა.

ერთადერთი გარეშე მხეცი, რომელიც ჯუნგლის საბჭოზე დაუშვეს, იყო მძინარე წაბლა დათვი ბალუ, რომელიც მგლის ლეკვებს ჯუნგლის კანონს ასწავლიდა. ის დაეხეტება ყველგან, სადაც მოესურვება, რადგან მხოლოდ თხილს, ფესვებსა და თაფლს მიირთმევს. სწორედ ბალუ წამოიმართა უკანა თათებზე და აბუზღუნდა:

– ადამიანის ლეკვი? – დაიწყო მან. – მე გამოვესარჩლები მას! ის ჩვენ არაფერს გვავნებს. მართალია, საუბრის ნიჭით არ გამოვირჩევი, მაგრამ სიმართლეს ვამბობ! მოდით, უფლება მივცეთ, ირბინოს ხროვაში და შეერიოს სხვებს. პირადად მე აღვზრდი მას.

– ჩვენ კიდევ ერთი ხმა გვჭირდება, – თქვა აკელამ, – ბალუმ უკვე ისაუბრა, ის ჩვენი ლეკვების აღმზრდელია. კიდევ ვის სურს საუბარი?

შავი ჩრდილი დაეცა წრის შუაგულს. ეს იყო ბაგირა, შავი ავაზა, რომელსაც კუპრივით შავი ტანი ვერცხლისწყალივით უპრიალებდა მთვარის შუქზე. ყველა იცნობდა ბაგირას, მაგრამ ვერავინ ბედავდა მისთვის გზის გადაჭრას. იგი ტაბაკივით მოხერხებული, გარეული ხარივით შეუპოვარი და დაჭრილი სპილოსავით თავზეხელაღებული იყო; თუმცა ხმა ხიდან წვეთ-წვეთად ჩამონადენი ველური თაფლივით საამო, კანი კი – ბუმბულზე რბილი ჰქონდა.

– ო, აკელა, და თავისუფალო მოდგმავ, – დაიკრუტუნა მან, – მართალია, თქვენს კრებაში მონაწილეობის უფლება არ მაქვს, მაგრამ ჯუნგლის კანონის მიხედვით, თუ ოდესმე ეჭვი წარმოიშობა ახალი ლეკვის გამო და საქმე მის სიკვდილს არ ეხება, შესაძლოა, ამ ლეკვის სიცოცხლის შესყიდვა. თუმცა კანონი არ აწესებს, ვის შეუძლია და

ვის არა ამ საფასურის გადახდა. ხომ მართალს ვამბობ?

– მართალია! მართალი! – წამოიძახეს დამშეულმა ახალგაზრდა მგლებმა. – მოუსმინეთ ბაგირას! ლეკვის შესყიდვა შეიძლება საფასურით, ასეთია კანონი.

– რადგან აქ საუბრის ნება არა მაქვს, ამიტომაც ნებართვას გთხოვთ.

– ილაპარაკე! – წამოიძახა ოცამდე ხმამ.

– შიშველი ლეკვის მოკვლა სამარცხვინოა. ამას გარდა, იქნებ, გამოგადგეთ კიდეც, როცა გაიზრდება! ბალუმ უკვე ისაუბრა მის სასარგებლოდ, მე კი, ჩემი მხრივ, ბალუს სიტყვას დავუმატებ აქედან ნახევარი მილის მოშორებით ახალმოკლულ მსუქან ხარს, თუკი თქვენ, კანონის თანახმად, მიიღებთ თქვენს ხროვაში ადამიანის ლეკვს! ნუთუ ეს ასეთი ძნელია?

გაისმა ხმაურიანი შეძახილები:

– რა მნიშვნელობა აქვს? ის მაინც დაიღუპება ზამთრის წვიმებში ან მზე დაწვავს. რას დაგვიშავებს შიშველი ბაყაყი, შემოუერთდეს ხროვას. სად არის ხარი, ბაგირა? დაე, მიიღონ ლეკვი!

და გაისმა აკელას ღმუილი, რომელმაც ყველა ხმა გადაფარა ირგვლივ:

– იფხიზლეთ, მგლებო!

მაუგლი ისე გაერთო კენჭების თამაშით, რომ ვერც კი ამჩნევდა მასთან დასათვალიერებლად მოსულ მგლებს. ბოლოს ყველა დაეშვა ქედიდან და მკვდარი ხარისკენ გასწია. მხოლოდ აკელა, ბაგირა, ბალუ და მაუგლის მშვილებელი მგლები დარჩნენ. ღამის წყვდიადში კი არ წყდებოდა შერ-ხანის ღრიალი – განრისხებული იყო, რადგან მაუგლი არ გადასცეს.

– იღრიალე, იღრიალე, – ულვაშებში ჩაილაპარაკა ბაგირამ, – მოვა დრო, როცა ეს შიშველი არსება სულ სხვა ხმაზე აგაღრიალებს, თუ არა და, მაშ, არ მცნობია ადამიანთა მოდგმა!

– სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, – წარმოთქვა აკელამ, – ადამიანები და მათი ნაშიერები ძალიან ჭკვიანები არიან. მოვა დრო და ის აუცილებლად დაგვეხმარება.

– ნამდვილად დაგეხმარებათ. საჭიროების შემთხვევაში, ხროვას მუდმივად ხომ ვერავინ გაუძღვება, – შენიშნა ბაგირამ.

აკელამ არაფერი უპასუხა. ის იმ დროზე ფიქრობდა, ხროვის ყველა წინამძღოლის ცხოვრებაში რომ დგება; დროზე, როცა ძალ-ღონე გამოეცლებოდა, თანდათან დასუსტდებოდა და ბოლოს, მგლები მოკლავდნენ, აირჩევდნენ ახალ წინამძღოლს, რომელიც ალბათ, იგივე ბედს გაიზიარებდა მომავალში.

– წაიყვანე, – მიმართა მან მამა მგელს, – და ისე აღზარდე, როგორც თავისუფალი მოდგმის შვილს შეჰფერის!

აი, ასე შეუერთდა სიონიის მგლების ხროვას მაუგლი ერთი ხარის საფასურად და ბალუს კეთილი სიტყვის წყალობით.

ახლა კი, მკითხველო, უნდა გამოტოვო ათი-თერთმეტი წელი და შენით წარმოიდგინო მაუგლის საოცარი ცხოვრება მგლების გარემოცვაში, რადგან ამის აღსაწერად უამრავი წიგნის დაწერა დაგვჭირდებოდა. ბიჭუნა მგლის ლეკვებთან ერთად იზრდებოდა, თუმცა მაუგლი ჯერ კიდევ ბავშვი

იყო, როცა ისინი წამოიზარდნენ. მამა მგელი თავის საქმიანობას ასწავლიდა და მანამ უხსნიდა ყველაფრის მნიშვნელობას, სანამ ყოველი ბალახის შრიალი, ღამის თბილი სიოს სუნთქვა, ხეზე შემომჯდარი ბუს ძახილი, დროებით ტოტს მოჭიდებული ღამურას კლანჭების ფხაჭუნი და თითოეული თევზის წყალში ხტუნვისგან გამოწვეული შხეფი არ გაითავისა. როცა სწავლისგან ისვენებდა, მზეს ეფიცხებოდა და ეძინა, ჭამდა და თვლემდა, ხოლო თუ დაისვრებოდა ან დაცხებოდა, ტყის გუბეებში ჭყუმპალაობდა. თუ თაფლი მოუნდებოდა (ბალუმ უთხრა, რომ თაფლი და კაკალი ისეთივე გემრიელია, როგორც უმი ხორცი), ხეზე აცოცდებოდა. ეს კი ბაგირამ ასწავლა.

ბაგირა ტოტზე გაწვებოდა ხოლმე და ისე ეძახდა: – მოდი, პატარა ძმობილო!

თავიდან მაუგლის უჭირდა ხეზე ასვლა, მაგრამ მალე რუხი მაიმუნივით გაბედულად და მოხერხებულად ხტებოდა ტოტიდან ტოტზე. მან საკუთარი ადგილიც კი მოიპოვა საბჭოს სხდომებში ხროვის შეკრებისას. ერთხელ მაუგლიმ აღმოაჩინა, რომ თუკი რომელიმე მგელს ჩაციებით მიაშტერდებოდა, ეს უკანასკნელი ძირს ხრიდა თვალებს. ამიტომ ხშირად ერთობოდა ამ თავშესაქცევით. სხვა დროს გრძელ ეკლებს აცლიდა თათებიდან თავის მეგობრებს, რადგან მგლები ძალიან იტანჯებოდნენ თათებში ჩარჩენილი ეკლებისა და ხიწვებისაგან. ღამით ქედიდან ყანებისაკენ ეშვებოდა და ცნობისმოყვარე თვალებით შეჰყურებდა ქოხებში მცხოვრებ სოფლელებს, მაგრამ ადამიანებს არ ენდობოდა, რადგანაც ბაგირამ უჩვენა ოთხკუთხა ყუთი – ხაფანგი, რომელიც ადამიანებს ისე ეშმაკურად მიე-

მალათ ტყეში, რომ მაუგლი კინაღამ გაეება. ბაგირამ აუხსნა, რომ ეს მახე იყო.

მაუგლის ყველაზე მეტად ბაგირასთან ერთად ტყის თბილ და ჩაბნელებულ შუაგულში ყოფნა უყვარდა, დღისით – ძილი, ღამით კი – მონადირე ავაზას თვალყურის დევნება. მშიერი ბაგირა დაუზოგავად ყლეტდა ნადირს. მაუგლიც ასე იქცეოდა, მხოლოდ ერთი განსხვავებით: როცა ისე წამოიზარდა, რომ რაღაცებს უკვე ადვილად ხვდებოდა, ბაგირამ ურჩია, არასოდეს გაკარებოდა საქონელს, რადგან ხროვამ იგი ხარის სიცოცხლის ფასად შეისყიდა.

– მთელი ჯუნგლი შენია, – უთხრა ბაგირამ, – ყველაფრის დახოცვა შეგიძლია, რასაც მოერევი, მაგრამ იმ ხარის პატივისცემით, არასოდეს მოკლა და შეჭამო საქონელი – არც ახალგაზრდა და არც მოხუცი. ასეთია ჯუნგლის კანონი! – და მაუგლიც უსიტყვოდ დაემორჩილა.

დრო გადიოდა. მაუგლი იზრდებოდა, ემატებოდა ძალღონე და მალე იმ ბიჭს დაემსგავსა, გაკვეთილების სწავლა რომ არ აინტერესებს და არაფერი ადარდებს ამქვეყნად, გარდა ჭამისა.

დედა მგელმა რამდენჯერმე გააფრთხილა მაუგლი, რომ შერ-ხანს არ ნდობოდა. ერთხელ ისიც უთხრა, რომ დადგებოდა დღე, როცა სწორედ ადამიანის ლეკვი მოკლავდა მტარვალ ვეფხვს. ახალგაზრდა მგელს ყოველ წუთას გაახსენდებოდა ეს გაფრთხილება, მაგრამ კაცთა მოდგმის მაუგლის დაავიწყდა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს მგელს უწოდებდა, ადამიანთა ენაზე საუბარი რომ შესძლებოდა.

შერ-ხანი ხშირად გადაყრია მაუგლის გზაზე. მას შემდეგ, რაც აკელა მობერდა და ძალაც გამოეცალა, კოჭლი

ვეფხვი ცდილობდა დამეგობრებოდა ხროვის ახალგაზრდა მგლებს, რომლებიც უკან დასდევდნენ, აქაოდა, ძვალს შეგვახვედრებსო. აკელას საკუთარი ძალაუფლების გამოყენება ძველებურად რომ შეძლებოდა, მათ ამის ნებას არასოდეს მისცემდა. შერ-ხანი მგლებს ეპირფერებოდა და ვითომ გაოცებული კითხულობდა: ასეთი ახალგაზრდა მონადირეები როგორ იტანთ მომაკვდავი მგლისა და ადამიანის ლეკვის შენიშვნებსო; ან ეუბნებოდა: გავიგე, რომ საბჭოზე ადამიანის ლეკვს თვალს ვერ უსწორებთო.

ახალგაზრდა მგლები იღრინებოდნენ და ბალანი ებურძგლებოდათ.

ბაგირამ, რომელიც ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა, ეს ამბავიც შეიტყო და ერთხელ პირდაპირ უთხრა მაუგლის, რომ ოდესმე შერ-ხანი მოკლავდა. მაუგლიმ ჩაიცინა და მიუგო:

– მე მყავს ხროვა, მყავხარ შენ და კიდევ ბალუ, რომელიც, მართალია, ზარმაცია, მაგრამ ჩემი გულისთვის თავს არ დაზოგავს. რაღატომ უნდა მეშინოდეს?

ერთ თბილ დღეს ბაგირას თავში ახალი აზრი დაებადა. ვინ იცის, იქნებ მაჩვზღარბა იკკიმაც მიაწოდა ეს იდეა. ჰოდა, როცა ისინი ჯუნგლის შუაგულში ნებივრობდნენ და წამოწოლილ მაუგლის ბაგირას მშვენიერ შავ ზურგზე დაედო თავი, ავაზამ ჰკითხა:

– პატარა ძმობილო, რამდენჯერ გითხარი, რომ შერ-ხანი შენი მტერია?

– იმდენჯერ, რამდენი ცალი ნაყოფიც ამ პალმის ხეს ასხია, – მიუგო მაუგლიმ, რომელმაც, ბუნებრივია, თვლა არ იცოდა, – მერე რა? მეძინება, ბაგირა, შერ-ხანს კი

გრძელი კუდი და მყვირალა ხმა აქვს მაო ფარშავანგივით.

– ხო, მაგრამ ახლა არ არის ძილის დრო, ბალუმ იცის ეს, მეც ვიცი, ხროვამაც იცის, თვით სულელმა ირმებმაც კი იციან! ტაბაკიმაც ხომ გითხრა ამის შესახებ.

– ჰო! ჰო! – მიუგო მაუგლიმ, – ტაბაკი არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო ჩემთან და უხეშად გამომიცხადა, რომ ადამიანის შიშველი ლეკვი ვიყავი და მიწის თხილის თხრის უფლებაც არ მქონდა. ჰოდა, ვსტაცე მაგ შენს ტაბაკის კუდში ხელი და ორჯერ შევახეთქე ჰალმას, რათა თავაზიანი მოპყრობა მესწავლებინა.

– სულელურად მოქცეულხარ. მართალია, ტაბაკი დიდი გაიძვერა ვინმეა, მაგრამ მაინც შეეძლო შენთვის გასათვალისწინებელი რამ ეთქვა. თვალი გაახილე, ჰატარა ძმობილო! შერ-ხანი ჯუნგლში ვერაფერს დაგიშავებს, მაგრამ გახსოვდეს, აკელა ძალიან მოხუცდა; მალე ის ირემსაც ვეღარ მოკლავს და მაშინ წინამძღოლიც აღარ იქნება. იმ მგლებს შორის კი, რომელთაც პირველად შეგათვალიერეს საბჭოზე, ბევრი მოხუცია, ახალგაზრდა მგლებს კი სჯერათ შერ-ხანის, რომელიც ეუბნება, რომ ადამიანის ლეკვს არაფერი ესაქმება ხროვაში. ცოტა ხანში შენ უკვე ზრდასრული ადამიანი იქნები...

– ადამიანი რას ნიშნავს? ნუთუ მას არ შეუძლია თავის ძმებთან ერთად ნავარდი?! – შეეკითხა მაუგლი, – მე ჯუნგლში დავიბადე და ყოველთვის ვიცავდი ჯუნგლის კანონს, ჩვენს ხროვაში ერთი მგელიც კი არ მოიძებნება, რომლის თათიდანაც ეკალი არ ამომიღია. და, რა თქმა უნდა, ისინი ჩემი ძმები არიან!

ბაგირა გაწვა და ნახევრად მოხუჭა თვალები.

– პატარა ძმობილო, – ჩაილაპარაკა მან, – აბა, ერთი ყბაზე მომისვი ხელი.

მაუგლიმ თავისი ღონიერი, ყავისფერი ხელი ბაგირას აბრეშუმივით რბილ ნიკაპს მოუსვა. ავაზას ქვედა ყბის უზარმაზარი, მოძრავი კუნთები მბზინავ ბალანს დაეფარა, სადაც მაუგლიმ პატარა, შიშველ ადგილს მიაგნო.

– ჯუნგლში არავინ იცის, რომ მე, ბაგირას, აქ საყელურის ნიშანი მაქვს; დიახ, პატარა ძმობილო, მე ადამიანებს შორის დავიბადე, დედაჩემიც ადამიანებთან, მეფის სასახლის გალიაში მოკვდა, უდეიპურში. სწორედ ამ მიზეზით გამოგისყიდე საბჭოზე, როდესაც შენ ჯერ კიდევ პაწია, შიშველი ლეკვი იყავი. ჰო, მეც ადამიანებში დავიბადე! არასოდეს მენახა ჯუნგლი. გისოსებს მიღმიდან მისხამდნენ საჭმელს რკინის ტაფაზე მანამ, სანამ ერთ ღამეს არ ვიგრძენი, რომ მე ვიყავი ბაგირა, ავაზა, და არა ადამიანების სათამაშო ნივთი. ტორის ერთი დარტყმით გავტეხე სულელური კლიტე და გავიქეცი. და რადგანაც ადამიანთა ყველანაირი ზნე-ჩვეულება ვიცოდი, შერ-ხანზე მეტად საშიში გავხდი ჯუნგლში. განა ასე არ არის?

– ასეა, – მიუგო მაუგლიმ, – ჯუნგლში ყველას ეშინია ბაგირასი, გარდა მაუგლისა.

– ოჰ, შენ ხომ ადამიანის ნაშიერი ხარ! – მშვიდად უთხრა შავმა ავაზამ. – ჰოდა, როგორც მე დავბრუნდი ჩემს ჯუნგლში, ბოლოს შენც ისე უნდა დაუბრუნდე ადამიანთა მოდგმას, შენს ძმებს, თუკი მანამდე არ მოგკლეს საბჭოზე.

– კი მაგრამ, რატომ? – ჰკითხა მაუგლიმ. – რატომ უნდა ჰქონდეს ვინმეს ჩემი მოკვლის სურვილი?

– შემომხედე, – უთხრა ბაგირამ. მაუგლიმ თვალი თვალ-

ში გაუყარა. უზარმაზარმა ავაზამ ნახევარ წუთში მიატრიალა თავი.

– აი, რატომ, – უთხრა მან და ფოთლები თათებით ააშრიალა, – მეც კი ვერ გისწორებ თვალებს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებში დავიბადე; თანაც ასე ძალიან მიყვარხარ, ჩემო ძმობილო! სხვებს კი სძულხარ, იმიტომ რომ, თვალს ვერ გისწორებენ, იმიტომ რომ, ჭკვიანი ხარ, იმიტომ, რომ მათ თათებიდან ეკლებს აცლი და იმიტომ, რომ ადამიანი ხარ!

– მე ეს არ ვიცოდი, – დაღვრემილად მიუგო მაუგლიმ და თავისი ხშირი, შავი წარბები შეკრა.

– როგორია ჯუნგლის კანონი? ჯერ დაარტყი და მერე ასაუბრე. შენ დაუკვირვებლობაზეც გატყობენ, რომ ადამიანი ხარ. კეთილგონივრულად მოიქეცი. გული მიგრძნობს, ააცილებს თუ არა აკელა ნადირს – ირმის დაჭერა კი დღითიდღე უფრო უძნელდება – ხროვა მაშინვე ამხედრდება მის და შენ წინააღმდეგ. კლდესთან მოიწვევენ ჯუნგლის საბჭოს და შემდეგ... შემდეგ... მოვიფიქრე! – უცებ წამოიძახა ბაგირამ და წამოხტა. – სწრაფად გაიქეცი ქვევით, ადამიანთა ქოხებისკენ და წამოიღე ცოტა წითელი ყვავილი, რომელსაც ისინი ზრდიან. მოვა დრო, როცა ჩემზე, ბალუზე და ხროვის შენიან წევრებზე უფრო ძლიერი მეგობარი გამოგიჩნდება. ჩქარა მოიპოვე წითელი ყვავილი!

ბაგირა წითელ ყვავილში ცეცხლს გულისხმობდა. ჯუნგლის ვერცერთი წევრი ცეცხლს ნამდვილ სახელს ვერ უწოდებს. მისი სიკვდილივით ეშინიათ და ასობით სახელს უგონებენ, ოღონდ კი პირდაპირ არ დაასახელონ. – წითე-

ლი ყვავილი? – თქვა მაუგლიმ, – ის ხომ ქოხების გარეთ, ბინდში იზრდება? აუცილებლად ვიშოვი მას!

– აი, ახლა კი ნამდვილად ადამიანის ლეკვი საუბრობს! – ამაყად თქვა ბაგირამ, – გახსოვდეს, რომ ის ქოთნებში იზრდება. სწრაფად მოიტანე და შეინახე საჭირო დღისთვის.

– კეთილი, – უთხრა მაუგლიმ, ავაზას მშვენიერ კისერს მოჰხვია ხელები და ღრმად ჩახედა დიდ თვალებში. – მივდივარ, მაგრამ დარწმუნებული ხარ, ჩემო ბაგირა, რომ ეს ყველაფერი შერ-ხანის ხრიკებია?

– ჩემს გამათავისუფლებელ, დამსხვრეულ საკეტს ვფიცავ, რომ დარწმუნებული ვარ, პატარა ძმობილო!

– მე კი, ჩემს გამომსყიდველ ხარს ვფიცავ, რომ სამაგიეროს გადავუხდი შერ-ხანს და შესაძლოა, სხვებსაც! – წარმოთქვა მაუგლიმ და სწრაფად გაიქცა.

– აი, ეს არის ადამიანი! ნამდვილი ადამიანი! – თავისთვის ჩაილაპარაკა ძირს გაწოლილმა ბაგირამ, – ო, შერ-ხან, არასოდეს გინადირია ისე საბედისწეროდ, როგორც ამ ათი წლის წინ, როდესაც ამ ბაყაყზე ინადირე.

გულამოვარდნილი მაუგლი სულ უფრო და უფრო შორს გარბოდა ტყეში. ის უკვე გამოქვაბულთან იყო, საღამოს ნისლი რომ გაიფანტა. ღრმად ამოისუნთქა და ხეობას გადახედა. ლეკვები გარეთ იყვნენ, დედა მგელი კი – გამოქვაბულის სიღრმეში. მაუგლის ამოსუნთქვაზე, ის მაშინვე მიხვდა, რომ მის პატარა ბაყაყს რაღაც აღელვებდა.

– რა ხდება, შვილო? – ჰკითხა მან.

– ყველაფერი შერ-ხანის ბრალია, – მიუგო მაუგლიმ, – ამაღამ მოხნულ მინდვრებში ვინადირებ! – და ბუჩქების

გავლით ქვევით, ხეობის ნაკადულისკენ დაეშვა. მერე შედგა, რადგან სანადიროდ გამოსული ხროვის ხმაური, მონადირე სამბჰურის ღრიალი და სასოწარკვეთილი ირმის ქოშინი მოესმა. შემდეგ ახალგაზრდა მგლების ღვარძლიანი, არასასიამოვნო ყმუილი გაიგონა:

– აკელა! აკელა! დაე, მარტოხელა მგელმა თავისი ძალა გვიჩვენოს! აბა, ადგილი გაუთავისუფლეთ ხროვის წინამძღოლს! გადახტი, აკელა!

როგორც ჩანდა, მარტოხელა მგელმა ისკუპა, მაგრამ ააცდინა. მაუგლიმ მისი კბილების კრაჭუნი გაიგო და როცა სამბჰურმა წინა ფეხი ჩასცხო, აკელას წკავწკავსაც მოჰკრა ყური.

მაუგლიმ აღარ მოიცადა და წინ გავარდა. წკმუტუნის ხმა ნელ-ნელა მიწყდა, როდესაც იმ ხნულებს მიუახლოვდა, სადაც სოფლელები ცხოვრობდნენ.

– ბაგირამ სიმართლე თქვა, – ქოშინით ჩურჩულებდა ის, როდესაც ერთ-ერთი ქოხის ფანჯარასთან დაგროვილ თივაში მოიკალათა. – ხვალ ჩვენი დღეა – ჩემი და აკელასი!

მერე სიბნელეში ფანჯარასთან ახლოს მიიტანა სახე და კერიაში მოგუზგუზე ცეცხლს მიაშტერდა. დაინახა, როგორ ადგა მიწათმოქმედის ცოლი და როგორ შეუკეთა ცეცხლს შავი კუნძები. დილით, როცა ნისლი გაიფანტა და აცივდა, დაინახა, როგორ აიღო სოფლელის შვილმა შიგნიდან მიწით ამოგლესილი, მოწნული კალათა, აავსო გავარვარებული ნაკვერჩხლით, გაახვია თავის საბანში და ძროხების მოსავლელად გაემართა.

– სულ ეს არის? – გაიფიქრა მაუგლიმ, – თუკი ბავშვს შეუძლია ამის გაკეთება, გამოდის, რომ საშიში არაფერია.

– მერე ისკუპა, ბიჭს წინ გადაუხტა, ქვაბი ხელიდან გამოსტაცა და ნისლში მანამ გაუჩინარდა, სანამ შეშინებულმა ბიჭმა ყვირილი მორთო.

– როგორ ძალიან მგვანან, – თქვა მაუგლიმ, თან ქვაბს უბერავდა ისე, როგორც ამას ქალი აკეთებდა ქოხში. – ეს რაღაც, ალბათ, მოკვდება თუ არაფერი ვაჭამე, – და წითელი ნივთიერება ფიჩხითა და გამხმარი ხის ქერქით გამოკვება. გზად შეხვდა ბაგირას, რომელსაც. მას მთვარის ქვებივით უბრწყინავდა დილის ნამი ბეწვზე.

– აკელამ მიზანს ააცდინა, – უთხრა ავაზამ, – წუხელვე მოკლავდნენ, მაგრამ მათ შენც სჭირდებოდი, მთაში გეძებდნენ.

– ხნულებში ვიყავი. მე მზად ვარ, აი, შეხედე! – და მაუგლიმ ცეცხლით სავსე კალათზე მიუთითა.

– ძალიან კარგი! მე მინახავს, როგორ აყრიდნენ ადამიანები მას მშრალ ტოტებს და ცოტა ხანში როგორ იფურჩქნებოდა წითელი ყვავილი. არ გეშინია?

– არა, რატომ უნდა მეშინოდეს? ახლა მახსენდება, თუკი ეს სიზმარი არ იყო, რომ სანამ მგელი გავხდებოდი, წითელი ყვავილის გვერდით ვიწექი ხოლმე; თბილი იყო და მსიამოვნებდა.

მთელი ის დღე მაუგლიმ გამოქვაბულში გაატარა, უვლიდა თავის ცეცხლს, აყრიდა ფიჩხს და თან ამოწმებდა, რა ხდებოდა. ერთი ტოტი შეარჩია და დაკმაყოფილდა. საღამოს, როცა ტაბაკი ესტუმრა გამოქვაბულში და უხეშად მოახსენა საბჭოს კლდესთან გიბარებენო, მაუგლიმ ისე გადაიხარხარა, რომ შეშინებულმა ტაბაკიმ სწრაფად მოკურცხლა; ბიჭუნა კი სიცილ-ხარხარით გაემართა საბჭოსკენ.

მარტოხელა აკელა კლდის ძირას იწვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხროვის წინამძღოლის ადგილი თავისუფალი იყო. შერ-ხანი კი მისი ნარჩენებით გამოკვებილ მგლებთან ერთად მიმოდიოდა და ურცხვად ისმენდა მლიქვნელურ პირფერობას. ბაგირა მაუგლის გვერდით იწვა, ბიჭს ცეცხლიანი კალათა მუხლებში ჩაედგა. როცა ყველა შეიკრიბა, შერ-ხანმა საუბარი დაიწყო. არადა ამას, სანამ აკელა მოწოდების სიმაღლეზე იყო, ვერასოდეს ბედავდა. – მას არა აქვს ამის უფლება, – წაიჩურჩულა ბაგირამ, – თქვი, ძაღლიშვილია და შეეშინდება.

მაუგლი წამოხტა.

– თავისუფალო მოდგმავ! – შესძახა მან, – ნუთუ შერ-ხანია ხროვის წინამძღოლია? რა ესაქმება ვეფხვს ჩვენს წინამძღოლობასთან?

– როგორც ხედავთ, წინამძღოლის ადგილი თავისუფალია და მე მთხოვეს საუბარი. – დაიწყო შერ-ხანმა.

– ვინ გთხოვა? – იკითხა მაუგლიმ, – განა ჩვენ ყველანი ტურები ვართ, რომ ფეხქვეშ გავეგოთ ამ ყასაბს? ხროვის წინამძღოლობა მხოლოდ ხროვის საქმეა!

ატყდა ყვირილი: – იყუჩე, ადამიანის ლეკვო! მიუშვი, რომ ისაუბროს, ჩვენს კანონს იცავს.

ბოლოს კი ხროვის უხუცესებმა დასჭექეს: – დაე, ისაუბროს მკვდარმა მგელმა!

როცა ხროვის წინამძღოლი ნადირობისას მიზანს ააცილებს, მას „მკვდარ მგელს“ უწოდებენ მთელი დარჩენილი – არც თუ ისე დიდი ხნის – სიცოცხლის განმავლობაში.

აკელამ მძიმედ ასწია ბებერი თავი.

– თავისუფალო მოდგმავ, და თქვენც, შერ-ხანის ტურებო!

თორმეტი წელი გიწინამძღვრეთ და გიძღვებოდით ნადირობაში; მთელი ამ ხნის განმავლობაში არცერთი თქვენგანი არ გაბმულა ხაფანგში და არც დაშავებულა. ახლა კი მე ავაცილე მიზანს. ფეხმარდ ირემს დამადევნეთ, რათა ჩემი სისუსტე გამოგეაშკარავებინათ. ეს ყველაფერი განგებ მოაწყვეთ. თქვენ უფლება გაქვთ, ახლავე მომკლათ აქვე, საბჭოს კლდეზე. გეკითხებით, ვინ გამოასალმებს სიცოცხლეს მარტოხელა მგელს? ჯუნგლის კანონის თანახმად, მე შემიძლია მოვითხოვო, რომ სათითაოდ გამოხვიდეთ!

ხანგრძლივმა დუმილმა დაისადგურა. ვერცერთმა მგელმა ვერ გაბედა მარტო შებმოდა აკელას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ბოლოს შერ-ხანმა დაიღრიალა:

– ვაჰ, რაში გვჭირდება ეს უკბილო სულელი? ის მაინც სასიკვდილოდაა განწირული! მხოლოდ ადამიანთა ნაშიერი ცოცხლობს ხანგრძლივად. ის კი თავიდანვე ჩემი საკბილო იყო. თავისუფალო მოდგმავ, მომეცით იგი მე! დამღალა ამ ადამიანურ-მგლურმა სისულელემ! ათი სეზონი გავიდა, რაც ის ჯუნგლს აწუხებს. მომეცით ადამიანის ლეკვი, თორემ სულ აქ ვინადირებ და თქვენ კი ერთ ძვალსაც ვერ მიიღებთ ჩემგან. ეგ არის ადამიანი, ადამიანის შვილი და მთელი ჩემი არსებით მძულს!

თითქმის ნახევარზე მეტმა ხროვამ შეჰყვირა:

– ადამიანი, ადამიანი! რა ესაქმება მას ჩვენთან? დაე, დავუბრუნოთ თავის ადგილს!

– და სოფლის მცხოვრებლები ჩვენ წინააღმდეგ განაწყოს? – დაიღრიალა შერ-ხანმა, – არა, მომეცით იგი მე! ის ადამიანია, არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია თვალი გაუსწოროს მას!

აკელამ კვლამ წამოწია თავი და თქვა:

– ის ჩვენს საჭმელს ჭამდა, ჩვენთან ერთად ეძინა, ჩვენთვის ნადირი მოურეკავს და არასოდეს დაურღვევია ჯუნგლის კანონი!

– მე კი ხარით გამოვისყიდე, როდესაც ის ხროვამ მიიღო. მართალია, ხარის ფასი არც ისე დიდია, მაგრამ ბაგირა პატიოსან სიტყვას არასოდეს დათმობს უბრძოლველად, – დამაჯერებლად წარმოთქვა ბაგირამ.

– ხარით ათი წლის წინ გადაიხადე, – აბუზღუნდა ხროვა, – რაღაში გვჭირდება ათი წლის ბებერი ძვლები?

– ფიცი? – თქვა ბაგირამ და თეთრი კბილები გამოაჩინა, – თავისუფალი მოდგმის სახელს კი ატარებთ ღირსეულად!

– ადამიანის არცერთ ლეკვს არ შეუძლია ჯუნგლთან ერთად ნავარდი! – დაიღრიალა შერ-ხანმა, – მომეცით იგი!

– გარდა სისხლისა, ის ყველანაირად ჩვენი ძმაა, – განაგრძო აკელამ, – და თქვენ კი მისი აქ მოკვლა გინდათ?! სწორად შენიშნეთ: მე საკმარისზე მეტხანს ვიცოცხლე. ზოგიერთი თქვენგანი საქონელზე ნადირობს, ზოგი კი, როგორც გავიგე, შერ-ხანის მეთაურობით ბნელ ღამეში სოფლელების ბავშვებს იტაცებს მათი კარიდან. ახლა ვხედავ, რა მხდალებიც ყოფილხართ და მშიშრებს ვესაუბრები. ჩემი სიკვდილი გარდუვალია, ფასი აღარ აქვს ჩემს სიცოცხლეს, თორემ მას შემოგთავაზებდით ადამიანის ლეკვის სიცოცხლის სანაცვლოდ. მაგრამ ხროვის პატიოსნებას ვფიცავ – რაც თქვენ წინამძღოლის გარეშე ნავარდისას დაგვიწყებიათ – გპირდებით, თუკი თქვენ ადამიანის ლეკვს მისიანებთან გაუშვებთ, ჩემი სიკვდილის ჟამს, ერთ კბილსაც არავის გავკრავ, უბრძოლველად მოვკვდები! ეს პირობა კი ხროვის სამ წევრს მაინც გადაარჩენს. სხვა არაფერი შემიძლია. თუ ასე მოიქცევით, აგაცილებთ

იმ სირცხვილს, რომელსაც საკუთარი ძმის მოკვლის დანაშაული ჰქვია, იმ ძმისა, რომელსაც ჯუნგლის კანონის მიხედვით გამოესარჩლეთ და ხროვაში მიიღეთ.

– ის ადამიანია, ადამიანი, ადამიანი! – აღრიალდა ხროვა და მგლებმა შერ-ხანის ირგვლივ დაიწყეს შეკრება.

– ახლა უკვე შენზეა ყველაფერი დამოკიდებული, – უთხრა ბაგირამ მაუგლის, – ჩვენ ბრძოლის გარდა აღარაფერი შეგვიძლია.

მაუგლი წამოიმართა ცეცხლიანი კალათით ხელში. შემდეგ გაიზმორა და საბჭოს ჰირდაპირ სახეში შეამთქნარა. ბრაზსა და დარდს გაეშმაგებინა. აქამდე მგლებს არასოდეს უთქვამთ, რომ იგი სძულდათ.

– მომისმინეთ! – შესძახა მაუგლიმ, – თქვენი ძაღლური ლაქლაქი საჭირო არ არის! ამაღამ უკვე იმდენჯერ მითხარით, ადამიანი ხარო (რა თქმა უნდა, მე მგლად ყოფნას ვარჩევდი მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში), რომ ვგრძნობ თქვენი სიტყვების სიმართლეს. ამიერიდან ძმებს კი აღარ გიწოდებთ, არამედ – ძაღლებს, ისე, როგორც ადამიანები გეძახიან. ანი აღარ მადარდებს, რას გააკეთებთ და რას არა, თუმცა ერთს მაინც გეტყვით: მე, ადამიანმა, აქ მოვიტანე ცოტაოდენი წითელი ყვავილი, რომლისაც თქვენ, ძაღლებს ასე გეშინიათ!

და მაუგლიმ მიწაზე დაახეთქა ცეცხლიანი კალათა. რამდენიმე ნაღვერდალი გამხმარი ხავსის გროვას მოედო და აგიზგიზდა, ავარვარებული ალისაგან შეშინებულმა საბჭომ უკან დაიხია. მაუგლიმ გამხმარი ტოტი ცეცხლში შეაგდო და როცა ტოტი ატკაცუნდა, თავს ზემოთ დაატრიალა მობუზულ მგლებს შორის ჩამდგარმა.

– შენ უკვე აქაურობის მეპატრონე ხარ, – დაბალი ხმით

უთხრა ბაგირამ, – შენ იხსენი აკელა სიკვდილისაგან, ის ხომ ყოველთვის შენი მეგობარი იყო.

მკაცრმა, ბებერმა აკელამ, რომელსაც შეწყალება არასოდეს უთხოვია, საცოდავად გახედა მაუგლის. შიშველ ბიჭს მხრებზე სცემდა ალმოდებული ტოტის შუქზე აელვარებული თმა.

– კეთილი! – თქვა მაუგლიმ და თან გარშემო ნელა მიმოავლო თვალი. – ვხედავ, ძაღლები ყოფილხართ! მე მოგშორდებით და წავალ ჩემს საკუთარ ხალხთან, თუკი ის ნამდვილად ჩემი მოდგმაა! ჯუნგლის კარი ჩემთვის დახშულია, მე უნდა დავივიწყო თქვენი ლაპარაკი და მეგობრობა. მაგრამ თქვენზე უფრო გულისხმიერი ვიქნები. სისხლის გარდა ყველაფრით თქვენი ძმა ვიყავი, ამიტომ გპირდებით, როცა ადამიანებს შორის ადამიანად დავიწყებ ცხოვრებას, არასოდეს გაგიმეტებთ ისე, როგორც თქვენ გამიმეტეთ! – მან ფეხი გაჰკრა ნაკვერცხლებს, ნაპერწკლები აქეთ-იქით მიმოიფანტა, – არცერთ თქვენგანს არ შევებრძოლები ხროვაში. მხოლოდ ერთი ვალი მაქვს გასასტუმრებელი წასვლამდე! – და მაუგლი გაემართა შერ-ხანისაკენ, რომელიც, ცეცხლს მიშტერებული, სულელივით ახამხამებდა თვალებს. მაუგლი ნიკაპის ღინღლზე სწვდა ვეფხვს. ბაგირა ბიჭს გაჰყვა, ყოველი შემთხვევისათვის.

– წამოდექი, ძაღლო! – დაუყვირა მაუგლიმ, – წამოდექი, როდესაც ადამიანი საუბრობს, თორემ მაგ ტყავს დაგიწვავ!

შერ-ხანს შიშისაგან ყურები აეპრიხა და თვალები დაეხუჭა, რადგან ცეცხლმოდებული ტოტი ძალიან ახლოს უტრიალებდა.

– ეს ყასაბი ტრაბახობდა, რომ საბჭოზე მომკლავდა, რაკი აქამდე ვერაფერი მიქნა. ჰოდა, აი, როგორ ვეპყრობით ჩვენ, ადამიანები, ძაღლებს! აბა, ერთი გაბედე და ულვაში შეარხიე, ლანგრი, მაშინვე ყელში ჩაგჩრი წითელ ყვავილს! – მაუგლი თავში ურტყამდა შერ-ხანს ტოტს, შიშისგან სასომიხდილი ვეფხვი კი წკმუტუნებდა და ყმუოდა.

– უჰ3, შე ჯუნგლის კატავ! წადი ახლა და გახსოვდეს: როცა კვლავ მოვალ საბჭოს კლდესთან, მოვალ ისე, როგორც ადამიანი, თავზე შერ-ხანის ტყავით! რაც შეეხება დანარჩენებს, აკელა თავისუფალია და ისე იცხოვრებს, როგორც მოესურვება. თქვენ მას ვერ მოკლავთ, რადგან ეს მე არ მსურს! არც ის მინდა, რომ აქ ისხდეთ ენაგადმოგდებულები, თითქოს მართლა რამეს წარმოადგენდეთ და ის ძაღლები არ იყოთ, რომლებსაც ასე მივერეკები! აბა, გასწით!

თითქმის ბოლომდე დამწვარ ტოტს მაუგლი აქეთ-იქით იქნევდა წრეში, ბეწვზე ალმოდებული მგლები ყმუილით გარბოდნენ. ბოლოს დარჩა მხოლოდ აკელა, ბაგირა და მაუგლის მომხრე ათიოდე მგელი. მაუგლიმ სხეულში ისეთი ტკივილი იგრძნო, რაც აქამდე არასოდეს უგრძვნია, ღრმად ამოისუნთქა და აქვითინდა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე.

– რა მჭირს? რა მემართება? – კითხულობდა ის, – არ მინდა ჯუნგლის დატოვება. ნეტავ, რას ნიშნავს ეს, ხომ არ ვკვდები, ბაგირა?

– არა, ჰატარა ძმობილო, ეს ცრემლებია, ადამიანისთვის დამახასიათებელი ცრემლები, – უთხრა ბაგირამ, – ახლა კი უკვე ვიცი, რომ შენ ადამიანის ლეკვი კი არა,

ნამდვილი ადამიანი ხარ! ამიერიდან ჯუნგლის კარი მარ-
თლაც დახშულია შენთვის. მიუშვი, მაუგლი, დაე, იდინონ!
ეგ მხოლოდ ცრემლებია.

მაუგლი იჯდა და ტიროდა, ტიროდა გულამოსკვნილი.
მას ხომ ასე არასოდეს უტირია.

– ახლა, – თქვა მან, – მე წავალ ადამიანებთან, მაგრამ
ჯერ დედაჩემს უნდა დავემშვიდობო, – და გაემართა გამო-
ქვაბულისკენ, სადაც მამა მგელთან ერთად ცხოვრობდა
მისი დედობილი. ძალიან ბევრი იტირა დედა მგელზე
ჩახუტებულმა მაუგლიმ. მგლის ოთხი პატარა ლეკვიც სა-
ბრალოდ ყმუოდა.

– არ დამივიწყებთ? – ჰკითხა ცრემლმორეულმა მაუგლიმ.

– არასოდეს, სანამ ნაკვალევის მიგნება შეგვეძლება, –
მიუგეს მგლის ლეკვებმა. – როდესაც ადამიანი გახდები,
მოდი ხოლმე გორაკის ძირში და ვისაუბროთ. ჩვენც მოვ-
ალთ სახნავ მიწებთან, რომ ღამით გეთამაშოთ.

– მალე დაბრუნდი! – უთხრა მამა მგელმა, – ოჰ, ჭკვია-
ნო პატარა ბაყაყო, მალე დაბრუნდი! მე და დედაშენი ხომ
უკვე მოვხუცდით!

– მალე დაბრუნდი, – დაუმატა დედა მგელმა, – ჩემო პა-
ტარა შიშველო ბიჭო! იცოდე, რომ ყოველთვის შენ უფრო მე-
ტად მიყვარდი, ადამიანის ნაშიერო, ვიდრე ჩემი ლეკვები!

– აუცილებლად დავბრუნდები, – უპასუხა მაუგლიმ, – და
მოვალ იმისთვის, რომ შერ-ხანის ტყავი გავშალო საბჭოს
კლდეზე. არ დამივიწყოთ! გადაეცით ჯუნგლის ბინადართ,
რომ არასოდეს დამივიწყონ!

თენდებოდა, როცა მაუგლი მარტო დაეშვა მთებიდან
იმ საოცარ არსებებთან შესახვედრად, რომელთაც ადა-
მიანებს უწოდებენ.

სიონიის ხროვის სანადირო სიმღერა

განთიადის სიჩუმე დაარღვია სამბურმა.
ერთი, ორი, ერთი და!
მაღლა-მაღლა ნახტომით ირემი შორს გავარდა,
გადაევლო გუბეს და ტყეში სწრაფად შევარდა,
მარტო ვიდექ, ვუჭვრეტდი, გულმა გაინავარდა,
ერთი, ორი, ერთი და!

განთიადის სიჩუმე დაარღვია სამბურმა.
ერთი, ორი, ერთი და!
მგელი უცბად გამოძვრა ბუნაგიდან ფარულად,
მომლოდინე ნახირს რომ იმწუთასვე ახაროს:
ვეძებეთ და ვიპოვეთ, კვალი აღარ დავკარგოთ,
ერთი, ორი, ერთი და!

განთიადის სიჩუმე დაარღვია მგლის ხროვამ.
ერთი, ორი, ერთი და!
ჯუნგლში ჩუმად იარე, ნუ დატოვებ ნაკვალევს,
შეეცადე, თვალებით რომ გააპო წყვდიადი,
ყური უგდე, ისმინე, ჰქმენ საქმენი დიადი.
ერთი, ორი, ერთი და!

კაას ნადირობა

ავაზა წინწკლით ამაყობს, კამეჩი – თავის რქებით,
მონადირე კი თავს იქებს სიბზინვარის დიდებით.
კამეჩი ანდა სამბჰური თუ დაგიპირებს რქენას,
არც კი დაფიქრდე, მაშინვე შეგვატყობინე ყველას;
სხვის ლეკვებს არასდროს ემტრო, არ დააკარო თათი,
იქნებ, უმწეო არსებებს, იქვე ჰყავთ დედა დათვი.
„ჩვენ ვართ, რაცა ვართ", – მღერიან, გული აქვთ ჟინით სავსე,
ჯუნგლი დიდია, მიუშვი, იფიქრონ, დაე, ასე.

ბალუს პრინციპი

ყველაფერი, რასაც ახლა გიამბობთ, მანამ მოხდა, სანამ მაუგლის სიონიის მგლების ხროვიდან გააძევებდნენ და იგი შერ-ხანზე შურს იძიებდა. ეს მაშინ იყო, როცა ბალუ მაუგლის ჯუნგლის კანონებს ასწავლიდა. უზარმაზარი, სერიოზული, ბებერი მურა დათვი აღფრთოვანებული იყო თავისი ნიჭიერი მოწაფით. ახალგაზრდა მგლები ჯუნგლის კანონებიდან მხოლოდ იმას ითვისებენ, რაც მათ ხროვასა და თვისტომს შეეხება, და მაშინვე მიმოიფანტებიან, როგორც კი სანადირო ლექსის გამეორებას შეძლებენ: „ფრთხილად მოსიარულე ფეხები, სიბნელეში მხედველი თვალები, ქართა მსმენი ყურები და ბასრი თეთრი კბილები – აი, ყოველივე ეს არის დამახასიათებელი ჩვენი ძმებისთვის, გარდა ტურა ტაბაკისა და აფთრისა, რომლებიც ჩვენ გვძულს". მაგრამ მაუგლის, როგორც ადამიანის ლეკვს, ამაზე ბევრად მეტის სწავლა მოუხდა. ზოგჯერ ბაგირა, შავი ავაზა გამოივლიდა ხოლმე ჯუნგლში, რათა თავისი ნებიერასთვის დაეხედა და ხეზე თავმიყრდნო-

ბილი უყურებდა, როგორ აბარებდა მაუგლი ბალუს დღის გაკვეთილს. ბიჭს ერთნაირი წარმატებით შეეძლო ხეებზე აძრომა, ცურვა და სირბილი. ახლა კი, წესების მასწავლებელი ბალუ მას უხსნიდა ტყისა და წყლის კანონს: როგორ უნდა გაერჩია დამპალი ტოტი საღისაგან, როგორ მიემართა თავაზიანად გარეული ფუტკრებისათვის, როცა მათ სკას წააწყდებოდა ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე; რა ეთქვა ღამურა მანგისთვის, როცა შუადღისას მისი შეწუხება მოუხდებოდა, როგორ გაეფრთხილებინა გუბეებში მოსრიალე გველები, სანამ წყალში ჩახტომას დააპირებდა. ჯუნგლში არ უყვართ შეწუხება და მზად არიან მაშინვე ეცნენ მათი უფლებების დამრღვევთ. მაუგლიმ ასევე ისწავლა უცხოს სამონადირო ძახილი, რომელიც მანამ უნდა იმეორო ხმამაღლა, სანამ პასუხს არ გაგცემენ. ეს ძახილი კი მაშინაა საჭირო, როდესაც ჯუნგლის წარმომადგენელი საკუთარი ტერიტორიის გარეთ ნადირობს. ძახილი, რომელსაც იყენებენ, ასე ითარგმნება: „ნება მომეცით, აქ ვინადირო, რადგან მშია“ პასუხი კი ასეთია: „ინადირე მხოლოდ საკვებისთვის და არა სიამოვნებისთვის“.

ხომ ხედავთ, რამდენი რამ უნდა დაეზეპირებინა მაუგლის. იგი ძალიან იღლებოდა ხოლმე ერთი და იმავეს ასჯერ გამეორებით. ბალუმ მოუყვა ბაგირას, თუ როგორ გაექცა ერთ დღეს გაბრაზებული მაუგლი, როცა მან ბიჭს წაუთაქა და დასძინა: – მართალია, ადამიანის ლეკვია, მაგრამ აუცილებლად უნდა იცოდეს ჯუნგლის კანონებიო.

– მაგრამ შეხედე, რა პატარაა! – უთხრა შავმა ავაზამ, რომელიც, ალბათ, ზედმეტად გაათამამებდა მაუგლის, მისთვის რომ მიეცათ აღსაზრდელად, – როგორ შეიძლება, მის-

მა პაწია თავმა გაუძლოს ამდენ გაუთავებელ საუბარს?

– განა ჯუნგლში თვით ყველაზე პატარასაც არ მოელის საფრთხე? სწორედ ამიტომ ვასწავლი მას ამ ყველაფერს და ხანდახან მსუბუქად ვსჯი კიდეც, როცა რამეს ვერ იხსენებს.

– მსუბუქად! ნეტავ, შენ რა გესმის სიმსუბუქის, რკინისთათებიანო მოხუცო? – აბუზღუნდა ბაგირა. – დღეს სულ დალურჯებული აქვს სახე შენი სინაბისგან! უხხ!

– სჯობს, თავიდან ფეხებამდე მე დავალურჯო, ვისაც ნამდვილად მიყვარს, ვიდრე უმეცრების გამო დაუშავდეს რამე, – დარწმუნებით უპასუხა ბალუმ. – ახლა მე მას ვასწავლი ჯუნგლის იმ ჯადოსნურ სიტყვებს, რაც დაიცავს ფრინველებისგან, ქვეწარმავლებისა და ყველა ოთხფეხა მონადირისგან, გარდა საკუთარი მოდგმისა. მას შეუძლია მთელ ჯუნგლს უხმოს საშველად, თუკი ამ სიტყვებს დაიხსომებს. განა ეს ყველაფერი არ ღირს ცოტაოდენ ცემად?

– კარგი, ოღონდ ფრთხილად, არ მოკლა ადამიანის ლეკვი. ხე არ გეგონოს, რომ შენი ბლაგვი ბრჭყალები ზედ ილესო. მაინც რომელია ის ჯადოსნური სიტყვები? მე დახმარება უფრო შემიძლია, ვიდრე მოთხოვნა, – ბაგირამ გაჭიმა ერთი თათი და აღტაცებით შეჰყურებდა თავის ფოლადისფერ, მოკაუჭებულ კლანჭებს, – მაინც მინდა, რომ ვიცოდე ის სიტყვები!

– მაუგლის დავუძახებ და ის გეტყვის, თუკი ენდომება. მოდი აქ, პატარა ძმობილო!

– თავი სკასავით მიბჟუის, – გაისმა დაღვრემილი ხმა მათ თავზემოთ. მოწყენილი და გაბრაზებული მაუგლი ხიდან ჩამოსრიალდა და მიწაზე ფეხის დადგმისთანავე

დაუმატა, – მე ბაგირას გამო მოვედი და არა შენთვის, შე მსუქანო, ბებერო დათვო!

– ჩემთვის სულერთია, – წარმოთქვა ბალუმ, თუმცა შეურაცხყოფილი და გულნატკენი იყო, – აბა, უთხარი ბაგირას ჯუნგლის ის ჯადოსნური სიტყვები, ახლახან რომ გასწავლე.

– რომელი მოდგმის სიტყვები? – იკითხა თავის გამოჩენის სურვილით აღტაცებულმა მაუგლიმ. – ჯუნგლს უამრავი ენა აქვს. მე ყველა ვიცი!

– ცოტა კი იცი, მაგრამ ბევრი – არა! შეხედე, ბაგირა, ისინი არასოდეს ემადლიერებიან საკუთარ მასწავლებელს. უმადურნი არიან, რომ იცოდე! მგლის ერთი ლეკვიც კი არასოდეს მოსულა ბებერ ბალუსთან სწავლისთვის მადლობის გადასახდელად! აბა, მითხარი, მონადირეთა მოდგმის სიტყვა, დიდო მეცნიერო!

– ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ, თქვენ და მე! – წარმოთქვა მაუგლიმ დათვისებური კილოთი, რომელსაც მონადირეთა ყველა მოდგმა იყენებს.

– კარგი! ახლა ფრინველთა ენა მოგვასმენინე!

მაუგლიმ იგივე გაიმეორა, ოღონდ წინადადების ბოლოს ძერასავით დაიწივლა.

– ახლა კი ქვეწარმავალთა მოდგმის ხმა გამოეცი, – უთხრა ბაგირამ.

პასუხად ენით აღუწერელი სისინი გაისმა. მაუგლიმ ფეხი გაიქნია, ტაში შემოჰკრა საკუთარი თავის მოწონების ნიშნად, ბაგირას ზურგს მოახტა გვერდულად და ქუსლები შემოსცხო ავაზას მბზინავ ტყავს; ბალუს კი საშინლად დაეჭყანა.

– დიახ! ამისათვის ნამდვილად ღირდა ცოტაოდენი

დალილავება! – ნაზად წარმოთქვა მურა დათვმა, – ცოტა ხანში გამიხსენებ!

მერე ბაგირას მიუბრუნდა და მოუყვა, როგორ გამოსთხოვა ეს საიდუმლო სიტყვები გარეულ სპილო ჰატის, რომელმაც ყველაფერი იცის; როგორ წაიყვანა ჰატიმ მაუგლი ტბასთან წყლის გველის სისინის გადმოსაღებად, რადგან თვითონ ბალუს არ შეეძლო მისი წარმოთქმა. ახლა უკვე მაუგლი დაცულია ჯუნგლში ყველანაირი საფრთხისაგან. ვერანაირი გველი, ფრინველი და მხეცი ვერაფერს ავნებს.

– მას უკვე ვეღარაფერი შეაშინებს! – დაასკვნა ბალუმ და თავის უზარმაზარ, ბანჯგვლიან მუცელს ამაყად მიეთათუნა.

– გარდა მისივე მოდგმისა, – ჩუმად შენიშნა ბაგირამ და შემდეგ ხმამაღლა მიმართა მაუგლის, – მოუფრთხილდი ჩემს ნეკნებს, პატარა ძმობილო, რა წესია, ჩემს ზურგზე რომ ცეკვავ?

მაუგლი ბაგირას ყურადღების მიქცევას მის მხრებზე ბეწვის პუტვითა და წიხლების ცემით ცდილობდა. როცა ორივე ცხოველის ყურადღება მიიპყრო, ბოლო ხმაზე აყვირდა:

– ასე და ამგვარად, მე მეყოლება საკუთარი ხროვა, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში ხის ტოტებზე ვატარებ!

– ეს რამე ახალი ახირებაა, პატარა მეოცნებევ? – ჰკითხა ბაგირამ.

– დიახ, და ბებერ ბალუს ტოტებსა და ტალახს დავუშენ, – განაგრძობდა მაუგლი. – ისინი ზუსტად ამას დამპირდნენ. უჰ!

– უუუფ! – და თავისი უზარმაზარი ტორით დათვმა ბაგირას ზურგიდან ააცალა მაუგლი. დათვის წინა ტორებში მომწყვდეულმა ბიჭმა შენიშნა, რომ ბალუ განრისხებული იყო.

– მაუგლი, – მიმართა ბალუმ, – შენ რა ბანდარ-ლოგებს ესაუბრე?

მაუგლიმ ბაგირას შეხედა, აინტერესებდა, ისიც ხომ არ ბრაზობდა. ბაგირას თვალები ნეფრიტის ქვებივით უელვარებდა.

– მაიმუნთა მოდგმასთან იყავი? რუხ მაიმუნებთან, რომელთაც არანაირი კანონი არ გააჩნიათ და ყველაფერს ჭამენ? ეს ხომ დიდი სირცხვილია!..

– როცა ბალუმ თავი მატკინა, – მიუგო მაუგლიმ (ის კვლავ გულაღმა იწვა), – გავიქეცი, რუხი მაიმუნები კი ამ დროს ხეებიდან ჩამოვიდნენ და შემიბრალეს. სხვას არავის შევცოდებივარ. – მაუგლი ოდნავ ასლუკუნდა.

– მაიმუნთა მოდგმის სიბრალული! – ამოიქშინა ბალუმ, – მთის ნაკადულის სიმშვიდე! ბაფხულის მზის სიგრილე!.. მერე რა მოხდა, ადამიანის ლეკვო?

– მერე, მერე... მათ მომცეს კაკალი და სხვა გემრიელი საჭმელები, შემდეგ ამიყვანეს ხის კენწეროზე და მითხრეს, რომ მათი ღვიძლი ძმა ვიყავი, იმ განსხვავებით, რომ მე არ მქონდა კუდი, და რომ ძალიან მალე მათი წინამძღოლი გავხდები.

– მათ არ ჰყავთ წინამძღოლი, – თქვა ბაგირამ, – იტყუებიან. ისინი ყოველთვის ცრუობენ!

– ისინი ძალიან კეთილად მომექცნენ და მთხოვეს, კვლავ ვწვეოდი. რატომ არასოდეს წაგიყვანივართ მაიმუნებთ-

ან? ისინი ჩემსავით დგანან ფეხებზე. მძიმე ტორებს არ მირტყამენ. მთელი დღეები თამაშობენ. გამიშვი ზევით! ცუდო ბალუ, გამიშვი! კვლავ ვითამაშებ მათთან ერთად!

– მომისმინე, ადამიანის ლეკვო! – ქუხილივით გაისმა დათვის ხმა ცხელ ღამეში, – მე შენ ჯუნგლის ყველა მოდგმის კანონი გასწავლე, გარდა ხეზე მცხოვრებ მაიმუნთა მოდგმისა. მათ არ აქვთ კანონი. ისინი განდევნილები არიან. მათ არ გააჩნიათ საკუთარი ენა; იყენებენ იმ მოპარულ სიტყვებს, რომლებსაც მაღლა ტოტებზე ხტომისას ისმენენ ხოლმე. მათი გზა არ ემთხვევა ჩვენსას; არ ჰყავთ წინამძღოლები. არა აქვთ მეხსიერება. ისინი ლაყბობენ და ბაქიაობენ, თავი წარმოუდგენიათ დიდებულ ხალხად, რომელთაც, ვითომ, ჯუნგლში მნიშვნელოვანი საქმეების კეთება ევალებათ. მაგრამ საკმარისია ერთი კაკალი ჩამოვარდეს, იწყებენ სიცილს და მაშინვე ავიწყდებათ ყველაფერი. ჩვენ, ჯუნგლის წარმომადგენლებს, მათთან არაფერი გვესაქმება. სადაც მაიმუნები სვამენ წყალს, ჩვენ იქ არ ვსვამთ; არ დავდივართ იქ, სადაც ისინი დადიან; არ ვნადირობთ იმ ადგილებში, სადაც ისინი ნადირობენ; არც იქ ვიხოცებით, სადაც ისინი იხოცებიან! განა აქამდე გაგიგია, რომ ბანდარ-ლოგზე მესაუბროს?

– არა, – წაიჩურჩულა მაუგლიმ.

მთელი ტყე განაბული იყო, როდესაც ბალუმ საუბარი დაასრულა.

– ჯუნგლმა განდევნა ისინი საკუთარი მოდგმიდან და ამოშალა მეხსიერებიდან! მაიმუნები ძალზე ბევრნი არიან, თან ძალიან ბოროტნი, ბინძურნი, უსირცხვილონი! მათ სურთ, – თუკი საერთოდ, გააჩნიათ რაიმე სურვილი, – რომ

ჯუნგლის ბინადრებმა შეამჩნიონ ისინი, მაგრამ ჩვენ მაშინაც კი არ ვიმჩნევთ მათ, როდესაც კაკლებსა და ტოტებს გვაყრიან თავზე...

ბალუს სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, როცა მათ თავზე კაკლები და ჰატარა ტოტები დაეშვა; მაღლა ჰაერში, ტოტებს მიღმა კი, ხველება, ჭყავილი და ბრაზიანი ხტომის ხმა გაისმა.

– მაიმუნთა მოდგმა შეჩვენებულია, – წარმოთქვა ბალუმ, – შეჩვენებულია ჯუნგლისთვის, დაიმახსოვრე!

– შეჩვენებულია, – დაუმატა ბაგირამ, – მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ბალუს უნდა გაეფრთხილებინე.

– მე... მე? რას წარმოვიდგენდი, რომ ასეთ ბინძურებთან გაერთობოდა? მაიმუნთა მოდგმა! ფუჰ!..

მათ თავზე კვლავ ჩამოცვივდა რაღაცები. ორივე ცხოველი გაშორდა იქაურობას და მაუგლიც თან გაიყოლეს. რაც ბალუმ თქვა მაიმუნთა შესახებ, სრული სიმართლე იყო. ისინი ხეების კენწეროებზე ცხოვრობენ და, რადგან მხეცებს არ ახასიათებთ მაღლა ყურება, ჯუნგლისა და მაიმუნების გზები იშვიათად იკვეთება. მაგრამ, როცა მაიმუნები ავადმყოფ მგელს, დაჭრილ ვეფხვს ან დათვს შენიშნავენ, მაშინვე მათ წვალებაზე გადადიან – უშენენ ტოტებსა და კაკლებს, ცდილობენ მათი ყურადღების მიქცევას; შემდეგ იწყებენ ღრიალს, გაჰკივიან უაზრო სიმღერებს და ჯუნგლის წევრებს ხეებზე იწვევენ საბრძოლველად. ხანდახან ერთმანეთშიც მართავენ გამძვინვარებულ ჩხუბს არაფრის გამო და თავიანთ თვისტომთა გვამებს იქ ტოვებენ, სადაც ჯუნგლის წევრები შეძლებენ მათ დანახვას. ისინი მუდამ ცდილობენ, ჰყავდეთ წინამძღოლი, გააჩნდეთ კანონები

და ჩვეულებები, მაგრამ ვერასოდეს ახერხებენ, რადგან მალევე ავიწყდებათ ყველაფერი. თავს კი შემდეგი სიტყვებით ინუგეშებენ ხოლმე: „რაზეც ბანდარ-ლოგი დღეს ფიქრობს, იმაზე ჯუნგლი ხვალ იფიქრებს". და ეს მათ სიამოვნებას ანიჭებს. ვერცერთი მხეცი ვერ წვდება მათ, თუმცა, მეორე მხრივ, არც კი ამჩნევენ. აი, რატომ გაიხარეს ასე ძალიან მაიმუნებმა, როცა მაუგლი მათთან სათამაშოდ მივიდა. ბალუ კი საშინლად ბრაზობდა ამის გამო.

მაიმუნთა მოდგმა არასოდეს ფიქრობს რაიმეს გაკეთებაზე – ბანდარ-ლოგი არასდროს არაფერზე ფიქრობს; თუმცა ერთ-ერთ მათგანს, როგორც თვითონ ეგონა, ბრწყინვალე აზრი მოუვიდა და ეს განზრახვა სხვებსაც გაანდო: მაუგლი ჩვენი ტომისთვის ძალიანაც სასარგებლო იქნება, მან ხომ ქარისგან დამცავი ღობეების დაწვნა იცის და თუ დავიჭერთ, ვაიძულებთ, რომ ჩვენც გვასწავლოსო. რა თქმა უნდა, მაუგლის, როგორც შეშის მჭრელის შვილს, მემკვიდრეობით დაჰყვა ძირს დაყრილი ტოტებისგან პატარ-პატარა ქოხების აშენების ნიჭი. ხიდან მომზირალ მაიმუნებს მეტად მომხიბლავად ეჩვენებოდათ ეს თამაში. მათი თქმით, ამიერიდან ეყოლებოდათ წინამძღოლი და ისინი იქნებოდნენ ყველაზე ჭკვიანნი მთელ ჯუნგლში – იმდენად ჭკვიანნი, რომ ყველა შენიშნავდა და ყველას შეშურდებოდა მათი! ამ ფიქრებით მაიმუნები ჩუმად გაჰყვნენ ბალუს, ბაგირასა და მაუგლის; სდიეს მანამ, სანამ შუადღის ძილის დრო არ მოვიდა და საკუთარი თავით დარცხვენილ მაუგლის ავაზასა და დათვს შორის არ ჩაეძინა იმაზე ფიქრში, რომ აღარასოდეს გაეკარებოდა მაიმუნებს.

ძილში ვიღაცის ძლიერი მკლავები და პატარა ხელები იგრძნო თავის ფეხებზე, სახეში კი – ტოტების თქაფუნი. ბალუს საშინელმა ღრიალმა მთელი ჯუნგლი გამოაღვიძა. კბილებდაკრეჭილი ბაგირა ხეს შემოევლო, ბანდარ-ლოგი კი გამარჯვების ყიჟინით მიიწევდა მაღლა, კენწეროებისკენ, სადაც ბაგირა ვერ შეწვდებოდა. ბაგირამ შეგვამჩნია! მთელი ჯუნგლი აღტაცებულია ჩვენი მოხერხებითა და სიმარჯვით!.. –ამბობდნენ მაიმუნები და თან გარბოდნენ. შეუძლია ხეებზე მათი სირბილის აღწერა: საკუთარი გზები და ბილიკები აქვთ, აღმართები და დაღმართები, რომლებიც მიწიდან ორმოცდაათი-სამოცდაათი ან ასი ფუტის სიმაღლეზეც კი მდებარეობს. ამ გზებით, თუკი დასჭირდებათ, მათ ღამითაც შეუძლიათ გადაადგილება. ორმა ყველაზე ღონიერმა მაიმუნმა იღლიებით აიტაცა მაუგლი ხის კენწეროებისაკენ. ერთი ნახტომით ოც-ოც ფუტს ფარავდნენ. ბიჭის გარეშე ორჯერ სწრაფად გაიქცეოდნენ, მაგრამ ტვირთის სიმძიმე აბრკოლებდათ. მაუგლის გული ერეოდა და თავბრუ ეხვეოდა, თუმცა მაინც ხიბლავდა ეს გიჟური სირბილი, მიუხედავად იმისა, რომ შორს, ქვევით, მოელვარე მიწის ტრიალი აშინებდა, ხოლო სწრაფი ხტომისაგან ლამის გული ამოვარდნოდა. მისი თანმხლებნი ხიდან ხეზე ხტებოდნენ; ტოტები იზნიქებოდა და ისმოდა ტკაცუნის ხმა, მაგრამ მაიმუნები ხველებითა და ყიჟინით კვლავ მიჰქროდნენ ზევით და აქეთ-იქით ხტოდნენ. ტოტზე ხან ხელით ეკიდებოდნენ ტოტზე, ხან – ფეხით. მაუგლის თვალწინ არაერთხელ გადაიშალა რამდენიმე მილის მანძილზე გადაჭიმული, ამწვანებული ჯუნგლი, ისე, როგორც ანძაზე ასული კაცის თვალწინ იშლება ხოლმე ზღვა. მერე კვლავ ტოტები და ფო-

თლები უკაწრავდა სახეს. რამდენჯერმე თავის ორ თანამგზავრთან ერთად თითქმის მიწაზეც დაეშვა. ასე ხტუნვითა და ყიჟინით მიჰქროდა ბანდარ-ლოგი ხეების გზებზე და თან მიაქროლებდა ტყვე მაუგლის.

ცოტა ხანს ბიჭი შიშმა შეიპყრო, ვაითუ, ხელი გამიშვანო. მერე გაბრაზდა, მაგრამ იცოდა, რომ სჯობდა, წინააღმდეგობა არ გაეწია და ფიქრებში წავიდა. პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ როგორმე ხმა მიეწვდინა ბალუსა და ბაგირასთვის. იცოდა, მისი მეგობრები ვერაფრით დაეწეოდნენ მაიმუნებს და უკან ჩამორჩებოდნენ. ძირს ყურება შედეგს ვერ გამოიღებდა, რადგან მხოლოდ ტოტებს ხედავდა, ამიტომაც ზევით ყურება დაიწყო და შორეულ სილაჟვარდეში თვალი მოჰკრა ძერა რანს. მტაცებელი ფრინველი ჯუნგლს ათვალიერებდა, რათა რაიმე საკბილო ენახა. რანმა დაინახა, რომ მაიმუნებს რაღაც მიჰყავდათ და რამდენიმე ასეული იარდით ძირს დაეშვა, რათა შეეთვალიერებინა, იყო თუ არა საჭმელად გამოსადეგი მათი ტვირთი. ძერამ გაოცებისგან დაიწივლა, როდესაც ნახა, როგორ მიათრევდნენ მაუგლის ხის კენწეროებისკენ. ის-ის იყო, მაუგლის ძახილი გაიგონა, – „მე და შენ ერთი სისხლისანი ვართ", – რომ ბიჭი ფოთლებსა და ტოტებში გაუჩინარდა. რანი ახლა სხვა მეზობელ ხეზე გადაფრინდა, რათა კვლავ დაენახა ბიჭის შავგვრემანი სახე.

– ჩემი კვალი დაიმახსოვრე! – დაუყვირა მაუგლიმ, – გადაეცი ბალუსა და ბაგირას.

– ვისი სახელით, ძმობილო? – რანს აქამდე არასოდეს ენახა მაუგლი, თუმცა მის შესახებ ბევრჯერ სმენია.

– მაუგლისგან, ბაყაყისგან! ადამიანის ლეკვს მეძახიან

ისინი! დაიმახსოვრე ჩემი კვალი!..

მისმა უკანასკნელმა შეყვირებამ ჰაერი გააპო. რანმა თავი დაუქნია და ისეთ სიმაღლეზე აფრინდა, რომ წერტილის ოდენად მოსჩანდა. ის თან ჰაერში ნავარდობდა, თან მახვილი თვალებით აკვირდებოდა ხეების მოქანავე კენწეროებს, საითაც მაუგლის მიაქროლებდნენ.

– ისინი შორს წასვლას ვერ შეძლებენ! – ჩაიცინა რანმა, – ისინი ვერასოდეს აკეთებ იმას, რაც სურთ. ბანდარლოგი ყოველივე ახალზე ხარბდება. მაგრამ ახლა კი, თუ თვალი არ მატყუებს, საკუთარი თავი თვითონ ჩაიგდეს საფრთხეში. ბალუს ხუმრობა არ უყვარს და, ბაგირაც, როგორც ვიცი, მხოლოდ თხებზე არ ნადირობს.

კლანჭებშემოკრეფილი რანი ფრთების ფრიალით ელოდა, რა მოხდებოდა.

ამასობაში გაათფრებული ბალუ და ბაგირა მწუხარებითა და სიშმაგით ბრდღვინავდნენ. ბაგირა ისე ძვრებოდა ხეებზე, როგორც აქამდე არასოდეს ასულა, მაგრამ წვრილი ტოტები ვერ უძლებდა მის სიმძიმეს, იმტვრეოდა, თვითონ კი ქვევით ცურდებოდა და ხის ქერქით ევსებოდა ბრჭყალები.

– რატომ არ გააფრთხილე ადამიანის ლეკვი? – დაუღრიალა მან საწყალ ბალუს, რომელიც ტლანქად მიძუნძულებდა და იმედი ჰქონდა, რომ მაიმუნებს დაეწეოდა, – რაღას ალურჯებდი ცემით, თუკი არ ეტყოდი?

– იჩქარე, ოჰ, იჩქარე! იქნებ დავეწიოთ, – ქშინავდა ბალუ.

– ამ სიჩქარით დაჭრილ ძროხასაც კი ვერ დავეწევით! კანონების მასწავლებელო და ლეკვის მცემელო ბალუ, მსგავსი გორაობით ერთ მილზე უკვე შუაზე გასკდები!

სჯობს, დავსხდეთ და ვიფიქროთ, გეგმა შევადგინოთ. დევნის დრო არაა. შეიძლება ჩამოაგდონ კიდეც, თუკი ძალიან მივუახლოვდებით.

– არულა! ჰუუუ! შეიძლება მისი ტარებით დაიღალნენ და სადმე ჩამოაგდეს. ბანდარ-ლოგის ნდობა როგორ შეიძლება? თავზე დამაყარეთ მკვდარი ღამურები! მომეცით საღრღნელად შავი ძვლები! შემაგდეთ გარეული ფუტკრების სკაში, რათა სასიკვდილოდ დავიკბინო! დამმარხეთ აფთართან ერთად, რადგან ამქვეყნად ყველაზე უბედური დათვი ვარ! არულა! ვაჰუა! ო, მაუგლი, მაუგლი! თავს რომ გიტეხავდი, რატომ მაიმუნთა მოდგმაზე არ გაგაფრთხილე? ახლა, ალბათ, ჩემგან თავგზააბნეულს, დღევანდელი გაკვეთილიც კი დაავიწყდა და ჯუნგლში მარტო დარჩენილს, აღარც ჯადოსნური სიტყვები გახსოვს! – ბალუმ თავი თათებში ჩარგო და კვნესით ძირს გაგორდა.

– ცოტა ხნის წინ ყველა სიტყვა სწორად ჩამაბარა, – უცებ შეაწყვეტინა ბაგირამ, – ბალუ, შენ არც მახსოვრობა გაქვს, არც საკუთარი თავის პატივისცემა! რას იფიქრებს ჯუნგლი, მე, შავი ავაზა, მაჩვზღარბა იკკივით რომ მოვიკუნტო და წუწუნი დავიწყო?

– სულ არ მადარდებს, ჯუნგლი რას იფიქრებს! ის შეიძლება უკვე მკვდარიცაა!

– თუკი თავიანთი გართობის მიზნით ძირს არ ჩამოაგდეს ან უსაქმურობის გამო არ მოკლეს, სხვა მხრივ,- არაფერი უჭირს ადამიანის ლეკვს. ის ჭკვიანია, კარგადაცაა განვრთნილი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი თვალების ჯუნგლში ყველას ეშინია. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ მაუგლი ბანდარ-ლოგის ხელშია, მათ

კი, როგორც ხეზე მცხოვრებლებს, ჩვენი მოდგმის არ ეშინიათ. – და ჩაფიქრებულმა ბაგირამ წინა თათი გაილოკა.

– ოჰ, როგორი სულელი ვარ! მსუქანი, მურა და ფესვების მთხრელი სულელი დათვი! – თქვა ბალუმ და უცებ გაიმართა. – მართალს ამბობს ჰატი, გარეული სპილო: ყველას აქვს რაღაცის შიში, ბანდარ-ლოგს ეშინია კაასი, კლდის გველის, მასაც მათსავით კარგად შეუძლია ცოცვა და ღამღამობით ჰატარა მაიმუნებს იტაცებს ხოლმე. მისი სახელის ჩურჩულით წარმოთქმაზეც კი ბოროტი კუდები ეყინებათ მაიმუნებს. წავიდეთ კაასთან.

– ის რას გვიშველის? ჩვენი ტომელი არ არის, უფეხოა, თან ისეთი ბოროტი თვალები აქვს... – წარმოთქვა ბაგირამ.

– ძალიან მოხუცია და მეტად მოხერხებული. თანაც სულ მშიერია, – დაიმედებულად თქვა ბალუმ, – ბევრ თხას დაჰპირდი.

– ერთი ჭამის შემდეგ, მთელი თვის განმავლობაში სძინავს. შეიძლება, ახლაც სძინავს და, რომ გაიღვიძოს, იქნებ საკუთარ თხებზე ნადირობა არჩიოს? – ეჭვით თქვა ბაგირამ, რომელიც არცთუ ისე კარგად იცნობდა კაას.

– ამიტომ მე და შენ, ძველო მონადირევ, ერთად უნდა დავარწმუნოთ იგი! – და ბალუმ გახუნებული, წაბლისფერი მხარი გაუხახუნა ავაზას. ისინი ერთად გაემართნენ კლდის ჰითონის საძებნელად.

კლდის ქიმზე გაწოლილი კაა შუადღის მზეს ეფიცხებოდა და აღფრთოვანებული უყურებდა თავის საუცხოო კანს, რომელსაც ბოლო ათი დღის განმავლობაში იცვლიდა – ახლა ის შესანიშნავად გამოიყურებოდა: უშველებელი, ბრტყელცხვირა თავი მიწაზე დაედო, ოცდაათფუ-

ტიანი ტალღოვანი სხეული საოცარ კვანძებად დაეკლაკნა და ჭამის მოლოდინში ტუჩებს ილოკავდა.

– ჯერ არ უჭამია, – შვებით წარმოთქვა ბალუმ, როგორც კი თვალი მოჰკრა ყვითლად და ყავისფრად დაწინწკლულ მის სხეულს, – ფრთხილად იყავი, ბაგირა! ის ოდნავ ბრმავდება კანის გამოცვლის შემდეგ და შესაძლოა, რომ თავს დაგვესხას.

კაა არ იყო შხამიანი გველი და ასეთ გველებს ვერც იტანდა – ლაჩრებად მიაჩნდა ისინი. კაა ძალიან ღონიერი იყო, თუ ვინმეს შემოეხვეოდა, მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

– წარმატებული ნადირობა! – წამოიძახა ბალუმ და იქვე ჩაჯდა. როგორც ყველა მისი ჯიშის გველი, კააც ოდნავ ყრუ იყო და ძახილი თავიდან ვერ გაიგონა, შემდეგ, თითქოს რაღაც შემთხვევისთვის ემზადებაო, ტანი მოგრაგნა და თავი დახარა.

– ყველა ჩვენგანს წარმატებული ნადირობა, – მიუგო მან. – ოჰო, ბალუ, აქ რას აკეთებ? წარმატებულ ნადირობას გისურვებ, ბაგირა! ერთ-ერთ ჩვენგანს საკვები სჭირდება. რაიმე ხომ არ იცით ახალი ნადირის შესახებ? იქნებ შველი ან ახალგაზრდა ირემი გეგულებათ სადმე? ამომშრალ ჭასავით ცარიელი ვარ!

– ჩვენ ვნადირობთ, – უდარდელად მიუგო ბალუმ. იცოდა, რომ კაა არ უნდა აეჩქარებინა. გველი ძალიან დიდი იყო.

– ნება მომეცით, თქვენთან ერთად წამოვიდე სანადიროდ. ერთით მეტს დაარტყამთ თუ ნაკლებს, თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ბაგირა და ბალუ! მე კი, კაცმა არ იცის, რამდენ ხანს უნდა ველოდო რომელიმე ტყის ბილიკზე, ან

შუაღამემდე ვიცოცო ჰატარა მაიმუნების გამოჭერის უსაფუძვლო იმედით. ფშშ!.. ახლა ტოტები ისეთი აღარაა, როგორიც ჩემს ახალგაზრდობაში იყო – სულ დამპალია და გამხმარი რტოებიღაა შემორჩენილი.

– იქნებ, შენი მძიმე წონის ბრალია, – უთხრა ბალუმ.

– ნამდვილად გრძელი ვარ, ნამდვილად! – წარმოთქვა კაამ ცოტაოდენი სიამაყის გრძნობით, – თუმცა ყველაფერი მაინც ამ ახლადგაზრდილი ტყის ბრალია. უკანასკნელი ნადირობისას კინაღამ ჩამოვვარდი, კუდი მჭიდროდ ვერ შემოეხვა ხეს. ხმაურზე ბანდარ-ლოგმა გამოიღვიძა და საშინელი სიტყვებით გამომლანძღა.

– უფეხო, ყვითელი ჭია დაგიძახეს, – ულვაშებში ჩაილაპარაკა ბაგირამ, ისე, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

– სსს... ნუთუ ეს სახელი ოდესმე მიწოდეს? – აღშფოთდა კაა.

– რაღაც მსგავსს ყვიროდნენ, მაგრამ ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ. რას არ გაიგებ მათგან: ვითომ შენ ყველა კბილი დაგცვივდა და თიკანზე უფრო დიდ საკბილოს ვეღარ გაუმკლავდები (როგორი უსირცხვილოა ეს ბანდარ-ლოგი!), თითქოს თხის რქების გეშინია! – განაგრძობდა ბაგირა ტკბილად.

ზოგადად გველი და მით უმეტეს, ისეთი ფრთხილი ბებერი პითონი, როგორიცაა კაა, ძალიან იშვიათად იმჩნევს გაბრაზებას, მაგრამ ბალუმ და ბაგირამ შეამჩნიეს, როგორ ებერებოდა და უკრთოდა მას კისრის ორივე მხარეს დიდი საყლაპავი კუნთები.

– ბანდარ-ლოგი გადაადგილდა სხვაგან, – თქვა კაამ წყნარად, – დღეს მზეს რომ ვეფიცხებოდი ხის კენწეროებიდან მათი შრიამული შემომესმა.

– სწორედ ბანდარ-ლოგს მივდევთ ახლა, – უთხრა ბალუმ, მაგრამ სიტყვები ყელში გაეჩხირა. მის მეხსიერებაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჯუნგლის წევრი მაიმუნით ინტერესდებოდა.

– ეჭვგარეშეა, რომ პატარა რამისთვის არ გაირჯებოდა ორი ამხელა მონადირე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ჯუნგლის წინამძღოლები, ტყუილად არ აედევნებოდით ბანდარ-ლოგს, – თავაზიანად მიუგო კაამ, თუმცა კი ცნობისმოყვარეობა ეძალებოდა.

– მართლაც, – დაიწყო ბალუმ, – მე მხოლოდ სიონიის მგლის ლეკვების მოხუცი და ხანდახან წესების ძალიან სულელი მასწავლებელი ვარ, ბაგირა კი...

– ბაგირა არის ბაგირა, – სიტყვა გააწყვეტინა შავმა ავაზამ და ყბები ტკაცუნით მოკუმა. მას არ უყვარდა თავის დამდაბლება. – საქმე ისაა, კაა, რომ იმ კაკლის ქურდებმა და პალმის ფოთლების მკრეფავებმა მოგვტაცეს ადამიანის ლეკვი, რომლის შესახებაც შესაძლოა, შენ არაფერი იცოდე.

– მსმენია იკკისგან (რომელსაც ეკლები მეტად თავდაჯერებულს ხდის), რომ თითქოს ადამიანი მიიღეს მგლის ხროვაში, მაგრამ არ დავიჯერე. იკკი ხომ ჭორების ნამდვილი გუდაა.

– სიმართლეა. მაუგლის მსგავსი ადამიანის ლეკვი სხვა არ არსებობს, – თქვა ბალუმ, – საუკეთესო, უჭკვიანესი და ყველაზე მამაცია ადამიანის ლეკვებს შორის; ის ჩემი მოწაფეა და ბალუს მთელ ჯუნგლში გაუთქვამს სახელს; ამას გარდა, მე – ჩვენ – გვიყვარს ის, კაა.

– სსს! სსს! – თავის ქნევით წარმოთქვა კაამ, – მეც ვიცოდი სიყვარულის არსი. ისეთი ამბების მოყოლა შემიძლია, რომ...

– ამისთვის საჭიროა ნათელი ღამე, როცა ყველანი კარგად გამოკვებილნი ვიქნებით და შეგვეძლება, შესაბამისად შეგაქოთ, – სწრაფად წარმოთქვა ბაგირამ, – ახლა ადამიანის ლეკვი ბანდარ-ლოგს ჰყავს, ჩვენ კი ვიცით, რომ მათ მხოლოდ კაასი ეშინიათ მთელ ჯუნგლში.

– მათ მხოლოდ ჩემი ეშინიათ და საამისო მიზეზიც აქვთ, – თქვა კაამ, – ყბედები, სულელები, ამპარტავნები არიან ეს მაიმუნები! კარგი დღე არ ელის მათ ხელში ჩავარდნილ ადამიანს. როცა კაკლის კრეფით იღლებიან, ძირს ყრიან. ნახევარი დღის განმავლობაში უფრთხილდებიან რომელიმე ტოტს, რომლითაც დიდი საქმეების გაკეთებას აპირებენ, მერე კი ორად გადაამტვრევენ ხოლმე. ადამიანის ბედი არაა სახარბიელო. ისინი მე ყვითელ თევზსაც მეძახდნენ, არა?

– ჭიას გეძახდნენ, ჭიას, მიწის ჭიას, – მიუგო ბაგირამ, – და კიდევ იმდენ სხვა სახელს... მე სირცხვილის გამო ვერ წარმოვთქვამ მათ.

– ჩვენ გავახსენებთ მაიმუნებს, როგორ უნდა ელაპარაკონ თავიანთ ბატონს. აა-სსპ! ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ გაფანტულ მეხსიერებას. ახლა კი მითხარით, საით გაიტაცეს ლეკვი?

– მხოლოდ ჯუნგლმა იცის. ვფიქრობ, მზის ჩასვლის მხარეს, – მიუგო ბალუმ, – ჩვენ გვეგონა, რომ შენ გეცოდინებოდა, კაა!

– მეე? საიდან? მე მათ მაშინ ვიჭერ, როცა გზად მხვდებიან, მაგრამ ბანდარ-ლოგზე, ბაყაყებსა და გუბეების მწვანე ხავსზე არ ვნადირობ.

– ზევით! ზევით! ზევით ამოიხედე, სიონიის მგლების ხროვის ბალუ!

ბალუმ ზევით აიხედა, რათა გაეგო, საიდან მოდიოდა ხმა. მან დაინახა ძერა რანი, რომელიც დაბლა ეშვებოდა და ფრთები მზეზე უბრწყინავდა. მოახლოებულიყო რანის ძილის დრო, ის კი მთელ ჯუნგლში ეძებდა დათვს და ხშირ ფოთლებში ვერაფერს არჩევდა.

– რა ამბავია? – იკითხა ბალუმ.

– მაუგლი ვნახე ბანდარ-ლოგთან. მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა ამბავი. ვუთვალთვალებდი. ბანდარ-ლოგმა ის მდინარის გაღმა, მაიმუნთა ქალაქში – ცივ ბუნაგებში წაიყვანა. იქ შეიძლება ერთი ღამე, ათი ღამე ან ერთი საათი გაჩერდნენ. ღამურებს ვუთხარი, დაბინდებისას თვალყური ადევნონ. აი, ეს მინდოდა მეთქვა. წარმატებულ ნადირობას გისურვებთ ყველა ქვევით მყოფს!

– სავსე ჩიჩახვსა და მშვიდ ძილს გისურვებთ, რან! – შესძახა ბაგირამ, – შემდეგივე ნადირობისას მოგიგონებ და თავს მხოლოდ შენთვის გადავდებ, ძერათა შორის საუკეთესოვ!

– არაფერია! არაფერი! ბიჭმა ჯადოსნური სიტყვებით მომმართა და სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო! – და რანი თავისი ბუდისკენ გაემართა.

– როგორც ჩანს თავისი ცოდნა არ დავიწყებია! – სიამაყით ჩაიხითხითა ბალუმ, – აბა, წარმოიდგინე, ასეთმა პატარამ ფრინველთათვის ჯადოსნური სიტყვები გაიხსენა, როცა ხიდან ხეზე მიაქანებდნენ!

– ეტყობა, მტკიცედ ჩაუჭედეს ტვინში! – შენიშნა ბაგირამ, – მაგრამ მეც ვამაყობ მისით, ახლა კი ცივი ბუნაგებისკენ უნდა გავემართოთ.

ყველამ იცოდა, სად იყო ის ადგილი, მაგრამ ჯუნგლის

მხოლოდ რამდენიმე წევრი თუ იქნებოდა იქ ნამყოფი – ცივი ბუნაგები ხომ მიტოვებული, დაკარგული და ჯუნგლში ჩამარხული ქალაქი იყო. მხეცები კი იშვიათად ეტანებიან ისეთ ადგილებს, სადაც ოდესღაც ადამიანები ცხოვრობდნენ. ტახი შეიძლება ესტუმროს იქაურობას, მონადირეთაგანი კი – არასდროს. თუმცა, აქ ცხოვრობდნენ მაიმუნები, თუკი, საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ ადგილზე ცხოვრობენ. არცერთი ოდნავ თავმოყვარე მხეცი ამ ადგილს თვალსაწიერზეც არ ეკარებოდა, თუ არა გვალვისას, როცა ნახევრად დანგრეულ აუზებში მცირეოდენი წყლის მოპოვება კიდევ შეიძლებოდა.

– მთელი სიჩქარით თუ ვივლით, ნახევარი ღამე დაგვჭირდება, – განაცხადა ბაგირამ.

ბალუმ მთელი სერიოზულობით გამოიხედა. – რაც შემიძლია, სწრაფად ვირბენ, – აღელვებით წარმოთქვა მან.

– შენ ვერ დაგიცდით, ბალუ, მე და კაა სწრაფად გავვარდებით!

– ფეხით თუ უფეხოდ, ოთხფეხას არ ჩამოვრჩები! – მოკლედ მოჭრა კაამ.

ბალუმ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ცდილობდა დაწეოდა მათ, მაგრამ იძულებული გახდა, ხვნეშით შეჩერებულიყო. მეგობრებმა გზაში მიატოვეს იმ იმედით, რომ მოგვიანებით დაეწეოდა მათ. ბაგირა სწრაფი ნახტომებით გაეშურა წინ. როგორი სისწრაფითაც არ უნდა გაქცეულიყო, კლდის უზარმაზარი პითონი უსიტყვოდ მისდევდა გვერდით. მთის ნაკადულთან რომ მიირბინეს, ბაგირა ოდნავ დაწინაურდა და რუს გადაახტა; კაა კი მიცურავდა წყლიდან ორი ფუტის სიგრძეზე ამოყოფილი კისრით, მაგრამ

სწორ გზაზე გველი კვლავ გაუსწორდა ბაგირას.

– ვფიცავ იმ გატეხილ კლიტეს, რომლის წყალობითაც გავთავისუფლდი, – წარმოთქვა ბაგირამ შებინდებისას, – მშვენივრად შეგძლებია სიარული.

– მშია, – მიუგო კაამ, – ამას გარდა, მათ მე წინწკლებიანი ბაყაყი მიწოდეს.

– მატლიც, ჭიაყელაც, თან წყლის ყვითელი ჭიაყელა!

– სულერთია, აბა, გავწიოთ! – და გეგონებოდა, წყალი დაისხაო, მიწას ისე გაეკრა კაა. თავისი მახვილი თვალებით უმოკლეს გზას პოულობდა და მას მიჰყვებოდა.

ცივ ბუნაგებში მყოფი მაიმუნთა მოდგმა საერთოდ არ ფიქრობდა მაუგლის მეგობრებზე. მათ ნაქალაქევის ადგილას მიიყვანეს ბიჭი და მშვენივრად ერთობოდნენ. მაუგლის აქამდე არასოდეს ენახა ინდოელთა ქალაქი და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი ახლა მხოლოდ ნანგრევთა გროვას წარმოადგენდა, მაინც მშვენიერი და საუცხოო ჩანდა. ეს ქალაქი ძალიან დიდი ხნის წინ აეშენებინა ვიღაც მეფეს პატარა გორაკზე. ჯერ კიდევ შეამჩნევდით ქვაფენილის კვალს, რომელიც დანგრეული ალაყაფის კარისაკენ მიემართებოდა. იქ კი, ყანგიან საკიდებზე შერჩენილიყო ხეთა უკანასკნელი ნაფოტები. კედლების შიგნით და გარეთ ხეები ამოსულიყო, ქონგურები ნახევრად დანგრეულიყო და ჩამოცვენილიყო, ხშირი სურო გალავნის კოშკების ფანჯრებიდან ბუჩქებად გადმოკიდებულიყო კედლებზე.

გორაკზე დიდებული, უსახურავო სასახლე იდგა. ეზოსა და შადრევნების დაბზარული მარმარილო წითლად და მწვანედ შეფერილიყო. ეზოში, იქ, სადაც ოდესღაც მეფის სპილოები ცხოვრობდნენ, ბალახსა და ახალგაზრდა ხეებს

შორის, მიმოფანტულიყო რიყის ქვები. სასახლიდან მოჩანდა უსახურავო სახლების გრძელი რიგები, რაც ქალაქს ცარიელ, ჩაშავებულ ფიჭას ამსგავსებდა. მოედანზე, სადაც ოთხი გზა უერთდებოდა ერთმანეთს, მოჩანდა ოდესღაც კერპად აღიარებული უფორმო ქვის ლოდი. გზაჯვარედინზე, ორმოებიანი და ღრმულებიანი ქუჩის კუთხეებთან, სადაც ოდესღაც საზოგადო ჭები იყო, ტაძრების დამსკდარი გუმბათები ჩანდა; მათ გვერდებზე კი ველურ ლეღვის ხეებს შეამჩნევდით. მაიმუნები ამ ადგილს თავიანთ ქალაქს უწოდებდნენ და თავს იკატუნებდნენ, ჯუნგლელებს ტყეში ცხოვრების გამო ვერ ვიტანთო. თუმცა მათ იმაზეც კი არ ჰქონდათ წარმოდგენა, რა დანიშნულების იყო ეს შენობები და როგორ შეიძლებოდა მათი გამოყენება. ხშირად წრეზე სხდებოდნენ მეფის კრებათა დარბაზში, იქექებოდნენ რწყილების გამო და თავები ადამიანებად წარმოედგინათ, ან შერბოდნენ უსახურავო სახლებში და მერე უკან გამორბოდნენ; კუთხეში აგროვებდნენ ჩამონგრეული ბათქაშის ნატეხებსა და ძველ აგურებს, მერე ავიწყდებოდათ, რა სად დამალეს, იწყებდნენ ჩხუბს, ყვირილსა და ძიძგილაობას; შემდეგ ისვენებდნენ, რათა ეთამაშათ სამეფო ბაღის ტერიტორიაზე, სადაც ვარდისა და ფორთოხლის ხეებს არხევდნენ, რომ ენახათ, თუ როგორ ცვიოდა ნაყოფი და ყვავილი. ათვალიერებდნენ სასახლის ყველა გასასვლელსა და ბნელ გვირაბს, ასობით ბნელ ოთახს, მაგრამ ვერასოდეს იმახსოვრებდნენ, რა ნახეს და რა – არა. ასე დაბოდიალობდნენ თითო-თითოდ, ორ-ორად ან ჯგუფ-ჯგუფად, თან ერთმანეთს აჯერებდნენ, რომ ადამიანებივით იქცეოდნენ. სვამდნენ და ამღვრევდნენ

წყალს აუზებში, ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. მერე ერთად ჯგუფდებოდნენ და გაჰყვიროდნენ: „ჯუნგლში არავინაა ბანდარ-ლოგისთანა ბრძენი, კარგი, ჭკვიანი, ძლიერი და კეთილი!“ ასე იქცეოდნენ მანამ, სანამ ეს ადგილი არ მობეზრდებოდათ, მერე კვლავ ხეების კენწეროებისკენ ბრუნდებოდნენ იმ იმედით, რომ ჯუნგლის ყურადღებას მიიქცევდნენ.

ჯუნგლის კანონებით აღზრდილ მაუგლის მსგავსი ცხოვრება არც მოსწონდა და ვერც ვერაფერი გაუგო.

მაიმუნებმა ბიჭი გვიან შუადღეს მიიყვანეს ცივ ბუნაგებში. იმის ნაცვლად, რომ დაეძინათ, როგორც მაუგლი მოიქცეოდა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, მათ ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი და ცეკვა და სულელური სიმღერები დაიწყეს. ერთმა მაიმუნმა თავის ამხანაგებს უთხრა, რომ მაუგლის შეპყრობამ ბანდარ-ლოგის ისტორიაში ახალი სიტყვა თქვა; რომ წვიმისა და სიცივისგან თავის დასაცავად, ბიჭი მათ ასწავლიდა ღობის დაწნას ლერწმებისა და ჯოხებისგან.

მაუგლიმ რამდენიმე სურო მოგლიჯა და მუშაობას შეუდგა. მაიმუნები ცდილობდნენ მიებაძათ, მაგრამ რამდენიმე წუთში ინტერესი დაკარგეს, ერთმანეთს კუდებში სწვდნენ, ექაჩებოდნენ, დახტოდნენ და ახველებდნენ.

– მშია, – განაცხადა მაუგლიმ, – ჯუნგლის ამ მხარეში მე უცხო ვარ. ან მაჭამეთ, ან ნება მომეცით, რომ ვინადირო!

ოცი თუ ოცდაათი მაიმუნი მისთვის კაკლისა და პაპაიას მოსატანად გავარდა, მაგრამ გზაში იჩხუბეს და აბრი აღარ ჰქონდა დარჩენილი ხილის მიტანას. გაბრაზებული მაუგლი მშიერი დაბოდიალობდა ცარიელ ქალაქში. დრო-

დადრო სამონადირო ძახილს მიმართავდა, მაგრამ არავინ პასუხობდა. და მაუგლი მიხვდა, რომ ნამდვილად არ მოხვდა სახარბიელო ადგილას. „ყველაფერი, რაც ბალუმ მითხრა ბანდარ-ლოგის შესახებ, მართალია", – თავისთვის ფიქრობდა ის, – „მათ არც კანონი გააჩნიათ, არც სამონადირო ძახილი, წინამძღოლებიც არ ჰყავთ – მხოლოდ სულელური სიტყვები იციან და პატარა, ქურდი ხელები აქვთ. და თუ აქ შიმშილით მოვკვდი ან თვითონ გამიყენეს მაგ გზას, ყველაფერი ჩემი ბრალი იქნება. ყველანაირად უნდა ვეცადო ჩემს მშობლიურ ჯუნგლებში დაბრუნებას. ბალუ ნამდვილად დამსჯის, მაგრამ ეგ მირჩევნია ბანდარ-ლოგთან ერთად სულელური ვარდის ფურცლების დევნას".

ქალაქის კედელს მიუახლოვდა თუ არა მაუგლი, მაიმუნებმა უკან წამოათრიეს. ეუბნებოდნენ, შენ კიდევ არ იცი, როგორი ბედნიერი ხარო; ბწკენდნენ, რათა მადლიერება გაეღვიძებინათ მასში. მაუგლიმ პირი მომუწა და ხმა არ ამოუღია, ისე გაჰყვა მყვირალა მაიმუნებს ტერასაზე, რომელიც წითელი ქვიშაქვისგან აგებულ, ნახევრად წვიმის წყლით სავსე აუზებს ზემოთ მდებარეობდა. ტერასის შუაგულში იდგა დანგრეული, თეთრი მარმარილოს ტალავერი, რომელიც აეშენებინათ ასეული წლების წინ გარდაცვლილ დედოფალთა დასასვენებლად. ნახევრად ჩანგრეული გუმბათოვანი სახურავის ნანგრევებს ამოევსო სასახლის მიწისქვეშა გასასვლელი, საიდანაც ოდესღაც დედოფლები შედიოდნენ. ტალავერის კედლები მარმარილოსგან იყო მოჩუქურთმებული. მისი მოზაიკის მშვენიერი, რძისფერი ფონი კი აქატით, სარდიონით, იასპითა და ლილაქვით იყო შემკული. ქედს მომდგარი მთვარის შუქი გამ-

ჭვირვალე კედლებს შორის შეიჭრებოდა ხოლმე და ძირს ხავერდოვან ჩრდილებს ჰფენდა. მართალია, მაუგლის ძალიან ეძინებოდა, ამასთან, დაღლილი და მშიერიც იყო, მაგრამ თავი ვერ შეიკავა სიცილისგან, როცა მაიმუნებმა ოცჯერ მაინც გაუმეორეს, როგორი დიდებული, ჭკვიანი, ძლიერი და დიდსულოვანია ბანდარ-ლოგი და როგორი სულელი იქნებოდა მაუგლი მათი მიტოვება, რომ განებრახა.

– ჩვენ ძლიერი, თავისუფალი და საუცხოო მაიმუნები ვართ! ყველაზე მშვენიერი მოდგმა მთელ ჯუნგლში! ამას ვამბობთ ყველა ერთად და ეს სიმართლეა! – გაჰყვიროდნენ ისინი. – რადგან შენ პირველად გვისმენ და თან შეგიძლია ჩვენი სიტყვების ჯუნგლამდე მიტანა, რათა იქ გაითვალისწინონ ჩვენი სიდიადე, ამიტომ ყველაფერს გიამბობთ ბანდარ-ლოგის საუცხოო წარმომადგენლებზე!

მაუგლი არ შეპასუხებია. ასობით მაიმუნი შეგროვდა ტერასაზე, რათა მოესმინათ გამომსვლელთათვის, რომლებიც სიმღერით ასხამდნენ ხოტბას ბანდარ-ლოგს. თუკი რომელიმე მოსაუბრე შეჩერდებოდა შესასვენებლად, მაშინვე საერთო ყვირილს ატეხდნენ: „ეს ყველაფერი სიმართლეა. ჩვენც ასე ვფიქრობთ"

ზედმეტი ხმაურისგან დაქანცულმა მაუგლიმ თავი დაუქნია, თვალები მოჭუტა და მათ შეკითხვებს „დიახ"-ით პასუხობდა.

„მგონი, ტურა-ტაბაკიმ დაკბინა მთელი ეს ხროვა და ამიტომაც გაცოფდნენ, – თავისთვის ფიქრობდა მაუგლი, – რაღა თქმა უნდა, ეს დევანია – ცოფიანობა. ნეტავ თუ ოდესმე სძინავთ? ახლა ღრუბელი დაფარავს მთვარეს. თუკი დიდი ღრუბელი იქნება, შეიძლება გაქცევა მოვა-

ხერხო სიბნელეში, თუმცა ძალიან დაღლილი ვარ!"

იგივე ღრუბელს უთვალთვალებდა ორი მეგობარი – ბაგირა და კაა – ქალაქის კედლის ძირში გაყოლებული თხრილიდან. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, როგორი საშიში იყო მაიმუნთა დიდი ხროვა და თავის განსაცდელში ჩაგდება არ უნდოდათ. მაიმუნები არასოდეს ჩხუბობენ, თუ ასი ერთის წინააღმდეგ არაა; ჯუნგლში კი ნაკლებად ადარდებთ ძალთა მსგავსი უთანასწორობა.

– მე დასავლეთ კედლისკენ წავალ, – წასჩურჩულა კაამ, – ფერდობზე სწრაფად ჩავსრიალდები, ამაში კი თავდაღმართიც ხელს შემიწყობს. მე ვერ დამესხმებიან თავს, რამდენიც არ უნდა იყვნენ, მაგრამ...

– ვიცი, – მიუგო ბაგირამ, – ბალუ მაინც იყოს აქ! მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რაც შეგვიძლია. როდესაც ეს ღრუბელი მთვარეს გადაეფარება, მე ტერასაზე ავალ. ეტყობა, იქ თათბირობენ რაღაცას ბიჭზე.

– წარმატებულ ნადირობას გისურვებ! – მტკიცედ უთხრა კაამ და დასავლეთ კედლისკენ გასრიალდა. თუმცა, ეს კედელი არც ისე დანგრეული აღმოჩნდა და უზარმაზარი გველი კარგა ხანს შეყოვნდა, სანამ ქვებს შორის გზას გაიკვლევდა. ღრუბელმა მთვარე დაფარა. სანამ მაუგლი ფიქრობდა, თუ რა მოხდებოდა, ტერასიდან ბაგირას მსუბუქი ფეხის ხმა შემოესმა. შავმა ავაზამ უხმოდ აირბინა ფერდობზე, მერე მაუგლის გარშემო შემოკრებილ ორმოცდაათ-სამოც მაიმუნს ცემა დაუწყო – კბენაზე დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვა არ უყვარდა. ატყდა ჩოჩქოლი, საშინელი ხმაური. იმ დროს, როცა ბაგირა მიწაზე გაშხლართულ და აფართხალებულ მაიმუნებს ფეხით თელავ-

და, ერთ-ერთმა მათგანმა შეჰყვირა:

– მხოლოდ ერთია აქ, მოკალით, მოკალით!

აძიძგილავებულ მაიმუნთა უზარმაზარი ბრბო, რომელიც ერთმანეთს ჰკბენდა, ფხაჭნიდა და აქეთ-იქით აწყდებოდა უმწეოდ, ახლა ბაგირას მივარდა. ხუთმა თუ ექვსმა მაიმუნმა კი მაუგლი ტალავერის კედლისკენ გაიტაცა და რაღაც ხვრელში ჩააგდო. ადამიანთა მიერ აღზრდილი რომ ყოფილიყო, ამ თხუთმეტი ფუტის სიმაღლიდან ვარდნისას ბიჭი ძალიან დაშავდებოდა, მაგრამ მაუგლიმ მაშინვე ბალუს მიერ ნასწავლ მეთოდს მიმართა და წამსვე წამოხტა ფეხზე.

– მანდ იყავი! – ჩაჰყვირეს მაიმუნებმა, – სანამ შენს მეგობრებს მოვუვლით, მერე ერთად ვითამაშოთ, თუკი შხამიანთა მოდგმამ ცოცხალი დაგტოვა!

– ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ – თქვენ და მე! – გველთა ძახილით სწრაფად წამოიძახა მაუგლიმ. მაშინვე შრიალი და სისინი მოესმა იმ ნაგვის გროვიდან, რომელზეც თვითონ იდგა. დასარწმუნებლად იგივე ჯადოსნური სიტყვები კვლავ წამოიძახა.

– დაე, ასე იყოს! აქ სულ ჩვენ ვართ! – მოესმა რამდენიმე დაბალი ხმა (ინდოეთში ყველა ნანგრევი, ადრე თუ გვიან, გველთა სამყოფელი ხდება და ძველ ტალავერშიც კობრები დაბუდებულიყვნენ). – წყნარად იდექი, პატარა ძმობილო, თორემ შენმა ფეხებმა შეიძლება დაგვაზიანოს!

მაუგლის რამდენადაც შეეძლო, მსუბუქად იდგა, თან ნაჩუქურთმევ კედლებს შორის იჭყიტებოდა და ყურს უგდებდა ავაზას გარშემო ატეხილ გააფთრებულ ხმაურს – ყვირილს, წკმუტუნსა და ფრუტუნს, ბაგირას ღრმა, ხრინწი-

ან ხველას. მტრების ხროვაში მოქცეული ავაზა ტრიალებდა, იგრიხებოდა, სხლტებოდა, იერიშზე გადადიოდა. თავისი ცხოვრების განმავლობაში, ბაგირა დღეს პირველად ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

„ბალუც აქვე უნდა იყოს, ბაგირა მარტო არ წამოვიდოდა", – გაიფიქრა მაუგლიმ. მერე უცებ ხმამაღლა წამოიძახა: – ავზისკენ, ბაგირა! წყლის ავზებისკენ გაგორდი. გაგორდი და ჩაყვინთე! ჩქარა წყლისაკენ!

ბაგირამ გაიგონა მაუგლის ხმა, ბიჭის კარგად ყოფნამ მას გამბედაობა შეჰმატა და თავგამეტებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკაფავდა გზას ავზისაკენ.

ამ დროს ჯუნგლთან ახლოს მდებარე ჩამონგრეული კედლიდან ბალუს მგრგვინავი, საომარი შეძახილი გაისმა. ბებერი დათვი ყველანაირად ეცადა, მაგრამ ამაზე ადრე მოსვლა მაინც ვერ შეძლო.

– ბაგირა, – გაჰყვიროდა ის, – აქა ვარ! მოვდივარ! მოვიჩქარი! აჰუვორა! ქვები მიცურდება ფეხქვეშ. ერთი მანდ დამიცადე, უნამუსო ბანდარ-ლოგ! – და ქშენით ავიდა ტერასაზე, მაგრამ მაშინვე მაიმუნების ტალღამ შთანთქა. დათვი უკანა ფეხებზე შედგა, გაშალა წინა თათები, ჩაავლო რამდენიმე მაიმუნს და ცემა დაუწყო. მაუგლის წყლის შხაფუნი შემოესმა და მიხვდა, რომ ბაგირამ მიაღწია ავზამდე, სადაც მას მაიმუნები ვეღარ დაედევნებოდნენ. ავაზამ სულის მოსათქმელად თავი ამოყო წყლიდან. წითელ საფეხურებზე სამ რიგად ჩამწკრივებული, გააფთრებული მაიმუნები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და მზად იყვნენ, მაშინვე სცემოდნენ ავაზას ყველა მხრიდან, თუ იგი ბალუს მიშველებას გადაწყვეტდა. ბაგირამ ასწია სვე-

ლი დრუნჩი და სასოწარკვეთილმა გველებს მოუხმო დახმარებისთვის: – ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ – თქვენ და მე! – მას ეგონა, რომ კაამ უკანასკნელ წუთს თავს უშველაო. შავი ავაზის ვედრებაზე ნახევრად გაგუდულმა ბალუმაც კი, რომელიც ტერასის კიდეზე ქვეშ მოექციათ მაიმუნებს, თავი ვერ შეიკავა და ჩაიცინა.

კაა იმ წუთას იყო გადაცოცდა დასავლეთ კედელზე და ისე ძლიერ დახტა ძირს, რომ ერთი ქონგური კედლიდან თხრილში გადააგდო. პითონი არ აპირებდა ამ ადგილის დატოვებას; ერთი-ორჯერ დაიკლაკნა და გაიშალა იმაში დასარწმუნებლად, რომ მისი უზარმაზარი სხეულის ყველა ნაწილი მზად იყო საბრძოლველად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბალუ თავგამოდებით იბრძოდა. ბაგირას ირგვლივ, ავზთან შეკრებილი მაიმუნები ღრიალს არ წყვეტდნენ. ღამურა მანგი წინ და უკან დაფრინავდა და ჯუნგლს დიდი ბრძოლის ამბავს ამცნობდა. გარეულმა სპილო ჰატიმ კი ბუკი დაუკრა. ამხანაგების დასახმარებლად ყველა მხრიდან დაიძრნენ მაიმუნთა გაფანტული ტომელები. ისინი ხეებზე ხტუნვით იკვლევდნენ გზას ცივი ბუნაგებისაკენ. ისეთი საბრძოლო ყიჟინა იყო, რომ ირგვლივ, დიდ მანძილზე, ყველა ფრინველმა გამოიღვიძა.

ბრძოლის ჟინით შეპყრობილი კაა აიმართა და წინ სწრაფად გადაეშვა. პითონი გასაოცარ ძალას იჩენს ბრძოლისას! მტერს თავით ეკვეთება ხოლმე, რასაც მთელი სხეულის ძალა და სიმძიმეც ემატება. თუ წარმოიდგენთ ნახევარი ტონის სიმძიმე შუბს, ტარანს[1] ან ჩაქუჩს გა-

[1] ტარანი – კედლის სანგრევი საომარი იარაღი ძველად.

წონასწორებული, მშვიდი, გონიერი არსების ხელში, მაშინ მიხვდებით, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო კაა ბრძოლის დროს. ოთხი-ხუთი ფუტის სიგრძის პითონს შეუძლია დააგდოს ადამიანი, თუკი პირდაპირ მკერდში ეტაკება. კაას სიგრძე კი, როგორც მოგეხსენებათ, ოცდაათ ფუტს შეადგენდა. თავისი პირველი დარტყმა ბალუს ირგვლივ თავმოყრილი ხროვისკენ მიმართა, მეორე დარტყმა აღარ დასჭირდა, რადგან მაიმუნები მიმოიფანტნენ თავზარდამცემი ყვირილით: – კაა! ეს კაააა! გაიქეცით! გაიქეცით!

მაიმუნთა უამრავ თაობას აშინებდნენ კააზე მოყოლილი ამბებით; ყვებოდნენ იმ „ღამის ქურდზე", რომელსაც შეეძლო სწრაფად ესრიალა ტოტიდან ტოტზე და ყველაზე ძლიერი მაიმუნიც კი გაეტაცა; ახსენებდნენ იმ ბებერ კაას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ისე გარდაისახებოდა გამხმარ ტოტად ან დამპალ კუნძად, რომ ყველაზე გამოცდილი და ბრძენი მაიმუნიც კი ტყუვდებოდა მანამ, სანამ ეს ტოტი გარს არ შემოეხვეოდა. კაა იყო ის, ვისიც ყველაზე მეტად ეშინოდათ მაიმუნებს ჯუნგლში; არავინ იცოდა მისი სიძლიერის საზღვარი, არცერთ მათგანს არ შეეძლო პითონისთვის თვალებში ჩახედვა და ვერცერთი მათგანი ვერ გადაურჩებოდა მის შემოხვევას ცოცხალი. ახლა კი, შიშისგან ენადაბმულები გარბოდნენ კედლებისკენ. ბალუმ შვებით ამოისუნთქა. მისი ბეწვი ბაგირასთან შედარებით, ბევრად უფრო ხშირი და სქელი იყო, მაგრამ მაიმუნებთან შებმისას მაინც ძალიან დაუშავდა. მთელი ბრძოლის განმავლობაში კაამ ახლა გააღო პირველად პირი, ერთი გრძელი სისინა სიტყვა წარმოთქვა და ამხანაგების დასახმარებლად, შორი გზიდან ცივი ბუნ-

აგებისკენ წამოსული მაიმუნები ადგილზევე გააშეშა. მათი სხეულისგან დამძიმებულ ტოტები ტკაცუნობდა. კედლებზე და სახლის ნანგრევებში თავმოყრილმა მაიმუნებმა ყვირილი შეწყვიტეს. ქალაქში სიჩუმემ დაისადგურა. ამ დროს მაუგლიმ ყური მოჰკრა, როგორ დაიბერტყა სველი გვერდები ავზიდან ამოსულმა ბაგირამ. შემდეგ კვლავ განახლდა ხმაური. მაიმუნები მაღლა და მაღლა მიცოცავდნენ კედლებზე. უზარმაზარ ქვის კერპებს ყელზე ეხვეოდნენ, ქონგურებზე დახტოდნენ და გულისგამგმირავად ყვიროდნენ. მაუგლი კი ტალავერში ცეკვავდა, ჭუჭრუტანებში იჭვრიტებოდა და ბუსავით გაჰყვიროდა დაცინვისა და აბუჩად აგდების ნიშნად.

– გამოიყვანეთ ადამიანის ლეკვი მახიდან. მე მეტი აღარ შემიძლია, – ამოიქშინა ბაგირამ, – წავიყვანოთ იგი და წავიდეთ, თორემ შეიძლება, კვლავ შემოგვიტიონ!

– ისინი ადგილიდან ვერ დაიძვრებიან, სანამ მე არ ვუბრძანებ. მანდ იყავით, ششش! – დაისისინა კაამ და ქალაქში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. – მეტი ადრე ვერ მოვედი, ძმობილო, მაგრამ, მგონი, მეძახდი, არა? – მიმართა მან ბაგირას.

– მე... მე შეიძლება შევყვირე ბრძოლის დროს, – მიუგო ბაგირამ. – ბალუ, ხომ არ დაშავდი?

– დარწმუნებული არ ვარ, რომ არ დამგლიჯეს და ას ბელად არ მაქციეს, – თქვა ბალუმ და თითები ერთმანეთის მიყოლებით მძიმედ დაიბერტყა, – ვაი! ყველაფერი მტკივა. კაა, მე და ბაგირა შენ უნდა გიმადლოდეთ გადარჩენას.

– ეგ არაფერი, სად არის ადამიანის ლეკვი?

– აქ ვარ, მახეში, ვერ ვძვრები, – დაიყვირა მაუგლიმ.

დამტვრეული გუმბათის თაღი ზემოდან დაჰყურებდა.

– მოგვაშორეთ აქედან, ისე ცეკვავს, რომ პატარებს გაგვისრესს! – გაისმა კობრების ვედრება ქვემოდან.

– ჰაჰ, – ჩაიხითხითა კაამ. – ამ პატარა ლეკვს ყველგან ჰყოლია მეგობრები! უკან გაიწიე, პატარავ! თქვენ კი, დაიმალეთ, შხამიანთა მოდგმავ, კედელი უნდა დავამტვრიო.

კაა ფრთხილად ათვალიერებდა კედელს მანამ, სანამ არ იპოვა სუსტი ადგილი – მარმარილოს ჩუქურთმის ფერშეცვლილი ბზარი. პითონმა ორ-სამჯერ მსუბუქად გააქნია თავი მანძილის გასაზომად, შემდეგ მიწიდან ექვსი ფუტის სიმაღლეზე აწია სხეული და კედელს ცხვირით ექვსჯერ ეკვეთა. კედლის ნანგრევებმა მტვრის საშინელი კორიანტელი დააყენა. შენგრეული კედლიდან მაუგლი გადმოხტა, მივარდა ბალუსა და ბაგირას და ჯერ ერთს შემოეხვია კისერზე, მერე – მეორეს.

– ხომ არ დაშავდი? – ჰკითხა ბალუმ და ნაზად ჩაეხუტა.

– ყველაფერი მტკივა, მშია და არც თუ მცირედ დაბეჟილი ვარ. ოჰ, თქვენც არ მოგპყრობიან ნაკლებად, ჩემო ძმობილებო! სისხლი გდით.

– არც ამათ დაადგათ კარგი დღე! – მიუგო ბაგირამ, ტუჩები გაილოკა და ტერასაზე და ავზის გარშემო დაყრილ, დახოცილ მაიმუნებს გახედა.

– ეს არაფერია, საერთოდ არაფერი, მთავარია, შენ იყო კარგად, ჩემთვის ყველაზე საამაყო პატარა ბაყაყო! – სლუკუნებდა ბალუ.

– ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ! – თქვა ბაგირამ უხალისო ხმით, რომელიც მაუგლის დიდად არ მოეწონა, – აქ არის კაა, რომლის წყალობითაც ჩვენ გავიმარჯვეთ და

შენც ცოცხალი ხარ, მადლობა უთხარი ჩვენი ჩვეულების მიხედვით, მაუგლი!

მაუგლი მიტრიალდა და დაინახა უზარმაზარი პითონი, რომლის თავიც მის თავზე ერთი ფუტით ზემოთ ირხეოდა.

– ანუ ეს არის კაცუნა? – წარმოთქვა კაამ, – მისი კანი ბანდარ-ლოგის კანივით ნაზია. მიფრთხილდი, პატარავ, შებინდებისას, როცა ტყავი ახლადგამოცვლილი მექნება, შემთხვევით, მაიმუნი არ მეგონო.

– ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ, – შენ და მე! – მიუგო მაუგლიმ, – სიცოცხლე შენ შემინარჩუნე. ჩემი ნადავლი შენი იქნება, თუკი ოდესმე მოგშივდება, კაა!

– გმადლობ, პატარა ძმობილო, – მიუგო კაამ თვალების კვესებით, – და რისი მოკვლა შეუძლია ასეთ გულად მონადირეს? გთხოვ, თან გამიყოლო, როცა სანადიროდ წახვალ.

– მე ჯერ ვერაფერს ვკლავ, ძალიან პატარა ვარ, მაგრამ თხებს კი მოვერეკები ხოლმე მათთვის, ვინც სათანადოდ გამოიყენებს. როცა მშიერი იქნები, მოდი და დარწმუნდები ჩემი ნათქვამის სისწორეში. შესაბამის ოსტატობას ვფლობ (და მაუგლიმ ხელები გაშალა). თუკი ოდესმე მახეში გაებმები, შევძლებ გადავიხადო შენი, ბაგირასა და ბალუს ვალი. წარმატებულ ნადირობას გისურვებთ ყველას, ჩემო ბატონებო!

– კარგად თქვი, – ადუდღუნდა ბალუ მაუგლის მიერ მოხდენილად ნათქვამ სამადლობელზე.

პითონმა ერთი წუთით მსუბუქად ჩამოსდო თავი მაუგლის მხარზე. – მამაცი გული და თავაზიანი ენა გქონია, – უთხრა მან მაუგლის, – შენი სახელი შორს გავარდება ჯუნგლში, პატარავ! ახლა კი სწრაფად მოკურცხლე შენს

მეგობრებთან ერთად. წადი და დაიძინე, თორემ მთვარე ჩადის და აუცილებელი არ არის, იმის მოწმე გახდე, რაც აქ მოხდება.

მთვარე გორაკებს ეფარებოდა. კედლებსა და ქონგურებზე აცვენილი, აცახცახებული მაიმუნები დაფლეთილი ფოჩებივით კონწიალობდნენ. ბალუ ავზისკენ დაეშვა წყლის დასალევად. ბაგირამ თავის ბეწვს დაუწყო წმენდა. კაა კი ტერასის ცენტრისკენ გაცურდა და ყბები აატკაცუნა. შეშინებულმა მაიმუნებმა თვალები დაჭყიტეს.

– მთვარე ჩადის, – თქვა კაამ, – მაგრამ მაინც საკმარისი სინათლეა დასანახად.

კედლებიდან ხის კენწეროებში მოშრიალე ქარის კვნესისმაგვარი ხმა მოისმა. – ვხედავთ, კაა!

– ძალიან კარგი! ახლა კი დაიწყება ცეკვა, მშიერი კაას ცეკვა! წყნარად ისხედით და მიყურეთ! – კაამ ორჯერ თუ სამჯერ შემოხაზა უზარმაზარი წრე, თან თავს აქეთ-იქით აქნევდა. შემდეგ დაიწყო კლაკვნა, იგრიხებოდა რვიანებად, ნაზად ხაზავდა სამკუთხედებს, რაც გადაიზარდა ოთხკუთხედებსა და ხუთკუთხედებში, ტანით ხაზავდა რგოლებსაც. არასოდეს ისვენებდა, არც ჩქარობდა და არც ხმადაბალ გუგუნს წყვეტდა. თანდათან ბნელდებოდა. მოძრავი, ცვალებადი რგოლები გაქრა და ფარფლის შრიალიღა ისმოდა.

ბალუ და ბაგირა გაქვავებულივით იდგნენ, ყრუდ იღრინებოდნენ, ბალანი აბურძგვნოდათ; მაუგლი კი გაკვირვებული იყურებოდა.

– ბანდარ-ლოგო, – დაიძახა ბოლოს კაამ. – ჩემი ბრძანების გარეშე შეგიძლიათ ფეხის ან ხელის განძრევა? სთქვით!

– შენი ბრძანების გარეშე ვერცერთს გავანძრევთ, კაა!

– კეთილი! ერთი ნაბიჯით მომიახლოვდით ყველანი!

მაიმუნების რიგებმა უმწეოდ წაიწიეს წინ. უნებურად ბალუმ და ბაგირამაც წინ გადადგეს ნაბიჯები მათთან ერთად.

– უფრო ახლოს! – ჩაისისინა კაამ და ყველა ერთად დაემორჩილა.

მაუგლიმ ხელები ჩაავლო ბალუსა და ბაგირას და განზე გასწია. ისინი კი ისე შეკრთნენ, თითქოს სიბმრიდან ამწუთას გამოაღვიძესო.

– ხელი მხარზე დამადე, – წასჩურჩულა ბაგირამ, – მანდ გედოს, თორემ ისევ კაასკენ წავალ!

– ბებერი კაა ხომ მხოლოდ წრეებს ხაზავს მტვერში, – თქვა მაუგლიმ, – წავიდეთ! – და კედლის ხვრელის გავლით სამივე ჯუნგლისაკენ გაიძურწა.

– უუუ! – წამოიძახა ბალუმ, როცა მდუმარე ხეებქვეშ შეჩერდა. – მომავალში არასოდეს გავხდები კაას მოკავშირე! – და სხეული შეიბერტყა.

– მან ჩვენზე მეტი იცის, – ცახცახით წარმოთქვა ბაგირამ, – ცოტა ხანს კიდევ რომ დამეცადა, პირდაპირ მის ხახაში აღმოვჩნდებოდი.

– ბევრი სწორედ ასე მოქცეულა მთვარის მეორედ ამოსვლამდე, – თქვა ბალუმ, – კაა მშვენივრად ინადირებს, თავის წესისამებრ.

– მაინც რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? – იკითხა მაუგლიმ, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა პითონის მომაჯადოებელი ძალის შესახებ, – იქ მე ვერაფერი ვნახე, გარდა იმისა, რომ უზარმაზარი გველი სულელურ წრეებს ხა-

ზავდა დაბნელებამდე და ცხვირი დაშავებული ჰქონდა. ეს იყო და ეს!

– მაუგლი, – მიმართა გაბრაზებით ბაგირამ, – ცხვირი მას შენ გამო დაუშავდა, ისევე, როგორც მე დამიკბინეს ყურები, გვერდები და თათები, ბალუს კი – კისერი და მხრები. ვერც ბალუ და ვერც ბაგირა სიამოვნებით ვეღარ ინადირებენ რამდენიმე დღის განმავლობაში.

– ეს არაფერია, – თქვა ბალუმ, – მთავარია, რომ ადამიანის ლეკვი კვლავ ჩვენთანაა.

– მართალია, მაგრამ მისი გადარჩენა ძვირად დაგვიჯდა! დავკარგეთ დრო, რომელიც შეიძლებოდა კარგი ნადირობისთვის დაგვეთმო. დავიჭერით, დაგვცვივდა ბალანი, – ზურგი ნახევრად გამეტყავა, – და ყველაზე მთავარი: შეგველახა პატიოსანი სახელი. დაიმახსოვრე, მაუგლი, რომ მე, შავი ავაზა, იძულებული გავხდი კაასთვის მიმემართა დასახმარებლად. მე და ბალუ მისმა შიმშილის ცეკვამ პატარა ჩიტებივით გაგვასულელა, ეს ყველაფერი კი, ბანდარ-ლოგთან შენი თამაშის წყალობით მოხდა, ადამიანის ლეკვო!

– ეს სიმართლეა, – სევდიანად თქვა მაუგლიმ, – მე ცუდი ლეკვი ვარ, გული მტკივა!

– ჰმ! ბალუ, რას ამბობს ჯუნგლის კანონი?

ბალუს არ უნდოდა მაუგლი ახალ გასაჭირში ჩაეგდო, მაგრამ ვერც კანონს აუვლიდა გვერდს და ჩაიბუტბუტა:

– მონანიება არასოდეს აფერხებს სასჯელს. მაგრამ გახსოვდეს, ბაგირა, ბიჭი ჯერ ძალიან პატარაა!

– მახსოვს, მაგრამ მან ზიანი მოგვაყენა და ცემის ღირსია. მაუგლი, ხომ არაფერს იტყვი?

– არაფერს! არასწორად მოვიქეცი. ბალუც და შენც დაშავებულები ხართ! სამართლიანად იქცევით.

ბაგირამ, თავისი ჭკუით სიყვარულით, თორმეტჯერ შემოჰკრა თათი მაუგლის (ეს ქცევა მის ლეკვებს ძილსაც კი არ დაუფრთხობდა); შვიდი წლის ბიჭისთვის ეს ცემა ისეთი იყო, რომ ნებისმიერი ინატრებდა მის თავიდან აცილებას. როცა ყველაფერი დასრულდა, მაუგლიმ დააცემინა და უხმოდ წამოდგა ფეხზე.

– ახლა კი, – უთხრა ბაგირამ, – შემომახტი ზურგზე, პატარა ძმობილო, და სახლში წავიდეთ.

ჯუნგლის კანონის ერთ-ერთი მშვენება ისიცაა, რომ სასჯელი ყველანაირ ანგარიშს ასწორებს. ამის შემდეგ ყოველგვარი უკმაყოფილება ქრება.

ბაგირაზე მოკალათებულმა მაუგლიმ თავი დაადო ავაზას ზურგზე და ისე ღრმად ჩაეძინა, რომ ვერც კი იგრძნო, როგორ მოათავსეს მშობლიურ გამოქვაბულში.

ბანდარ-ლოგის მგზავრული

გავიქცეთ ისე, თითქოს ვართ რაშით,
შურიან მთვარეს ვესტუმროთ ცაში.
ხომ არ გშურთ ნეტავ ნავარდი ჩვენი?
და ნატრობთ, გქონდეთ თქვენც მარჯვე ხელი?
არ გინდათ, გებათ დრეკადი კუდი
ამურის მშვილდივით? არაა ცუდი.
ნუ ბრაზობ, ძმაო, იყავი წყნარად,
დრეკადი კუდი დაგყვება ფარად.

მოდი, ჩამოვსხდეთ რტომრავალ მწკრივში,
დრო გავიყვანოთ კეთილზე ფიქრში,
გმირული ამბები გვახსოვდეს უნდა,
ყოველწამს, დღისით, ღამითაც – მუდამ.

ყოველთვის მოვუხმოთ ჭკუას და გონს,
ჩვენ მხოლოდ სიკეთით თუ გავალთ ფონს.
ნუ ბრაზობ, ძმაო, იყავი წყნარად,
დრეკადი კუდი დაგყვება ფარად.

ყველა ხმა, რასაც მოვისმენთ ირგვლივ,
იქნება მხეცის, ღამურის, ჩიტის
ფრთხიალი კუდის, ტკაცუნი ფრთების,
ვამბობთ, რომ მუდამ ვიქნებით ერთნი!

რა საუცხოოდ საოცარია,
ადამიანებს ვბაძავთ ძალიან,
თავს ვიკატუნებთ, იყავი წყნარად,
დრეკადი კუდი დაგყვება ფარად.

მაიმუნები დავქრივართ ხეზე,
ტოტიდან ტოტზე, ნედლიდან ხმელზე,
არ გვაკრთობს წვიმა, წყვდიადი, ქარი,
ბევრი საქმე გვაქვს წინ საფიქრალი.

როგორ გაჩნდა შიში

წყარო დაშრა და გუბეც თვლემს,
მაშ, ვიმეგობროთ შენ და მე;
მწყურვალი მხეცი აპირებს,
რომ მიაშუროს ნაპირებს.
გვალვაზე ფიქრში ნადირმა
ლუკმაც ვერ მოინადირა.
აღარ იცის, შველმა რა ჰქნას,
დედამისთან მგლის ხროვა დგას,
ირმის მზერას იპყრობს ხევში
მამამისის მკვლელი ეშვი.
წყარო დაშრა და გუბეც თვლემს,
მაშ, ვიმეგობროთ შენ და მე,
სანამ წვიმა მოვა ციდან,
ვინადიროთ, ვისაც გვინდა.

ჯუნგლის კანონი, რომელიც უძველესია მსოფლიოში, ითვალისწინებს ყველა შემთხვევას, რაც შეიძლება ჯუნგლში მცხოვრებს შეემთხვეს. მისი კოდექსი იმდენადაა სრულყოფილი, რამდენადაც ეს შეძლო დრომ და ჩვეულებამ. ალბათ, გახსოვთ, რომ მაუგლიმ ცხოვრების დიდი პერიოდი სიონიის მგლების ხროვაში გაატარა და კანონები ბალუსგან, წაბლა დათვისგან ისწავლა. სწორედ ბალუმ უთხრა ერთხელ გაუთავებელი ბრძანებებით მოთმინებადაკარგულ ბიჭს: კანონი უბარმაბარ სუროსა ჰგავს, რომელიც ზურგზე ეხვევა ყველას და თითქმის შეუძლებელია მისგან თავის დაღწევაო.

– როდესაც ჩემი ტოლი გახდები, პატარა ძმობილო, ნახავ, რომ მთელი ჯუნგლი მხოლოდ ერთ კანონს ემორ-

ჩილება, და ეს არცთუ ისე სასიამოვნო სანახავი იქნება, – უთხრა ბალუმ.

ეს სიტყვები მაუგლიმ ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა, რადგან ბიჭი, რომელიც მთელ ცხოვრებას ჭამასა და ძილში ატარებს, დიდად არაფერზე ღელავს მანამ, სანამ პირისპირ არ შეეყრება გაჭირვებას. და აი, ერთ წელსაც ბალუს სიტყვები გამართლდა – მაუგლიმ ნახა, რომ მთელი ჯუნგლი ერთი კანონით ხელმძღვანელობდა.

ეს ამბავი იმ ზამთარს დაიწყო, როცა წვიმის არცერთი წვეთი არ ჩამოვარდნილა. მაჩვზღარბა იკკი ბამბუკის ტევრში შეხვდა მაუგლის და მოახსენა, გარეული ბატატი[1] ხმებაო. ყველამ იცის, საჭმლის როგორი სასაცილოდ წუნიაა იკკი, მხოლოდ საუკეთესო და ძალიან მწიფე ნაყოფს მიირთმევს.

მაუგლიმ სიცილით უპასუხა: – და მე რა?

– ჯერ არაფერი, – მიუგო იკკიმ და უსიამოვნოდ ააშრიალა ეკლები, – მაგრამ მოგვიანებით ვნახავთ! ერთი ეს მითხარი, პატარა ძმობილო, კიდევ ყვინთაობ ხოლმე ფუტკრების კლდეების ძირას, ღრმა გუბეებში?

– არა. სულელი წყალი თანდათან იკლებს და სურვილი არ მაქვს, თავი გავიტეხო! – მიუგო მაუგლიმ, რომელიც იმ პერიოდში სრულიად დარწმუნებული იყო, რომ იმდენი რამ იცოდა, რამდენიც ხუთმა ჯუნგლელმა ერთად.

– ჰოდა, წაგიგია! თავის ოდნავი დარტყმით, იქნებ, ცოტა ჭკუა შეგმატებოდა. – ეს თქვა და იკკი სწრაფად გაეცალა იქაურობას – შეეშინდა, რომ მაუგლი ცხვირზე ჯაგარს დააგლეჯდა.

---

[1] ბატატი – ტკბილი კარტოფილი.

მაუგლიმ იკკის ნათქვამი ბალუს ამცნო. დათვი მოიღუშა და თავისთვის ჩაილუღლუღა:

– მარტო რომ ვიყო, სანადირო ადგილებს ახლავე შევიცვლიდი, სანამ სხვები მოიფიქრებდნენ ამას. მაგრამ უცხოებს შორის ნადირობა ყოველთვის ჩხუბით სრულდება და შეიძლება მათ ჩემს ლეკვს ავნონ რამე. უნდა მოვიცადოთ, სანამ მოჰვა აყვავდება!

მოჰვას ხე, რომლის ნაყოფიც ბალუს ძალიან უყვარს, გაზაფხულზე არ აყვავებულა. ღია მწვანე, კრემისფერი, ცვილისებრი ყვავილები სიცხეს გაფურჩქვნამდე გაეხმო და მხოლოდ რამდენიმე მყრალი ფურცელი თუ ჩამოვარდებოდა ხოლმე, როდესაც უკანა თათებზე შემდგარი ბალუ ხეს შეარხევდა. ჰაჰანაქება სიცხემ ნელ-ნელა შეაღწია ჯუნგლის შუაგულშიც, იქაურობა ჯერ ყვითლად, შემდეგ ყავისფრად და ბოლოს, შავად შეაფერადა. ხევების ფერდობზე ახლადამოყრილი, გადამწვარი მწვანე მცენარეები დატეხილ მავთულებს დამსგავსებოდნენ და სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდათ. გუბეები გაშრა და შემდეგ დასკდა, მათ კიდეებზე არსებული ნაფეხურები კი რკინით ამოტვიფრულ ფიგურებს ჰგავდნენ. დანესტილი სურო ხეებს ჩამოცვივდა და ძირში განისვენა. ბამბუკი ისე გახმა, რომ ცხელი ქარის დაბერვაზე ყღარუნებდა. ჯუნგლის სიღრმეში ხავსშემხმარი კლდეები ისე გაშიშვლდნენ და გაცხელდნენ, როგორც ამომშრალი მდინარის კალაპოტში მთრთოლავი ლურჯი რიყის ქვები.

მოსალოდნელი საფრთხის გამო, ფრინველები და მაიმუნები წლის დასაწყისშივე გაემართნენ ჩრდილოეთისაკენ; ირმები და გარეული ღორები კი – სოფლის გადაბუგუ-

ლი ყანებისაკენ და უსულოდ ეცემოდნენ ძალაგამოცლილი ადამიანების თვალწინ, რომელთაც მათი დახოცვის უნარი არ შესწევდათ. მხოლოდ ძერა ჩილი არ უჩიოდა ბედს და სუქდებოდა უამრავი ლეშის წყალობით. იგი ძალაგამოცლილ ცხოველებს, რომელთაც ახალი სანადირო ადგილებისკენ წასვლის თავი არ ჰქონდათ, ყოველ საღამოს ატყობინებდა, რომ მზე თანდათან ანადგურებდა ჯუნგლს ყოველი მიმართულებით სამი დღის საფრენზე.

მაუგლი, რომელსაც აქამდე არასოდეს გამოეცადა ნამდვილი შიმშილი, სამი წლის გამხმარ, კვრინჩხივით[1] შავ და გამომშრალი შაქრისგან დამტვერიანებულ თაფლს ფხეკდა მიტოვებული ქვის სკებიდან. ნადირობდა ხის ქერქში ღრმად შემძვრალ მწერებზე, ძარცვავდა კრაზანების ბუდეებს და შეექცეოდა მათ ჭუპრებს; ჯუნგლში ყველა გაძვალტყავდა. ბაგირას ღამეში სამჯერაც რომ ენადირა, მაინც ვეღარ ძღებოდა. მაგრამ ყველაზე გაუსაძლისი მაინც უწყლობა იყო. მართალია, ჯუნგლელები იშვიათად სვამენ წყალს, მაგრამ ერთ დალევაზე ბლომად შეექცევიან.

სიცხე დღითი დღე ძლიერდებოდა, მთელი სინესტე შეისრუტა. უაინგუნგის მთავარ არხს შერჩა მხოლოდ ცოტაოდენი წყალი, რომელიც უსიცოცხლო ნაპირებს შორის მიედინებოდა. როდესაც გარეულმა სპილო ჰატიმ, რომელიც ას წელზე მეტს ცოცხლობს, თვალი მოჰკრა ნაკადის შუაგულში ამოშვერილ ქვების გრძელსა და ვიწრო, მოლურჯო მშრალ ზოლს, მიხვდა, რომ მის წინ „მშვიდობის კლდე“ აღმართულიყო; ჰოდა, ასწია ხორთუმი და ისე, როგორც მამამისმა ორმოცდაათი წლის წინ, მანაც „წყლის დროებითი ზავი“

[1] კვრინჩხი – დაბალი ტანის ბუჩქი. აქვს მრგვალი, კურკიანი, შავი ნაყოფი.

გამოაცხადა. მის ძახილს ირმები, გარეული ღორები და კამეჩები ხრინწიანი ხმით გამოეხმაურნენ. ძერა ჩილი კი უშველებელ ირაოს ჰკრავდა, უსტვენდა, გამაფრთხილებლად გაჰკიოდა.

ჯუნგლის კანონის მიხედვით, სიკვდილით ისჯება ყველა, ვინც „წყლის დროებითი ბავის" გამოცხადების შემდეგ წყლის დასალევ ადგილას ნადირს მოკლავს. ამის მიზები გახლავთ ის, რომ სასმელს საჭმელზე წინ აყენებენ. ჯუნგლში როგორმე შეძლებენ მწირი საკვებით თავის გატანას, მაგრამ წყალი განსაკუთრებული რამაა! თუ წყალი მხოლოდ ერთ ადგილასაა, ყველანაირი ნადირობა იკრძალება მიმდებარედ, სანამ ჯუნგლელები იქ წყალს სვამენ.

ჩვეულებრივ პერიოდში, როცა წყალი უხვად იყო, ის, ვინც უაინგუნგში ან სხვა ადგილას ჩადიოდა წყლის დასალევად, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, თუმცა ეს რისკი ღამის თავგადასავლებს მეტ მომხიბვლელობას სძენდა. წყალზე ისე მარჯვედ ჩასვლა, რომ არც ერთი ფოთოლი არ შერხეულიყო, მუხლებამდე შეტოპვა მოჩხრიალე თავთხელებში, რომელიც ირგვლივ ყველანაირ ხმაურს ახშობდა, წყლის დალევისას უკან ყურება და კუნთების მზადყოფნა საფრთხის შემთხვევაში ძლიერი ნახტომისთვის, ქვიშიან ნაპირზე გაგორება, მერე ისევ წყალში ყურყუმელაობა და დასველებული დრუნჩით აღტაცებულ ჯოგში დაბრუნება, – ეს ყველაფერი უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ახალგაზრდა, პრიალარქებიან ირმებს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბაგირას ან შერ-ხანს ნებისმიერ დროს შეეძლოთ თავს დასხმოდნენ და გაეტაცათ

ისინი. ახლა კი ეს სამკვდრო-სასიცოცხლო გასართობი დასრულებულიყო – დამშეული და ძალაგამოცლილი ჯუნგლელები ძლივსღა მილასლასებდნენ ამომშრალი მდინარისაკენ. ვეფხვი, დათვი, ირემი, კამეჩი და ღორი – ყველა ერთად სვამდა აყროლებულ წყალს და იქვე წვებოდნენ იმდენად დაუძლურებულნი, რადგან მოძრაობის თავი აღარ ჰქონდათ.

ირმები და ღორები მთელი დღის ხეტიალის მიუხედავად, გამხმარ ქერქსა და დამჭკნარ ფოთლებზე უკეთეს საკვებს ვეღარ შოულობდნენ. კამეჩები ვერც მწვანე ბალახს ჰპოულობდნენ და ვერც – გასაგრილებელ გუბეებს. გველებმა ჯუნგლი დატოვეს და მდინარესთან ჩავიდნენ გზააბნეული ბაყაყების დასაჭერად. ისინი სველ ქვებს შემოჰხვეოდნენ და როცა რომელიმე ღორი, დინგით მიწაში ძრომიალისას, ადგილიდან დასძრავდა მათ, გადაადგილებაც კი ეზარებოდათ. მდინარის კუები დიდი ხნის წინ გაენადგურებინა მონადირეთა შორის ყველაზე მოხერხებულ ბაგირას. თევზები თავისით ჩაფლულიყვნენ ღრმად გამომშრალ ტალახში. მხოლოდ „მშვიდობის კლდე" გაწოლილიყო გრძელი გველივით მარჩხი[1] მდინარის გარდიგარდმო და მცირე ჭავლები შიშინით ორთქლდებოდა მის გახურებულ ფერდობებზე.

მაუგლი ყოველ ღამე მიდიოდა იქ გასაგრილებლად და ამხანაგების სანახავად. ყველაზე დამშეული მტერიც კი არ აქცევდა იმ დროს ბიჭს ყურადღებას. სიშიშვლის გამო სხვებზე უფრო გამხდარი და საცოდავი იყო. მზისგან თმა სელივით გახუნებოდა, ნეკნები კალათის წნულივით ამოშ-

[1] მარჩხი წყალი – თხელი წყალი

ვეროდა, ხოხვისაგან შეშუპებული მუხლები, იდაყვები და დამჭკნარი კიდურები ბალახის დაკოჟრილ ღეროებს დამსგავსებოდა, თუმცა აწეწილი ქოჩრის ქვემოდან მომბზირალი მისი თვალები მშვიდად და წყნარად გამოიყურებოდნენ, რადგან ბაგირა, მისი მრჩეველი ამ რთულ პერიოდში, მუდამ არიგებდა, რომ მშვიდად ეარა, აუჩქარებლად ენადირა და არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ დაეკარგა მოთმინება.

– რთული დრო გვიდგას! – უთხრა შავმა ავაზამ ერთ ცხელ საღამოს, – მაგრამ ესეც ჩაივლის, თუ ბოლომდე გავუძლებთ. სავსე გაქვს კუჭი, ადამიანის ლეკვო?

– რაღაც კი მაქვს, მაგრამ დიდად ვერ მშველის. როგორ ფიქრობ, ბაგირა, წვიმამ სამუდამოდ დაგვივიწყა?

– არა მგონია. ჩვენ კიდევ ვნახავთ აყვავებულ მოჰვასა და ახალი ბალახით გასუქებულ ირმებს. წამო, „მშვიდობის კლდესთან“ ჩავიდეთ და ახალი ამბები გავიგოთ. შემაჯექი ზურგზე, პატარა ძმობილო.

– ახლა მძიმე ტვირთის ტარების დრო არ არის, ჯერ კიდევ შემიძლია ფეხზე დგომა, თუმცა, რასაკვირველია, გასუქებულ მოზვრებს აღარ ვგავართ!

ბაგირამ დახედა თავის დასვრილ, მტვრიან ფერდებს და წაიჩურჩულა:

– წუხელ უღელში შებმული ხარი მოვკალი. ისეთი დაუძლურებული ვიყავი, შებმული რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერც გადავახტებოდი. ვაი!

– დიახ, ჩვენ დიდებული მონადირეები ვართ ახლა, – გაიცინა მაუგლიმ, – ისეთი გულადი გავხდი, რომ მატლსაც კი გეახლები!

მერე დაუყვნენ გამხმარ ჯაგნარს და მდინარის პირას ჩავიდნენ.

– წყალი ცოტა ხანში აღარ იქნება, – თქვა ბალუმ, რომელიც, ის-ის იყო, მათ შემოუერთდა. – გაიხედე, ეგ ნაკვალევი ადამიანის გზას ჰგავს.

მდინარის შორეულ ნაპირზე ბალახი ისე გამხმარიყო, რომ მუმიას დამსგავსებოდა. ირმებისა და ღორებისაგან დაქნილ ბილიკებს მთელი ის უფერული ვაკე, სადაც ადრე ათ ფუტამდე ბალახი იზრდებოდა, მტვრიან ხევებად დაეესერა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრე იყო, იქაურობა ავსებულიყო წყალზე მიმავალი ცხოველებით. ბურნუთის[1] მსგავსი მტვრის გამო, ირმებისა და შვლების ხველებაცემინება ისმოდა.

უფრო ზევით, „მშვიდობის კლდესთან" და „წლის დროებითი ბავის" ტერიტორიაზე შვილებთან ერთად იდგა გარეული სპილო ჰატი. მთვარის შუქზე ისინი მეტად სუსტებად გამოიყურებოდნენ და აქეთ-იქით ირხეოდნენ შეუჩერებლად. ცოტა ქვემოთ ირმის ჯოგის მოწინავე რაზმი იდგა, მათ გადაღმა – ღორები და გარეული კამეჩები, მოპირდაპირე სანაპირობზე კი, სადაც მაღალი ხეების წყება მდინარის კიდემდე ჩადიოდა, განცალკევებულიყვნენ ხორცის მჭამელები – ვეფხვი, მგლები, ავაზა, დათვი და სხვები.

– რასაკვირველია, ერთი კანონი გვაერთიანებს, – წარმოთქვა ბაგირამ, შეტოპა წყალში და თან ჩამწკრივებულ ბრახუნა რქებსა და ბრიალა თვალებს უყურებდა, ირმები და ღორები ერთმანეთს ეჯახებოდნენ. – წარმატებულ ნადირობას გისურვებთ ყველას, თანატომელნო! – დაუმატა მან

[1] ბურნუთი – წვრილად დაფქული და გაცრილი საყნოსი თამბაქო

და მთელ სიგრძეზე გაწვა მდინარეში. წყალმა ცალი გვერდი დაუფარა. შემდეგ კბილებში გამოსცრა: – საუცხოოდ ვინადირებდით, კანონი რომ არ გვიკრძალავდეს.

ირმების დაცქვეტილ ყურებს არ გამოჰპარვია ეს უკანასკნელი სიტყვები და შეშინებულებმა ჩაიჩურჩულეს: – დროებითი ზავი! გახსოვდეთ, დროებითი ზავი!

– მშვიდად იყავით, მშვიდად! – აროხროხდა ჰატი, – ზავი ძალაშია და, ბაგირა, ნადირობაზე ლაპარაკის დრო არ არის!

– ჩემზე უკეთ ვინ იცის ამის შესახებ? – უპასუხა ბაგირამ და ყვითელი თვალები მდინარის აღმა მიაპყრო. – კუს ჭამაც კი დავიწყე და ბაყაყზე მონადირეც გავხდი! ნჰაიაა! რომ ვიცოდე, რამეში წამადგება, ტოტებსაც კი დავღეჭავდი!

– ჩვენც ხომ ეგ გვინდა ძალიან! – გულუბრყვილოდ წამოიკრუტუნა იმ გაბაფხულზე დაბადებულმა ნუკრმა.

ჯუნგლელების ასეთი უმწეო მდგომარეობის მიუხედავად, ჰატიმაც კი ჩაიხითხითა; იდაყვებზე დაყრდნობილი მაუგლი კი, თბილ წყალში იწვა, ხმამაღლა იცინოდა და ფეხების ქნევით წყალს აქაფებდა.

– კარგად თქვი, ნუკრო, – ჩაიკრუტუნა ბაგირამ. – დროებითი ზავის დასრულებისას, მაგ სიტყვებს შენს სასიკეთოდ გავიხსენებ, – და სიბნელეში კარგად დააკვირდა, რათა შემდგომში ეცნო.

თანდათან ყველა ჩაება საუბარში. ზოგი ჩხუბობდა, ღორები ფრუტუნებდნენ და ერთმანეთს ეკვროდნენ, კამეჩები ქოშინებდნენ, ფეხებდაწყლულებული ირმები სევდიან ისტორიებს ჰყვებოდნენ, თუ როგორ უჭირდათ ამ საშინელ გვალვაში საკვების მოპოვება. ზოგჯერ ისინი მდინარის

გაღმა ხორცისმჭამელებს ეხმიანებოდნენ, რაღაცას ეკითხებოდნენ, მაგრამ სანუგეშოს ვერც იქიდან იგებდნენ. ჯუნგლის ცხელმა ქარმა დაუბერა კლდეებსა და ხევებში და ხის ტოტები და ფოთლები მიმოაბნია წყალზე.

– ადამიანებიც კი იხოცებიან საკუთარ გუთნებთან! – თქვა ახალგაზრდა სამბჰურმა, – საღამოს, მზის ჩასვლისას მომიწია იქით გავლა, სამი იწვა უძრავად, იქვე იყვნენ მათი ხარებიც. ცოტა ხანში ჩვენც ასეთ დღეში ვიქნებით.

– წუხანდელის შემდეგ მდინარემ კვლავ დაიკლო, – თქვა ბალუმ, – ო, ჰატი, ნუთუ, ოდესმე გინახავს მსგავსი გვალვა?

– გაივლის, აუცილებლად გაივლის, – მიუგო ჰატიმ და ზურგსა და გვერდებზე წყალი შეისხა.

– ჩვენ შორის არის ერთი, რომელიც დიდხანს ვეღარ გაძლებს. – განაგრძო ბალუმ და თავის საყვარელ ბიჭს გახედა.

– მეე? – აღშფოთებით წამოიძახა მაუგლიმ და წყალში წამოჯდა, – მე არა მაქვს სქელი კანი ძვლების დასაფარად, მაგრამ... შენ რომ გაგატყავონ, ბალუ...

ამ სიტყვების გაგონებაზე ჰატის გააკანკალა, ბალუმ კი მკაცრად უთხრა:

– ადამიანის ლეკვო! ასე არ უნდა ესაუბრო კანონის მასწავლებელს. ჯერ არავის ვუნახივარ უტყავოდ.

– არ მინდოდა შენი წყენა, ბალუ, მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ შენ ქოქოსის კაკალს ჰგავხარ, ოღონდ ნაჭუჭიანს, მე კი – უნაჭუჭოს. ეგ ყავისფერი ნაჭუჭი... – მაუგლი ფეხმორთხმით იჯდა და რაღაცას საჩვენებელი თითის ჩვეული პოზით ხსნიდა. ბაგირამ კი თავისი რბილი თათით კვლავ წყალში შეაგდო იგი.

– უარესი და უარესი! – უთხრა შავმა ავაზამ კვლავ ფეხზე წამომხტარ ბიჭს, რომელიც აქეთ-იქით ისროდა შხეფებს, – ჯერ ბალუს გატყავება გინდოდა, ახლა ქოქოსის კაკალს უწოდებ, ფრთხილად, ისეთი არაფერი დაგმართოს, რაც მწიფე ქოქოსის კაკალს შეუძლია.

– რას მიზამს? – იკითხა მაუგლიმ, რომელსაც უცებ გადაავიწყდა ჯუნგლში ესოდენ აუცილებელი სიფრთხილე.

– თავი არ გაგიტეხოს, – მშვიდად მიუგო ბაგირამ და ბიჭი ისევ წყალში შეაგდო.

– უბრდელობაა მასწავლებლის დაცინვა! – დაუმატა დათვმა, როდესაც მაუგლი მესამედ ჩაყურყუმელავეს წყალში.

– უბრდელობა! აბა, რა გეგონათ? ეგ ტიტველი თავისუფლად დარბის აქეთ-იქით, მაიმუნივით ამასხარავებს ოდესღაც გამორჩეულ მონადირეებს და ჩვენ შორის საუკეთესოებს გასართობად ულვაშებს აგლეჯს!

ეს შერ-ხანი იყო. კოჭლი ვეფხვი, რომელიც წყლისკენ მიჩანჩალებდა. იგი ცოტა ხნით შეყოვნდა, რათა იმ შთაბეჭდილებით დამტკბარიყო, რომელიც მისმა სიტყვებმა მოახდინა გაღმა მყოფ ირმებზე, მერე ოთხკუთხა, გაბურძგნული თავი დაღუნა და ბუტბუტით შეუდგა წყლის სმას:

– ჯუნგლი შიშველი ლეკვების სათამაშო ადგილად აქციეს. შემომხედე, ადამიანის ლეკვო!

მაუგლიმ გახედა, უფრო სწორად, ისე დაყინებით მიაჩერდა, როგორც მხოლოდ მას ახასიათებდა. ვეფხვმა უკმაყოფილოდ მიაბრუნა თავი.

– ადამიანის ლეკვი! ადამიანის ლეკვი! – ბურდღუნებდა შერ-ხანი და თან წყლის ხვრეპას განაგრძობდა, – ის არც ადამიანია და არც ლეკვი, თორემ ჩვენი აუცილებლად

შეეშინდებოდა. მალე, ალბათ, მაგის ნებართვა დამჭირდება წყლის დასალევად, ღრრრ!

– შესაძლოა! – მიუგო ბაგირამ და თვალი თვალში გაუყარა, – შესაძლოა. ფუჰ, შერ-ხან, ნუთუ კვლავ ჩაიდინე სამარცხვინო საქმე?

კოჭლმა ვეფხვმა დრუნჩი და ყბები მდინარეში ჩაყო. წყალმა მოაშორა შავი, ქონიანი ლაქები და ტივტივით წაიღო.

– ერთი საათის წინ ადამიანი გამოვასალმე სიცოცხლეს! – კრუტუნითა და ღრენით, სასხვათაშორისოდ აღნიშნა შერ-ხანმა. მხეცები შეშინდნენ. გაისმა ჩურჩული, რომელიც გუგუნად იქცა.

– ადამიანი, ადამიანი მოუკლავს!

მერე ყველამ ჰატის გადახედა, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს არაფერი გაეგო.

ჰატის არ ახასიათებს ტყუილად თავის შეწუხება, სანამ ნამდვილად არ დადგება ამის დრო. ალბათ, მისი ხანგრძლივად სიცოცხლის საიდუმლოც ამაშია.

– როგორ შეიძლება ასეთ დროს ადამიანის მოკვლა?! ნუთუ მეტი ვერაფერი ნახე? – ამრეზით წარმოთქვა ბაგირამ, შელახული წყლიდან გამოვიდა და თათები კატასავით ცალ-ცალკე დაიბერტყა.

– შერჩევით მოვკალი და არა – შესაჭმელად!

აღშფოთებულმა ჩურჩულმა კვლავ მოიცვა მიდამო. ჰატიმ თავისი ჭკვიანი, ჰატარა, თეთრი თვალები შერ-ხანს მიაპყრო.

– დიახ, შევარჩიე, – განაგრძო შერ-ხანმა, – აქ კი წყალი უნდ დავლიო და განვიწმინდები. ხომ არავინ ფიქრობს ჩემს შეჩერებას?

ბაგირას ზურგი ქარში მოქანავე ბამბუკივით იდრიკებოდა. ჰატიმ ხორთუმი ასწია და წყნარად ჰკითხა:

– ესე იგი, რჩევით მოკალი? – როდესაც ჰატი კითხვას სვამს, უმჯობესია, უპასუხო.

– დიახ, ასეა, ეგ ჩემი უფლება იყო და ღამეც ჩემია. თქვენ ყველაზე უკეთ იცით ეს ამბავი, ო, ჰატი!

შერ-ხანი თავაზიანად საუბრობდა.

– დიახ, მე ვიცი, – მიუგო ჰატიმ და ხანმოკლე დუმილის შემდეგ განაგრძო. – საკმარისად დალიე?

– ამ ღამისთვის მეყოფა.

– მაშ, მიბრძანდი აქედან! მდინარე დასალევად არის და არა შესაბღალად. მხოლოდ კოჭლი ვეფხვი თუ დაიკვეხნის თავისი უფლებებით მაშინ, როცა ჩვენ ყველანი – ადამიანებიც და ჯუნგლელებიც – ერთად ვიტანჯებით.შერ-ხანო, სუფთავ თუ ბინძურო, შენი ბუნაგისაკენ წაეთრიე!

უკანასკნელი სიტყვები ვერცხლის საყვირის ხმასავით გაისმა. ჰატის სამმა შვილმა ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, მაგრამ საჭირო აღარ იყო; შერ-ხანმა ისე სწრაფად მოუსვა, რომ შეღრენაც ვერ გაბედა. მან ძალიან კარგად იცოდა ყველასთვის ცნობილი სიმართლე – ბოლოს და ბოლოს, ჰატი ჯუნგლის მმართველია.

– რა უფლებაზე საუბრობს შერ-ხანი? – მაუგლიმ ყურში წასჩურჩულა ბაგირას, – ადამიანის მოკვლა ყოველთვის სასირცხვილოა. ამას ბრძანებს კანონი. ჰატი კი ამბობს...

– თვითონ მას ჰკითხე. მე არ ვიცი, ძმობილო. არ ვიცი, რამდენად მაქვს ამის უფლება, მაგრამ, ჰატის რომ არაფერი ეთქვა, იმ კოჭლ ყასაბს ვუჩვენებდი სეირს. ადამიანის მოკვლისთანავე „მშვიდობის კლდესთან“ მოსვლა და ბაქიობა მხოლოდ ტურას საქმეა! მან წყალი წაახდინა!..

მაუგლიმ ცოტა შეისვენა, გამბედაობისთვის ძალა მოიკრიბა, რადგან ვერავინ ბედავდა სპილოსთვის პირდაპირ მიმართვას და შესძახა:

– ო, ჰატი, რა უფლება აქვს შერ-ხანს?

მაუგლის სიტყვებზე მდინარის ორივე ნაპირზე მყოფმა ცხოველებმა ყურები ცქვიტეს. ჯუნგლელები ძალიან ცნობისმოყვარენი არიან. ახლა კი ისეთი რამ გაიგეს, რასაც მხოლოდ ჩაფიქრებული ბალუ თუ მიხვდებოდა.

– ეს ძველისძველი ამბავია, – თქვა ჰატიმ, – ჯუნგლზე ძველიც კი. მშვიდად მომისმინეთ ორივე ნაპირიდან და მოგიყვებით ამ ამბავს.

ღორები და კამეჩები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა ჩოჩქოლი. მერე ჯოგების წინამძღოლებმა რიგ-რიგობით წაიბურტყუნეს:

– ჩვენ გელოდებით!

ჰატი დაწინაურდა, თითქმის მუხლებამდე შეტოპა გუბეში „მშვიდობის კლდესთან".

მართალია, ჰატი გამხდარი, დანაოჭებული და ეშვებჩაყვითლებული იყო, მაგრამ ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ჯუნგლელები იცნობდნენ თავიანთ მმართველს.

– თქვენ კარგად იცით, შვილებო, – დაიწყო მან, – რომ ჯუნგლელებს ყველაზე მეტად ადამიანის ეშინიათ.

თანხმობის შეძახილი გაისმა.

– ეს ამბავი შენ გეხება, ძმობილო, – გადაუჩურჩულა ბაგირამ მაუგლის.

– მეე?! მე ხომ ხროვას ვეკუთვნი, მე ხომ თავისუფალი მოდგმის ერთ-ერთი მონადირე ვარ, – მიუგო მაუგლიმ, – რა მესაქმება ადამიანთან?

– მაგრამ თქვენ არ იცით, ჯუნგლელებს რატომ ეშინიათ

ადამიანის! – განაგრძობდა ჰატი, – ამის მიზეზი შემდეგია: ჯუნგლის გაჩენის პირველ ხანებში ყველანი ერთად ვცხოვრობდით, ერთად დავდიოდით და ერთმანეთის არ გვეშინოდა. გვალვაც არ იცოდა მაშინ. ხეები ყვავილებს, ფოთლებსა და ხილს ისხამდა. ჩვენ მხოლოდ ბალახს, ფოთლებს, ხილის ყვავილებსა და ხის ქერქს.

– კიდევ კარგი, იმ დროს არ დავიბადე, – შენიშნა ბაგირამ, – ხის ქერქით მხოლოდ კლანჭებს თუ გაილესავ!

– ჯუნგლს მეთაურობდა ტჰა, პირველი სპილო. მან წყლის სიღრმეებიდან ხორთუმით ამოათრია ჯუნგლი. მიწაზე ეშვის გავლებით მდინარეები ამოადინა, ფეხის დაკვრით კი სასმელი წყლის გუბეები გააჩინა. როცა ის ხორთუმს ჩაჰბერავდა, ხეები ძირს ეცემოდა. აი, ასე შექმნა ტჰამ ჯუნგლი და ამგვარად გადმომცა ეს ამბავი მე.

– როგორ მისხალ-მისხალ გვიყვება ამბავს, – წაიჩურჩულა ბაგირამ და მაუგლიმ პირზე ხელის აფარებით შეიკავა სიცილი.

– იმ დროს არც ხორბალი იყო, არც ნესვი, არც პილპილი, არც შაქრის ლერწამი, არც ის პატარა ქოხები, ყველას რომ გინახავთ. ჯუნგლში არაფერი იცოდნენ ადამიანის შესახებ, მაგრამ ყველა ერთად ცხოვრობდა, ერთ მოდგმასავით. მიუხედავად იმისა, რომ საძოვარი ყველასათვის საკმარისი იყო, საჭმლის გამო მაინც მალე დაიწყო დავა. ისინი გაბარმაცდნენ, ყველას იქ უნდოდა ჭამა, სადაც იწვა, – როგორც ჩვენ გვჩვევია ხოლმე ახლა, უხვწვიმიანი გაზაფხულის დროს. ასე ქმნიდა სპილოთა უპირველესი წინაპარი ახალ ჯუნგლსა და მდინარეების კალაპოტს. ტჰას არ შეეძლო ყველაფრის გაძღოლა, ამიტომ ჯუნგლის მმართვე-

ლად დაადგინა ვეფხვების პირველი წინაპარი დანიშნა სწორედ მასთან უნდა გადაეწყვიტათ ჯუნგლელებს ნებისმიერი დავა. იმ დროს ვეფხვთა წინაპარი დანიშნა. ხილითა და ბალახით იკვებებოდა. ის ჩემსავით დიდი, ძლიერი და ლამაზი იყო.

ვეფხვს ტყავზე არანაირი ზოლი და წინწკლი არ ჰქონდა. ჯუნგლელები მასთან უშიშრად მიდიოდნენ და მისი სიტყვა მათთვის კანონი იყო. არ დაგავიწყდეთ, რომ მაშინ ყველა ჩვენგანი ერთი მოდგმისანი ვიყავით. მაგრამ ერთ ღამეს ორ ხარირემს ჩხუბი მოუვიდა საძოვრის გამო, რაც ახლაც ხშირად ხდება ხოლმე. ჰოდა, ამ დავიდარაბაში ერთმა მათგანმა იქვე, ყვავილებში მწოლიარე ვეფხვს რქები ამოჰკრა. ვეფხვს დაავიწყდა, ჯუნგლის მსაჯული რომ იყო, ეძგერა ხარირემს და კისერში გადატეხა. იმ ღამეს დაიღუპა პირველად ერთ-ერთი ჩვენგანი. ვეფხვი რომ მიხვდა, რა ჩაიდინა, სისხლის სუნით ტვინამღვრეული, ჩრდილოეთის ჭაობებისკენ გაიქცა; ჩვენ კი, უმსაჯულოდ დარჩენილი ჯუნგლელები, ერთმანეთს დავერიეთ. ამასობაში ტჰამ გაიგონა ხმაური და დაბრუნდა. ჩხუბის მიზეზი რომ იკითხა, ზოგმა რა უთხრა, ზოგმა – რა. მერე იქვე, ყვავილებში მკვდარ ხარირემს მოჰკრა თვალი და მკვლელის ვინაობა იკითხა. ჩვენ ვერ შევძელით თქმა, რადგან სისხლის სუნი მაშინაც ისევე გვირევდა გონებას, როგორც – ახლა. აქეთ-იქით დავრბოდით, წრეებს ვხაზავდით, ვყვიროდით და თავებს ვიქნევდით. მაშინ ტჰამ ჯუნგლის მსხმოიარე ხეებსა და ხასხასა ფოთლებს უბრძანა, რომ ხარირმის მკვლელისათვის ნიშანი დაედოთ, რათა ეცნო იგი. მერე იკითხა, ვინ იქნებოდა იმ დღიდან ჯუნგლელების

ბატონი. ამ დროს ხეებზე მცხოვრები რუხი მაიმუნი გამოხტა და თქვა: ამიერიდან ჯუნგლელების მსაჯული მე ვიქნებიო. ტჰას გაეცინა, დაე, ასე იყოსო და გაბრაზებული წავიდა. შვილებო, თქვენ ხომ იცნობთ რუხ მაიმუნს. მაშინაც ისეთივე იყო, როგორიც ახლაა; თავიდან ჭკვიანურად იქცეოდა, მაგრამ მალე დაიწყო ფხაკუნი, კაწვრა, ზევით-ქვევით ხტუნვა. როცა ტჰა დაბრუნდა, ნახა, რომ რუხი მაიმუნი თავით იყო დაკიდებული და ქვევით მყოფებს დასცინოდა; ისინიც იმავენაირად პასუხობდნენ. ასე დაირღვა ჯუნგლში კანონი, მხოლოდ სულელური საუბარი და უაზრო სიტყვები გაისმოდა. მაშინ ტჰამ ყველა ერთად შეგვკრიბა და მოგვმართა:

– ჯუნგლის პირველმა ბატონმა სიკვდილი მოგიტანათ, მეორემ – სირცხვილი. ახლა კი დროა, ისევ დამკვიდრდეს კანონი, რომელსაც ვეღარ დაარღვევთ. ამიერიდან შიში შეგიპყრობთ და როცა მას ჰპოვებთ, დანარჩენს თქვენ თვითონვე ნახავთ.

მაშინ ყველა ჯუნგლელმა ერთხმად ვიკითხეთ, რა იყო შიში. ტჰამ კი გვიპასუხა: ეძებეთ და იპოვითო. ჩვენც დავდიოდით ჯუნგლში წინ და უკან და ვეძებდით შიშს. მალე კი კამეჩებმა...

– უჰ! – წამოიძახა კამეჩების წინამძღოლმა მიზამ ქვიშიანი მეჩეჩიდან.

– დიახ, მიზა, სწორედ კამეჩებმა მოიტანეს ახალი ამბავი: შიში ჯუნგლის ერთ გამოქვაბულში ზის, ის უბალნოა და უკანა ფეხებზე დადისო. მაშინ ჩვენ, ჯუნგლელები, კამეჩთა ჯოგს გავყევით და ერთ გამოქვაბულს მივადექით. მის შესასვლელთან კი დავინახეთ შიში, რომელიც ზუს-

ტად ისეთი უბალნო და უკანა ფეხებზე მოსიარულე იყო, როგორც კამეჩებმა აღწერეს. დანახვისთანავე დაგვიყვირა. ჩვენ კი ისეთმა შიშმა შეგვიპყრო, რომელსაც ახლაც კი განვიცდით. უკანმოუხედავად გავიქეცით. ვასწრებდით და ვთელავდით ერთმანეთს, რადგან გვეშინოდა. და როგორც გადმოცემით ვიცი, იმ ღამეს ჯუნგლელები ერთად აღარ წოლილან, როგორც მიჩვეულნი იყვნენ იქამდე. ყველა ტომი თავისთვის განცალკევდა – ღორი ღორთან ერთად იყო, ირემი – ირემთან, რქა – რქასთან, ჩლიქი – ჩლიქთან, მოკლედ, მსგავსი მსგავსს მიეკედლა. ყველა კანკალებდა.

მხოლოდ ვეფხვთა უძველესი წინაპარი არ იყო ჩვენთან, ის კვლავ ჩრდილოეთის ჭაობებში იმალებოდა. როცა მან გამოქვაბულში მომხდარი ამბავი გაიგო, გადაწყვიტა, შიშთან წასულიყო და კისერი მოეგრიხა მისთვის. მთელი ღამე ირბინა, სანამ გამოქვაბულამდე მიაღწევდა. ხეებსა და სუროს არ დავიწყებოდათ ტჰას ბრძანება, ტოტები დაბლა დახარეს და გამოქვაბულისკენ მიმავალ ვეფხვს ნიშნები დაადეს. ისინი თავიანთ თითებს უსვამდნენ მას ყვითელ ტყავზე – ზურგზე, გვერდებზე, შუბლსა და ყბებზე. სადაც შეეხნენ, იმ ადგილას მაშინვე შავი ლაქა და ზოლი გაუჩნდა, რომელსაც დღესაც ატარებს ვეფხვთა შთამომავლობა. როდესაც მან გამოქვაბულს მიაღწია, უბალნო შიშმა ხელი გაიშვირა და დაუძახა: „აი ის ზოლიანი, რომელიც ღამღამობით მოდის!“ ვეფხვს ძალიან შეეშინდა უბალნოსი და კვლავ ჭაობებისკენ მოკურცხლა ღმუილით.

წყალში ნიკაპჩადებულმა მაუგლიმ ჩუმად ჩაიხითხითა.

– ვეფხვი ისეთ ხმაზე ღმუოდა, რომ ტჰამ გაიგონა და ჰკითხა: „რა გაწუხებსო? ვეფხვთა უძველესმა წინაპარმა

თავი აღაპყრო ახლადშექმნილი ცისკენ, რომელიც უკვე ასე დაძველდა, და მიუგო: „ო, ტჰა, დამიბრუნე ჩემი ძალა, მთელი ჯუნგლის წინაშე შევრცხვი, გავექეცი უბალნოს, რომელმაც სამარცხვინო სახელი მიწოდა“ „და რატომ?“ – ჰკითხა ტჰამ. „იმიტომ, რომ ჭაობის წუმპეში ამოვისვარე“, – მიუგო ვეფხვმა. „გასცურე და სველ ბალახზე გაგორდი, თუ ტალახია, აუცილებლად მოგშორდება“, – უთხრა ტჰამ. ვეფხვთა უძველესმა წინაპარმა იმდენი იცურავა და იგორა, სანამ თავბრუდახვეულს მთელი ჯუნგლი თვალწინ არ დაუტრიალდა, მაგრამ მის ტყავს არაფერი მოშორდა. ტჰა უყურებდა და იცინოდა. მაშინ ვეფხვმა იკითხა: „რა დავაშავე, რომ ასეთი ამბავი დამატყდა თავს?“ ტჰამ უპასუხა: „შენ მოკალი ხარირემი და ჯუნგლში შემოუშვი სიკვდილი, რასაც მოჰყვა შიში. ახლა ჯუნგლელებს ისე ეშინიათ ერთმანეთის, როგორც შენ – უბალნოსი“ ვეფხვთა უძველესმა წინაპარმა მიუგო: „მათ ჩემი არასოდეს შეეშინდებათ, რადგან დასაბამიდან მიცნობენ“ ტჰამ კი უთხრა: „წადი და გაიგებ!“ ვეფხვმა დაიწყო სირბილი ტყეში. ხმამაღლა ეძახდა ირემს, ღორს, სამბჰურს, მაჩვბღარბასა და სხვა ჯუნგლელებს, მაგრამ ყველანი გაურბოდნენ. ახლა ყველას ეშინოდა ვეფხვის, რომელიც ოდესღაც მათი მსაჯული იყო.

მაშინ ვეფხვთა უძველესი წინაპარი ქედმოხრილი დაბრუნდა ტჰასთან; თავს ძირს ურტყამდა, ოთხივე ტორით მიწას თხრიდა და ევედრებოდა: „გაიხსენე, რომ ერთ დროს ჯუნგლის ბატონი ვიყავი, არ დამივიწყო, ტჰა! დაე, ჩემს შვილებს ახსოვდეთ, რომ სირცხვილი და შიში ოდესღაც უცხო იყო ჩემთვის“. ტჰამ უთხრა: „ამ თხოვნას შეგისრუ-

ლებ, რადგან მე და შენ ჯუნგლის შექმნას შევესწარით. ყოველი წლის ერთ ღამეს შენთვის და შენი შვილებისთვის განმეორდება ის, რაც ხარირმის მოკვლამდე იყო. იმ ერთ ღამეს თუ შეხვდებით უბალნოს, რომელსაც ადამიანი ჰქვია, თქვენ არ შეგეშინდებათ მისი, მას კი შეეშინდება თქვენი, როგორც ჯუნგლის მსაჯულისა და ყველაფრის მპყრობელისა. შეიწყალე ადამიანი მისი შიშის ღამეს, რადგან შენ უკვე იცი, რა არის შიში"

მაშინ ვეფხვმა მიუგო, რომ კმაყოფილი იყო. მაგრამ, შემდეგ, როდესაც წყლის სმისას საკუთარ ტანზე ბოლები დაინახა, გაახსენდა, უბალნომ რა უწოდა და განრისხდა. ერთი წლის განმავლობაში ჭაობებში ცხოვრობდა და მოთმინებით ელოდა ტჰას დაპირების შესრულებას. ერთ ღამეს, როდესაც ჯუნგლი მთვარის ტურამ (საღამოს ვარსკვლავი) გაანათა, ვეფხვმა იგრძნო, რომ მისი ღამე მოახლოვდა და გამოქვაბულისკენ გასწია უბალნოსთან შესახვედრად. ზუსტად ის მოხდა, რასაც ტჰა დაჰპირდა: უბალნო მის წინაშე დაემხო და ასე ეგდო მიწაზე. ვეფხვმა მას ტორი დაჰკრა და ხერხემალში გადატეხა. ეგონა, მსგავსი არსება ერთადერთი იყო მთელ ჯუნგლში და თავისი ამგვარი საქციელით, მასთან ერთად შიშსაც მოსპობდა. როდესაც ვეფხვი მოკლულს ყნოსავდა, ხმაური შემოესმა. ეს ჩრდილოეთის ტყეებიდან მომავალი ტჰა იყო. მალე მოესმა სპილოთა უპირველესი წინაპრის ხმაც, ისეთი, როგორიც ჩვენ გვესმის ახლა... გადამხმარ და გადამჭკნარ გორაკებს ქუხილმა გადაუარა, მაგრამ მას წვიმა არ მოჰყვა, მხოლოდ ელვა გაიკლაკნა ზეცაში. ქედების გასწვრივ კვლავ სიცხის ბუღი იდგა. ჰატიმ განაგრძო:

– და ხმამ, რომელიც მოესმა, ვეფხვს ჰკითხა: „ეს არის შენი შეწყალება?“ ვეფხვმა ტუჩები გაილოკა და მიუგო: „რა მოხდა? მე შიში მოვკალი!“ ტჰამ უთხრა: „ო, ბრმავ და უგუნურო! შენ გზა გაუხსენი სიკვდილს და კვალში ჩაგიდგება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. შენ ასწავლე ადამიანს მკვლელობა“. ვეფხვთა უძველესი წინაპარი კი კვლავ იმავეს გაიძახოდა: „ის ხარირემივით იყო. შიში აღარ არსებობს. ახლა უკვე ძველებურად გავასამართლებ ჯუნგლელებს“ ტჰამ უპასუხა: „ჯუნგლელები შენთან აღარასდროს მოვლენ, შენს კვალს არავინ გადაჭრის, აღარავინ დაიძინებს შენს სიახლოვეს, შენი ბუნაგის მიმდებარედაც კი არავინ მოსძოვს ბალახს. მხოლოდ შიში იქნება შენი მუდმივი თანამგზავრი. უხილავი ძალა გაიძულებს მის ნება-სურვილზე იარო. ფეხებიდან მყარ ნიადაგს გამოგაცლის, კისერზე სუროს შემოგახვევს, გარშემო მაღალ ხეებს შემოგარტყამს, რომ ვერ გადახტე. ბოლოს კი ტყავს გაგაძრობს და თავის ლეკვებს შემოახვევს სიცივისგან დასაცავად. შენ არ შეიწყალე ადამიანი და არც ის შეგიწყალებს“.

ვეფხვი ძალიან შეუპოვრად გრძნობდა თავს, მისი ღამე ჯერ არ დასრულებულიყო. და მან თქვა: „ტჰას პირობა პირობაა. ჩემს ღამეს ხომ არ წამართმევს?“ ტჰამ უპასუხა: „როგორც გითხარი, ეს ერთი ღამე შენია, მაგრამ ფასი უნდა გადაიხადო. შენ ადამიანს მოკვლა ასწავლე, ის კი ნამდვილად არ არის ცუდი ამთვისებელი“

უპირველესმა ვეფხვმა განაცხადა: „ის აქ არის, ჩემ ფეხქვეშ, წელგადატეხილი. დაე, ჯუნგლმა იცოდეს, რომ მე შიში მოვკალი“

ტჰამ გაიცინა და მიუგო: „შენ მრავალთაგან ერთი მოკა-

ლი მხოლოდ და ამას შენ თვითონ ეტყვი ჯუნგლს, რადგან შენი ღამე დასრულდა“.

გათენდა თუ არა, გამოქვაბულიდან გამოვიდა მეორე უბალნო, რომელმაც ბილიკზე დაინახა მოკლული ამხანაგი და მის თავს წამომდგარი ვეფხვთა უძველესი წინაპარი. უბალნომ ხელში წვეტიანი ჯოხი აიღო.

– ახლა მჭრელ რაღაცას გესვრის, – თქვა იკკიმ და ნაპირზე გაშრიალდა. მაჩვზღარბა არაჩვეულებრივ საჭმელად ითვლებოდა გონდებს[1] შორის. ისინი მას ჰოიგუს უწოდებდნენ. იკკის სმენოდა ჰატარა, ბოროტი გონდური ნაჯახის შესახებ, რომელიც მინდორში ჭრიჭინასავით ჭრიალებს.

– ის ისეთივე წვეტიანი ჯოხი იყო, როგორსაც ირმის მახის ძირში ათავსებენ, – თქვა ჰატიმ, – უბალნომ ეს ჯოხი ვეფხვთა უძველეს წინაპარს ესროლა. ჯოხი მას გვერდში ღრმად ჩაესო. ზუსტად ისე მოხდა, როგორც ტჰამ იწინასწარმეტყველა. ვეფხვმა კი იმდენი ირბინა ჯუნგლში აღმა-დაღმა, სანამ ჯოხი არ გამოუვარდა. მთელმა ჯუნგლმა გაიგო, რომ უბალნოს შორიდან მიზანში სროლა შეეძლო და უფრო შეშფოთდა. ასე იყო თუ ისე, სწორედ ვეფხვთა პირველმა წინაპარმა ასწავლა ადამიანს მკვლელობა. თქვენ კი კარგად მოგეხსენებათ, რა ზიანიც მოუტანა ამან მთელ ჩვენს მოდგმას. გაჩნდა ორმო, ხაფანგი, მფრინავი ჯოხი, მწველი ბუზი, რომელიც თეთრი კვამლიდან გამოდის (ჰატი თოფს გულისხმობდა) და წითელი ყვავილი, რომელიც ასე გვაშფოთებს. ტჰას დაპირებისამებრ, წელიწადში მხოლოდ ერთ ღამეს ეშინია უბალნოს ვეფხვის და ეს უკანასკნელი არასოდეს ღალატობს საკუთარ

[1] გონდები – ცენტრალურ ინდოეთში მცხოვრებ ხალხთა და ტომთა კრებითი სახელი.

თავს: სადაც კი თავს წაადგება იმ ღამეს უბალნოს, ბოლოს უღებს; ახსოვს, როგორ შერცხვა ვეფხვთა უძველესი წინაპარი. დანარჩენ დროს კი შიში დახეტიალო ჯუნგლში აღმა-დაღმა.

– აჰი! აოო! – წარმოთქვეს ირმებმა და წარმოიდგინეს, რას ნიშნავდა ყოველივე ეს მათთვის.

– მხოლოდ ერთ ღამეს ეშინია ადამიანს ვეფხვის? – იკითხა მაუგლიმ.

– მხოლოდ ერთ ღამეს. – მიუგო ჰატიმ.

– მაგრამ მე... ჩვენ... მთელმა ჯუნგლმა იცის, რომ შერხანი ორჯერ ან სამჯერ კლავს ადამიანს ერთი მთვარის განმავლობაში.

– ასეა, მაგრამ მაშინ ის ზურგიდან ახტება და, როცა ტორს ჰკრავს, თავს გვერდზე აბრუნებს, რადგან ეშინია. თუ ადამიანი შეხედავს, ის მაშინვე გარბის. თავის ღამეს კი ის მოურიდებლად შედის სოფელში, დაწანწალებს სახლებს შორის, თავს ჰყოფს კარებში. ადამიანები ამ დროს მიწაზე ემხობიან. იმ ღამეს ის მხოლოდ ერთ კაცს კლავს.

„ოჰ! – თავისთვის გაიფიქრა მაუგლიმ და წყალში გადატრიალდა. – ახლა ვხვდები, რატომაც მიბრძანა შერხანმა, შემომხედეო. ალბათ, სასიკეთო ვერაფერი ნახა, რადგან თვალი ვერ გამიშტერა. მე კი... მე, რა თქმა უნდა, მის ფეხებთან არ განვერთხე. მაგრამ მე ხომ არ ვარ ადამიანი, მე თავისუფალ მოდგმას ვეკუთვნი"

– უმმ! – მთელი ხმით წამოიღრიალა ბაგირამ და იკითხა: – ვეფხვმა იცის თავისი ღამე?

– არა, არ იცის, სანამ მთვარის ტურა მკაფიოდ არ გამოჩნდება საღამოს ნისლში. ვეფხვის ღამე ხან მშრალ ზაფხულშია, ხან კი წვიმების დროს უწევს. ვეფხვთა უძველესი

წინაპარი რომ არ ყოფილიყო, ეს არასოდეს მოხდებოდა და არცერთ ჩვენგანს არ ეცოდინებოდა შიშის შესახებ.

ირემმა სევდიანად ჩაიფრუტუნა. ბაგირას ტუჩებზე გესლიანმა ღიმილმა გადაურბინა და კვლავ იკითხა:

– ადამიანებმა თუ იციან ეს ამბავი?

– არავინ იცის, მხოლოდ ვეფხვებმა და ჩვენ, ტჰას შთამომავალმა სპილოებმა ვიცით. ახლა კი თქვენ, გუბეებთან მყოფებმაც გაიგეთ და მეც დავასრულე ამბის მოყოლა.

ჰატიმ ხორთუმი ჩაყო წყალში იმის ნიშნად, რომ საუბარი აღარ სურდა.

– მაგრამ... მაგრამ... მაგრამ, – დაიწყო მაუგლიმ და ბალუს მიუტრიალდა, – რატომ არ განაგრძო ვეფხვთა უძველესმა წინაპარმა ბალახისა და ფოთლის ჭამა? მართალია, მან კისერი მოუგრიხა ხარირემს, მაგრამ ხომ არ შეუჭამია? რამ აიძულა ახალი ხორცის ჭამა დაეწყო?

– ხეებმა და სურომ მას დაღი დაასვეს, ჰატარა ძმობილო, და იმ ბოლებიან არსებად გადააქციეს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. ამიტომაც მათ ნაყოფს აღარასდროს გაკარებია და იმ დღიდან ჯავრს ირმებსა და ბალახის სხვა მჭამელებზე იყრის, – მიუგო ბალუმ.

– გამოდის, შენც გცოდნია ეს ამბავი. რატომ ერთხელ მაინც არ მიამბე?

– იმიტომ, რომ ჯუნგლი სავსეა მსგავსი ამბებით. რომ დავიწყო, ალბათ, ვერასოდეს დავასრულებ. ყურზე ხელი გამიშვი, ჩემო ძმობილო!

ჯუნგლის კანონები

წარმოდგენა რომ გქონდეთ ჯუნგლის კანონის მრავალფეროვნებაზე, ლექსად გითარგმნეთ მგლებისათვის სავალდებულო რამდენიმე კანონი (ბალუ ყოველთვის სიმღერით ყვებოდა ამ კანონებს). რასაკვირველია, ჯუნგლს ასობით კანონი აქვს; თქვენ კი იმათ გაგაცნობთ, რომლებიც უფრო მარტივია.

ეს არის ჯუნგლის კანონი, ძველი, ცასავით სუფთა,
დიდება იმ მგელს, ვინც იცავს, ვინც – არა,
დასჯა უნდა.

კანონი მხოხავ სუროს ჰგავს, დაჰქრის,
ჩვენთანაც მოვა,
ხროვას მგელი და მგელს კიდევ, ეიმედება ხროვა.

ყოველდღე უნდა იბანო, დალიო ცოტა წყალი,
მოინადირე ღამით და დღე მოასვენე თვალი.

ვეფხვის ნასუფრალს მიირთმევს ტურა,
ნადირობს მგელი,
ლეკვო, მიხედე შენს თავს და სხვისგან
ნურაფერს ელი.

არ შეაწუხო ჯუნგლელი – ვეფხვი, ავაზა, დათვი,
გარეულ ღორსაც ერიდე, არ განარისხო ჰატი.

თუკი უეცრად შენს ხროვას გზად შეეჩეხნენ სხვები,
ხელმძღვანელობას მიანდე, არ დაუშინოთ ქვები.

და მაინც, თუკი შენს ხროველ მგელთან მოგიწევს
ბრძოლა,
ეცადეთ, სხვა არ ჩარიოთ და მოაგვარეთ ორმა.

მგელს როგორც უნდა, მოაწყობს თავის სოროს და
ბუნაგს,
იქ ვერც მეუფე შეაღწევს, ვერც საბჭოს წევრი
თუნდაც.

თავშესაფარის მოწყობა მას შეუძლია მალე,
და თუკი საბჭო უბრძანებს, ადგილს გამოცვლის
ხვალვე.

თუ შუაღამით ნადირობ, არ გაღვიძო სხვები,
და ისე მოინადირე, არ აშიმშილო ძმები.

თუკი მოგშივდა, ადექი, თან გაიყოლე ბელიც,
ტყეილა მხეცი არ მოკლა, კაცს არ შეახო ხელი.

სუსტს სულ მთლად ნუკი გაძარცვავ და ნუ
იქნები ავი,
კანონის შესაბამისად, უბოძე კუდი, ტყავი.

რამდენიც გინდა მიირთვი, ხროვის ნადავლი იქვე,
ბუნაგში წაცუნცულება მკაცრად ისჯება მყისვე.

მგელის მოკლული მგლისაა, არ დააკარო ხელი,
მისი ნებართვის გარეშე ჭამას ამაოდ ელი.

მხოლოდ ლეკვსა აქვს უფლება, მიირთვას
რაც კი უნდა,
უარს ვერ ეტყვის ვერავინ, სულ გადასანბსლოს
თუნდაც.

ბუნაგს განაგებს ძუ მგელი, ოჯახის წევრებს
ხედავს,
ნანადირევის ნაწილი მუდამ ეკუთვნის დედას.

მამის ვალია, ნადირი მოინადიროს კარგი,
ხელს ვერვინ ახლებს ვერასდროს, მხოლოდ
საბჭო თუ დასჯის;

ეგეც იმიტომ, თუ სადმე გამოაჩინა ავი,
კანონი არის კანონი, უნდა შეწირო თავი.

აი, ასეთი წესები ჯუნგლს გააჩნია ხედავთ,
მთავარი მისი დაცვაა, ეს უნდა შევძლოთ
ერთხმად.

„ვეფხვი, ვეფხვი!“

– მონადირევ, რა ხდება? გმირობით ხარ ქებული,
– გავიყინე ძალიან, დავრჩი გაწამებული.
– აბა, რა ინადირე, დამანახე, სად არის?
– ძმაო, ყველა გამექცა, ჯუნგლში ჰპოვა საფარი.
– სად წავიდა სიმტკიცე, თავი რითაც მოგქონდა?
– ყველაფერმა დამტოვა, რაც ვიყავი, რაც მქონდა.
– აბა, სად მიიჩქარი, სწრაფად საით გარბიხარ?
– ჩემს ბუნაგში ვიქნები, აღარაფრად ვვარგივარ.

დავუბრუნდეთ პირველ ამბავს. საბჭოს კლდესთან მომხდარი ჩხუბის შემდეგ, მაუგლიმ მგლების გამოქვაბული დატოვა და გასწია ხნულებისაკენ, სადაც სოფლელები ცხოვრობდნენ, მაგრამ იქაც არ გაჩერდა, რადგან ჯუნგლის სიახლოვეს იყო. მან კარგად იცოდა, რომ საბჭოში მტრები ჰყავდა. ამიტომ ჩქარობდა და უსწორმასწორო გზით ხეობისაკენ დაეშვა, ოციოდე მილი გაიარა და უცნობ სოფელს მიადგა. ხეობა გადაიშალა კლდეებითა და ხეებით დასერილ ფართო ველზე. ველის ერთ ბოლოში პატარა სოფელი მდებარეობდა, მეორე მხარეს კი ხშირი ჯუნგლი ეშვებოდა საძოვრებისკენ და ისე უცებ წყდებოდა, იფიქრებდით, ვიღაცამ დიდი თოხით თუ ჩამოჭრაო. მინდორში საქონელი და კამეჩები ძოვდნენ. პატარა მწყემსებმა თვალი მოჰკრეს თუ არა მაუგლის, ყვირილით გაიქცნენ. ყეფა ატეხეს ინდოეთის სოფლებში მოხეტიალე ყვითელმა ძაღლებმა. მაუგლიმ გააგრძელა სიარული, თან საშინლად შიოდა. როდესაც სოფელს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ეკლიანი ღობე, რომლითაც შებინდებისას სოფლის

შესასვლელს ხერგავდნენ ხოლმე, განზე იყო გაწეული.

– უჰ! – წარმოთქვა მან. ის არაერთხელ გადაჰყრია „მსგავს დაბრკოლებას ღამღამობით საკბილოს ძებნისას. – გამოდის, რომ ჯუნგლის ბინადრების ეშინიათ ადამიანებს.

მერე ერთ-ერთი სახლის კართან ჩამოჯდა. როდესაც იქიდან ვიღაც კაცი გამოვიდა, მაუგლი წამოდგა და პირი გააღო, ნიშნად იმისა, რომ შიოდა. კაცმა თვალები ჭყიტა, გაიქცა და მღვდელს დაუძახა. მღვდელი დიდი, მსუქანი, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი იყო, შუბლზე წითელ-ყვითელი ნიშნები ჰქონდა. კართან მღვდელთან ერთად თავი მოიყარა ასიოდე კაცმა, რომლებიც თვალებს ქაჩავდნენ, საუბრობდნენ, ყვიროდნენ და მაუგლიზე მიუთითებდნენ.

– რა ცუდი ქცევის ყოფილან ადამიანები, – ჩაილაპარაკა თავისთვის მაუგლიმ, – მათსავით მხოლოდ რუხი მაიმუნები თუ მოიქცევიან. – მერე გრძელი თმა უკან გადაიყარა და შემოკრებილ ბრბოს შეუბღვირა.

– რისი გეშინიათ? – იკითხა მღვდელმა, – შეხედეთ ნიშნებს მის მკლავებსა და ფეხებზე, ეს მგლების ნაკბენებია. მგლებს დაუკბენიათ. ეს ხომ ჯუნგლიდან გამოქცეული მგლის ლეკვია!

მართალია, თამაშისას ლეკვები ხშირად გაჰკრავდნენ ხოლმე კბილს მაუგლის, რის გამოც ბიჭს მკლავები და ფეხები სულ თეთრი ნაიარევით ჰქონდა დაფარული, მაგრამ მაუგლი, რომელმაც კარგად იცოდა ნამდვილი კბენის მნიშვნელობა, ამას სერიოზულად არ აღიქვამდა.

– არრე, არრე! – ერთად წამოიძახა ორმა თუ სამმა დედაკაცმა, – საწყალი ბავშვი, როგორ დაუკბენიათ მგლებს.

რა ლამაზი ბიჭია, ცეცხლივით უკვესავს თვალები. მესუა, ვფიცავ, ვეფხვის მიერ გატაცებულ შენს ბიჭს ჰგავს.

– აბა, შემახედეთ! – თქვა ერთმა ქალმა, რომელსაც მაჯებსა და კოჭებზე სპილენძის მძიმე რგოლები ეკეთა. მან სახე ხელის გულით მოიჩრდილა და მაუგლის ჩააცქერდა, – რასაკვირველია, ის არ არის, ცოტა უფრო გამხდარია, მაგრამ ნამდვილად ჰგავს ჩემს ბიჭს.

მღვდელი ჭკვიანი კაცი იყო, იცოდა, რომ მესუა სოფლის უმდიდრესი მაცხოვრებლის ცოლი იყო. მან ცისკენ აღაპყრო თვალები და ამაღელვებლად წარმოთქვა:

– ჯუნგლის წაღებულს ჯუნგლივე გიბრუნებს. წაიყვანე ბიჭი სახლში, ჩემო დაო, და ნუ დაივიწყებ, პატივი სცე მღვდელს, რომელიც ასე ღრმად სჭვრეტს ადამიანთა ცხოვრებას.

– ვფიცავ ჩემს გამომსყიდველ ხარს, – თავისთვის ჩაილაპარაკა მაუგლიმ, – რომ ეს ყველაფერი ხროვაში გასინჯვას მაგონებს. თუ ადამიანი ვარ, დაე, ვიყო ადამიანი.

ხალხი მაშინვე დაიშალა, როგორც კი ქალმა მაუგლი შეიყვანა თავის ქოხში, სადაც იდგა: წითელი, პრიალა საწოლი, უცნაური სახეებით გაფორმებული უზარმაზარი სკივრი მარცვლეულისთვის და ექვსიოდე სპილენძის ქვაბი. კედელზე ეკიდა ნამდვილი სარკე, სწორედ ისეთი, როგორსაც სოფლის ბაზრობაზე ყიდიან ხოლმე; პატარა ფანჩატურში კი ინდოელთა კერპი აღემართათ.

ქალმა რძე და პური გაუწოდა ბიჭს, მერე თავზე ხელი გადაუსვა და თვალებში ჩახედა, თან ფიქრობდა, იქნებ, მართლა დამიბრუნდა ვეფხვის მიერ ჯუნგლებში გატაცებული ჩემი ბიჭიო. ბოლოს კი ხმამაღლა თქვა: – ნატუ, ო, ნატუ! – მაუგლიმ არ შეიმჩნია, რომ ქალმა მისთვის ნაც-

ნობი სახელი წარმოთქვა. – ნუთუ, აღარ გახსოვს ის დღე, ახალი ფეხსაცმელი რომ მოგიტანე? – და ქალი ხელით მის გაუხეშებულ ტერფს შეეხო. – არა, – სევდიანად განაგრძო მან, – ამ ფეხებს არასოდეს სცმია ფეხსაცმელი. მაგრამ ჩემს ნატუს ძალიან ჰგავხარ და დღეიდან ჩემი ბიჭი იქნები.

მაუგლი უხერხულად იყო, რადგან აქამდე არასოდეს ყოფილა ჭერქვეშ. ჩალის სახურავს ახედა და მიხვდა, რომ მისი გარღვევა არ გაუჭირდებოდა, თუკი გაქცევას დააპირებდა, ისიც შენიშნა, რომ არც ფანჯრებს ჰქონდა საკეტები.

„რაში გამოსადეგია ადამიანი, თუ მას ადამიანთა საუბარი არ ესმის? ახლა მე ისეთივე უჭკუო და მუნჯი ვარ, როგორც ადამიანი იქნებოდა ჯუნგლში. აუცილებლად უნდა ავლაპარაკდე ამათ ენაზე“

ჯუნგლში, მგლებთან ყოფნისას, მაუგლიმ ისწავლა ირმების ძახილისა და გარეული გოჭების ღრუტუნის მიბაძვა და ეს მისთვის გართობა არ ყოფილა. სწორედ ასევე, როგორც კი მესუა სიტყვას წარმოთქვამდა, მაუგლი მოხერხებულად ბაძავდა ქალს და დაბნელებამდე მან უკვე ქოხში არსებული მრავალი საგნის სახელი ისწავლა.

დაძინებისას ჰატარა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი: მაუგლის ცოცხალი თავით არ უნდოდა ავაზას ხაფანგს მიმსგავსებულ საგანზე ძილი, ამიტომ, როდესაც კარი ჩაკეტეს, ის ფანჯრიდან გადაძვრა.

– გაუშვი, რაც უნდა, ის ქნას, – უთხრა მესუას ქმარმა, – იქნებ აქამდე არასოდეს სძინებია საწოლში. თუკი ნამდვილად ჩვენი ბიჭის ნაცვლად არის მოვლენილი, არ გაიქცევა.

მაუგლი მინდვრის ბოლოში მაღალ, სუფთა ბალახში გაიშხლართა, მაგრამ, სანამ თვალს დახუჭავდა, ვიღაცის რბილი, რუხი დინგი იგრძნო ნიკაპქვეშ.

– ფუჰ! – წამოიძახა მაუგლის რუხმა ძმამ (დედა მგლის ლეკვებს შორის ის ყველაზე უფროსი იყო), – სულ ტყუილად გდიე ოცი მილის მანძილზე. ბოლის და საქონლის სუნი აგდის, ისე, როგორც ადამიანს. გაიღვიძე, პატარა ძმობილო, ახალი ამბავი მაქვს შენთვის.

– ჯუნგლში ხომ ყველა კარგადაა? – ჰკითხა მაუგლიმ და გადაეხვია.

– კი, ყველა კარგადაა, გარდა იმ მგლებისა, რომლებიც წითელმა ყვავილმა დაწვა... მომისმინე, შერ-ხანი შორს წავიდა სანადიროდ. ბალნის წამოზრდამდე არ დაბრუნდება. ის ხომ ყველაზე მეტად დაბიანდა. დაიფიცა, რომ დაბრუნებისას შენს ძვლებს უაინგუნგში დააწყობს.

– ეს დარწმუნებით არავინ იცის. მეც დავდე პირობა. თუმცა კი, ახალი ამბები ყოველთვის კარგია. ძალიან დავიღალე ამაღამ, დამქანცა ამდენმა სიახლემ, რუხო ძმობილო. მაგრამ ახალი ამბები ყოველთვის გამაგებინე.

– ხომ არასდროს დაივიწყებ, რომ მგელი ხარ? ადამიანები ხომ ვერ შეძლებენ, რომ ეს დაგავიწყონ? – აღელვებით ჰკითხა რუხმა ძმამ.

– არასოდეს. ყოველთვის მემახსოვრებით და მეყვარებით – შენც და ჩვენს გამოქვაბულში მცხოვრები სხვა მგლებიც. მაგრამ ისიც სულ მემახსოვრება, რომ ხროვიდან გამაძევეს.

– სხვა ხროვიდანაც შეიძლება გაგაძევონ, ჩემო კარგო. ადამიანები მხოლოდ ადამიანები არიან, პატარა ძმობილო.

მათი საუბარი გუბეში მოყიყინე ბაყაყებივითაა. ანი რომ მოვალ, საძოვრის ბოლოში, ბამბუკებთან დაგელოდები.

იმ ღამის შემდეგ, სამი თვის განმავლობაში, მაუგლის თითქმის არ დაუტოვებია სოფელი. ის დაკავებული იყო ადამიანთა ზნე-ჩვეულებების შესწავლით. თავდაპირველად, რაღაც ტანსაცმელი უნდა ჩაეცვა, რაც საშინლად აბრაზებდა. მერე ფულს უნდა გასცნობოდა, რომლის დანიშნულებასაც ვერაფრით ხვდებოდა. უნდა შეესწავლა ხვნა-თესვა, რასაც სრულიად უსარგებლო საქმედ მიიჩნევდა. ამასთან, სოფლის ბავშვებიც ძალიან აბრაზებდნენ. საბედნიეროდ, ჯუნგლის კანონმა თავდაჭერა ასწავლა, რადგან ჯუნგლში საჭმლის მოპოვება, და თვით ცხოვრებაც თავდაჭერაზეა დამოკიდებული. როცა ბავშვები დასცინოდნენ იმის გამო, რომ მათთან არ თამაშობდა, ფრანებს არ აფრენდა ან სიტყვებს ვერ გამოთქვამდა სწორად, მაუგლი ითმენდა აბუჩად აგდებას და ჩუმად იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანის პატარა ლეკვების ხოცვა ვაჟკაცურ საქმედ არ მიაჩნდა. ამასთან, მან თვითონაც არ იცოდა, რამდენად ძლიერი იყო. ჯუნგლში ყოფნისას ხვდებოდა, რომ მხეცებთან შედარებით სუსტი იყო. სოფლის მცხოვრებლები კი ამბობდნენ, მაუგლი ხარივით ღონიერიაო.

მაუგლის არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა სხვადასხვა კლასის ადამიანებს შორის განსხვავებაზე. როდესაც მექოთნის ვირი თიხის ორმოში ჩავარდა, მაუგლიმ ის კუდით ამოათრია; მერე კი პატრონს მიეხმარა – ჩააწყობინა ქოთნები, რომლებიც მას ჰანჰივარის ბაზარში უნდა წაეღო. ეს ძალიან აღმაშფოთებელი ამბავი იყო, რადგან მექოთნე დაბალი ფენის წარმომადგენელია, ვირი – კიდევ

უფრო უარესი. როდესაც მღვდელმა მაუგლი დატუქსა, ბიჭი დაემუქრა, რომ მასაც ვირზე შესვამდა. მღვდელმა მესუას ქმარს ურჩია, რაც შეიძლება სწრაფად მოენახა მაუგლისთვის სამუშაო. მეორე დღეს სოფლის მამასახლისმა უთხრა მაუგლის, რომ კამეჩები გაერეკა საძოვრად და ემწყემსა ისინი. ამ ამბით მაუგლიზე მეტად ვერავინ გაიხარა.

იმავე ღამეს მაუგლი, როგორც სოფლის ერთ-ერთი მსახური, შეუერთდა იმ წრეს, რომელიც ყოველ საღამოს იყრიდა თავს ქვის ბაქანზე, უზარმაზარი ლეღვის ძირში. ეს გახლდათ სოფლის კლუბი, სადაც იკრიბებოდნენ: მამასახლისი, ღამის დარაჯი, დალაქი, რომელმაც სოფლის ყველა ჭორი იცოდა, მოხუცი ბულდეო – სოფლის მონადირე ძველი თოფით მხარზე. შეჯგუფებული ხალხი ჩიბუხს აბოლებდა. ზემოთ ტოტებში მაიმუნები ერთობოდნენ. ბაქნის ქვეშ, ორმოში, ცხოვრობდა დიდი კობრა, რომელსაც ყოველ საღამოს აწვდიდნენ ერთ ფინჯან რძეს, რადგან წმინდა ცხოველად ითვლებოდა. მოხუცები ხის გარშემო ისხდნენ, საუბრობდნენ და ჰუკას (ყალიონს) ეწეოდნენ შუაღამემდე. ისინი ყვებოდნენ გასაოცარ ამბებს ღმერთებზე, ადამიანებსა და მოჩვენებებზე. ბულდეო კიდევ ისეთ საკვირველ ამბებს ყვებოდა ჯუნგლის მხეცებზე, რომ ირგვლივ ჩამწკრივებულ ბავშვებს გაოცებისგან თვალები შუბლზე ასდიოდათ. ზღაპრის გმირები უმეტესად ცხოველები იყვნენ. ჯუნგლი ხომ ძალიან ახლოს იყო მათთან – ირემი და გარეული ღორი ნათესებს აფუჭებდა, ვეფხვი კი თვალსა და ხელშუა იტაცებდა ადამიანებს შებინდებისას.

მაუგლი, რომლისთვისაც ჯუნგლი ძალიან ახლობელი იყო, თავს ძლივს იკავებდა სიცილისაგან და მხრები უკრთო-

და, როცა ბულდეო ერთი საოცარი ამბიდან მეორეზე გადადიოდა.

ბულდეო ჰყვებოდა, რომ მესუას ბიჭის გამტაცებელი იყო მოჩვენება-ვეფხვი, რომლის სხეულშიც რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი, ბოროტი მოხუცი მევახშე სახლობდა.

– დანამდვილებით ვიცი, რომ ეს სიმართლეა, – განაგრძობდა ბულდეო, – მევახშე ჰიურან დასი დაკოჭლდა, როცა თავდასხმისას სცემეს და საანგარიშო წიგნები დაუწვეს. ის ვეფხვიც, რომელზეც ვსაუბრობ, კოჭლია, რადგანაც მისი ნაკვალევი არათანაბარია!

– მართალია, მართალი, წყალი არ გაუვა ამ ამბავს! – ამბობდნენ ჭაღარაწვერიანები და ერთდროულად აქნევდნენ თავებს.

– ნუთუ ბულდეოს მიერ ნაამბობი დანარჩენი ამბებიც ასეთივე აბდაუბდაა? – წარმოთქვა მაუგლიმ, – ყველამ იცის, რომ ეს ვეფხვი დაბადებიდან კოჭლია. სისულელეა იმაზე საუბარი, რომ მევახშის სული ჩაუსახლდა მხეცს, რომელიც ტურაზე უფრო მშიშარაა.

ბულდეო განცვიფრებისგან შედგა, მამასახლისმაც თვალები ჭყიტა.

– ოჰო, ეს ჯუნგლიდან მოსული გლახა საუბრობს, ხო? – ამოთქვა ბულდეომ, – თუკი შენ ასეთი ჭკვიანი ხარ, უმჯობესია, შერ-ხანის ტყავი ჰანჰივარში წაიღო, რადგან მთავრობამ მისი სიცოცხლე ას რუპიად შეაფასა. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, უფროსების საუბარში თუ არ ჩაერევი.

მაუგლი წასასვლელად მოემზადა. – მთელი საღამოა აქ ვწევარ და გისმენთ, – გასძახა მან, – და ერთი-ორი სიტყვის გარდა, ბულდეოს სიმართლის ნატამალი არ უთქვამს

ჯუნგლზე, რომელიც აქვეა. ამის შემდეგ, როგორ შეიძლება დავიჯერო მისი ზღაპრები სულებზე, ღმერთებსა და ქაჯებზე, რომლებიც, ვითომ საკუთარი თვალით უნახავს?

– ბიჭის მწყემსობის დროა, – თქვა მამასახლისმა, სანამ მაუგლის თავხედობით აღელვებული ბულდეო ქოშინებდა და ფრუტუნებდა.

ინდოეთის სოფლებისთვის ჩვეულებრივია, რომ ბიჭები საქონელსა და კამეჩებს დილაადრიან მიერეკებიან საძოვარზე, უკან კი ღამით ბრუნდებიან. იგივე საქონელი, რომელიც სასიკვდილოდ თელავს თეთრკანიანს, ცემას, დაბრიყვებასა და ყვირილს ითმენს იმ ბავშვებისაგან, ცხვირამდეც რომ ვერ სწვდებიან პირუტყვს. ნახირთან ყოფნისას საშიში არაფერია, რადგან საქონლის შეტევას ვეფხვიც კი ვერ უმკლავდება, მაგრამ თუ მწყემსები გაიფანტნენ ყვავილების საკრეფად და ხვლიკებზე სანადიროდ, ხანდახან ნადირი იტაცებს მათ.

უშველებელ, მონაცრისფრო-მოლურჯო კამეჩ რამაზე შემომჯდარი მაუგლი სოფლის შარას მიუყვებოდა. დაგრეხილრქებიანი და მკაცრთვალება კამეჩები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ სადგომებიდან და მიჰყვებოდნენ რამას. მაუგლიმ აშკარად აგრძნობინა მასთან მყოფ ბიჭებს, რომ ამიერიდან მათ შორის უფროსი ის იქნებოდა. მაუგლიმ გრძელი, გაპრიალებული ბამბუკის სახრე გადასცხო კამეჩებს და ერთ-ერთ მწყემს ბიჭს, კამიას, უბრძანა, საქონელს გაჰყოლოდა და არ ჩამოშორებოდა ნახირს მანამ, სანამ თვითონ კამეჩებს გარეკავდა.

ინდოეთის საძოვრები ჯაგნარ-ბუჩქნარით დაფარული კლდეები და ხეობებია, სადაც ხშირად იფანტებიან და

უჩინარდებიან მენახირეები. კამეჩები, ჩვეულებრივ, გუბეებსა და ტალახიან ადგილებს ეტანებიან – გორაობენ და მზეს ეფიცხებიან ლაფში ჩაწოლილები. მაუგლიმ ისინი მინდვრის ბოლოში გარეკა, სადაც მდინარე უაინგუნგი გამოდის ჯუნგლიდან. მერე რამას კისრიდან ჩამოხტა და გაემართა ბამბუკებისკენ, სადაც რუხი ძმა იპოვა.

– ოჰ, – წამოიძახა რუხმა ძმამ. – რამდენი დღეა, აქ გელოდები. რატომ მწყემსავ ნახირს?

– ასე მიბრძანეს, – მიუგო მაუგლიმ, – სოფლის მწყემსი ვარ დროებით. ახალი ხომ არაფერი იცი შერ-ხანზე?

– ჩვენს მხარეში დაბრუნდა და დიდხანს გელოდა, ახლა ისევ წავიდა, რადგან ვერ ინადირა. შენი მოკვლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

– გასაგებია, – მიუგო მაუგლიმ, – სანამ ის წასულია, შენ ან რომელიმე ძმა თქვენი ოთხეულიდან ამ კლდეზე ისე დასხედით, რომ სოფლიდან გამოსვლისას დაგინახოთ. როდესაც შერ-ხანი დაბრუნდება, შუა მინდორში, დაკის ხესთან დამხვდი – ხევის მახლობლად. სულაც არ გვჭირდება, შერ-ხანის ლუკმები გავხდეთ.

მერე მაუგლიმ ჩრდილიანი ადგილი ამოარჩია, წამოწვა და, სანამ კამეჩები ძოვდნენ, ეძინა. მწყემსობა ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ზოზინა საქმეა. საქონელი მოძრაობს, ძოვს, წვება, კვლავ მიმოდის; ბღავილითაც კი არ ბღავის, მხოლოდ ფრუტუნებს, კამეჩები იშვიათად იღებენ ხმას, ჩუმად მიჰყვებიან ერთმანეთს მღვრიე გუბეებისკენ. მერე ისე ეფლობიან ლაფში, რომ მხოლოდ ყბები და გაშტერებული, მუქი ლურჯი თვალები უჩანთ; და წვანან ასე, გეგონებათ კუნძები არიანო. გაუსაძლის სიცხე-

ში მწყემს ბავშვებს ესმით ცაში, თვალთახედვის მიღმა, როგორ გაჰკივის ერთადერთი ძერა და მათ იციან, თუ რომელიმე საქონელი მოკვდება, ის დაეშვება ქვემოთ. რამდენიმე მილის მოშორებით, ამას მეორე ძერა შეამჩნევს და ისიც მიბაძავს; მას სხვები მიჰყვებიან და ასე, ჯერ კიდევ ცოცხალი ჰირუტყვის ირგვლივ საიდანღაც უამრავი მშიერი ძერა მოიყრის თავს. მწყემსები იძინებენ, მერე იღვიძებენ, კვლავ იძინებენ, გამხმარი ბალახისგან წნავენ ჰატარა კალათებს და შიგნით კალიებს სვამენ, ხანდახან ჩოქელებსაც[1] იჭერენ და ერთმანეთთან აჩხუბებენ; ან ჯუნგლის წითელი და შავი კაკლებისგან ყელსაბამებს აწყობენ; ხანაც კლდეზე მზეს მიფიცხებულ ხვლიკებსა და ბაყაყზე მონადირე გველს უთვალთვალებენ; შემდეგ მღერიან ძალიან გრძელ სიმღერებს, რომელსაც ბოლოსკენ ურთავენ უცნაურ ადგილობრივ შეძახილებს და მათთვის დღე იმაზე ბევრად გრძელი ჩანს, ვიდრე სხვისთვის – მთელი სიცოცხლე. ჰატარა მწყემსები ასევე აკეთებენ ტალახის ციხე-კოშკებს, შიგნით ათავსებენ ტალახისგან დამზადებულ ადამიანების, ცხენებისა და კამეჩების ფიგურებს. ადამიანებს ხელში ლერწამს აჭერინებენ, იმ განზრახვით, რომ მეფეები არიან, დანარჩენი ფიგურები კი – მათი ჯარისკაცები ან კერპები, რომელთაც თაყვანს სცემენ. ამასობაში საღამოვდება, ბავშვები უხმობენ საქონელს, ძახილზე კამეჩები ხმაურით ამოდიან ტალახიდან, მწკრივად მიყვებიან ერთმანეთს რუხ მინდორზე და ბრუნდებიან სოფლის მბჟუტავი სინათლეებისაკენ.

ასე მიუძღვებოდა მაუგლი კამეჩებს საძოვრებისკენ და

[1] ჩოქელები – მტაცებელი მწერები; ენათესავებიან ტარაკნებს.

ყოველდღე ხედავდა რუხი ძმის ზურგს მინდვრიდან მილნახევრის მანძილზე (ამით ხვდებოდა, რომ შერ-ხანი ჯერ არ დაბრუნებულიყო); ყოველდღე წვებოდა ბალახზე, უსმენდა ბუნების შვილთა ხმებს და ფიქრობდა ჯუნგლში გატარებულ დღეებზე. თუკი შერ-ხანს თავისი კოჭლი ფეხი დაუცდებოდა ჯუნგლში, უაინგუნგთან, მაუგლი მაშინვე გაიგებდა მის ხმაურს გრძელი დღის სიმყუდროვეში.

ერთ დღესაც მაუგლიმ ველარ დაინახა რუხი ძმის ზურგი დათქმულ ადგილას, ჩაიცინა და კამეჩები ოქროსფერმოწითალო ყვავილებით დაფარულ ხევში, დაკის ხისაკენ ჩარეკა. იქ დახვდა რუხი ძმა, რომელსაც სულ მთლად აბურძგვნოდა ბალანი ზურგზე.

– ერთ თვეს იმალებოდა შენი ყურადღების მოსადუნებლად. წუხელ გადმოკვეთა საძოვრები ტაბაკისთან ერთად და გაშმაგებული დაეძებს შენს კვალს, – ქოშინით უთხრა მგელმა.

მაუგლი მოიღუშა.

– შერ-ხანის არ მეშინია, მაგრამ ტაბაკი კი ძალიან ცბიერია.

– ნუ გეშინია, – მიუგო რუხმა ძმამ ტუჩების ოდნავ ლოკვით. – ტაბაკის შევხვდი. ახლა ის მთელ თავის სიბრძნეს ძერებს აცნობს. თუმცა შეშინებულმა მეც მიამბო ყველაფერი მანამ, სანამ კისერს მოვუგრეხდი. მისგან გავიგე შერ-ხანის გეგმის შესახებ: ვეფხვს განზრახული აქვს, რომ ამ საღამოს სოფლის შესასვლელთან ჩაგისაფრდეს მხოლოდ შენ, და სხვას არავის. ის ახლა უაინგუნგის ვეებერთელა ხეობაშია გაწოლილი.

– ჭამა დღეს რამე, თუ მშიერმა უნდა ინადიროს? –

იკითხა მაუგლიმ – პასუხი მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნებოდა.

– გამთენიისას გოჭი გამოასალმა სიცოცხლეს, წყურვილიც მოიკლა. გახსოვდეს, შერ-ხანი შურისძიების გამოც კი ვერ მარხულობს.

– ოჰ, როგორი სულელია! ეგ ლეკვის ლეკვი! ჭამს, სვამს და ალბათ, ფიქრობს, რომ მის გამოძინებას დაველოდები! ახლა სად წევს? ათი მაინც თუ ვიქნებით, ბოლოს მოვუღებთ მწოლიარეს. კამეჩები მანამ არ შეუტევენ, სანამ სუნს არ აიღებენ, მე მათი ენა არ ვიცი. ისე უნდა მივდიოთ მის ნაკვალევს, რომ საქონელმა სუნი აიღოს.

– შერ-ხანი კვალის ასარევად შორს ჩაუყვა უაინგუნგს, – მიუგო რუხმა ძმამ.

– ვიცი, ტაბაკი ურჩევდა, თორემ თვითონ ამას ვერ მოიფიქრებდა.

მაუგლი იდგა პირში თითჩაყოფილი და ფიქრობდა: „შემიძლია, ჯუნგლს შემოვუარო ნახირით უაინგუნგის დიდ ხევში, რომელიც აქედან დაახლოებით ნახევარი მილის შემდეგ მინდორში გადის, ხევის თავში მოვექცე და იქიდან ქვევით დავეშვა. მაგრამ შესაძლოა, გაიპაროს, ამიტომ ყველა გზა უნდა ჩავკეტოთ". მერე კი რუხ ძმას მიმართა: – ძმობილო, შეგიძლია ნახირი ორად გაყო?

– მარტო ვერ შევძლებ, მაგრამ ჭკვიანი დამხმარე მოვიყვანე.

რუხი ძმა გაიქცა და ორმოში ჩაძვრა. იქიდან თავი ამოყო უზარმაზარმა რუხმა არსებამ, რომელსაც მაუგლი კარგად იცნობდა და გაისმა მთელ ჯუნგლში ყველაზე შემაძრწუნებელი ხმა – მგლის შუადღის სანადირო ყმუილი.

– აკელა, აკელა! – წამოიძახა მაუგლიმ და ტაში შემოჰკრა. – ვიცოდი, რომ არ დამივიწყებდი, წინ დიდი საქმე გველის. აკელა, ორად გაყავი ნახირი: ფურკამეჩები და ბაქები ერთად მოაქციე, ხარები და მეგუთნე კამეჩები კი – ერთად.

მგლებმა დაუარეს ნახირს. პირუტყვები აფრუტუნდნენ და თავები ააღერეს. ნახირი ორ ჯგუფად გაიყო. ერთ ჯგუფში მოქცეული ფურკამეჩები და ბაქები თვალებს აბრიალებდნენ და ჩლიქებს აბაკუნებდნენ, მზად იყვნენ, მტერს მივარდნოდნენ და სიცოცხლე მოესწრაფათ მისთვის. მეორე ჯგუფში ხარკამეჩები ფრუტუნებდნენ და ბაკუნობდნენ. ისინი ნაკლებ სახიფათონი იყვნენ, რადგან ბაქების დაცვა არ უწევდათ. ნახირის ასე მოხერხებულად გაყოფას ექვსი ადამიანიც კი ვერ შეძლებდა.

– კიდევ რას გვიბრძანებ? – მძიმედ ამოისუნთქა აკელამ, – ნახირი კვლავ შეერთებას ცდილობს.

მაუგლი რამას მოახტა ზურგზე.

– ხარკამეჩები მარცხნივ გარეკე, აკელა; რუხო ძმობილო, როცა ჩვენ წავალთ, შენ ფურებს მოუყარე ერთად თავი და ხევის ბოლოსკენ გადევნე.

– სანამდე? – იკითხა რუხმა ძმობილმა ქოშინითა და კბილების კრაჭუნით.

– იქამდე, სანამ ხევის კალთები ამაღლდება, რომ შერხანმა მათზე შეხტომა ვერ შეძლოს, – შესძახა მაუგლიმ, – იქ გყავდეს პირუტყვი მანამ, სანამ ჩვენ დავეშვებით.

ხარკამეჩები მაშინვე დაიძრნენ, როგორც კი აკელამ დაიღმუვლა. რუხი ძმობილი ფურკამეჩებს გაუძღვა და ხევის ბოლოსკენ დაეშვა. აკელა კი შორს, მარცხნივ მიერეკებოდა ხარკამეჩებს.

– მშვენიერია! ერთი შეტევაც და უფრო გახელდებიან. ახლა კი ფრთხილად, აკელა, ფრთხილად, ზედმეტი თუ მოგივა, გეძგერებიან. ჰუჰ, ეს საქმე ირმების დევნაზე უფრო რთულია. წარმოიდგენდი, რომ ეს არსებები ასე სწრაფად იმოძრავებდნენ? – კითხულობდა მაუგლი.

– იყო დრო, როცა ამათზეც ვნადირობდი, – ამოიხვნეშა მტვერში გახვეულმა აკელამ, – ხომ არ მოვაბრუნო პირუტყვი ჯუნგლისკენ?

– კი, მიაბრუნე, სწრაფად! რამა მძვინვარებს. ოჰ, ნეტავ შემეძლოს გავაგებინო, რა მჭირდება დღეს მისგან.

ხარკამეჩები მარჯვნივ გადევნეს და ტევრში შერეკეს. დანარჩენი მწყემსი ბავშვები ნახევარი მილის მოშორებით იდგნენ და უყურებდნენ ნახირს, მერე სოფლისკენ მოკურცხლეს ყვირილით: კამეჩები გაცოფდნენ და გარბიანო.

მაუგლის გეგმა საკმაოდ მარტივი იყო: მას წრის შემორტყმა უნდოდა და ხევის თავთან მისვლა, მერე კამეჩების ქვევით ჩარეკვა და ხარკამეჩებსა და ფურკამეჩებს შორის შერ-ხანის მომწყვდევა, რადგან კარგად იცოდა, ნაჭამ-ნასვამი ვეფხვი ვერც ბრძოლას შეძლებდა და ხევის კალთებზე აძვრომაც გაუჭირდებოდა. მაუგლი კამეჩებს ამშვიდებდა, აკელა კი ნახირის ბოლოში მოექცა და შეძახილით აჩქარებდა ჩამორჩენილებს. ძალიან შორიდან მოუარეს, რადგან არ უნდოდათ ხეობის პირას გაევლოთ და შერ-ხანი დაეფრთხოთ. როგორც იქნა, მაუგლიმ გამძვინვარებული ნახირი ხევის თავში მირეკა, მწვანე მდელოზე, რომელიც მკვეთრად ეშვებოდა ხევში. მაღლობიდან მთელი მინდორი ჩანდა. მაუგლი ხევის კალთებს შეჰყურებდა, უხაროდა, რომ ისინი ციცაბოდ ეშვებოდნენ ხევისკენ და

მათზე გამრავლებულ ვაზსა და სუროზე ფეხს ვერ მოიკიდებდა გასაქცევად მომზადებული ვეფხვი.

– ამოასუნთქე, აკელა, – მიმართა აკელას და ხელი ასწია, – ჯერ სუნი არ აუღიათ, ჰოდა, ნება მიეცი, იყნოსონ. მე თვითონ მოვახსენებ შერ-ხანს, ვინც სტუმრობს. ჩვენ ის ხაფანგში მოვაქციეთ.

მაუგლიმ ხელები პირთან მიიტანა და ხეობას ჩაჰყვირა. ხმა გვირაბში ძახილივით გაისმა და ექო კლდიდან კლდეს ეხეთქებოდა.

კარგა ხნის შემდეგ მაძღარი, ახლად გამოღვიძებული ვეფხვის გაჭიანურებული, ნამძინარევი ღრენა მოისმა.

– ვინ მეძახის? – იკითხა შერ-ხანმა და ამ დროს საუცხოო ფარშევანგი შეფართხალდა ხევში.

– მე ვარ, მაუგლი, საქონლის ქურდო! დროა, საბჭოს კლდესთან მივიდეთ! ქვევით გაუძეხი ნახირს, აკელა! ქვევით გასწი, რამა, ქვევით! – ისმოდა მაუგლის ხმა.

ნახირი წამით შედგა ფერდობის კიდესთან, მაგრამ აკელამ მაშინვე სანადირო ხმაზე დაიყმუვლა და კამეჩებიც ერთმანეთის მიყოლებით დაეშვნენ. მათ ირგვლივ კორიანტელი დააყენეს. რადგანაც ერთხელ დაიძრნენ, მათ ვეღარაფერი შეაჩერებდა, სანამ ხევის ბოლომდე არ ჩავიდოდნენ. რამამ შერ-ხანის სუნი იყნოსა და საბარლად აღრიალდა.

– ჰა, ჰა! – შესძახა მის ზურგზე შემომჯდარმა მაუგლიმ, – ახლა კი უკვე იცი, რაც ხდება!

შავრქიანი, დუყმორეული და ბრიალათვალებიანი ნახირი ისე მიექანებოდა ხევისკენ, როგორც რიყის ქვები წყალდიდობისას. შედარებით სუსტი კამეჩები ხევის კალთები-

სკენ მიაგდეს და ისინი სუროებში მიიკვლევდნენ გზას. ეს კამეჩთა ჯოგის ისეთი საშინელი იერიში იყო, რომელსაც ვერცერთი ვეფხვი ვერ აღუდგებოდა წინ. შერ-ხანს მოესმა მათი ჩლიქების ხმა. წამოიმართა და გრგვინვით დაეშვა თავქვე, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, იქნებ, როგორმე გასაქცევი გზა ენახა. ხევის კალთებზე, ნასვამ-ნაჭამი ვეფხვი ასვლას ვერ შეძლებდა. ყველაფერზე წამსვლელი იყო ახლა ის, ბრძოლის გარდა. ნახირმა გაირბინა შერ-ხანის მიერ ახლახან დატოვებული გუბე და ისე საბარლად შებღავლა, რომ ხევი შეზანზარდა. მაუგლიმ საპასუხო ბღავილი გაიგო ხევის ბოლოდან და დაინახა, რომ შერ-ხანი მობრუნდა (სხვა გამოსავლის არ არსებობის შემთხვევაში, ვეფხვს ერჩივნა, ხარკამეჩებს შეჯახებოდა, ვიდრე ბაქებიან ფურებს). რამა კი გაშმაგებული მიქროდა წინ. უცებ შედრკა, რაღაც რბილზე გადაიარა და ფეხდაფეხ მიმავალ სხვა კამეჩებთან ერთად მეორე ჯოგში შეიჭრა. ამ უეცარმა შეჯახებამ სუსტი კამეჩები მიწას მოსწყვიტა. ორივე ჯოგი რქენითა და ფრუტუნით გაექანა მინდვრისაკენ. მაუგლი შესაფერის დროს ელოდებოდა, რამას კისრიდან ჩამოცურდა და ჯოხი აქეთ-იქით დაატრიალა.

– სწრაფად, აკელა, გაჰყევი მათ, თორემ ერთმანეთს დაერევიან. გარეკე, აკელა, ჰაი, რამა! ჰაი, ჰაი! დამშვიდდით ახლა, ჩემო ბავშვებო, გეყოთ, ყველაფერი დასრულდა.

აკელა და რუხი ძმა აქეთ-იქით დარბოდნენ, თან კამეჩებს ჰკბენდნენ ფეხებზე. ჯოგი კვლავ ხევისკენ გაქანდა საიერიშოდ, მაგრამ მაუგლიმ შეძლო რამას მობრუნება და სხვებიც მას გაჰყვნენ ჭაობისაკენ.

შერ-ხანი აღარ საჭიროებდა მეტ გადათელვას, უსულოდ ეგდო და ძერები უკვე მისკენ მოეშურებოდნენ.

– ძმებო, ეს იყო ნამდვილი ძაღლური სიკვდილი, – წარმოთქვა მაუგლიმ და ხელი გადაუსვა დანას, რომელიც ქარქაშით ეკიდა კისერზე მას შემდეგ, რაც ადამიანებთან ცხოვრობდა. – ის ვეღარასოდეს შეძლებს ბრძოლას. მისი ტყავი უკეთესად გამოჩნდება საბჭოს კლდეზე. ახლავე უნდა შევუდგეთ საქმეს!

ადამიანების მიერ აღზრდილი ბიჭი ოცნებასაც კი ვერ გაბედავდა, რომ ათფუტიანი ვეფხვი მარტოს გაეტყავებინა. მაუგლიმ კი ზუსტად იცოდა, როგორ იყო მორგებული ტყავი ვეფხვის სხეულზე და როგორ უნდა გაეძრო ის. თუმცა ეს მძიმე სამუშაო იყო. მაუგლი ატყავებდა და თან ბუზღუნებდა მთელ ერთ საათს, მგლები კი ენაგადმოგდებულები იწვნენ. ბიჭის ყოველ ბრძანებაზე დგებოდნენ და ტყავს ექაჩებოდნენ.

მაუგლიმ უცებ ვიღაცის ხელი იგრძნო მხარზე. აიხედა და თოფით ხელში თავსწამომდგარი. ბავშვებმა მთელ სოფელს გააგებინეს კამეჩების არევის ამბავი და გაბრაზებული ბულდეოც აქეთ გამოეშურა მაუგლისთვის ჭკუის სასწავლებლად. მგლები მაშინვე მიიმალნენ, როგორც კი მათკენ მომავალი ადამიანი დაინახეს.

– გაგიჟდი? – გაბრაზებით მიმართა მაუგლის, – რამ გაფიქრებინა ვეფხვის გატყავება? რომელმა კამეჩმა მოკლა ის? ამ კოჭლი ვეფხვის თავი ხომ ას რუპიადაა შეფასებული?! კარგი, არა უშავს, ნახირის დაფანტვას გაპატიებ, და შესაძლოა, ერთი რუპიაც გიძღვნა, როცა ჰანჰივარში ტყავის სანაცვლოდ ჯილდოს მივიღებ. – მერე ჯიბეში კაჟი და

ფოლადი მოიძია და შერ-ხანის ულვაშების შესატრუსად დაიხარა. ადგილობრივ მონადირეთა უმეტესობა ასე იქცევა, რათა თავიდან აიცილონ მისი სულის ადევნება.

– ჰმ! – ნახევრად თავისთვის ჩაილაპარაკა მაუგლიმ, თან ვეფხვის წინა ტორს ტყავს აშორებდა, – ესე იგი, შენ გინდა ტყავის ჰანჰივარში წაღება ჯილდოს სანაცვლოდ და შესაძლოა, ერთი რუპია მეც შემახვედრო, ხო? მაგრამ ტყავი მე თვითონ მჭირდება. ეჰ, მოხუცო, გააქრე ეგ ცეცხლი აქედან.

– როგორ ესაუბრები მთელი სოფლის მონადირეთა მეთაურს? შენს ბედსა და კამეჩების სისულელეს უმადლოდე ამ ამბავს. ვეფხვი დანაყრებული იყო, თორემ ოცი მილი მაინც ექნებოდა უკვე განარბენი. ნორმალურად ვერც კი ატყავებ, პატარა გლახაკო, და მე, ბულდეოს მეუბნები, რომ ხელი არ ვახლო მის ულვაშებს! ჰოდა, მაუგლი, ერთ ანნასაც[1] ვეღარ მიიღებ, ერთს მიგტყეპავ და ეგ იქნება. ლეშს შეეშვი!

– ჩემს გამომსყიდველ ხარს ვფიცავ, – უთხრა მაუგლიმ, რომელიც უკვე ბეჭს ატყავებდა, – რომ არ შემიძლია მთელი შუადღე ბებერ მაიმუნთან ლაყბობაში გავატარო. აკელა, აქეთ, ეს კაცი თავს მაბეზრებს!

ბულდეო, რომელიც შერ-ხანის თავთან დახრილიყო, უცებ ბალახზე გაიშხლართა, თავზე კი რუხი მგელი ადგა. მაუგლი კი ისე მშვიდად განაგრძობდა ვეფხვის გატყავებას, იფიქრებდით, მთელ ინდოეთში მხოლოდ ის იყო.

– ჰო, – გამოსცრა მან კბილებში, – შენ სრულიად მართალი ხარ, ბულდეო. ჯილდოდან ერთ ანნასაც არ მაღირსებ-

[1] ანნა – ინდური ფულის ერთეული

დი! ჩემსა და ამ კოჭლ ვეფხვს შორის, ძალიან დიდი ხნის შუღლია და მე მოვიპოვე გამარჯვება.

აუცილებლად უნდა ითქვას, ბულდეო ათი წლით ახალგაზრდა რომ ყოფილიყო და აკელას ტყეში გადაყროდა, უკან ნამდვილად არ დაიხევდა, მაგრამ კაციჭამია ვეფხვთან პირადი ანგარიშის მქონე ბიჭის მორჩილი მგელი ჩვეულებრივი ცხოველი არ უნდა ყოფილიყო. „ეს ჯადოქრობაა, ყველაზე საშინელი ჯადოქრობა", – გაიფიქრა ბულდეომ და ეჭვი შეეპარა კისერზე ჩამოკიდებულ ავგაროზში. ის გაუნძრევლად იწვა და ყოველ წუთს ელოდა, რომ მაუგლი ვეფხვად გადაიქცეოდა.

– მაჰარაჯავ, დიდო მეუფევ! – თქვა მან ბოლოს ჩახლეჩილი ხმით.

– დიახ, – მიუგო მაუგლიმ ოდნავი ხითხითით, ისე, რომ თავი არც გამოუბრუნებია მისკენ.

– მე მოხუცი ვარ... შენ მე მხოლოდ ჩვეულებრივი მწყემსი მეგონე... მაძლევ ნებას, ავდგე და წავიდე? თუ შენმა მსახურმა მაინცდამაინც უნდა დამანაკუწოს?

– წადი და მშვიდობით იყავი, ოღონდ სხვა დროს ჩემს საქმეში აღარ ჩაერიო. გაუშვი, აკელა, წავიდეს.

ბულდეო მოუქნელად გაიქცა სოფლისაკენ, თან უკან იყურებოდა, მაუგლი რამე საშინელებად ხომ არ გადაიქცაო. სოფელში მისულმა ისეთი ზღაპარი მოყვა ჯადოქრობაზე, საოცრებასა და გრძნეულებაზე, რომ მღვდელიც კი ჩააფიქრა.

მაუგლიმ კი თავისი საქმე გააგრძელა და თითქმის ბინდდებოდა, როცა მან და მგლებმა ვეფხვს საბოლოოდ გააცალეს უბარმაბარი, ჭრელი ტყავი.

– ახლა ეს ტყავი უნდა გადავმალოთ და კამეჩები სახლები-

სკენ გავრეკოთ. დამეხმარე პირუტყვის მწყემსვაში, აკელა.

ნისლიან ბინდში მათ თავი მოუყარეს ნახირს და როდესაც სოფელს მიუახლოვდნენ, მაუგლიმ ჯერ სინათლე შენიშნა, მერე კი ნაღარისა და ზარების ხმაც გაიგონა, – თითქმის ნახევარი სოფელი ელოდებოდა მის დაბრუნებას.

– ეს ალბათ იმიტომ, რომ შერ-ხანი მოვკალი! – თავისთვის ჩაილაპარაკა მან. მაგრამ უეცრად მის ყურებთან ქვებმა გაიზუზუნეს და სოფლელები აყვირდნენ:

– ჯადოქარო! მგლის ნაშიერო! ჯუნგლის ბოროტო სულო! აქედან მოშორდი. სწრაფად წადი, თორემ მღვდელი ისევ მგლად გადაგაქცევს. ესროლე, ბულდეო, ესროლე!

უცებ ძველი თოფი გავარდა და ზაქის ტკივილნარევი ბღავილიც გაისმა.

– კვლავ ჯადოქრობა! – შეჰყვირეს სოფლელებმა, – ტყვიებსაც უცვლის მიმართულებას. ბულდეო, ეს შენი ზაქი იყო.

– ეს რა ხდება? – გაიკვირვა მაუგლიმ, როდესაც ქვების სეტყვა გახშირდა.

– ეგ შენი ძმების ხროვას ჰგავს, – უთხრა აკელამ და მშვიდად ჩამოჯდა. – ჩემი აზრით, თუ ტყვიებს მნიშვნელობა აქვთ, მაშინ მათ შენი გაძევება უნდათ.

– მგელო, მგლის ლეკვო! მოშორდი აქაურობას! – დაუყვირა მღვდელმა, რომელიც წმინდა მცენარის – ტულსის შტოს იქნევდა.

– ნუთუ კვლავ გაძევება მელის? ბოლოს იმიტომ გამაძევეს, რომ ადამიანი ვიყავი, ახლა კი იმიტომ მიშორებენ, რომ მგელი ვარ... წავიდეთ, აკელა!

მესუამ ნახირთან მიირბინა და შეჰყვირა: – ოჰ, ჩემო ბიჭო, ჩემო შვილო! ამათი თქმით, შენ ჯადოქარი ხარ,

რომელსაც, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ნადირად იქცეს, მე არ მჯერა, მაგრამ მაინც წადი, თორემ ისინი მოგკლავენ. ბულდეო ამბობს, ჯადოქარიაო. მე კი ვიცი, რომ შენ ნატუს სიკვდილისთვის იძიე შური.

– უკან დაბრუნდი, მესუა! – დაუყვირა ბრბომ, – დაბრუნდი, თორემ ჩაგქოლავთ.

მაუგლი რაღაცნაირად დაიღრიჯა, რადგან ქვა პირდაპირ პირში მოხვდა.

– წადი, მესუა, წადი! ეს სულელური ზღაპარია, ისეთი, როგორსაც სოფლელები ერთმანეთს უყვებიან ხოლმე ბინდისას ხის ქვეშ. შენი შვილის სიცოცხლისთვის მაინც ვიძიე შური. მშვიდობით! სწრაფად გაიქეცი, თორემ მათ მიერ ნასროლ ქვებზე უფრო სწრაფად შემოვრეკავ ნახირს. მე ჯადოქარი არ ვარ, მესუა, მშვიდობით! – და ბიჭი მგელს მიუბრუნდა: – აკელა, კიდევ ერთხელ მიუშვი ნახირი!

შეშინებული კამეჩები სოფლისაკენ მიიწევდნენ. მათ აღარ ანაღვლებდათ აკელას ყვირილი. ჭიშკარში გრიგალივით შეიჭრნენ და ხალხი აქეთ-იქით მიმოფანტეს.

– დაითვალეთ, – დამცინავად დაუყვირა მაუგლიმ, – იქნებ, რომელიმე მოვიპარე! დაითვალეთ, მე უკვე თქვენი მწყემსი აღარ ვარ, კარგად იყავით, ადამიანის შვილებო! მესუას უმადლოდეთ, რომ მგლები არ მოგისიეთ და არ აგაწიოკეთ.

მაუგლი ქუსლებზე შემოტრიალდა და მარტოხელა მგელთან ერთად გასწია. ვარსკვლავებს ახედა და თავი ბედნიერად იგრძნო.

– დასრულდა მახეში ძილი, აკელა, ავიღოთ შერ-ხანის ტყავი და წავიდეთ. სოფელს არაფერი ვავნოთ მესუას

გამო, რადგან ის კეთილად მექცეოდა.

როდესაც მთვარემ მიდამოს რძისფერი შუქი მოჰფინა, თავზარდაცემულმა სოფლელებმა შორს მაუგლის მოჰკრეს თვალი. თავზე რაღაც ფუთა ედო და ორი მგელი ფეხდაფეხ მისდევდა. მგლური ნაბიჯებით, სწრაფად მიდიოდა მაუგლი. სოფლელებმა სამრეკლოს ზარებსა და საყვირებს მიმართეს. მესუა ტიროდა. ბულდეო კი სოფლელებს ჯუნგლში გადამხდარ თავის თავგადასავალს უამბობდა. მოყოლილს მრავალნაირად ასხვაფერებდა, ბოლოს კი იმით დაასრულა, რომ, ვითომ, აკელა უკანა ფეხებზე იდგა და ადამიანივით ლაპარაკობდა.

მთვარე ის-ის იყო ჩადიოდა, როდესაც მაუგლი და ორი მგელი საბჭოს გორაკს მიუახლოვდნენ და დედა მგლის გამოქვაბულთან შეჩერდნენ.

– ადამიანთა ხროვიდან გამომაძევეს, დედა! – შესძახა მაუგლიმ. – მაგრამ სიტყვა შევასრულე და შერ-ხანის ტყავი მოვიტანე.

დედა მგელი თავის ლეკვებთან ერთად გახევებული გამოვიდა გამოქვაბულიდან, ვეფხვის ტყავი რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა.

– იმ დღეს, როცა შენზე მონადირე შერ-ხანი ამ გამოქვაბულში შემობრძანებას აპირებდა, მე ვუთხარი, პატარა ბაყაყო, რომ მონადირე ოდესმე სხვისი სანადირო გახდება-მეთქი, – და ახდა კიდეც!

– პატარა ძმობილო, კარგად მოქცეულხარ, – ბოხი ხმა მოესმა ტევრიდან, – უშენოდ მოვიწყინეთ ჯუნგლში, – და ბაგირამ მაუგლის შიშველ ფეხებთან მიირბინა.

მერე ყველანი საბჭოს კლდეზე აცოცდნენ. მაუგლიმ ტყავი

იმ ბრტყელ ქვაზე გაშალა, სადაც აკელა იჯდა ხოლმე და ოთხი ვერცხლის პალოთი მიაჭედა. აკელა ტყავზე წამოწვა და საბჭოს ძველებურად შესძახა:

– ფხიზლად იყავით, მგლებო, ფხიზლად! – ზუსტად ისე შესძახა, როგორც მაშინ, როცა მაუგლი პირველად მიიყვანეს იმ ადგილას.

აკელას გადაყენების შემდეგ, ხროვა უწინამძღვროდ დარჩა. მგლები თავიანთ ნებაზე ნადირობდნენ და იბრძოდნენ, მაგრამ ნაცნობ ძახილს მაინც, ჩვეულებისამებრ, გამოეხმაურნენ. ზოგ მგელს მახეში დაზიანებოდა ფეხი, ზოგი ტყვიას დაეკოჭლებინა, ზოგიერთი ცუდ კვებას გაექეციანებინა. ბევრი უკვალოდ დაკარგულიყო, მაგრამ ვინც კი გადარჩა, ყველა საბჭოს კლდეზე მოვიდა. ხროვა უზარმაზარი ბრჭყალებით ჩამოკიდებული შერ-ხანის ზოლიან ტყავს უყურებდა. მაუგლი კი დახტოდა ვეფხვის ძვირფას ტყავზე და ხმამაღლა მღეროდა თავის სიმღერას. როცა სუნთქვა აღარ ჰყოფნიდა, რუხი ძმა და აკელა ყმუილით ენაცვლებოდნენ.

– ფხიზლად იყავით, მგლებო, ფხიზლად! ხომ შევასრულე ჩემი სიტყვა? – წამოიძახა მაუგლიმ.

და მგლებმაც თანხმობის ნიშნად, შეჰყვირეს: – დიახ!

ერთმა მგელმა შესძახა: – კვლავ გვიწინამძღვრე, აკელა! მოგვბეზრდა უწესობა, ისევ თავისუფალი მოდგმა უნდა ვიყოთ.

– არა, – დაიკრუტუნა ბაგირამ, – ასე აღარ იქნება. როცა კარგად მაძღარნი ხართ, კვლავ წამოგივლით ხოლმე სიგიჟე. ტყუილად კი არ გეძახიან თავისუფალ მოდგმას. თავისუფლებისათვის იბრძოდით და მიიღეთ კიდეც, მგლებო!

– მე გაძევებული ვარ როგორც ადამიანთა, ასევე მგელთა ხროვიდანაც, – თქვა მაუგლიმ, – ახლა მარტო ვინადირებ ჯუნგლებში.

– ჩვენც შენთან ერთად ვინადირებთ! – ერთხმად შესძახა ოთხმა ლეკვმა.

მას შემდეგ მაუგლი იმ ოთხ ლეკვთან ერთად ნადირობდა ჯუნგლებში.

ბიჭი ყოველთვის მარტოხელა კი არ იყო: გავიდა დრო, იგი დავაჟკაცდა და ცოლიც შეირთო.

მაგრამ ეს ამბავი უკვე მოზრდილებისთვისაა.

მაუგლის სიმღერა

რომელიც შეასრულა საბჭოს კლდესთან, შერ-ხანის ტყავზე ცეკვისას

მაუგლის სიმღერას მე ვმღერი – მაუგლი.
ჯუნგლმა გაიგოს ჩემი საქმენი.
შერ-ხანმა ბრძანა, რომ მე მომკლავდა,
ბაყაყს მომკლავდა შებინდებისას.
ჭამა, დალია ბევრი ძალიან,
მიიძინა და მოჰყვა ოცნებას.
რუხო ძმობილო, მოდი, მარტო ვარ,
მთაზე ვდგავარ და ნადავლი თან მაქვს.
და კამეჩებიც წამოიყვანე,
ლურჯკანიანი, თვალებბრიალა.
ნუთუ, კვლავ გძინავს, შერ-ხან? ადექი!
აი, მეც აქ ვარ და კამეჩებიც.

მათი მეფე კი – რამა ბატონი,
ვერ ისვენებს და ტორს ურტყამს მიწას.
უაინგუნგო, გაქრა შერ-ხანი?
იკკი სად არის, სორო გათხაროს,
ან ფარშევანგი, რომ შეძლოს ფრენა,
ანდაც ღამურა, ტოტს დაეკიდოს.
ბამბუკო, ვეფხვი საით გაიქცა?
ვაჰმე, აქ არის კოჭლი შერ-ხანი,
რამას ფეხებთან გდია უსულოდ.
ხორცი არ გინდა? შერ-ხან, ადექი,
ხარებს ეძგერე, მოსტეხ კისერი!
ნუ გააღვიძებთ, ეძინოს ტკბილად,
აგერ, ძერებმაც კი მოაკითხეს,
ჭიანჭველებსაც გაცნობა უნდათ,
მის სანახავად ბევრი მოსულა.
არაფერი მაქვს, რომ შემოვიცვა,
ძერა შეხედავს ამ ჩემს სიტიტვლეს,
შიშველი ამდენს როგორ ვენახო,
ეგ ჭრელი ქურქი მათხოვე, შერ-ხან,
რათა ხალხს საბჭოს კლდეზე წარვუდგე!
გახსოვთ, დაგპირდით, ერთ დროს სულ ყველას,
ხარს დავიფიცებ, ჩემს გამომსყიდველს,
ეგ შენი ტყავი მაკლია მხოლოდ,
და მონადირის დანით გაგაძრობ!
უაინგუნგო, ხედავ, ვუყვარვარ
შერ-ხანს, თავისი ქურქი დამითმო.
შენ, რუხო ძმაო, კარგად გაჭიმე,
აკელა, ხედავ სიმძიმეს მისას?!
ქვებს ისვრის კაცთა მოდგმა და ბრაზობს,

უნდა გავიქცე, თორემ სისხლი მდის,
უკვე ღამეა, მომყევით ძმებო,
და გავყვეთ მთვარის კაშკაშა ნათელს!
უაინგუნგის წყლებო, იცოდეთ,
რომ კაცთა მოდგმამ მე გამომდევნა!
სულ არაფერი მივნია მათთვის
და მაინც, ჩემი რად ეშინოდათ?
რატომ? რა მოხდა?
მგლების ხროვამაც გამომაძევა,
დამეხშო ჯუნგლის და სოფლის კარიც!
რატომ? რა მოხდა?
და როგორც მანგი ფრინავს ეულად,
არც მხეცისაა და არც ფრინველის,
მეც ასე ჯუნგლს და სოფელს შორის ვარ.
რატომ? რა მოხდა?
შერ-ხანზე ვცეკვავ, გული კი მტკივა,
პირი დამეხშო სოფლელთა ქვებით,
თუმცა კი ჯუნგლში ყოფნით შვებას ვგრძნობ.
რატომ? რა მოხდა?
ფეხქვეშ მიგია შერ-ხანის ტყავი
და დღეს მე ორი მაუგლივით ვარ,
ჯუნგლმა გაიგო, მე რომ მოვკალი
ვეფხვი, შეხედეთ, მგლებო, უყურეთ!
და გული მაინც სევდით დამძიმდა,
რატომ? რა მოხდა? – მეც კი არ მესმის!

ჯუნგლის შეტევა

არ მიუშვათ, აღიმართეთ კედლად,
შეაჩერეთ სუროთი და ბარდით,
მოაშორეთ, რომ ვერ ვნახოთ ვერსად,
აღარ გვქონდეს მათი შიში, დარდი.
სამსხვერპლოდან გადმოიფრქვეს ფერფლი,
გადარეცხოს წვიმამ ყველას ვალი,
აღარავის ეშინოდეს ჩვენთან,
ირგვლივ მუდამ ჩანდეს ირმის კვალი.
კედლად უხმეთ ნანგრევსა და ნარჩენს,
რომ არცერთი სოფლელი არ დარჩეს!

ალბათ, გახსოვთ, საბჭოს კლდეზე შერ-ხანის ტყავის გაშლის შემდეგ, მაუგლიმ სიონიის ხროვის იქ მყოფ წევრებს გამოუცხადა, რომ ამიერიდან ჯუნგლში მარტო ინადირებდა. დედა და მამა მგლის ოთხმა ლეკვმა უთხრა, რომ ისინიც მასთან ერთად იქნებოდნენ. მაგრამ არც ისე იოლია მთელი ცხოვრების ასე უცებ შეცვლა, მით უმეტეს, ჯუნგლში.

როცა არეული ხროვა გაიფანტა, მაუგლი მაშინვე მშობლიური გამოქვაბულისკენ გაემართა და კარგად გამოიძინა. შემდეგ დედა და მამა მგელს თავისი თავგადასავლიდან ის ნაწილი უამბო, რაც მათთვის უფრო გასაგები იქნებოდა. როდესაც მაუგლიმ დილის მზეზე ის დანა ააპრიალა, რომლითაც შერ-ხანი გაატყავა, მგლებმა თქვეს: როგორც ჩანს, ბიჭს ცოტა რაღაც უსწავლიაო. მერე აკელამ და რუხმა ძმამ ისაუბრეს. მოხუცებს უამბეს ხრამში კამეჩების გარეკის ამბავი. ბალუ ძლივს აცოცდა გორაკზე, კარგად რომ მოესმინა მონათხრობი. ბაგირა აღტაცებული იყო მაუგლის

მოხერხებით და სიამოვნებისაგან იქექებოდა.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო, მაგრამ ძილზე არავინ ფიქრობდა. დედა მგელი ხანდახან თავს წამოწევდა და კმაყოფილებით ჩაისუნთქავდა ხოლმე ქარის მიერ საბჭოს კლდიდან მოტანილი ვეფხვის ტყავის სურნელს.

– რომ არა აკელა და რუხი ძმა, – თქვა ბოლოს მაუგლიმ, – ვერაფერს ვიზამდი. ოჰ, დედა, რომ გენახა, კამეჩები ხრამში როგორ ჩაეშვნენ, ან სოფელში როგორ შეცვივდნენ, როცა ადამიანთა ხროვამ ქვები დამიშინა.

– ბედი მაგათი, რომ იქ არ ვიყავი, – წარმოთქვა მკაცრად დედა მგელმა. – გულგრილად ვერ ვუყურებ, ჩემს ლეკვებს როგორ სდევნიან, აწვალებენ და ტურებივით აქეთ-იქით ერეკებიან. ჰასუხს ვაგებინებდი ადამიანთა ხროვას! მხოლოდ იმ ქალს შევიწყალებდი, ვინც რძე დაგალევინა. დიახ, მხოლოდ მას არ ვავნებდი არაფერს!

– მშვიდად, მშვიდად, რაკშა, – დინჯად თქვა მამა მგელმა, – ჩვენი ბაყაყი ისე დაბრძენებულა, რომ საკუთარმა მამამაც კი ფეხები უნდა ულოკოს. რა მნიშვნელობა აქვს, თავზე ერთი ჭრილობით მეტი ექნება, თუ ნაკლები. შეეშვი ადამიანს!

ბალუმ და ბაგირამაც ექოსავით შესძახეს: შეეშვი ადამიანს!

მაუგლის დედა მგლის ფერდზე მიედო თავი და მშვიდად უგდებდა ყურს მათ საუბარს, მერე კმაყოფილებით ჩაიცინა და თქვა, რომ ამიერიდან ადამიანის ნახვა და ხმის გაგონება აღარ უნდოდა.

– მაგრამ რას იზამ, – შეეკითხა აკელა, – თუკი ადამიანები არ შეგეშვებიან?

– ჩვენ ხუთნი ვართ! – მიუგო რუხმა ძმამ, გადახედა იქ მყოფებს და კბილები ააკრაჭუნა.

– ჩვენც კი შეგვეძლო მაგ ნადირობაში მონაწილეობა, – წარმოთქვა ბაგირამ კუდის ქნევით და ბალუს გადახედა, – კი მაგრამ, რატომ ფიქრობ ახლა ადამიანზე, აკელა?

– ახლავე მოგახსენებ, – მიუგო მარტოხელა მგელმა, – როცა ყვითელი ქურდის ტყავი უკვე კლდეზე იყო გაფენილი, მე ჩვენს კვალს უკან ჩავყევი სოფლამდე; ფეხებს ჩემს ნაკვალევში ვადგამდი, აქეთ-იქით გავდიოდი, ვწვებოდი, კვალი რომ ამებნია, თუკი ვინმე ჩვენს დადევნებას გადაწყვეტდა. როცა იმდენად ავრიე ნაკვალევი, რომ მე თვითონაც მიჭირდა გაგნება, საიდანღაც ღამურა მანგი გაჩნდა, ჩემ ზემოთ ხის ტოტს ჩამოეკიდა და ჩამომძახა, რომ ადამიანთა ხროვის სოფელი, საიდანაც ადამიანის ლეკვი გააძევეს, კრაზანას ბუდესავით ბზუისო.

– დიდი ქვა გადავისროლე სოფელში, – ხითხითებდა მაუგლი, რომელიც ხშირად ერთობოდა პოუ-პოუს[1] მწიფე ნაყოფის კრაზანების ბუდეში სროლით; თვითონ კი მახლობელ გუბეში გაცურავდა ხოლმე, სანამ კრაზანები დაედევნებოდნენ.

– მანგს ვკითხე, კიდევ რა ნახა. მან მიპასუხა, რომ სოფლის შესასვლელში წითელი ყვავილი ჰყვაოდა, ირგვლივ კი თოფასხმული ადამიანები უსხდნენო. მე ზუსტად ვიცი და შესაბამისი მიზეზიც მაქვს საიმისოდ, რომ ვთქვა, – და აკელამ თავის ნაჭრილობევ ფერდებსა და თეძოებს დახედა, – ადამიანები თოფებს სიამოვნებისთვის არ იყენებენ. სულ ცოტა ხანში, პატარა ძმობილო, თოფიანი

[1] პოუ-პოუ – სამხრეთამერიკული ხე მომწვანო-მოყვითალო ტკბილი ნაყოფით.

კაცი ჩვენს კვალს გამოუდგება, თუ უკვე არ გამოჰყოლია.

– კი მაგრამ რატომ? მათ მე გამომაძევეს, მეტი რაღა უნდათ? – იკითხა გაჯავრებულმა მაუგლიმ.

– შენ ადამიანი ხარ, პატარა ძმობილო, – მიუგო აკელამ, – ჩვენ, თავისუფალმა მონადირეებმა არ ვიცით, მაგრამ შენ კი უნდა იცოდე, რას აკეთებენ შენი ძმები და რატომ.

აკელამ ძლივს მოასწრო თათის არიდება, რომ ბასრი დანა მიწაში ღრმად ჩაერჭო. მაუგლიმ ისე სწრაფად აიქნია დანა, რომ ადამიანი თვალსაც ვერ გააყოლებდა. აკელა კი მგელი იყო. ძაღლსაც კი, რომელიც ძალიან განსხვავდება თავისი წინაპარი გარეული მგლისგან, შეუძლია მოახლოებული ურმის ბორბლის ხმაურზე ღრმა ძილისგან გამოღვიძება და გვერდზე გადახტომა.

– სხვა დროს, – წყნარად წარმოთქვა მაუგლიმ და დანა ქარქაშში ჩააგო, – მაუგლი და ადამიანთა ხროვა ცალ-ცალკე მოიხსენიე და არა ერთად.

– ფფფ, როგორი მჭრელი კბილია! – წამოიძახა აკელამ და დანით გასერილი მიწა დაყნოსა, – ადამიანთა ხროვაში ცხოვრებას შენთვის თვალი გაუფუჭებია, ძმობილო. მე ირმის მოკვლას შევძლებდი, სანამ შენ დანას აიქნევდი.

ბაგირა უცებ წამოხტა, თავი ზევით ასწია, ჰაერი შეისუნთქა და სხეულის ყოველი ნაკვთი დაძაბა. რუხმა ძმამაც მას მიბაძა და მარცხნივ გაიწია, მარჯვნიდან მონაბერი ქარი რომ შეეყნოსა, აკელა კი ორმოცდაათ იარდზე გადახტა იქით, საიდანაც ქარმა დაუბერა, ჩაიცუცქა და გაისუსა. მაუგლი შურით შეჰყურებდა მათ. მართალია, თვითონაც ადამიანებისგან განსხვავებით უიშვიათესი ყნოსვა ჰქონდა, მაგრამ აკლდა ის გამორჩეული მახვილი გრძნობა, რაც

ჯუნგლელების ყნოსვას ახასიათებს. კვამლიან სოფელში გატარებულმა სამმა თვემ მაუგლის ყნოსვა საგრძნობლად დაუქვეითა. მიუხედავად ამისა, მან თითი დაისველა, ცხვირზე წაისვა და გასწორდა. ცდილობდა, ჰაერში გაფანტული სუსტი სუნი ალღოთი მაინც შეეგრძნო.

– ადამიანია! – ღრენით წარმოთქვა აკელამ და იქვე მიცუცქდა.

– ბულდეოა! – წამოიძახა მაუგლიმ და ჩაჯდა, – ჩვენს კვალს მოჰყვება. შეხედეთ, მზის შუქზე როგორ ბრწყინავს მისი თოფი!

ეს ბრწყინვალება ძველი მუშკეტის[1] სპილენძის სამაგრებზე აელვარებულ მზის სხივის ანარეკლს ჰგავდა. ჯუნგლში მსგავსი ნათება ცაზე ღრუბლების მიმოფანტვის ნიშანია და ასეთ დროს, პატარა მდინარე თუ მბზინავი ფოთოლიც კი ჰელიოგრაფს[2] ემსგავსება. თუმცა ის დღე უღრუბლო და მშვიდი იყო.

– ვიცოდი, რომ ადამიანები დაგვედევნებოდნენ, – თქვა აკელამ გამარჯვებული გამომეტყველებით, – ტყუილად კი არ ვიყავი ხროვის წინამძღოლი.

ოთხი ლეკვი, ისე, რომ არაფერი უთქვამს, ხოხვით დაეშვა დაღმართზე და ეკალ-ბარდებს შეერია.

– სად მიდიხართ ასე უსიტყვოდ? – შეეკითხა მათ მაუგლი.

– შშ! შუადღემდე იმის თავის ქალას აქ მოვაგორებთ! – მიუგო რუხმა ძმობილმა.

– დაბრუნდით, დაბრუნდით და მოიცადეთ. ადამიანი ადამიანს არ ჭამს! – შეჰყვირა მაუგლიმ.

– ცოტა ხნის წინ ვინ ამბობდა, მგელი ვარო? ვინ მეს-

[1] მუშკეტი – ცეცხლსასროლი იარაღი. [2] ჰელიოგრაფი – მზის ელვარების ხანგრძლიობის ჩამწერი მეტეოროლოგიური ხელსაწყო.

როლა დანა, ადამიანად მოხსენიების გამო? – იკითხა აკელამ, მგლის ლეკვებიც უკმაყოფილოდ მობრუნდნენ და იქვე მიცუცქდნენ.

– და განა ყველაფერი უნდა აგიხსნათ, რის გაკეთებასაც ვაპირებ? – მიუგო გაბრაზებულმა მაუგლიმ.

– ეს ადამიანია! ადამიანი საუბრობს! – ჩაილაპარაკა ბაგირამ ულვაშებში, – ზუსტად ასე საუბრობდნენ უდეიპურში სამეფო გალიებთან. ჩვენ, ჯუნგლელებმა, ვიცით, რომ ადამიანი ყველაზე გონიერია. მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ სულაც არ არის ასე. ისინი სულელები არიან, – და ხმამაღლა დაუმატა: – ადამიანის ლეკვი მართალია, ისინი ჯგუფად ნადირობენ, თუ არ გვეცოდინება, რას აპირებენ დანარჩენები, ერთის მოკვლა ხეირს ვერ მოგვიტანს. მოდი, ვნახოთ, იმ ადამიანს რა გაზრახვა აქვს ჩვენ მიმართ.

– ჩვენ არ წამოვალთ, – ჩაიბუზღუნა რუხმა ძმამ. – მარტო ინადირე, პატარა ძმობილო. ჩვენს საქმეს ჩვენ მივხედავთ. აქამდე მაგის თავის ქალას მოვიტანდით.

მაუგლიმ მეგობრებს გადახედა. მკერდი უთრთოდა, თვალები ცრემლებით აევსო. მგლების წინ წამოიწია, ცალ მუხლზე დაიჩოქა და თქვა:

– და მე არ ვიცი ჩემი საქმე? შემომხედეთ! – მათ უხერხულად ახედეს და თვალი აარიდეს. მაუგლიმ კიდევ შესძახა ძმებს და მანამ ეძახა, სანამ ტანზე ბალანი არ აებურძგლათ და მუხლები არ აუცახცახდათ. ბიჭი თვალმოუშორებლად მიშტერებოდა მათ.

– ახლა, – წარმოთქვა მან, – ვინ არის ჩვენ ხუთში წინამძღოლი?

– შენ ხარ წინამძღოლი, ჰატარა ძმობილო! – მიუგო რუხმა ძმამ და ფეხი აულოკა.

– ჰოდა, მომყევით! – უთხრა მაუგლიმ და ოთხივე ფეხდაფეხ მიჰყვა.

– აი, ეს ყველაფერი მოიტანა ადამიანთა ხროვაში ცხოვრებამ, – თქვა ბაგირამ და მათ აედევნა, – ახლა აქ, ჯუნგლში რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ჯუნგლის კანონი, ბალუ.

მოხუც დათვს ხმა არ ამოუღია, თუმცა ათასგვარმა ფიქრმა გაურბინა თავში. მაუგლიმ ჩუმად შემოუარა ჯუნგლს, მარჯვენა მხრიდან მიუდგა ბულდეოს, ბუჩქები გადასწია და თვალიც მოჰკრა მხარზე თოფგადებულ მოხუც მონადირეს, რომელიც ჩორთით მისდევდა ორი დღის კვალს.

ალბათ გახსოვთ, მაუგლიმ სოფელი რომ მიატოვა, მხრებზე შერ-ხანის ტყავი ედო, უკან კი აკელა და რუხი ძმობილი მისდევდნენ, ასე რომ, კვალი კარგად შეიმჩნეოდა. მალე ბულდეომ აკელას მიერ კვალარეულ ადგილს მიაღწია. ჩამოჯდა, ჩაახველა, რაღაც ჩაიბუზღუნა და აქეთ-იქით მიმოიხედა, კვალისთვის რომ მიეგნო. მისი მოთვალთვალენი იმდენად ახლოს იყვნენ, რომ მონადირე ქვასაც კი მოახვედრებდა. არავის შეუძლია მგელზე უფრო ფეხაკრეფით სიარული, როცა ეს სჭირდება. მაუგლი, მგლების თქმით, ძალზედ უხეშად მოძრაობდა, თუმცა მაინც შეეძლო აჩრდილივით უჩუმრად სიარული. მეგობრები მოხუცს მიუახლოვდნენ და ისე შემოეხვივნენ გარს, როგორც დელფინები სწრაფმავალ გემს; მერე მხიარულად შეუდგნენ საუბარს, რადგან ცხოველთა მეტყველება იწყება გამის ისეთ დაბალ ნოტაზე, რომლის გაგება ადამიანის შეუჩვეველ ყურს არ შეუძლია.

– ეს ყველანაირ ნადირობას სჯობს, – თქვა რუხმა ძმო-

ბილმა ბულდეოს დანახვაზე. ბულდეო იკუზებოდა, შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ხვნეშოდა და რაღაცას ბუტბუტებდა. – ჯუნგლში, მდინარის პირას გზააბნეულ გოჭს ჰგავს. რას ამბობს?

მაუგლიმ მეგობრებს ბულდეოს ნათქვამის მნიშვნელობა აუხსნა: – ის ამბობს, ეტყობა, შენ გარშემო მგლების მთელი ხროვა ცეკვავდა, თორემ მსგავსი კვალი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. კიდევ იმას ამბობს, რომ დაიღალა.

– შეისვენებს, სანამ კვალს კვლავ მიაგნებს, – ცივად თქვა ბაგირამ და ხეს მოეფარა, – ახლა რაღას აკეთებს ეგ ჩამომჭკნარი არსება?

– ჭამს, ხან კი ბოლს უშვებს პირიდან. ადამიანები ყოველთვის აცმაცუნებენ პირს, – მიუგო მაუგლიმ.

განაბულმა კვალის მდეველებმა დაინახეს, როგორ დატენა მოხუცმა ჩიბუხი, მერე მოუკიდა და გააბოლა. მათ კარგად შეიყნოსეს თამბაქოს სუნი, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უკუნ ღამეშიც არ გაჭირვებოდათ ბულდეოს ცნობა.

გზაზე მენახშირეების პატარა ჯგუფმა ჩამოიარა. ისინი შეჩერდნენ და გამოელაპარაკნენ ბულდეოს, რომელსაც სულ ცოტა, ოცი მილის მანძილზე მაინც ჰქონდა გავარდნილი ცნობილი მონადირის სახელი. მენახშირეები მის სიახლოვეს ჩამოსხდნენ და ჩიბუხები გააბოლეს. ბაგირა და სხვები კი მიუახლოვდნენ ბულდეოს; ელოდებოდნენ იმ დროს, როცა მონადირე მაუგლის შელამაზებულ და გამოგონილ ამბავს მოუთხრობდა მგზავრებს. მართლაც, ბულდეომ არ დაახანა და მათ ეშმაკის შვილის შესახებ უამბო; მოყვა, თვითონ როგორ მოკლა შერ-ხანი; როგორ გადაიქცა მაუგლი მგლად და როგორ ებრძოდა მას მთელი საღამო,

მერე როგორ იქცა კვლავ ბიჭად და როგორ მოაჯადოვა ბულდეოს თოფი ისე, რომ მაუგლისთვის დამიზნებულმა ტყვიამ მიმართულება იცვალა და მისი ზაქი მოკლა; როგორ გამოგზავნა სოფელმა სიონიის მთების ეს უმამაცესი მონადირე ეშმაკის შვილის მოსაკლავად. მენახშირეებს ისიც უთხრა, თუ როგორ შეიპყრო და როგორ დაამწყვდია სოფელმა საკუთარ ქოხში მესუა და მისი ქმარი, რომლებიც, უეჭველია, ამ ეშმაკის მშობლები იყვნენ; რომ მალე მესუას და მის ქმარს აწამებენ, რათა ათქმევინონ, არიან თუ არა გრძნეულები, შემდეგ კი დაწვას უპირებენ.

– როდის დაწვავენ? – იკითხეს მენახშირეებმა, რომელთაც ეტყობოდათ, რომ სიამოვნებით დაესწრებოდნენ ამ სანახაობას.

ბულდეომ უპასუხა, რომ მის დაბრუნებამდე არაფერი მოხდებოდა, რადგან სოფელს, პირველ რიგში, ჯუნგლის ბიჭის მოშორება უნდოდა, მესუასა და მის ქმარს კი შემდეგ გამოასალმებდნენ სიცოცხლეს და მათ ქონებას, მიწებსა და კამეჩებს სოფლის მოსახლეობა გაიყოფდა.

– მესუას ქმარს რამდენიმე საუცხოო კამეჩი ჰყავს. ზოგადად, გრძნეულების მოსპობა ძალიან კარგი ამბავია. ისინი კი, ვინც ჯუნგლიდან გამოსული მგლის შვილი შეიფარეს, ყველაზე უფრო საშიში ჯადოქრები არიან! – დაუმატა ბულდეომ.

მენახშირეებს დააინტერესათ, რა მოხდებოდა, ეს ამბავი ინგლისელებს რომ გაეგოთ, რადგან, მათ როგორც იცოდნენ, ინგლისელები გადარეული ხალხი იყო, რომლებიც პატიოსან ფერმერებს არასოდეს მისცემდნენ გრძნეულების დახოცვის ნებას.

– ეგ არაფერი, – მიუგო ბულდეომ, – სოფლის მამასახლისი მათ ეტყვის, რომ მესუა და მისი ქმარი გველის ნაკბენისგან გარდაიცვალნენ. ყველაფერი მოგვარებულია. მხოლოდ მგლის შვილი დამრჩა მოსაკლავი. ხომ არსად დაგინახავთ მსგავსი არსება?

მენახშირეებმა ფრთხილად მიმოიხედეს ირგვლივ და მადლობა გადაუხადეს თავიანთ ვარსკვლავს, რომ მსგავსი არაფერი უნახავთ. თუმცა, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბულდეოსნაირი მამაცი ადამიანი აუცილებლად იპოვიდა მას.

მზე გადაიხარა. მენახშირეებმა ბულდეოს სოფლისაკენ წასვლა გადაწყვიტეს გრძნეული ჯადოქრის სანახავად. მონადირემ მათ განუცხადა, რომ ეშმაკის შვილის მოკვლა მისი მოვალეობა იყო, უიარაღოებს კი მარტო ვერ გაუშვებდა ჯუნგლში, რადგან, ყოველ წუთს შეიძლებოდა მგელ-ეშმაკს გადაყროდნენ. ჰოდა, გადაწყვიტა, თავად გაეცილებინა ისინი და თუკი სადმე ჯადოქრის შვილი გამოჩნდებოდა, ანახებდა მათ, როგორი გამასპინძლება იცის სიონიის საუკეთესო მონადირემ. – ბრამინმა[1] თილისმა მომცა, რომელიც ყველაფრისგან დამიცავს, – დასძინა ბოლოს.

– რას ამბობს, რას ამბობს, რას ამბობს? – ყოველ წუთას ეკითხებოდნენ მგლები მაუგლის.

მაუგლიც უთარგმნიდა მანამ, სანამ ამბავი ჯადოქრობამდე მივიდოდა, მერე თვითონაც ვეღარ გაერკვა. მხოლოდ ის თქვა, რომ ქალი და კაცი, რომლებმაც მისდამი ასეთი გულკეთილობა გამოიჩინეს, მახეში გაუბამთო.

– ნუთუ ადამიანი ადამიანს მახეს უგებს? – იკითხა რუხმა ძმობილმა.

---

[1] ბრამინი – იგივე ბრაჰმანი; ინდოეთში უმაღლესი კასტის წარმომადგენელი და ბრაჰმანიზმის ქურუმი.

– ასე თქვა, მაგრამ კარგად ვერ გავიგე. ყველანი გიჟები არიან. რა ესაქმება მესუასა და მის ქმარს ჩემთან, რომ მათ მახეს უგებენ? და რატომ საუბრობენ წითელ ყვავილზე? აუცილებლად უნდა გავარკვიო. რასაც არ უნდა აპირებდნენ, ბულდეოს დაბრუნებამდე მესუას არაფერს დაუშავებენ. ასე რომ... – ღრმად ჩაფიქრებული მაუგლი თითებს ათამაშებდა დანის ტარზე. ბულდეო და მენახშირეები კი მამაცურად გაუდგნენ გზას.

– რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავბრუნდე ადამიანთა ხროვაში, – თქვა ბოლოს მაუგლიმ.

– და ისინი? – ჰკითხა რუხმა მგელმა და მიმავალი მენახშირეების ჩაშავებულ ზურგებს ხარბად გააყოლა თვალი.

– შენი სიმღერით აიძულე შინ დაბრუნდნენ, – მიუგო მაუგლიმ და ჩაიცინა, – დაბნელებამდე სოფლის კარს არ უნდა მიაღწიონ. შეგიძლია, ცოტა შეაყოვნო ისინი?

რუხმა მგელმა ზიზღით დაკრიჭა თეთრი კბილები და უპასუხა:

– ადამიანებს კარგად ვიცნობ, შემიძლია პირობა მოგცე, რომ დაბმული თხებივით ვახტუნავებ წრეზე!

– ეგ არაა საჭირო, მხოლოდ უმღერეთ, რომ გზაში არ მოიწყინონ, ოღონდ, რუხო ძმობილო, მთლად ტკბილ სიმღერას ნუ დაიწყებ. ბაგირა, შენც გაჰყევი და ბანი მიეცი. რომ დაღამდება, სოფელთან შემხვდით, რუხმა ძმობილმა იცის ის ადგილი.

– არც ისე სახარბიელოა ადამიანის ლეკვის დევნა. როდისღა შევძლებ ძილს? – დაამთქნარა ბაგირამ, თუმცა მისი თვალები მოწმობდნენ, რომ მომავალი სეირით აღფრთოვანებული იყო, – ტიტველ ადამიანებს უნდა ვუმ-

ღერო! თუმცა არა უშავს, ვცდი.

ავაზამ თავი ჩაღუნა და გაბმულად შემოსძახა „წარმატებული ნადირობა“. ეს იყო ნაშუადღევს გაგონილი შუაღამის ძახილი, რომელიც საბარლად გაისმა ჯუნგლში. მაუგლიმ გაიგონა, როგორ აღმოხდა ბაგირას გრგვინვა, რომელიც ჯერ გაიბარდა, მერე იკლო და ბოლოს წკმუტუნში გადაიბარდა. მაუგლი იცინოდა და გარბოდა. იგი ხედავდა, როგორ შეჯგუფდნენ მენახშირეები, როგორ ირხეოდა მოხუცი ბულდეოს თოფის ლულა ბანანის ფოთოლივით. მერე რუხმა ძმობილმა წამოიწყო ირემზე ნადირობის სიმღერა: „ია-ლა-ჰი! ია-ლა-ჰა!“ ამ სიმღერას ხროვა ნილჰაის დიდი, ლურჯი ფურის წინ გაგდებისას ასრულებს ხოლმე. ძახილი თითქოს დედამიწის ყველა კუთხიდან გაისმა, თანდათან ახლოვდებოდა და ბოლოს წკავწკავში გადაიბარდა. რუხ მგელს არც დანარჩენები ჩამორჩნენ ბანის მიცემაში. გეგონებოდათ, მთელი ხროვა ღრიალებსო. შემდეგ ყველამ ერთად დილის საუცხოო სიმღერა შემოსძახა თავისი ტუშითა[1] და მოძახილებით. აქვეა, ამ სიმღერის შედარებით თავისუფალი თარგმანი. თქვენ კი წარმოიდგინეთ, რა საოცარი მოსასმენი იქნება ის საღამოს, ჯუნგლის მდუმარებაში.

ღამის ბურუსი ნელა,
აიყრება და წავა,
მალე ინათებს უკვე,
აბა, სახლისკენ ჩქარა.

[1] ტუში – მოკლე მუსიკალური მისალმება, რომელსაც ასრულებს ორკესტრი.

დადუმებულა ტყე და
სიოც არ დაჰქრის ველად,
დაისვენეთ და ჯუნგლის
კანონს მისდიეთ ყველამ.

მხეცნი ჩქარობენ წასვლას
და მბრძანებლებსაც უნდათ,
შინ მიაშურონ მალე,
მგლებიც მიახტნენ ბუნაგს.

ხარი მოათრევს გუთანს,
მოჰყვება პატრონს უხმოდ,
და განთიადმა ზეცა
ააფერადა უცხოდ.

ბუნაგებისკენ ჩქარა,
ბალახი სუნთქავს ნელა,
ბამბუკის მთელი მწკრივი
ჩურჩულით უხმობს ყველას.

ტყე უცნაურად მოსჩანს,
თითქოს ირგვლივ დგას ხვატი;
– კაცს გაუთენდა დილა, –
კივის ველური ბატი.

ნამიც შეშრა და გაქრა,
გადახმა ყველა უბე,
გუშინ წყალს ვსვამდით, დღეს კი,
თითქმის ამოშრა გუბე.

ნუთუ სიბნელემ ჩვენი
კვალი დაატყო მიწას,
და ისმის: „მოსვენება
მას, ვინც კანონებს იცავს!“

ვერანაირი თარგმანი ვერ გადმოსცემს იმ შთაბეჭდილებას, რაც ამ სიმღერამ – მგლების მიერ წარმოთქმულმა დამცინავმა სიტყვებმა – მოახდინა.

შეშინებული ადამიანები ხეებზე მიცოცავდნენ, ტოტები ტყდებოდა. ბულდეო კი სწრაფად იმეორებდა გამოსალოც სიტყვებს. მხეცებმა იქვე მიიძინეს, რადგან, ყველა, ვინც საკუთარი ძალისხმევით ცხოვრობს, თანმიმდევრულობით გამოირჩევა; ამიტომ, ვერავინ მუშაობს გამოძინების გარეშე. მაუგლი სწრაფად მიჰქროდა. აღფრთოვანებული იყო, რომ ადამიანებთან გატარებული ურთულესი თვეების შემდეგ, ახლა ასე მხნედ გრძნობდა თავს. მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: რაც შეიძლება სწრაფად გაეთავისუფლებინა მესუა და მისი ქმარი, გამოეყვანა ისინი მახედან, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო ის. მახეებისადმი ყოველთვის უნდობლად იყო განწყობილი. თან თავს პირობა მისცა, რომ სოფელს აუცილებლად გადაუხდიდა სამაგიეროს.

ბინდი იყო, როდესაც მაუგლიმ კარგად ნაცნობი საძოვრები და დაკის ის ხე დაინახა, სადაც მას რუხი ძმა შერ-ხანის მოკვლის დღეს ელოდა. მართალია, მაუგლი განრისხებული იყო ადამიანთა მთელ მოდგმაზე, მაგრამ სოფლის ბანებს რომ მოჰკრა თვალი, ყელში რაღაც ძლიერ გაეჩხირა და სუნთქვა გაუჭირდა. ბიჭმა შენიშნა, რომ მინდ-

ვრებიდან ყველა უჩვეულოდ ადრე დაბრუნებულიყო და ნაცვლად იმისა, რომ საღამოს ვახშამს შესდგომოდნენ, ხის ძირში თავმოყრილები ხმაურიანად საუბრობდნენ.

„ადამიანმა ადამიანს მახე უნდა დაუგოს", – გაიფიქრა მაუგლიმ, – „სხვანაირად არ შეუძლია. ორი ღამის წინ მეც დამემუქრნენ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს ღამე დიდი ხნის წინ, უხვი წვიმების დროს იყო. ამაღამ კი მესუასა და მისი ქმრის ჯერია. ხვალ, ან რამდენიმე დღეში, კვლავ მაუგლის დრო დადგება"

ბიჭი ჩუმად გაუყვა ყორეს და მესუას ქოხს რომ მიუახლოვდა, ფანჯარაში შეიხედა. მესუა პირახვეული და ხელფეხშეკრული ეგდო. ძლივს სუნთქავდა და ოხრავდა. მისი ქმარი ფერად საწოლზე მიებათ. ქოხის კარი, რომელიც ქუჩის მხარეს იღებოდა, მაგრად ჩაეკეტათ და გარედან სამი თუ ოთხი ადამიანი ამ კარს ზურგით მიჯდომოდა.

მაუგლიმ კარგად იცოდა სოფლელთა ზნე-ჩვეულება, რომ ისინი ჭამის, საუბრისა და თამბაქოს მოწევის დროს, სხვას არაფერს აკეთებენ. მაგრამ, როგორც კი დანაყრდებიან, მეტად საშიშნი ხდებიან. ბულდეო მალე დაბრუნდებოდა, და თუ აკელა კარგად შეასრულებდა თავის მოვალეობას, მოხუც მონადირეს ბევრი საინტერესო ამბავი დაუგროვდებოდა მოსაყოლად.

მაუგლი ფანჯრიდან გადაძვრა ქოხში, ჩაიცუცქა, გადაჭრა თასმები, რომლებითაც ცოლ-ქმარი გაეკოჭათ, პირი გაუთავისუფლა მათ და თვალი მოავლო ოთახს, იმ იმედით, რომ რძეს იპოვიდა.

მესუა ტკივილისა და შიშისგან ნახევრად გიჟს ჰგავდა. საბრალო ქალს მთელი დილა ურტყამდნენ და ესროდნენ

ქვებს. მაუგლიმ მესუას პირზე ხელი დააფარა, რათა არ ეყვირა. მისი დაბნეული ქმარი წამოჯდა და აბურძგნული წვერიდან მტვრის მოშორება დაიწყო.

– ვიცოდი, ვიცოდი, რომ მოვიდოდა, – ბოლოს აქვითინდა მესუა, – ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი შვილია, – და მაუგლი გულში ჩაიკრა.

თუ აქამდე მაუგლი თავს მტკიცედ გრძნობდა, ახლა სულ კანკალებდა, მისდა გასაოცრად.

– რატომ გაგკოჭეს? – იკითხა მაუგლიმ ცოტა ხნის შემდეგ.

– სიკვდილს გვიპირებენ შენი შვილად მიღებისთვის, სხვა რატომ? – უპასუხა კაცმა დაღვრემით, – შემომხედე, სისხლისგან ვიცლები.

მესუას არაფერი უთქვამს, მაუგლი კი მის ჭრილობებს უყურებდა და ცოლ-ქმარმა გაიგონა, როგორ გააკრაჭუნა ბიჭმა კბილები სისხლის დანახვაზე.

– ეს ვინ ჩაიდინა? – იკითხა მან, – აუცილებლად გადავუხდი სამაგიეროს.

– მთელმა სოფელმა. მე მდიდარი ვარ, ბევრი პირუტყვი მყავს. მე და ჩემს ცოლს ჯადოქრობას გვაბრალებენ შენთვის თავშესაფრის მოცემისათვის.

– ვერაფერი გავიგე. მესუა, ამიხსენი, გთხოვ.

– გახსოვს, რძეს რომ გასმევდი? – ჰკითხა მესუამ. – ეს იმიტომ, რომ ჩემი ვაჟი ხარ, რომელიც ვეფხვმა მომტაცა, და კიდევ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ. ისინი ამბობენ, რომ მე შენი, ანუ ეშმაკის დედა ვარ და ამიტომ სიკვდილს ვიმსახურებ.

– ეშმაკი რა არის? – იკითხა მაუგლიმ, – სიკვდილი ვიცი, მინახავს.

კაცი მოიღუშა, მესუამ კი გაიცინა.

– შეხედე! – უთხრა მესუამ ქმარს, – ხომ გეუბნებოდი, ის არ არის ჯადოქარი. ის ჩემი შვილია, ჩემი შვილი!

– შვილია თუ ჯადოქარი, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს? – მიუგო კაცმა, – ჩვენ მაინც სასიკვდილოდ ვართ განწირულები!

– აი, ჯუნგლისკენ მიმავალი გზა, – მაუგლიმ ფანჯრიდან მიანიშნა გზაზე, – ხელ-ფეხი თავისუფალი გაქვთ, ახლავე წადით!

– ჩემო ბიჭო, ჩვენ არ ვიცნობთ ჯუნგლს ისე, როგორც შენ, – დაიწყო მესუამ, – არა მგონია, დიდხანს სიარული შევძლო.

– ქალი და კაცი – ყველა უკან დაგვედევნება და ისევ აქ მოგვათრევენ, – დასძინა ქმარმა.

– ჰმ, – წარმოთქვა მაუგლიმ და ხელის გულზე დანის წვერი შეათამაშა. – ჯერჯერობით არ მინდა სოფლის რომელიმე მკვიდრს რამე დავუშავო, მაგრამ არა მგონია შეგაჩერონ, მალე მათ სხვა საფიქრალი გაუჩნდებათ. აჰა! – მან თავი ასწია და ყური მიუგდო გარედან შემოსულ ყვირილსა და ფეხის ხმას. – ალბათ, ბულდეო დაბრუნდა.

– ის ამ დილით შენს მოსაკლავად გამოგზავნეს, – მიუგო მესუამ, – ნუთუ არ შეხვდი მას?

– კი, შევხვდი, და ალბათ ამბავიც ექნება მოსაყოლი ჩემზე. სანამ ის დაასრულებს, ბევრი დრო გვაქვს, მაგრამ, პირველ რიგში, უნდა გავარკვიო, სოფლელები რას აპირებენ. ამასობაში თქვენც მოიფიქრეთ, საით გირჩევნიათ წასვლა და რომ დავბრუნდები, მითხარით.

მაუგლი ფანჯრიდან გადახტა და სირბილით გაუყვა სოფლის ყორეს, რომ ხმის გასაგონ მანძილამდე მიახ-

ლოვებოდა ხალხით გარშემორტყმულ ფიკუსის წმინდა ხეს. ბულდეო ძირს იჯდა, ახველებდა, ხვნეშოდა. ყველა რაღაცას ეკითხებოდა. მონადირეს თმა ჩამოშლოდა მხრებზე, ხელ-ფეხი გადატყავებოდა ხეებზე ძრომიალისგან. ძლივს საუბრობდა, მაგრამ თავისი მდგომარეობის მნიშვნელობას კარგად იაზრებდა. დროდადრო რაღაცას ბუტბუტებდა ეშმაკებზე, მომღერალ დემონებსა და ჯადოქრებზე. ვითარებას ამწვავებდა, რომ ხალხს მოსალოდნელი საფრთხე ეგრძნო. შემდეგ წყალი მოითხოვა.

„ვაჰ, – გაიფიქრა მაუგლიმ, – ყბედობს და ყბედობს! ლაქლაქებს. ადამიანები ბანდარ-ლოგის ღვიძლი ძმები არიან. ხან წყალს იგუბებენ ჰირში, ხან ბოლს უშვებენ, როცა ამ ყველაფერს მორჩებიან, რაღაც ამბების თხრობას იწყებენ. მოკლედ, ძალიან ჭკვიანები არიან. ესენი მესუას საყარაულოდ ალბათ ერთ კაცსაც არ დატოვებენ – თითოეული მათგანის ყურები ბულდეოს ზღაპრებით უნდა აივსოს. მგონი, მეც მათსავით გავზარმაცდი“.

მაუგლიმ ტანი შეიბერტყა და მესუას ქოხისკენ გავარდა. ის-ის იყო, ფანჯარასთან მივიდა, რომ ფეხზე ვიღაცის შეხება იგრძნო.

– დედა! – წამოიძახა მან. – აქ რა გინდა?

– ტყეში ჩემი შვილების სიმღერა შემომესმა და იმ ერთის ხმას გამოვყევი, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს. პატარა ბაყაყო, იმ ქალის ნახვა მინდა, რომელიც რძით გიმასპინძლდებოდა, – თქვა ნამისაგან დასველებულმა დედა მგელმა.

– გაკოჭეს, მოკვლას უპირებენ. გადავუჭერი თასმები და ახლა ჯუნგლში წავა ქმართან ერთად.

– მეც გავყვები, მართალია, დავბერდი, მაგრამ კბილე-

ბი ჯერ ისევ მიჭრის.

დედა მგელი უკანა ფეხებზე შედგა და სიბნელეში ფანჯრიდან მოავლო თვალი ქოხს, მერე წყნარად დაეშვა უკან და თქვა:

– პირველად მე გაწოვე ძუძუ, მაგრამ ბაგირა მართალია, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ადამიანისკენ მიილტვის მაინც.

– არ ვიცი, შეიძლება ასეც იყოს, – უპასუხა მაუგლიმ და სახეზე უკმაყოფილებამ გადაუარა, – თუმცა ამაღამ ძალიან შორს ვარ მათგან. აქ მოიცადე, მაგრამ ნუ დაენახვები.

– შენ ჩემი არასოდეს გეშინოდა, პატარა ბაყაყო, – თქვა დედა მგელმა, მაღალი ბალახისკენ დაიხია და გაუჩინარდა.

– ახლა, – მხიარულად თქვა მაუგლიმ, როცა კვლავ ქოხში გადახტა, – ყველანი ბულდეოს შემოხვევიან გარს. ის კი ათასგვარ გამონაგონ ამბავს უამბობს მათ. როდესაც ზღაპრების მოყოლას მორჩება, აქ მოვლენ წითელი... ცეცხლით და ორივეს ამოგბუგავენ. რა გადაწყვიტეთ?

– მე და ჩემმა ქმარმა მოვილაპარაკეთ, – თქვა მესუამ, – რომ ჰანჰივარა აქედან სულ რაღაც ოცდაათი მილის მანძილზეა და იქ შეგვიძლია ინგლისელების ნახვა.

– რომელ მოდგმას ეკუთვნიან ისინი? – დაინტერესდა მაუგლი.

– არ ვიცი, როგორც ამბობენ, თეთრები არიან. მთელ ქვეყანას მართავენ. არავის აძლევენ ვინმეს კოცონზე დაწვის ან ცემის უფლებას. თუკი ამაღამ იქ მისვლას მოვახერხებთ, აუცილებლად გადავრჩებით, თუ არადა, სიკვდილი არ აგვცდება.

– მაშ, იცოცხლეთ! ვერცერთი ადამიანი ვერ გაშორდება დღეს სოფელს. ეს რას აკეთებს?

მესუას ქმარი დაჩოქილიყო და კუთხეში მიწას თხრიდა.

– იქ ცოტაოდენი ფულია, – მიუგო მესუამ, – თან სხვას ვერაფერს წავიღებთ.

– ჰო, ჰო, ვიცი, ეს ისაა, ხელიდან ხელში რომ გადადის და არასოდეს თბება. ნუთუ ამ ადგილის გარდა, სხვაგანაც სჭირდებათ ეგ? – იკითხა მაუგლიმ.

კაცი გაბრაზებით მიაშტერდა მაუგლის. – ეშმაკი კი არა, უტვინოა, – თავისთვის ჩაიბუტბუტა.

– ამ ფულით ცხენს ვიყიდით, – თქვა მან, – ისე გვცემეს, რომ ფეხით სიარულს ვერ შევძლებთ. სოფელი კი ერთ საათში დაგვედევნება.

– გეუბნებით, რომ ისინი ვერ დაგედევნებიან, სანამ მე არ მოვისურვებ. კარგია, ცხენის შეძენაზე რომ გიფიქრია, მესუა დაღლილია.

მესუას ქმარი წამოდგა და რუპიები ქამარში გამოიკრა. მაუგლიმ ფანჯრიდან გადაიყვანა ქალი, რომელიც ღამის სიგრილემ გამოაცოცხლა. ვარსკვლავების მკრთალი შუქი ჯუნგლს უფრო პირქუშსა და საბარელს ხდიდა.

– ჰანჰივარასკენ მიმავალი გზა იცით? – ჰკითხა მაუგლიმ.

მათ თავი დაუქნიეს.

– კეთილი. გახსოვდეთ, ნუ შეგეშინდებათ, სწრაფი სიარულიც არაა საჭირო. მხოლოდ... მხოლოდ შეიძლება სიმღერა გაიგოთ ჯუნგლის სხვადასხვა მხრიდან.

– შენ ფიქრობ, რომ ღამით ჯუნგლში გავბედავდით შესვლას, გადაბუგვა რომ არ გველოდეს? მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, სჯობს, მხეცებმა დაგვხოცონ, ვიდრე – ადამიანებმა, – თქვა მესუას ქმარმა.

მესუამ მაუგლის შეხედა და გაიღიმა.

– მე გეუბნებით, – განაგრძო მაუგლიმ ისე, თითქოს

ბალუ იყო და გონებაგაბნეულ ლეკვს მეასეჯერ უმეორებდა ჯუნგლის ძველ კანონს, – მე გეუბნებით, რომ ჯუნგლში ერთი კბილიც კი არ გაილესება თქვენთვის, ერთი ფეხიც კი არ გაინძრევა თქვენ წინააღმდეგ. ვერც ადამიანი და ვერც ნადირი ვერ შეგაჩერებთ, სანამ ჰანჰივარას არ მიაღწევთ, პირიქით, დაგიცავენ კიდეც, – მერე უცებ მიუბრუნდა მესუას და ჰკითხა: – მაგას არაფრის სჯერა, მაგრამ შენ ხომ გჯერა ჩემი?

– მჯერა, შვილო, რა თქმა უნდა, მჯერა. ადამიანი ხარ, მოჩვენება თუ ჯუნგლის მგელი, მაინც მჯერა შენი!

– შენს ქმარს შეეშინდება, ჩემი ძმობილების სიმღერას რომ გაიგონებს, მაგრამ შენ არ შეშინდე. ახლა კი წადით და ნუ იჩქარებთ. არ არის საჭირო სიჩქარე, სოფლის შესასვლელი დაკეტილია.

მესუა ტირილით ჩაუვარდა ფეხებში მაუგლის. აცახცახებულმა მაუგლიმ მაშინვე წამოაყენა იგი. მერე ქალი კისერზე ჩამოეკიდა და უამრავი საალერსო სიტყვა უთხრა. მისმა ქმარმა კი დანანებით გახედა თავის მინდვრებს და თქვა:

– თუ გაგვიმართლა ისე, რომ ჰანჰივარას მივაღწიეთ და ინგლისელებმა მოგვისმინეს, ისე ვუჩივლებ ბრამინს, მოხუც ბულდეოსა და სხვებს, რომ მთელ სოფელს გაანადგურებენ. ორმაგად ვაზღვევინებ მათ ჩემი გაჩანაგებული ყანებისა და დამშეული კამეჩების გამო. აუცილებლად ვიპოვი სამართალს.

მაუგლის გაეცინა:

– არ ვიცი, რას ნიშნავს სამართალი, მაგრამ... მომავალი წვიმების დროს დაბრუნდი და ნახავ, რაც დაგხვდება.

მესუა და მისი ქმარი ჯუნგლისაკენ გაემართნენ. დედა მგელი საფარიდან გამოხტა.

– გაჰყევი, – უთხრა მაუგლიმ, – გაჰყევი და მთელ ჯუნგლს გააგებინე, რომ არავინ შეეხოს. ახლავე მიაწვდინე ყველას ხმა. ბაგირასაც დავუძახებ.

ამ დროს უცებ გაბმული ყმუილი გაისმა, მერე ისევ მიწყდა. მაუგლიმ დაინახა, როგორ შეშინდა მესუას ქმარი, შემობრუნდა, თითქოს ქოხში უნდოდა დაბრუნება.

– გზა განაგრძე, – მხიარულად შეუძახა მაუგლიმ. – ხომ გაგაფრთხილე, სიმღერას გაიგონებ-მეთქი. ძახილი ჰანჰივარამდე მიგყვებათ. ეს ჯუნგლების წყალობაა.

მესუამ დაითანხმა ქმარი და გზა განაგრძეს. მალე ისინიც და დედა მგელიც სიბნელეში გაუჩინარდნენ. ამ დროს მაუგლის ფეხებთან ბაგირა გაჩნდა, ის ისეთი ათრთოლებული და აღგზნებული იყო, როგორც ღამით სჩვევიათ ხოლმე ჯუნგლელებს.

– მე მრცხვენია შენი ძმების მაგივრად, – კრუტუნით თქვა მან.

– რატომ? ნუთუ ტკბილად არ უმღერეს ბულდეოს? – ჰკითხა მაუგლიმ.

– პირიქით, ზედმეტად კარგად უმღერეს; თვით მეც კი გადამავიწყეს ჩემი სიამაყე და, გეფიცები ჩემს გამათავისუფლებელ კლიტეს, რომ ჯუნგლში ისე ვმღეროდი, როგორც გაზაფხულობით საარშიყოდ გავარდნილს მჩვევია. არ გესმოდა ჩვენი ხმა?

– მე სხვა სანადირო საქმით ვიყავი დაკავებული. ეგ ბულდეოს ჰკითხე, მოეწონა თუ არა სიმღერა. სად არის ჩემი ოთხი ძმობილი? არ მინდა, რომ ადამიანთა ხროვიდან თუნდაც ერთი ვინმე მოშორდეს ამაღამ სოფელს.

– ოთხი მგელი რაში გჭირდება? – ბაგირამ ფეხი მოინაცვლა და თვალებანთებულმა ჩვეულებრივზე უფრო ხმა-

მაღალი კრუტუნით მიუგო: – მათ მე შევაჩერებ, ძმობილო. მერე როგორ უნდა მოვიქცეთ, უნდა დავხოცოთ? სიმღერამ და ხეებზე ადამიანთა ფორთხვამ ნადირობა მომანდომა. განა რას წარმოადგენს ის, რომ მისთვის თავი შევიწუხოთ? შიშველი არსება, მიწის მთხრელი, უკბილო, მიწისმჭამელი. მთელი დღის განმავლობაში ვდიე... შუადღისას, როცა მზე ანათებდა, ზუსტად ისე ვმწყემსე ისინი, როგორც მგლები მწყემსავენ ხოლმე ირმებს. მე ბაგირა ვარ, ბაგირა! ადამიანებს საკუთარი ჩრდილის მსგავსად ვეთამაშები ხოლმე. მიყურე!

უზარმაზარი ავაზა ისე ახტა, როგორც კნუტი ხტება ქარისაგან აფრიალებული ფოთლის დასაჭერად. აქეთ-იქით ჰკრავდა კამარას, მერე ზუზუნებდა ჰაერში, ისევ ძირს ეშვებოდა უხმოდ და კვლავ ხტებოდა. მისი ბუზღუნი და ღრენა ისე ირეოდა ერთმანეთში, როგორც დახშულ ქვაბში მობუყბუყე ორთქლი.

– მე ბაგირა ვარ! ჩემს დარტყმას ვინ გაუძლებს, ადამიანის ლეკვო? თათის ერთი მოქნევით შემიძლია ეგ თავი გამხმარი ბაყაყივით გაგიბრტყელო.

– აბა, სცადე, – უთხრა მაუგლიმ ჯუნგლის ენის ნაცვლად სოფლური კილოთი.

ადამიანის სიტყვებმა ბაგირა ერთიანად შეაცბუნა, აკანკალებული უკანა თათებზე დაეშვა და თავი წინ გაუჩერა მაუგლის. ბიჭი ისე ჩააშტერდა ბაგირას მწვანე თვალებს, როგორც ურჩ ლეკვებს აშტერდებოდა ხოლმე. მანამდე აკვირდებოდა, სანამ ავაზას აკვესებული თვალები არ ჩაქრა, ისე, როგორც ოცი მილის სიშორიდან ზღვაში ნატყორცნი შუქურას სხივი მიინავლება ხოლმე, და ძირს არ დახარა; მერე მისი უზარმაზარი თავიც დაბლა დაეშვა და წითე-

ლმა ენამ მაუგლის ტერფი აულოკა.

– ძმაო, ძმაო, ძმაო! – ჩურჩულებდა მაუგლი და თავის ღონიერ ხელს ნაზად უსვამდა ათრთოლებულ ზურგზე, – დამშვიდდი, დაწყნარდი, ეს შენი ბრალი არ არის, ღამის ბრალია.

– ღამის სურნელების ბრალია, – სინანულით წარმოთქვა ბაგირამ, – ჰაერი მიხმობს, მაგრამ შენ რა იცი?

ინდოეთში მდებარე სოფლების ირგვლივ ჰაერში ტრიალებს ათასგვარი სურნელი, რომელიც ცხვირით მოაზროვნე ცხოველს ისევე აღაგზნებს, როგორც ადამიანს – მუსიკა და სასმელი.

მაუგლი ცოტა ხანს კიდევ ეალერსებოდა ავაზას. ცეცხლის პირას მისვენებული ბაგირა კატასავით გაწვა, თათები მკერდზე მიიბჯინა და თვალები მილულა.

– შენ თან ჯუნგლელი ხარ და თანაც – არა, – თქვა მან ბოლოს. – მე კი მხოლოდ ავაზა ვარ, მაგრამ მიყვარხარ, მიყვარხარ, პატარა ძმობილო!

– უკვე კარგა ხანია, ხის ქვეშ საუბრობენ, – თქვა მაუგლიმ სასხვათაშორისოდ, ისე, თითქოს ყურადღებაც არ მიუქცევია ავაზას უკანასკნელი სიტყვებისათვის. – ალბათ, ბევრი რამ უამბო ბულდეომ. მალე ადამიანები აქ მოვლენ, რათა ქალი და კაცი გამოათრიონ და წითელ ყვავილში ჩაყარონ. ის კი არ იციან, რომ მახე ცარიელი დახვდებათ! ჰა, ჰა, ჰა!

– მომისმინე, – უთხრა ბაგირამ, – ციებ-ცხელებამ გადამიარა, ჰოდა, მოდი, მე მნახონ გალიაში. მეეჭვება, ჩემი ნახვის შემდეგ, ვინმემ გარეთ გამოსვლა გაბედოს. ჩემთვის უცხო არ არის გალია და ვერც ჩემს გაკოჭვას შეძლებენ.

– აბა, შენ იცი, ჭკუით, – სიცილით უთხრა მაუგლიმ. ის

ავაზასავით აღტაცებული იყო, ბაგირა ქოხში გადაეშვა.

– ჰაჰ! – ამოიხვნეშა ბაგირამ, – ყველაფერს ადამიანის სუნი ასდის; საწოლიც ზუსტად ისეთია, უდეიპურში, მეფის გალიაში რომ დამიგეს! ახლავე დავწვები! – და როცა უზარმაზარი მხეცი მთელი თავისი სიმძიმით ზედ გაწვა, მაუგლის ყურამდეც მივიდა საწოლის ჭრიალი.

– ჩემს გამათავისუფლებელ კლიტეს ვფიცავ, რომ იფიქრებენ, ხელში ერთი დიდი მხეცი ჩავიგდეთო. მოდი, ჩემ გვერდით ჩამოჯექი, ძმობილო, სოფლელებს ერთად ვუსურვოთ წარმატებული ნადირობა.

– არა, მე სხვა რამ მინდა. ადამიანთა ხროვამ არ უნდა იცოდეს, ამ საქმეში მეც რომ მიმიძღვის წვლილი. შენ შენთვის ინადირე, მე კი ნამდვილად არ მაქვს მათი დანახვის სურვილი.

– კარგი, – უთხრა ბაგირამ, – აი, კიდეც მოდიან.

სოფლის მეორე ბოლოში, ფიკუსის წმინდა ხის ქვეშ შეკრებილები თანდათან ახმაურდნენ. ატყდა ქაოსი, კაცი თუ ქალი ქუჩაში გავარდა კეტების, ბამბუკის ჯოხების, ნამგლებისა და დანების ტრიალით. წინ ბულდეო და ბრამინი მოუძღოდნენ. ბრბო კი მათ უკან გაჰყვიროდა:

– მისნები, ჯადოქრები! ვნახოთ, როგორ გამოვტეხავთ მათ გახურებული ფულის წყალობით! ქოხი გადავუწვათ და ვასწავლოთ, როგორ უნდა მგელ-ეშმაკის შეფარება! თუმცა არა, ჯერ ვცემოთ! ჩირაღდნები, მეტი ჩირაღდანი! ბულდეო, თოფის ლულა გაახურე!

კარის საკეტი ადვილად არ გაიღო, მაგრამ გამწარებულმა ბრბომ აღარ დაიცადა და კარი შეამტვრია. ოთახი ჩირაღდნების შუქმა გაანათა. საწოლზე გაჭიმულიყო ცალ მხარეს თათებგადაკიდებული, უშავესი და ქაჯივით სა-

ზარელი ბაგირა. უცებ საშინელმა სიჩუმემ დაისადგურა. ბრბოს წინა რიგი ერთიანად მოსწყდა ადგილს და კარის ზღურბლს მივარდა.

ბაგირამ თავი ასწია და ერთი გემრიელად დაამთქნარა. ულვაშებიან ტუჩს ავაზა ნელ-ნელა სწევდა ზევით და სისხლისფერ ენას კლაკვნით ჰყოფდა; ძირს დაშვებული ქვედა ყბა კი უფრო მეტად აჩენდა, წითლად გავარვარებულ ხახას, საიდანაც უშველებელი ეშვები მოჩანდა. ბოლოს ბაგირამ ისეთი ხმაურითა და ღრჭენით დახურა პირი, იფიქრებდით, ფოლადის საკეტიანი სკივრი დაიკეტაო.

ერთ წუთში დაცარიელდა იქაურობა, ბაგირა ფანჯრიდან გადახტა და მაუგლის გვერდით დადგა. სოფლელები ყვირილით ჰქელავდნენ ერთმანეთს და დაშინებულები გარბოდნენ ქოხებისკენ.

– გათენებამდე ველარაფერს იზამენ, – მშვიდად თქვა ბაგირამ, – ახლა როგორ მოვიქცეთ?

სოფელმა თითქოს შუადღის ძილს მისცა თავი. მაუგლისა და ბაგირას ხმაური შემოესმათ, იფიქრებდით, ხორბლის მძიმე ყუთებს მიაცურებდნენ მიწის იატაკზე. სოფლელები ამ ყუთებით კარებს ამაგრებდნენ. ბაგირა მართალი იყო: სოფელი დილამდე არაფერს იზამდა. მაუგლი ჩუმად იჯდა, ფიქრობდა და სახე თანდათან ელუშებოდა.

– ხედავ, რა ჩავიდინე? – თქვა ბოლოს ბაგირამ.

– ისეთი არაფერი, მხოლოდ დიდი სიკეთე. დილამდე უყარაულე, მე დავიძინებ.

ეს თქვა და მაუგლი ჯუნგლისაკენ გაიქცა, კლდეზე დაეშვა, დაწვა და მთელი დღე-ღამის განმავლობაში ეძინა. როცა გამოფხიზლდა, გვერდით ბაგირა ეჯდა, ფეხებთან კი, ახლადმოკლული ირემი ეგდო. ბაგირა ცნობისმოყვა-

რე მზერით აკვირდებოდა, როგორ აათამაშა ბიჭმა თავისი დანა, როგორ ჭამდა, სვამდა, მერე როგორ წამოწვა და ნიკაპი ხელებში ჩარგო.

– კაცი და ის შენი ქალი უვნებლად ჩასულან ჰანჰივარაში, – უთხრა ბაგირამ, – დედაშენმა შემოგითვალა ჩილის პირით, რომ ცხენი იმ ღამესვე უშოვიათ და ძალიან სწრაფად უვლიათ. ხომ კარგი ამბავია?

– კარგია, – მიუგო მაუგლიმ.

– სოფელში კი ადამიანთა ხროვა გათენებამდე ადგილიდან არ დაძრულა. მერე საჭმელი ჭამეს და ისევ სახლებში მიიმალნენ.

– ხომ არავის დაუნახიხარ?

– შეიძლება დამინახეს კიდეც. გამთენიისას მტვერში ვგორაობდი და, როგორც მახსოვს, ჩემთვის რაღაცას ვღიღინებდი. ახლა, პატარა ძმობილო, ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება. წავიდეთ და მე, შენ და ბალუმ ვინადიროთ. ბალუმ ახალი სკები უნდა გაჩვენოს. ჩვენ ყველანი ვნატრობთ შენს დაბრუნებას. მასე ნუ მიყურებ, მეც კი მაშინებ. კაცსა და ქალს წითელ ყვავილში აღარ ჩააგდებენ. ჯუნგლში მშვიდობაა. დავივიწყოთ ადამიანთა ხროვა!

– ეგრეც იქნება... ძალიან მალე. სად ძოვს ამაღამ ჰატი?

– სადაც მოესურვება. მდუმარის ნაცვლად ვინ გაგცემს პასუხს? და რად გინდა ჰატი? რა შეუძლია მას ისეთი, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ?

– უბრძანე, ჩემთან მოვიდეს თავის სამ ვაჟთან ერთად.

– სიმართლე რომ გითხრა, ძმობილო, უხერხულია, ჰატის მოსვლა-წასვლა ვუბრძანოთ. არ დაგავიწყდეს, რომ იგი ჯუნგლის მეუფეა. სანამ ადამიანთა ხროვა შეგიცვლიდა სახის გამომეტყველებას, სწორედ მან გასწავლა ჯუნგლის

ჯადოსნური სიტყვა.

– არ მაინტერესებს. ახლა მე უნდა ვუთხრა ჯადოსნური სიტყვა. უბრძანე, მაუგლი-ბაყაყთან მოვიდეს! თუკი მაშინვე არ დაგემორჩილება, უთხარი, ბჰურტფორის მინდვრების დასარბევად ამოვიდეს.

– ბჰურტფორის მინდვრების დასარბევად, ბჰურტფორის მინდვრების დასარბევად, – დამახსოვრების მიზნით, რამდენჯერმე გაიმეორა ბაგირამ, – მივდივარ. ჰატი შეიძლება გაბრაზდეს, მაგრამ მე მზად ვარ ერთი თვის ნადირობაც კი შევწირო, ოღონდ მდუმარის მამოძრავებელი ის ჯადოქრული სიტყვა გავიგო.

ბაგირა წავიდა. მარტო დარჩენილი მაუგლი გაშმაგებით სერავდა მიწას თავისი დანით. მას არასოდეს ენახა ადამიანის სისხლი, პირველად შეიგრძნო მესუას სისხლის სუნი იმ თასმებზე, რომლითაც ქალი შეეკრათ. მესუა კეთილად ეპყრობოდა ბიჭს და მაუგლის ის იმდენად ძლიერ უყვარდა, რამდენადაც დანარჩენ ადამიანებს ვერ იტანდა; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სძულდა მათი საუბარი, სიმხდალე და ვერაგობა, რაც არ უნდა მიეცა მისთვის ჯუნგლს, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას მაინც ვერ შეძლებდა და ვეღარ შეიგრძნობდა კვლავ იმ სისხლის საშინელ სუნს. მაუგლის გეგმა მარტივი, მაგრამ ძალიან მამაცური იყო. მას თავისთვის ჩაეცინა, როცა გაახსენდა, რომ ეს იდეა მას მოხუცი ბულდეოს მიერ ფიკუსის ხის ქვეშ ნაამბობმა ერთმა ზღაპარმა შთააგონა.

– ეგ მართლაც ჯადოსნური სიტყვა ყოფილა, – ყურში ჩასჩურჩულა ბაგირამ. – ჰატი და მისი შვილები მდინარის ნაპირზე ძოვდნენ და მაშინვე ხარებივით დამმორჩილდნენ. აი, მოდიან კიდეც.

ჰატი და მისი სამი ვაჟი მათთვის დამახასიათებელი მდუმარებით მოდიოდნენ. ფერდებზე ჯერ კიდევ არ შეშრობოდათ მდინარის ლამი. ჰატი ჩაფიქრებული ღეჭავდა ეშვით მოპოვებულ რაღაც მცენარეს. შორსმჭვრეტელი ბაგირა სპილოს უშველებელი ტანის ნაოჭების მოძრაობით მიხვდა, რომ ადამიანის ლეკვთან სალაპარაკოდ მომავალი ჰატი უკვე აღარ იყო ჯუნგლის მეუფე. მას ეშინოდა იმისი, ვისთანაც მოდიოდა. შვილები ზოზინით მოსდევდნენ გვერდით.

მაუგლიმ თავი ოდნავ ასწია, როცა ჰატი ჩვეულებრივ მიესალმა და ბედნიერი ნადირობა უსურვა. სპილო დიდხანს ტკეპნიდა ერთსა და იმავე ადგილს, ტანის რხევითა და ფეხების მონაცვლეობით. ბოლოს მაუგლიმ პირი გააღო, მაგრამ სპილოების ნაცვლად ბაგირას მიმართა:

– ბაგირა, ახლა გიამბობ ერთ ზღაპარს, რომელიც იმ მონადირისგან გავიგე, დღეს ვისზეც ნადირობდით. ამბავი ეხება ერთ მოხუც და ჭკვიან სპილოს, რომელიც მახეში გაება. ის სპილო ორმოში ჩავარდა და წამოეგო ბასრ სარს, რომელმაც კოჭიდან ბეჭის თავამდე თეთრი ნაიარევი დაუტოვა.

მაუგლიმ ხელი გაიშვირა და როდესაც ჰატი მოტრიალდა, მთვარის შუქზე გრძელი, თეთრი ნიშანი გამოჩნდა მის ფერდზე, თითქოს ვიღაცას გავარვარებული მათრახი გადაუჭერიაო.

– ადამიანები მისულან მისი მახიდან გამოსაყვანად, – განაგრძო მაუგლიმ, – მაგრამ ძლიერ სპილოს თოკები დაუწყვეტია და სადღაც გადახვეწილა, სანამ ჭრილობა გაუმთელდებოდა. მერე გაბრაზებული ღამით მიადგა იმ მონადირის მინდვრებს. ახლა გამახსენდა, რომ მას სამი

ვაჟი ჰყავდა. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, ძალიან შორს – ბჰურტფორის მინდვრებში. რა დაემართა იმ მინდვრებს შემდეგი მკის დროს, ჰატი?

– ისინი მე და ჩემმა სამმა შვილმა მოვმკეთ, – მიუგო ჰატიმ.

– მკის შემდგომმა ხვნამ როგორღა ჩაიარა? – ჰკითხა მაუგლიმ.

– არანაირი ხვნა არ ყოფილა, – მიუგო ჰატიმ.

– რა დაემართათ ადამიანებს, მწვანე მარცვლეულით რომ საზრდოობენ? – ჰკითხა ბიჭმა.

– ისინი სხვაგან წავიდნენ.

– და რა დაემართა ქოხებს, სადაც იმ ადამიანებს ეძინათ?

– სახურავები ნაკუწებად ვუქციეთ, კედლები კი ჯუნგლმა შთანთქა.

– და კიდევ რა მოხდა? – არ ჩერდებოდა მაუგლი.

– ჯუნგლმა იმდენი საუკეთესო ადგილი დაიპყრო, რამდენის გავლაც შემიძლია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ორ ღამეში და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – სამ დღეში. ჩვენ ხუთ სოფელს შევესიეთ. იმ სოფლების მიწაზე, სათესებსა და საძოვრებზე დღეს ერთი ადამიანიც კი აღარ არის. ასე გავანადგურეთ ის მინდვრები მე და ჩემმა სამმა ვაჟმა. ახლა მე გეკითხები, ადამიანის ლეკვო, როგორ მოაღწია ამ ამბავმა შენამდე? – ჰკითხა ჰატიმ.

– ერთმა ადამიანმა მიამბო. თურმე ბულდეოსაც შესძლებია სიმართლის თქმა. კარგად მოქცეულხარ, თეთრნიშნიანო ჰატი. ანი კიდევ უფრო უკეთესად მოიქცევი, რადგან ახლა ადამიანი გიწინამძღვრებს. ხომ კარგად იცნობ იმ სოფლის ადამიანთა მოდგმას, რომელმაც მე გამომაძევა? ისინი ზარმაცები, უგრძნობები და სასტიკები არიან. სუსტ არსებებს ხოცავენ არა საჭმელად, არამედ გას-

ართობად. კარგად რომ დანაყრდებიან, თავიანთ ხალხს წითელ ყვავილში ჰყრიან. ჩემი თვალით ვნახე. ძალიან ცუდი იქნება, თუ ისინი კვლავ იქ გააგრძელებენ ცხოვრებას. მე მძულს ისინი!

– მაშინ, დახოცე! – წარმოთქვა ჰატის უმცროსმა შვილმა, ერთი ბღუჯა ბალახი მოგლიჯა, წინა ფეხებზე დაიბერტყა და გადააგდო. თან წითელ თვალებს ირგვლივ გაშმაგებულად აცეცებდა.

– რაში მჭირდება თეთრი ძვლები? – გაბრაზებით მიუგო მაუგლიმ, – მგლის ლეკვი კი არ ვარ, გატყავებული თავით რომ მზეზე ვითამაშო. მე მოვკალი შერ-ხანი, მისი ტყავი კი საბჭოს კლდეზე ლპება, მაგრამ... მე არ ვიცი, საით წავიდა ვეფხვი, ჩემი კუჭი კი კვლავ ცარიელია. ახლა იმას ავიღებ, რისი დანახვა და შეხებაც შემიძლია. შეუსიე ჯუნგლი იმ სოფელს, ჰატი!

ბაგირა აცახცახდა და მოიკუნტა. იცოდა, თუ საქმე უკიდურესობამდე მივიდოდა, სწრაფად შეიჭრებოდა სოფლის ქუჩებში, აქეთ-იქით მივარდებოდა ხალხს, არ დაინდობდა ადამიანებს ხვნის დროს, ბინდისას, მაგრამ მთელი სოფლის განადგურებაზე ფიქრმა შეაშინა. ახლა მიხვდა, თუ რატომ გაგზავნა იგი მაუგლიმ ჰატის მოსაყვანად. მხოლოდ ხნიერ სპილოს შეეძლო შეემუშავებინა მსგავსი ბრძოლის გეგმა.

– დაე, ისე გაიქცნენ ადამიანები, როგორც ადრე – ბჰურტფორის მინდვრებიდან, მანამ, სანამ ხნულებში წყალი არ ჩამდგარა და მათი თითისტარებზე კაკუნი სქელ ფოთლებზე წვიმის რაკრაკს არ შეუცვლია, სანამ მე და ბაგირას ბრამინის სახლში ბუნაგი არ მოგვიწყვია და ირმებს ტაძრის უკან, გუბეში, წყლის სმა არ დაუწყიათ. შეუსიე სოფელს ჯუნგლი, ჰატი!

– კი, მაგრამ ჩვენ ადამიანებთან სადავო არაფერი გვაქვს... მხოლოდ დიდი ტკივილისგან გამწარებულები გავანადგურებთ მათ საცხოვრისს, – დაეჭვებულად მიუგო ჰატიმ.

– განა მარტო თქვენ ხართ ბალახისმჭამელები ჯუნგლში? მიუშვი შენი ხალხი – ირმები, ტახები, ნილგაუ[1]. შეუსიე ჯუნგლი, ჰატი!

– ხოცვა-ჟლეტა ხომ არ იქნება? ბჰურტფორის მინდვრების აოხრებისას, ეშვები სულ გამიწითლდა. აღარ მინდა, იგივე განმეორდეს.

– არც მე. არ მინდა მათი ძვლები დაიყაროს სუფთა მიწაზე. გაუშვი, რომ სხვაგან იპოვონ ახალი ბუნაგი, შეუძლებელია მათი აქ დარჩენა. მე ვნახე და შევიგრძენი იმ ქალის სისხლის სუნი, რომელიც მაჭმევდა და რომელსაც ისინი ჩემ გამო კლავდნენ. მათ კართან ამოსული ახალი ბალახის სურნელს შეუძლია მხოლოდ ამ სუნის გაქრობა. ეს სუნი პირს მწვავს. შეუსიე ჯუნგლი, ჰატი!

– აჰ! მეც სწორედ ეგრე მწვავდა კანს სარისგან დაჩნეული ნიშანი, როცა ვხედავდი, როგორ ანადგურებდა გაზაფხული მათ სოფლებს. ახლა კი, ყველაფერი მესმის. შენი ომი ჩვენი ომი იქნება! აუცილებლად შევუსევთ ჯუნგლს!

მაუგლიმ ამოისუნთქა, მთელი სხეული უკანკალებდა ბრაზისა და სიძულვილისგან. ადგილი, სადაც სპილოები იდგნენ, დაცარიელდა, ბაგირამ შიშით შეხედა მაუგლის.

– ჩემს გამათავისუფლებელ კლიტეს ვფიცავ, – შესძახა ბოლოს შავმა ავაზამ, – ნუთუ შენ ის შიშველი არსება ხარ, მე რომ ხროვაში გამოვესარჩლე? ჯუნგლის მეუფევ, როცა დავუძლურდები, ილაპარაკე ჩემ სასარგებლოდ,

[1] ნილგაუ – წყვილჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ინდოეთში.

ბალუს სასარგებლოდ და ყველა ჩვენგანისთვის. შენ წინაშე ჩვენ ყველანი ლეკვები ვართ, ფეხქვეშ გათელილი ხმელი ტოტები, უპატრონო ნუკრები!

ბაგირას შედარებამ ნუკრთან ისე იმოქმედა მაუგლიზე, რომ ჯერ გაეცინა, მერე სუნთქვა შეეკრა, კვლავ გაეცინა, მერე აქვითინდა და ბოლოს, გუბეში ჩახტა დასამშვიდებლად. მთვარის შუქზე ხან აქეთ გაცურავდა, ხან იქით, თან ყურყუმელაობდა.

ჰატი და მისი სამი ვაჟი ცალ-ცალკე გაემართნენ ქვეყნის ოთხივე მიმართულებით, ჩუმად დაეშვნენ ხეობებისკენ. ორი დღე ჯუნგლში შეუჩერებლად სიარულით სამოცი მილი მაინც გაიარეს. მათ თითოეულ მოძრაობას აკვირდებოდნენ მანგი, ჩილი, მაიმუნები და ფრინველები. მერე, თითქმის ერთი კვირის განმავლობაში, სპილოები მშვიდად იკვებებოდნენ. ჰატი და მისი ვაჟები კლდის ჰითონ კაას ჰგვანან – არასოდეს ჩქარობენ, თუ არ სჭირდებათ.

ამ დროს ჯუნგლში ხმა გავარდა – არავინ იცოდა, ვისგან – ამა და ამ ხეობაში საუკეთესო საკვები და წყალი იშოვებაო. ჰოდა, დაიძრნენ გარეული ღორები, რომლებიც კუჭის ამოვსების გამო ქვეყნის დასალიერამდე ივლიან. მათ ირმებმა და ჰატარა მელიებმა მიბაძეს, არც ნილგაუები და გარეული კამეჩები არ ჩამორჩნენ მათ.

ძალიან ცოტა კმარა მიმოფანტულ ჯოგთა დასაფრთხობად. ცხოველები ძოვდნენ, მხიარულობდნენ, სვამდნენ წყალს და მერე ისევ ძოვდნენ. როცა რაღაც შეაშინებდათ, ვინმე გამოვიდოდა და დაამშვიდებდა. ამ საქმეს უმეტესად მაჩვზღარბა იკკი თაობდა, რომელიც არასოდეს განიცდიდა ახალი ამბების სიმცირეს: ასახელებდა ადგილებს, სადაც მრავალფეროვანი საკვების მოძიება შეიძლებოდა;

ხან მანგი ეშვებოდა მხიარული წრიპინით მინდორზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის ადგილი ცარიელი იყო; ხანაც ფესვებით ჰირგამოტენილი ბალუ მობაჯბაჯდებოდა ხოლმე; შეშფოთებული ცხოველები გარბოდნენ, ბალუ კი, ხან მუქარით და ხანაც ხუმრობით, სწორ გზაზე აბრუნებდა მათ.

დაახლოებით ათი დღის შემდეგ, ირმები, გარეული ღორები და ნილგაუები სოფლიდან რვა თუ ათი მილის რადიუსზე ძოვდნენ, სოფელი შუაში მოექციათ.

ყანებში მოსავალი უნდა აეღოთ. ხალხი ისხდა ეგრეთ წოდებულ „მაჩანებზე" – ოთხი ბოძით გაკეთებულ შემაღლებაზე – საიდანაც ფრინველებსა და სხვა მტაცებლებს აშინებდნენ. ახლა ირმები ხვეწნა-მუდარას აღარ საჭიროებდნენ, რადგან უკან მიდევნებული ხორცისმჭამელები წინ წასვლას აიძულებდნენ.

ბნელი ღამე იყო, როდესაც ჰატი თავის სამ ვაჟთან ერთად ჯუნგლიდან დაეშვა. მათ ხორთუმებით დაამტვრიეს შემაღლებული ბოძები. ადამიანები უკვე ძირს ცვიოდნენ, როცა მათ სპილოების ყრუ ბუყბუყს მოჰკრეს ყური. დამფრთხალ ირემთა მოწინავე რაზმი სოფლის საძოვრებსა და მოხნულ მინდვრებს შეესია. მათ მიჰყვნენ გარეული ღორები და რაც ირმებს გადაურჩა, გაანადგურეს. დროდადრო მგლების მიერ დამფრთხალი ჯოგი აქეთ-იქით აწყდებოდა, ახლადამოსულ ქერს თელავდა და სარწყავი არხების ნაპირებს ანადგურებდა. განთიადისას წრე ერთი მიმართულებით გაირღვა. ხორცისმჭამელებმა უკან დაიხიეს და სამხრეთისკენ გახსნეს გზა. ირმის ჯოგები ამ მიმართულებით გაჰყვნენ ერთმანეთს. სხვები, უფრო გაბედულები, იქვე ტევრში მიწვნენ, რათა მეორე ღამეს დაესრულებინათ ვახშამი.

დილით, როცა სოფლელებმა გარეთ გაიხედეს, ცხოვე-

ლებს საქმე უკვე დაემთავრებინათ და მოსავალიც მთლად გაენადგურებინათ, ეს კი ადამიანებისათვის სიკვდილს ნიშნავდა, თუკი იქაურობას არ გაეცლებოდნენ, რადგან შიმშილი ჯუნგლივით ახლოს იყო მათთან. საძოვარზე გარეკილმა მშიერმა კამეჩებმა ნახეს, რომ საბალახო ადგილები ირმებს სრულად მოეშიშვლებინათ, ამიტომ ჯუნგლისაკენ გახეტიალდნენ და თავიანთ გარეულ მოძმეებს შეუერთდნენ. ბინდისას სოფლის სამი თუ ოთხი ჰონი თავგატეხილი იწვა თავლაში. ეს ამბავი ბაგირას ნახელავს ჰგავდა და მხოლოდ ის თუ მოიფიქრებდა ლეშის თავხედურად გამოთრევას ქუჩაში.

სოფლელებს იმ ღამით მინდვრებში ცეცხლის დასანთებად გამბედაობა აღარ ეყოთ. ამიტომ ჰატი და მისი ვაჟები დარჩენილი მოსავლის გასანადგურებლად გაემართნენ. ჰატის მიერ გავლილ ადგილას აღარაფერი რჩებოდა.

ადამიანებმა გადაწყვიტეს, წვიმამდე რამენაირად მომარაგებული ხორბლით გაეტანათ თავი, მერე კი, მომავალ წლამდე მოჯამაგირეებად დამდგარიყვნენ. მაგრამ მაშინ, როცა მარცვლეულის ვაჭარი თავისი მოსავლის სარფიანად გასაღებაზე ფიქრობდა, ჰატის ბასრი ეშვები ქოხს ძირს უთხრიდა და ანგრევდა საქონლის ჰატივით[1] შელესილ წნულ ბეღელს, რომელშიც ნარჩევი ხორბალი ინახებოდა.

მიყენებული ზარალის გარკვევის შემდეგ, ბრამინის ლაპარაკის ჯერი დადგა. იგი საკუთარ ღმერთებს ევედრებოდა, მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

– შეიძლება, – თქვა მან, – სოფელმა ჯუნგლის რომელიმე ღმერთს გაუცნობიერებლად აწყენინა. აშკარაა, რომ ჯუნგლი ჩვენი სოფლის წინააღმდეგ არის დარაზმული.

---

[1] ჰატივი – ნაკელი, ნეხვი.

მათ მახლობელი ტომის – მომთაბარე გონდების წარმომადგენელს მოუხმეს. გონდები ჯუნგლში მცხოვრებ, შავკანიან მონადირეთა ჰატარა ტომია, რომელთა წინაპრებიც ინდოეთის უძველესი რასის შთამომავლები იყვნენ. სტუმრებს შეძლებისდაგვარად გაუმასპინძლდნენ. ცალ ფეხზე მდგარ გონდს ხელში მშვილდი ეჭირა და ორი თუ სამი შხამიანი ისარი თმაში გაერჭო. გონდი ნახევრად დამფრთხალი და ზიზღნარევი თვალებით მისჩერებოდა შეშინებულ სოფლელებსა და განადგურებულ მინდვრებს. სოფლელებს სურდათ გაეგოთ, ძველი გონდის ღმერთები ხომ არ იყვნენ მათზე განრისხებულნი და რა სახის მსხვერპლი უნდა შეეწირათ. გონდს არაფერი უთქვამს. აიღო მწარე გოგრა და გაშეშებული წითელი ინდური კერპის წინ, ტაძრის კართან გარდიგარდმო შეკრა თასმით. შემდეგ ჰაერში ჰანჰივარას გზისკენ გაიშვირა ხელი, ჯუნგლში დაბრუნდა და იქიდან ადევნებდა თვალს ჯუნგლის მცხოვრებთა მოქმედებას. მან კარგად იცოდა, რომ ამხედრებული ჯუნგლის შეჩერება მხოლოდ თეთრკანიანებს შეეძლოთ.

კითხვების დასმა არ იყო საჭირო, ისედაც ნათელი იყო, რას გულისხმობდა თავისი ქცევით: გარეული გოგრა ამოვიდოდა იქ, სადაც სოფელი ეთაყვანებოდა თავის ღმერთს, და რაც უფრო მალე უშველიდნენ სოფლელები თავს, მით უკეთესი იქნებოდა.

რთულია შეჩვეული ადგილის მიტოვება. ისინი ცდილობდნენ იქამდე მაინც დარჩენილიყვნენ, სანამ ბაფხულში რაღაც საკვების მოპოვებას კიდევ შეძლებდნენ. სოფლელები ცდილობდნენ, ჯუნგლში თხილი მოეკრიფათ, მაგრამ მათ მოელვარეთვალებიანი ჩრდილები უთვალთვალებდნენ, შუადღითაც კი არ ერიდებოდნენ მათ თვალწინ გორაობას.

როცა საკუთარი სადგომებისკენ გარბოდნენ, ხედავდნენ, რომ ჩავლილი ხეები რომელიღაც უზარმაზარ ბრჭყალებიან ცხოველს დაეფხოჭნა. რაც უფრო გახანგრძლივდა ადამიანთა სოფელში ყოფნა, მით უფრო გათამამდნენ მხეცები, დახტოდნენ და უაინგუნგის მახლობლად საძოვრებში ბღაოდნენ.

სოფლელებს სურვილიც კი აღარ ჰქონდათ, ჯუნგლისკენ ზურგით მდგარი, ცარიელი გომურები შეეკეთებინათ. მათ გარეული ღორები სთელავდნენ. ფესვებდაკოჟრილი ვაზები ახლადმოპოვებულ მიწას ეხუტებოდნენ. მათ უკან უხეში ბალახი ჩანდა. ყველაზე პირველები დაუქორწინებლები გარბოდნენ და სანამდეც ხმა მიუწვდებოდათ, ყველას ეუბნებოდნენ სოფლის გაუბედურების ამბავს. – ვის შეუძლია, – ამბობდნენ ისინი, – ჯუნგლს ან მის ღმერთებს შეებრძოლოს, როცა სოფლის კობრამაც კი მიატოვა წმინდა ფიკუსის ხის ქვეშ თავისი ხვრელი?! – ის მცირე კავშირიც შესუსტდა და გაწყდა, რომელიც სოფელს გარე სამყაროსთან ჰქონდა. მინდვრებში ნელ-ნელა ქრებოდა გათელილი ბილიკების კვალი. არც ჰატისა და მისი ვაჟების ხმა აღარ აშინებდა ადამიანებს ღამღამობით, რადგან აღარაფერი იყო გასაძარცვი – არც ნათესი და აღარც თესლი მიწაში. მინდვრები თანდათან იცვლიდნენ თავდაპირველ ფორმას. და დადგა დრო, სოფლელებს ჰანჰივარაში მცხოვრები ინგლისელებისთვის ეთხოვათ მოწყალება.

ჩვეულებისამებრ, ხალხმა მანამდე დაჰყო სოფელში, სანამ პირველი წვიმა არ მოვიდა და ქოხებს წყალდიდობასავით არ დაატყდა თავს. ზაფხულის საშინელი სიცხის შემდეგ ბალახი ერთიანად ამოიყარა. აი, მაშინ კი აიყარნენ კაცები, ქალები, ბავშვები და უთენია, თავსხმა წვიმა-

ში გაუდგნენ გზას. თუმცა ერთხელ მაინც მიბრუნდნენ და გამოსამშვიდობებელი მზერით გახედეს საკუთარ სახლებს.

როცა უკანასკნელი აბარგებული ოჯახი სოფლის გასასვლელს გასცდა, კედლებს მიღმა საშინელი გრუხუნი გაისმა, იფიქრებდით, სახლი დაემხოო. და ადამიანებმა თვალი მოჰკრეს შავ, მბზინავ ხორთუმს, რომელიც დამპალ ჩალის სახურავს ანადგურებდა. ხორთუმი მიიმალა. გრიალი კვლავ გაისმა, მას ჭყივილი მოჰყვა. ჰატი ისე გლეჯდა სახურავებს, როგორც ადამიანი – შროშანს. სპილოს მოულოდნელად ჩამოვარდნილი ძელი დაეცა, მას სწორედ ეს სჭირდებოდა, რომ სრულიად გამოევლინა საკუთარი ძალა. გააფთრებული გარეული სპილო ჯუნგლის ყველა ცხოველზე უფრო დაუნდობელია. ჰატიმ ფეხი ჰკრა ალიზის კედელს, რომელიც მტვრად იქცა და ნიაღვარში ყვითლად ატალახდა, მერე კი ღრიალით შეიჭრა ვიწრო ქუჩებში. უზარმაზარი ცხოველი ქოხებს ეხეთქებოდა და გზად ყველაფერს ანგრევდა. არც ვაჟები ჩამორჩებოდნენ და მძვინვარებდნენ, როგორც ერთ დროს, ბჰურტფორის მინდვრების აკლებისას.

– ჯუნგლი შთანთქავს ამ ნარჩენებს, – გაისმა მშვიდი ხმა, – გალავანი უნდა წავაქციოთ! – და წვიმაში გაწუწული მაუგლი სწორედ იმ დროს გადმოხტა, როცა კედელი დაღლილი კამეჩივით ჩაწვა.

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, – ამოიქშინა ჰატიმ. – ბჰურტფორში ეშვები წითლად შემეღება... აბა, გალავნისკენ, ბავშვებო! თავით! ერთად! ახლავე!

ოთხი სპილო ერთდროულად ეკვეთა კედელს, რომელიც ჯერ შეიბნიქა, მერე გაიხსნა და ბოლოს ჩამოიშალა. შეშინებულმა და დადუმებულმა სოფლელებმა ნანგრევებში გამჩანაგებელთა გააფთრებულ, თიხით მოსვრილ თავებს

მოჰკრეს თვალი.

უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხი ხეობისაკენ მიისწრაფოდა, მათ მიერ მიტოვებული სოფელი კი ბანბარებდა, ითელებოდა და ნადგურდებოდა.

ერთი თვის შემდეგ, ნასოფლარზე ჩაღრმავებული, ნაბი, მწვანე, ხასხასა ბალახით დაფარული ბორცვი აღიმართა, ხოლო წვიმების შეწყვეტის შემდეგ კი, იქ, სადაც ექვსი თვის წინ მიწას ამუშავებდნენ გუთნით, ახლა ჯუნგლის გაბმული ღრიალი ისმოდა.

მაუგლის მუქარა სოფლელებისადმი

მე შემოგახვევთ ვაბს ფეხზე,
მხეცებს მოვუხმობ მე თქვენზე;
ჩამოგენგრევათ ჭერი,
დაგეკარგებათ ფერი,
დღე დაგადგებათ მწარე,
ხაპი დაფარავს არეს.

ჩემს ხალხს ვამღერებ თქვენს სახლში,
ღამურებს ვაფრენ წინკარში,
გიყარაულებთ გველი,
ვერ გაანძრიოთ ხელი;
ხაპი დაფარავს მალე
თქვენს საძინებელ მხარეს.

ჩემს მებრძოლთ ვერ ნახავთ წამით
საქმეზე გავგზავნი ღამით,

მგელს ამწყემსინეთ ხროვა,
სხვა მაინც არვინ მოვა,
ხაპი დაფარავს მალე,
თქვენს სიყვარულის მხარეს!

მოსამკელ ყანას წაგართმევთ,
პურსაც არ მოგცემთ, განანებთ,
ირმებს გაიხდით ხარად,
არვინ მოგხედავთ, არა.
ხაპი დაფარავს მალე,
თქვენს აშენებულ მხარეს!

მე შემოგახვევთ ვაზს ფეხზე,
და ჯუნგლს მოვუხმობ მე თქვენზე;
თავს დაგეცემათ ხენი,
ჩამოგეშლებათ ბჭენი!
ხაპი დაფარავს არეს,
დღე დაგადგებათ მწარე
ჩამოგენგრევათ ჭერი,
დაგეკარგებათ ფერი!

მეფის ანკუსი[1]

ამ ოთხ რამეს ოდითგანვე გაუმაძღრად ვიცნობთ ყველა, ესენია: მაიმუნი, კაცის თვალი, ტურა, ძერა.

ჯუნგლის ანდაზა

კაამ, კლდის პითონმა, დაბადების შემდეგ, ორასჯერ მაინც შეიცვალა პერანგი. მაუგლი, რომელიც არასოდეს ივიწყებდა, რომ კაამ შეუნარჩუნა სიცოცხლე ცივ ბუნაგებში, მასთან წავიდა მისალოცად.

პერანგის გამოცვლის პროცესი ყოველთვის ცუდ გუნებაზე აყენებს გველს და დეპრესიულია მანამ, სანამ ახალი პერანგი ბზინვას და გალამაზებას დაიწყებს. კაა აღარ დასცინოდა მაუგლის, სხვებივით, მანაც ჯუნგლის მეუფედ აღიარა ბიჭი და ხშირად აცნობდა ახალ ამბებს, რომელიც, თავისი სიგრძის გამო, მუდამ ბლომად ჰქონდა. კაამ ყველაფერი იცოდა შუა ჯუნგლის შესახებ; იცნობდა ცხოვრებას დედამიწაზე და მის ქვემოთ – რიყის ქვებში, სოროებსა და ჯირკებში და ცოტა რამ თუ იყო ისეთი, რაც არ იცოდა.

ამ საღამოს მაუგლი კაას უშველებელ ხვეულებში იჯდა და გველის აქერცლილ, დახეულ ძველ პერანგს თითეებით ათამაშებდა. მარყუჟებად და რკალებად დაგრეხილი პერანგი ისევე ეგდო ლოდებს შორის, როგორც კაამ მიატოვა. კაა ისე თავაზიანად შემოეხვა ბიჭის განიერ, შიშველ ბეჭებს, იფიქრებდით, მაუგლი ცოცხალ სავარძელში ისვენებსო.

[1] ანკუსი – იგივე ანკასი; შუბწამოცმული გრძელი ჯოხი, რომელიც ინდოეთში სპილოების მოსათვინიერებლად გამოიყენება.

– შენი ჰერანგი მეტად საუცხოოა! – ამბობდა მაუგლი და თან ძველ ჰერანგს ათამაშებდა. – ისე, უცნაური სანახავი კია, როცა საკუთარ ჰერანგს შენს ფეხებთან დაგდებულს უყურებ.

– ჰო, მაგრამ მე ფეხები არ მაქვს, – მიუგო კაამ. – თან ეს მთელი ჩემი მოდგმის ჩვეულებაა და ამიტომაც არ მეუცნაურება. შენ არასოდეს გრძნობ შენი კანის სიძველესა და სიუხეშეს?

– როცა ასე ვგრძნობ, მივდივარ და ვბანაობ, ბრტყელთავავ! თუმცა ჰაპანაქება სიცხეში მინატრია, რომ უმტკივნეულოდ მომაშორებინა კანი და მის გარეშე მარბენინა-მეთქი.

– მე ვიბან და ჰერანგსაც ვიხდი. როგორ გამოიყურება ჩემი ახალი სამოსელი?

მაუგლიმ ხელი გადაუსვა კაას უშველებელ ზურგს.

– კუს უფრო მაგარი ზურგი აქვს, მაგრამ ასე ჭრელი არა, – თქვა მან, – ჩემს მოსახელე ბაყაყსაც ჭრელი კანი აქვს, მაგრამ ასეთი მაგარი არა. ძალიან ლამაზია შენი სამოსი, შროშანის ჭრელ პირს მაგონებს.

– წყალი ესაჭიროება, ახალი კანი გაბანვამდე არასოდესაა სრული ფერის. წავიდეთ საბანაოდ.

– მე აგიყვან, – უთხრა მაუგლიმ და სიცილით დაწვდა კაას უშველებელი სხეულის ყველაზე სქელ შუა ნაწილს. ამ მცდელობამ ისევე უშედეგოდ ჩაიარა, როგორც ჩაივლიდა ორფუტიანი წყლის მილის აწევის ცდა. კაა უძრავად იწვა და კმაყოფილებით ქშინავდა. შემდეგ თავიანთი გამორჩეულად საყვარელი თამაში დაიწყეს. ღონიერი ბიჭი და მშვენიერჰერანგიანი პითონი ერთმანეთის წინ იდგნენ თვალისა და ძალის გამოსაცდელად. აშკარა იყო, რომ

კაა, სურვილის შემთხვევაში, მაუგლისნაირ თორმეტ ბიჭს ერთდროულად გაუსწორდებოდა, მაგრამ ფრთხილად თამაშობდა და თავისი ძალის ერთ მეათედსაც არ იყენებდა. კაამ ეს თამაში მაუგლის მაშინ ასწავლა, როცა ბიჭი მოძლიერდა და ცოტაოდენი ცემის ატანა შეეძლო. ამ თამაშობით მაუგლი მეტად მკვირცხლი და მოქნილი გახდა. კაა ხანდახან რგოლივით შემოეხვეოდა ხოლმე მაუგლის კისერზე. ბიჭი ერთი ხელის გათავისუფლებას ლამობდა, რათა კაას კისერში სწვდომოდა. ბოლოს კაა ნებდებოდა და მაუგლი თავისი მოქნილი ფეხებით კლდის მოსაჭიდებლად უკან გადასროლილი მისი ვეებერთელა კუდის შეჩერებას ცდილობდა. თავებით ეკვეთებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ორივე შესაბამის შემთხვევას ელოდა. ასე იყვნენ მანამ, სანამ შავ-ყვითელი სხეული, მებრძოლი ფეხები და მკლავები ერთმანეთში არ დატრიალდებოდა.

– აბა! აბა! აბა! – ამბობდა კაა და ამ თვალთმაქცობაში ისე სწრაფად მოქმედებდა, რომ მაუგლის სხარტი ხელიც კი ვერ ახერხებდა მის მოგერიებას, მიყურე, აი, აქ დაგარტყამ, ჰატარა ძმობილო, აქ და აქ! ხელები დაგიბუჟდა?

თამაშს ყოველთვის ერთი და იგივე დასასრული ჰქონდა – პითონი ერთს მაგრად დაეჯახებოდა ბიჭს და რამდენჯერმე გადაატრიალებდა. მაუგლიმ ვერაფრით მოიფიქრა, რა მეთოდით შეიძლებოდა კაას სწრაფი თავდასხმის არიდება, თუმცა, პითონის აზრით, რაც არ უნდა ექნა, მაინც ვერაფერს მიაღწევდა.

– წარმატებულ ნადირობას გისურვებ! – წაილუღლუღა ბოლოს კაამ. ექვსი იარდის სიშორეზე მოსროლილი ბიჭი კი ძლივს სუნთქავდა და ხითხითებდა.

მიწით ხელებგასვრილი მაუგლი წამოდგა და კაას გაჰყვა. საბანაო ადგილი, კუპრივით შავი კლდეებით იყო გარშემორტყმული. ღრმა გუბიდან ჯირკებს მოუჩანდა თავები. ბიჭი, ჯუნგლელთა წესის თანახმად, ჩუმად შევიდა წყალში და ჩაყვინთა, მერე თავი ამოყო, ზურგზე გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო და კლდის თავზე ამომავალ მთვარეს შეაცქერდა, თან ფეხებით თავის ანარეკლს აქრობდა წყალში. კაამ თავისი რომბისებური თავით სამართებლივით გააპო წყალი და მაუგლის მხარზე მიესვენა. ორივე ხმაამოუღებლად იწვა და ნეტარებდა გრილ წყალში.

– შესანიშნავია! – წარმოთქვა ბოლოს ძილმორეულმა მაუგლიმ, – ადამიანები ამ დროს, როგორც მახსოვს, მყარ ფიცრებზე წვებიან ტალახის მახეში, სუფთა ჰაერს გზას უჭრიან ყველა მხრიდან, თავებზე ბინძურ ნაჭრებს იხურავენ და საშინელ სიმღერებს მღერიან ცხვირში. არა, ნამდვილად ჯუნგლში მირჩევნია!

ამ დროს კლდიდან წყალში სწრაფად ჩასრიალდა ერთი კობრა, წყალი მოსვა, წარმატებული ნადირობა უსურვა მეგობრებს და წავიდა.

– სსშ! – ჩაისისინა კაამ, თითქოს რაღაც გაახსენდა უცებ, – ესე იგი, ჯუნგლი ყველაფერს გაძლევს, რაზეც კი ოდესმე გიოცნებია, ძმობილო?

– ყველაფერს არა, – სიცილით მიუგო მაუგლიმ, – თორემ ყოველ მთვარეზე ახალი, ძლიერი შერ-ხანი მეყოლებოდა მოსაკლავი. ახლა კი კამეჩების დახმარების გარეშე მოვახერხებდი მის მოკვლას. მე მინატრია, რომ შუა წვიმაში მზე ანათებდეს, ზაფხულის მზე გადაეფაროს წვიმას, ისე არ მომშივებია, თხის მოკვლა რომ არ მენატრა, თხა

ისე არ მომიკლავს, მის ნაცვლად ირემი არ მდომებოდა და შემდეგ, ირმის ნაცვლად ნილგაუ არ მომსურვებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ყველანი ასეთები ვართ.

– კიდევ რა გსურს? – ჰკითხა დიდმა გველმა.

– სხვა რაღა უნდა მინდოდეს? მე მაქვს ჯუნგლი და მისი წყალობა არ მაკლია. განა კიდევ არის რამე სანატრელი მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე?

– კობრამ თქვა... – დაიწყო კაამ.

– რომელმა კობრამ? წეღან რომელიც წავიდა, მაგას არაფერი უთქვამს. ის ნადირობდა.

– ის სხვა იყო.

– ბევრი საერთო გაქვს იმ შხამიან მოდგმასთან? დაე, მათ საკუთარი გზით იარონ. წინა კბილებით სიკვდილს ატარებენ და ეს არ არის კარგი. თან ისეთი პატარები არიან! შენ რომელ კობრას ელაპარაკე?

კაა ისე გადატრიალდა წყალში, როგორც გემს სჩვევია აღელვებულ ზღვაში.

– სამი თუ ოთხი თვის წინ, – თქვა კაამ, – ცივ ბუნაგებში ვნადირობდი, მგონი, უნდა გახსოვდეს ის ადგილი. საკბილო კივილით გამექცა, ჩაუარა წყალსაცავს, მერე იმ სახლს, შენი გულისთვის გვერდი რომ გამოვუნგრიე, და მიწაში ჩაძვრა.

– კი მაგრამ, ცივი ბუნაგების მოდგმა სოროებში არ ცხოვრობს. – მაუგლიმ იცოდა, რომ კაა მაიმუნებზე ლაპარაკობდა.

– ის იქ არ ცხოვრობდა, მხოლოდ თავის გადარჩენა უნდოდა, – მიუგო კაამ ენის ცახცახით. – ის ერთ გრძელ სოროში შევარდა. მივყევი, მოვკალი და დავიძინე. როცა გავიღვიძე, გზა განვაგრძე.

– მიწის ქვეშ?

– დიახ, სწორედ იქ. ბოლოს შევხვდი თეთრ კობრას, რომელმაც რაღაც გაუგებარ საგნებზე დამიწყო საუბარი და ბევრი ისეთი რამ მაჩვენა, რაც მანამდე არასოდეს მენახა.

– ახალი სანადირო? კარგად ინადირე? – მაუგლი სწრაფად გადაბრუნდა მეორე გვერდზე.

– ეს არ იყო ნადირობა, კბილებს დავიმსხვრევდი. მაშინ თეთრმა კობრამ თქვა, რომ ადამიანი სულსაც კი მისცემდა, ოღონდ ერთხელ მაინც მოეკრა მისთვის თვალი.

– ვნახოთ! – მიუგო მაუგლიმ, – ახლა მახსენდება, რომ ერთ დროს მეც ადამიანი ვიყავი.

– მშვიდად, მშვიდად. სისწრაფემ დაღუპა ყვითელი გველი, რომელმაც მზე შეჭამა! ჩვენ ორნი მიწის ქვეშ ვსაუბრობდით. შენც გახსენე, როგორც ადამიანი. თეთრმა კობრამ (რომელიც ჯუნგლის ხნისაა) თქვა: დიდი ხანია, ადამიანი აღარ მინახავს, დაე, მოვიდეს და ნახოს ეს ნივთები, რომელთა შორის ყველაზე მცირედისთვისაც კი, უამრავი ადამიანი სიცოცხლეს დათმობსო.

– ეს ახალი საკბილო იქნება. შხამიანთა მოდგმა კი არასოდეს ამხელს, როცა საკბილოს ნახავს. უმეგობრო მოდგმაა.

– ის საკბილო არ არის, ის არის... ის არის... არ შემიძლია გითხრა, რა არის.

– წავიდეთ იქ, არასოდეს მინახავს თეთრი კობრა, იმ სხვა რაღაცების ნახვაც ძალიან მინდა. კობრამ დახოცა ისინი?

– ის ყველა უსულო საგანია, როგორც კობრა თავად ამბობს, ის მათი მცველია.

– ოჰ! ისე, როგორც მგელი საკუთარ ბუნაგში მიტანილი ხორცის? წავიდეთ!

მაუგლიმ ნაპირისკენ გასცურა და ბალახზე გადაკოტრიალდა შესამშრალებლად. შემდეგ ცივი ბუნაგებისკენ გასწიეს – იმ მიტოვებული ქალაქისკენ, რომელიც თქვენ კარგად გახსოვთ.

მაუგლის საერთოდ აღარ ეშინოდა მაიმუნთა მოდგმის, სამაგიეროდ, უკვე ისინი უფრთხოდნენ ბიჭს. იმ ღამეს ჯუნგლში დათარეშობდნენ და ცივი ბუნაგები მდუმარედ და დაცარიელებულად გამოიყურებოდა მთვარის შუქზე. კაა გაემართა დედოფლის ტალავერის ნანგრევებისკენ, რომელიც ტერასაზე მდებარეობდა, ნაგავზე გადასრიალდა და ტალავერის შუაგულიდან მიწის ქვეშ ჩამავალი, ნახევრად შეუმჩნეველი კიბით დაეშვა. მაუგლიმ გველების ძახილი დაიწყო: „ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ, – თქვენ და მე", და ხოხვით მიჰყვა კაას. დიდხანს იხოხეს დაშვებული, უსწორმასწორო ხვრელით და ბოლოს მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც უზარმაზარ, ოცდაათფუტიანი სიმაღლის ხის ფესვებს კედლის დიდი ლოდი ამოეგდო. ისინი ამ ნაპრალში გაძვრნენ და აღმოჩნდნენ ერთ დიდ სარდაფში, რომლის თაღიც ასევე ხის ფესვებს გაეხსნა. სიბნელეში სინათლის სხივები იჭრებოდა.

– დაცული ბუნაგია, – თქვა მაუგლიმ და თავის ძლიერ ფეხებზე დადგა. – მაგრამ მეტისმეტად შორია ყოველდღიური სტუმრობისთვის.... და ნუთუ რამე სჩანს?

– განა მე არაფერი ვარ? – გაისმა ხმა სარდაფის შუაგულიდან.

მაუგლიმ რაღაც თეთრად, მოძრავი დაინახა, – ეს იყო

უშველებელი კობრა. მსგავსი რამ არასოდეს ენახა. კობრა სიგრძით რვა ფუტამდე იქნებოდა. მუდმივად სიბნელეში ყოფნისგან ძველი სპილოს ძვალივით გათეთრებულიყო. სათვალისმაგვარ ნიშნებსაც ბაცი ყვითელი ფერი მიეღოთ. კობრას ლალივით წითელი თვალები ჰქონდა და მეტად საოცარი სანახავი იყო.

– წარმატებულ ნადირობას გისურვებ! – მიმართა მაუგლიმ, რომელსაც ბრდილობა საკუთარი დანასავით მუდამ თან ჰქონდა.

– რა ისმის ქალაქში? – იკითხა თეთრმა კობრამ ისე, რომ მისალმებაზე არც უპასუხა. – რა ისმის იმ დიდებულ, გალავნიან ქალაქზე, სადაც ასი სპილო, ოცი ათასი ცხენი და უთვალავი პირუტყვია? იმ ქალაქზე, სადაც მეფეს უპყრია ძალაუფლება? თანდათან ყურს მაკლდება და დიდი ხანია მათი საომარი ყიჟინა აღარ გამიგია.

– ჩვენ ზემოთ ჯუნგლია, – თქვა მაუგლიმ. – მე მხოლოდ ჰატის და მის სამ ვაჟს ვიცნობ სპილოთაგან. ერთ სოფელში ბაგირამ ცხენები სულ მთლად ამოჟლიტა... და ეს მეფე რას ნიშნავს?

– ხომ გითხარი, – მშვიდად უთხრა კაამ კობრას, – ოთხი მთვარის წინ გითხარი, რომ ქალაქი აღარ არსებობს.

– ქალაქი, ტყის დიდი ქალაქი, რომლის კარებსაც მეფის კოშკები იცავს, ვერასოდეს გაქრება. ეს ქალაქი ჯერ კიდევ მაშინ აუშენებიათ, სანამ მამაჩემის მამა გამოიჩეკებოდა კვერცხიდან და იქამდე იარსებებს, სანამ ჩემი შვილიშვილები ჩემსავით არ გათეთრდებიან. სოლომდიმ – ჩანდრაბიჯას, ვივიჯასა და იეგასურის ვაჟმა – ააგო ის ბაპა რავალის დროს. თქვენ ვისი საქონელი ხართ?

– კვალაბნეულივით საუბრობს, – მიუბრუნდა კაას მაუგლი, – ვერაფერი გავიგე.

– ვერც მე. ის ძალიან მოხუცია. კობრების მამამთავარო, აქ მხოლოდ ჯუნგლია, როგორც ეს დასაბამიდანვე იყო.

– ეს ვიღაა?! – იკითხა თეთრმა კობრამ, – უშიშრად რომ ზის ჩემ წინ, მეფის სახელი არ იცის და ადამიანის ტუჩებით ჩვენსავით საუბრობს? ვინ არის ეს დანიანი და გველივით მოსაუბრე?

– მაუგლის მეძახიან, – უპასუხა ბიჭმა, – მე ჯუნგლიდან ვარ, მგლების მოდგმას ვეკუთვნი, კაა კი ჩემი ძმაა. კობრების მამამთავარო, შენ ვინ ხარ?

– მე მეფის საუნჯის მცველი ვარ. კურუნ რაჯამ ეს ზედა თაღი მაშინ ააგო, როცა ჯერ კიდევ მუქი კანი მქონდა. ეს საქმე მომანდო, რათა სიცოცხლეს გამომესალმებინა ის, ვინც აქ ქურდობას გაბედავდა. შემდეგ საუნჯე აქ ჩამოუშვეს და ჩემი მბრძანებლების, ბრამინების გალობა მომესმა.

– ჰმ! – თავისთვის თქვა მაუგლიმ, – ერთ ბრამინს უკვე გავუსწორდი ადამიანთა ხროვაში; და ვფიქრობ, აქაც არ დატრიალდება კარგი ამბავი.

– ჩემი აქ ყოფნის პერიოდში ხუთჯერ ასწიეს ქვა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი საუნჯე დაემატებინათ, არაფერი მოუკლიათ. ამის მსგავსი სიმდიდრე არსად მოიპოვება – ასი მეფის განძი. მაგრამ ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ასწიეს ქვა და, მე მგონია, ჩემმა ქალაქმა ეს ადგილი დაივიწყა.

– ქალაქი აღარ არსებობს. აიხედე! აგერ დიდი ხეების ფესვებია, რომლებმაც ქვები გააპეს. ხეები და ადამიანები ერთად არ იზრდებიან, – დაჟინებით უმტკიცებდა კაა.

– ადამიანებმა ორჯერ თუ სამჯერ მოაგნეს ამ ადგილს, – მკაცრად უპასუხა თეთრმა კობრამ, – ჩუმად იყვნენ, სანამ სიბნელეში არ წავაწყდი მათ, მერე კი ცოტა ხანს წამოიყვირეს და გაჩუმდნენ. თქვენ კი, ადამიანო და გველო, მატყუებთ! გინდათ დამაჯეროთ, რომ ჩემი ქალაქი აღარ არსებობს და ჩემი მცველობა დასრულდა. ადამიანები დროთა განმავლობაში ნაკლებად იცვლებიან, მე კი – არასოდეს. სანამ ლოდს ასწევენ, ბრამინები ნაცნობი სიმღერებით ჩამოვლენ, თბილი რძით გამომკვებავენ და კვლავ გამიყვანენ სინათლეზე. მე, მხოლოდ მე, და სხვა არავინ იქნება მეფის საგანძურის მცველი. თქვენ ამბობთ, რომ ქალაქი განადგურდა და აქ ხის ფესვებმა ჩამოაღწიეს. მაშ, დაიხარეთ და აიღეთ, რაც გსურთ. დედამიწაზე მსგავსი სიმდიდრე არ არსებობს. გველის ენით მეტყველო ადამიანო, თუკი შენ ცოცხლად გასვლას შეძლებ იმავე გზით, რომლითაც მოხვედი, მეფეები გემსახურებიან.

– ისევ აერია კვალი – მშვიდად თქვა მაუგლიმ, – ნუთუ რომელიმე ტურამ შეძლო ამ სიღრმეში შემოძვრომა და ამ უშველებელ თეთრ გველს უკბინა? ნამდვილად გიჟია. კობრების მამამთავარო, აქ არაფერია, რომ წავიღო.

– ვფიცავ მზისა და მთვარის ღმერთებს, რომ ბიჭი ჭკუიდანაა შეშლილი, – ჩაისისინა კობრამ, – სანამ სამუდამოდ დახუჭავდე თვალებს, ერთ რამეს გიწყალობებ: შეხედე და ნახე ის, რაც ადამიანებს აქამდე არასოდეს უნახავთ.

– ჯუნგლში კარგად ვერ ასრულებენ თავიანთ საქმეს ისინი, ვინც მაუგლის წყალობაზე ესაუბრება, – წარმოთქვა ბიჭმა, – მაგრამ, როგორც ვიცი, სიბნელე ყველაფერს ცვლის. კარგი, შევხედავ, თუკი ეს სიამოვნებას მოგგვრის.

ბიჭმა მოჭუტული თვალებით მიმოიხედა სარდაფში და იატაკიდან რაღაც ბრჭყვიალა საგანი აიღო.

– ოჰო, – თქვა მან, – ეს იმას ჰგავს, რითაც ადამიანთა ხროვაში თავს ირთობენ ხოლმე, უბრალოდ, ეს ყვითელია, ის კი – ყავისფერი იყო.

მან ოქროს ფული ისროლა და წინ წაიწია. სარდაფის იატაკი, ხუთ თუ ექვს ფუტის სიმაღლეზე, ოქროსა და ვერცხლის მონეტებით იყო დაფარული. დროთა განმავლობაში ლითონი ისე დატკეპნილიყო, როგორც სილა იტკეპნება ხოლმე წყლის მიმოქცევისაგან. ძვირფასეულობას შორის მოჩანდა ოქროთი, წითელი ლალითა და ფირუზით შემკული სპილოს უნაგირები; მომინანქრებული, ნეფრიტის ტარებიანი და ქარვის რგოლებიანი დედოფლის ტახტრევნები; ოქროს შანდლები, პატიოსანი თვლებით შემკული მივიწყებული ღმერთების ქანდაკებები; ჩაშავებული, მოოქრული და წვრილი მარგალიტებით მორთული ფოლადის აბჯრები. სისხლისფერი ლალებით შემკული მუზარადები. მოოქრული, ბურმუხტშემოვლებული სანდალოზის, კუს ბაკნისა და მარტორქის ტყავის ფარები. იქვე იყო უამრავი ალმასისტარიანი ხმალი, ხანჯალი და სანადირო დანა; ოქროს საკრალური თასები და ჩამჩები, მოძრავი საკურთხევლები, რომელთაც არასოდეს ეხილათ დღის შუქი; ნეფრიტის ფინჯნები, სამაჯურები, საცეცხლურები, სავარცხლები, სურნელოვანი ჭურჭელი, ინა, თვალის საცხი – ეს ყველაფერი ოქროთი იყო მოჩუქურთმებული. ასევე იქ ნახავდით ცხვირის რგოლებს, თავსაკრავებს, ბეჭდებს, შვიდი თითის სიგანე სარტყლებს, რომლებიც დახვეწილი ბრილიანტებითა და იაგუნდებით იყო შემკული; რკინით

დასალტულ ხის ყუთებს, რომელთა ფიცრები სიძველისგან მტვრად ქცეულიყო; ირგვლივ საფირონების, ოპალების, ზურმუხტების, იაგუნდებისა და სხვა ძვირფასი თვლების გორები იდგა.

თეთრი კობრა მართალი იყო: ვერანაირი ფულით ვერ შეფასდებოდა ეს განძი, რომელიც საუკუნოვანი ომებით, რბევით, ვაჭრობითა და ხარკებით დაგროვდა. ძვირფასი თვლების გარდა, აქ უამრავი ფულიც იყო. მხოლოდ ოქრო-ვერცხლის სუფთა წონა ორას-სამასი ტონა მაინც იქნებოდა. ინდოეთში ყველაზე ხელმოკლე მთავარსაც კი აქვს განძეული, რომელსაც ის მუდმივად ავსებს. ხანდახან რომელიმე განათლებული მმართველი ვერცხლით დატვირთულ ორმოც თუ ორმოცდაათ ურემს მთავრობის ფასიან ქაღალდებზე ცვლის, უმეტესობა განძი კი საიდუმლოდ აქვს გადამალული.

მაუგლისთვის, რასაკვირველია, გაუგებარი იყო ამ საგანთა მნიშვნელობა. ერთხანს დანებს სინჯავდა, მაგრამ საკუთარივით ვერცერთი მოიმარჯვა და მაშინვე მოისროლა ისინი. ბოლოს მართლა მიაგნო შთამბეჭდავ ნივთს, რომელიც ნახევრად მონეტებში ჩაფლულ სპილოს ჩარდახიან უნაგირთან ეგდო. ეს იყო სამფუთიანი ანკუსი, სპილოს სარეკი, რომელიც ჰატარა ბარჯს ჰგავდა. ანკუსს მრგვალი, ბრჭყვიალა ლალის თავი ჰქონდა, ტარი კი რვა დიუმზე ფირუზით იყო მორთული, შემდეგ მოდიოდა ყვავილებით გაფორმებული სალტე, რომელსაც ზურმუხტის ფოთლები და მწვანე ქვაში ჩასმული ლალის კოკრები ამშვენებდა. სახელურის დანარჩენი ნაწილი სპილოს ძვლის იყო. ანკუსის ფოლადის წვერი და კავი ოქროთი იყო მოვარაყებუ-

ლი და მასზე სპილოებით ნადირობის სურათები გამოეხატათ. სურათებით აღფრთოვანებული მაუგლი ფიქრობდა, რომ მათ რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდათ მის მეგობარ ჰატისთან.

თეთრი კობრა ახლოს მიჰყვებოდა მაუგლის.

– არ ღირდა ამ ყველაფრის ნახვა სიცოცხლედ? – ჰკითხა მან. – ნუთუ, დიდი წყალობა არ გამოვიჩინე შენდამი?!

– ვერ გავიგე, – წარმოთქვა მაუგლიმ, – ეს ნივთები მაგარი და ცივია, არც საჭმელად გამოდგება. – და მან ანკუსი აიღო. – ამას კი წავიღებ და მზეზე დავათვალიერებ. შენ ხომ თქვი, რომ ყველაფერი შენია. მომეცი ეს ნივთი და მე ბაყაყებს მოგიტან საჭმელად.

თეთრი კობრა ეშმაკური აღფრთოვანებით ათრთოლდა.

– რა თქმა უნდა, მოგცემ, – მიუგო მან, – სანამ წახვალ, რაც აქ არის, ყველაფერს მოგცემ.

– მე უკვე მივდივარ. ეს ადგილი ბნელი და ცივია. ამ ნივთს ჯუნგლში წავიღებ.

– ფეხებთან დაიხედე! მანდ რა არის?

მაუგლიმ რაღაც თეთრი და გლუვი აიღო. – ადამიანის თავის ძვალია, – უპასუხა მან წყნარად. – აქ კიდევ ორი ცალია ეგეთი.

– მრავალი წლის წინ ისინი აქ განძის წასაღებად მოვიდნენ. მე მათ გამოველაპარაკე სიბნელეში და მას შემდეგ, უძრავად წვანან.

– კი მაგრამ, რაში მჭირდება ეს განძი? თუ ანკუსს გამატან, კარგი ნადირობა გამომივა, თუ არა და, მაინც არ იქნება ურიგო. მე შხამიან მოდგმას არ ვებრძვი და შენი მოდგმის ჯადოსნური სიტყვაც ვიცი.

– აქ მხოლოდ ერთი ჯადოსნური სიტყვაა და ისიც მე მეკუთვნის.

კაამ ანთებული თვალებით წამოიწია: – ვინ მთხოვა ადამიანის მოყვანა? – დაისისინა მან.

– რასაკვირველია, მე, – ჩლიფინით წარმოთქვა მოხუცმა კობრამ. – დიდი ხანია, რაც ადამიანი არ მინახავს. ამ ადამიანს კი ჩვენი ენა ესმის.

– მაგრამ მაშინ სიკვდილზე არაფერი გითქვამს. როგორ ვთქვა ჯუნგლში, რომ ბიჭი ჩემი ხელით წავიყვანე სასიკვდილოდ? – წარმოთქვა კაამ.

– ჯერ მე მოკვლაზე არაფერი მითქვამს. რაც შეეხება შენს წასვლა-არ წასვლას – აი, იქ, კედელში, ხვრელია, მიდი და მშვიდად იყავი, შე მაიმუნების ჭამიავ, თორემ კისერში თუ გწვდი, ჯუნგლი შენს ამბავს ვეღარასოდეს გაიგებს. აქ ჩამოსული ადამიანი უკან ცოცხალი არასოდეს დაბრუნებულა. მე მეფეთა ქალაქის განძის მცველი ვარ!

– წყვდიადის თეთრო ჭიავ, გითხარი, რომ აღარც მეფეა და აღარც ქალაქი, ირგვლივ მხოლოდ ჯუნგლია! – დაუყვირა კაამ.

– განძი ხომ არის! ჰოდა, ყველაფერს ეშველება. ცოტა მოითმინე, კლდეების ჰითონო, და ნახავ ბიჭის სირბილს. საკმაოდ დიდი ოთახია სათამაშოდ. სიცოცხლე მშვენიერია. გაიქეც-გამოიქეცი, ითამაშე, ბიჭო!

მაუგლიმ წყნარად დაადო კაას თავზე ხელი.

– ამ თეთრ არსებას დღემდე ადამიანთა ხროვასთან ჰქონდა საქმე, მე კი არ მიცნობს, – წასჩურჩულა მან კაას, – ნადირობა მან წამოიწყო და მიუშვი!

მაუგლის ხელში ეჭირა ანკუსი, რომელიც მთელი ძალით

მოიქნია, უზარმაზარ გველს გაარტყა და იატაკს მიაკრა. კაა უსწრაფესად დააწვა კობრას დაკლაკნილ სხეულს. კობრას წითელი თვალები უელავდა და ექვსდუიმიან თავს მრისხანედ იქნევდა აქეთ-იქით.

– მოკალი! – შესძახა კაამ, როცა მაუგლიმ დანას შეავლო ხელი.

– არა, – მიუგო ბიჭმა და დანა იშიშვლა: – მე არასოდეს ვკლავ, თუ საჭმელად არ მინდა.

– უყურე, კაა! – და მან ხელი წაავლო გველს კისერში, დანით პირი გაუღო და ზედა ყბაზე ჩაშავებული შხამიანი კბილები გამოუჩნდა. თეთრ კობრას, როგორც ჩვეულებრივ გველებს სჩვევიათ, შხამი დაშრობოდა.

– ტუუ (რაც გამომშრალს და ასევე ფუყე კუნძს ნიშნავს ლიტერატურულად), – წარმოთქვა მაუგლიმ და კაას ანიშნა, რომ კობრას მოსცილებოდა, მერე ანკუსი ასწია და გველი გაათავისუფლა.

– მეფის განძს ახალი მცველი სჭირდება, – სერიოზული ხმით თქვა მაუგლიმ, – ტუუ, შენ კარგად არ მოიქეცი. აბა, გაიქეც-გამოიქეცი, ითამაშე!

– მე მრცხვენია... მომკალი! – დაისისინა თეთრმა კობრამ.

– აქ ბევრი ითქვა სიკვდილზე. ახლა მივდივართ, თან მიმაქვს წვეტიანი ნივთი, ტუუ, რადგან შემებრძოლე და გაჯობე!

– ფრთხილად იყავი, ამ ნივთმა შენც არ მოგიღოს ბოლო. ეგ სიკვდილია, გახსოვდეს, ეგ არის სიკვდილი! ამ ნივთში იმდენი სიკვდილია, რომ ჩემი ქალაქის მთელ მოსახლეობას ეყოფა. არც შენ, ჯუნგლელო, და არც სხვას, ვინც შენ მაგას წაგართმევს, დიდხანს არ შეგრჩებათ ეს ნივთი.

მაგის გულისთვის ადამიანები ერთმანეთს დახოცავენ. მართალია, ჩემი ძალა გამოიცალა, მაგრამ ჩემს საქმეს ანკუსი გააკეთებს. ეგ სიკვდილია, სიკვდილი, სიკვდილი!

მაუგლი ხვრელში გაძვრა და, სანამ სარდაფს დატოვებდა, დაინახა, რომ გამძვინვარებული კობრა ძალაგამოცლილი კბილებით ღრღნიდა იატაკზე დახვავებულ, უსიცოცხლოდ მომზირალ ოქროს კერპებს, თან სისინებდა: ეგ სიკვდილია!"

მაუგლიმ და კაამ გაიხარეს დღის სინათლეზე გასვლით. როცა ჯუნგლში დაბრუნდნენ და მაუგლიმ ანკუსს დღის შუქზე შეხედა, ისე გაიბადრა, თითქოს ახალი ყვავილების თაიგული იპოვა თმაში ჩასამაგრებლად.

– ეს ბაგირას თვალებზე უფრო კაშკაშაა, – თქვა მან აღტაცებით და ლალი ააბზრიალა, – აუცილებლად უნდა ვუჩვენო, მაგრამ, ნეტავ, რას გულისხმობდა ტუუ, როცა სიკვდილზე საუბრობდა?

– ვერ გეტყვი. ვწუხვარ, რომ შენი დანის გემო არ გააგებინე. ცივ ბუნაგებში ბოროტებაა დაბუდებული – ზევითაც და ქვევითაც. მაგრამ ახლა მაგრად მომშივდა. არ გინდა, განთიადზე ჩემთან ერთად ინადირო? – ჰკითხა კაამ.

– არა, ბაგირას უნდა ვანახო ეს ნივთი. წარმატებულ ნადირობას გისურვებ!

მაუგლიმ ცეკვა-ცეკვით გასწია, თან ჰაერში ათამაშებდა ანკუსს. ხანდახან შეჩერდებოდა და ნივთით ტკბებოდა. ბოლოს მიადგა იმ ადგილს, სადაც, ჩვეულებრივ, ბაგირა ეგულებოდა. წარმატებული ნადირობის შემდეგ ავაზა წყალს სვამდა.

მაუგლიმ თავიდან ბოლომდე უამბო თავისი თავგა-

დასავალი. ბაგირა დროდადრო ანკუსს ყნოსავდა. როცა ბიჭმა თეთრი კობრას უკანასკნელი სიტყვები გადასცა, ბაგირამ კმაყოფილების ნიშნად დაიკრუტუნა.

– ანუ თეთრმა კობრამ სიმართლე თქვა? – სწრაფად ჰკითხა მაუგლიმ.

– მე მეფის გალიაში დავიბადე, უდეიპურში, და აქედან გამომდინარე, ვიცნობ ადამიანთა მოდგმას. მხოლოდ ამ ერთი წითელი ქვისთვის ადამიანებს ერთ ღამეში სამი მკვლელობის ჩადენა შეუძლიათ.

– მაგრამ ქვა მხოლოდ ამძიმებს ამ ნივთს, მეტი არაფერი, ჩემი პატარა, ბრჭყვიალა დანა უკეთესია. წითელი ქვა ხომ არ იჭმევა, და აბა, რისთვის კლავენ ადამიანები ერთმანეთს?

– მაუგლი, წადი და დაიძინე. შენ ადამიანებთან ცხოვ-რობდი და...

– ჰო, მახსოვს, ადამიანები იმიტომ კი არ ხოცავენ, რომ ჭამონ, არამედ შესაქცევად და გასართობად. ბაგირა, გამოფხიზლდი და მითხარი, რას წარმოადგენს ეს წვე-ტიანი ნივთი?

ბაგირას ძალიან ეძინებოდა და ნახევრად გახელილი თვალებიდან ბოროტება უკრთოდა.

– ადამიანებმა ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ჰატის შვილებს თავში სცემონ და სისხლი ადინონ. უდეიპურის ქუჩებში, ჩვენი გალიების წინ, ბევრი ასეთი ნივთი მინახავს. მათ უამრავ ჰატისნაირს ადინეს სისხლი.

– კი მაგრამ, რატომ სცემენ სპილოებს თავში?

– იმიტომ, რომ ადამიანის კანონი ასწავლონ. რადგან ადამიანებს არც ბრჭყალები აქვთ და არც კბილები, ასეთ ნივთებს და კიდევ უფრო უარესებსაც ამზადებენ.

– ყველგან სისხლის კვალს ტოვებენ ადამიანები. – ბიზღით წარმოთქვა მაუგლიმ.

ანკუსის სიმძიმემ ბიჭი ცოტათი დაღალა.

– რომ მცოდნოდა, არ წამოვიღებდი. ჯერ იყო მესუას სისხლი, ახლა ჰატის სისხლი! არასოდეს გამოვიყენებ. აი, უყურე!

ანკუსმა ჰაერში გაიელვა და ოცდაათი იარდის სიშორეზე ხეებს შუა ჩაერჭო.

– ახლა კი სიკვდილისგან სუფთა მაქვს ხელები, – თქვა მაუგლიმ და ხელის გულები ახალ, დანამულ ბალახზე გაიწმინდა. – ტუუმ მითხრა, სიკვდილი დაგედევნებაო. ის ბებერია, თეთრი და სულელი.

– თეთრია თუ შავი, სიკვდილია თუ სიცოცხლე, მე უნდა დავიძინო, პატარა ძმობილო, არ შემიძლია მთელი ღამის ნადირობის შემდეგ, მთელი დღე ყმუილი, როგორც ზოგიერთებს სჩვევიათ.

ბაგირა გაემართა სანადირო ბუნაგისკენ, რომელიც დაახლოებით ორი მილის მანძილზე იყო, მაუგლი კი იქვე აცოცდა მოსახერხებელ ხეზე, სამი თუ ოთხი სურო გადააბა და ცოტა ხანში ჰამაკში ქანაობდა ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე. მიუხედავად იმისა, რომ დღის ძლიერი შუქი არ ეჯავრებოდა, თავისი მეგობრების ჩვეულებისამებრ, დიდად არ იზიდავდა მსგავსი სინათლე. როცა ხეებზე მობინადრეთა ხმაურმა გამოაღვიძა, ჯერ ისევ ბინდი იყო. სიზმარში ის ლამაზი კენჭები ნახა, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოისროლა.

– ერთხელ კიდევ უნდა შევხედო იმ ქვებს, – თქვა მან და სუროთი დაეშვა ძირს. მაგრამ ბაგირა მის წინ აღმოჩნდა. ბინდში მაუგლის ავაზას ქშენა მოესმა.

– სად წავიდა ის წვეტიანი ნივთი? – შეჰყვირა მაუგლიმ.

– ადამიანმა წაიღო. აი, კვალი.

– ახლავე გავიგებ, ტუუმ სიმართლე თუ თქვა. წვეტიანი ნივთი თუ სიკვდილია, ის ადამიანი მოკვდება, მოდი, მივყვეთ.

– ჯერ ინადირე, – უთხრა ბაგირამ, – ცარიელი კუჭი თვალებსაც დაუდევარს ხდის. თან ადამიანები ძალიან ნელა დადიან. ჯუნგლიც ისეთი სველია, რომ უმნიშვნელო კვალიც კი დაეტყობა.

შეძლებისდაგვარად სწრაფად ინადირეს, მაგრამ სამი საათი მაინც გავიდა, სანამ ჭამეს, წყალი დალიეს და ადამიანის კვალს დაადგნენ. ჯუნგლელებმა იციან, რომ ჭამის დროს არაფერმა არ უნდა აგაჩქაროს.

– ფიქრობ, რომ ის წვეტიანი საგანი ადამიანის ხელში შემოტრიალდება და მოკლავს? – ჰკითხა მაუგლიმ, – ტუუმ თქვა, სიკვდილიაო.

– მაგას მაშინ გავიგებთ, როცა ვიპოვით, – მიუგო ბაგირამ და თავჩაქინდრულმა ჩორთით განაგრძო სვლა. – აქ ერთი ფეხია (მხოლოდ ერთი ადამიანის გავლას გულისხმობდა). ნივთის სიმძიმის გამო ნაფეხური მიწაში ღრმად ჩანს.

– ჰეჰ! ზაფხულის ელვასავით ნათელია, – უპასუხა მაუგლიმ და მთვარის შუქზე ნაკვალევს გაჰყვნენ.

– აქ ფეხი აუჩქარებია, – თქვა მაუგლიმ, – ნაფეხურები ერთმანეთისგან შორსაა.

ცოტა ხანში სველ ადგილას აღმოჩნდნენ.

– რატომ უხვევს აქ კვალი? – იკითხა მაუგლიმ.

– მოიცა, – თქვა ბაგირამ, მიწას მოსწყდა და შეძლები-

სდაგვარად შორს გადახტა.

პირველი, რაც კვალის არევისას მდევარმა უნდა გააკეთოს, არის ის, რომ წინ გადახტეს, რათა მიწაზე საკუთარი კვალი არ დააჩნიოს. როგორც კი ბაგირა მიწაზე დახტა, მაუგლის მიუტრიალდა და შეჰყვირა:

– აქ პირველს მეორე კვალი ხვდება. მეორე შედარებით პატარა ზომის ფეხისაა და ცერებიც შიგნით აქვს შებრუნებული.

მაუგლიმ მიირბინა და დახედა:

– ეს გონდი მონადირის კვალია, – თქვა მან, – შეხედე! აქ, ბალახზე, თავისი მშვილდი უთრევია. სწორედ ამიტომ გადაუხვია სწრაფად პირველმა კვალმა. დიდფეხა დაემალა პატარაფეხას.

– მართალი ხარ, – უთხრა ბაგირამ, – ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ ჩვენთვის კვალი აერიათ. მე დიდფეხას კვალს დავადგები, პატარა ძმობილო, შენ კი პატარას მიჰყევი.

ბაგირა ძველი ნაკვალევისკენ გადახტა, მაუგლი კი ტყის ველური ადამიანის ვიწრო ნაკვალევს დააშტერდა.

– ახლა, – წარმოთქვა ბაგირამ და ფეხდაფეხ მიჰყვა ნაკვალევს. – მე, დიდფეხა, აქ ვტრიალდები, ვიმალები კლდის უკან და უძრავად ვჩერდები, ფეხების მოძრაობას ვერც ვბედავ. ახლა შენს კვალზე მითხარი, პატარა ძმობილო.

– ახლა მე, პატარაფეხა, მივდივარ კლდესთან, – მიუგო მაუგლიმ და თავის კვალს გაჰყვა, – ვჯდები კლდის ძირას, მარჯვენა ხელს ვეყრდნობი და მშვილდს ფეხის თითებს შორის ვდებ. ვიცდი დიდხანს, რადგან ჩემი ნაკვალევი აქ ღრმად ჩანს.

– ჩემიც, – გამოეხმაურა კლდის უკან დამალული ბაგირა. – ვიცდი და წვეტიან საგანს ქვაზე ვაბჯენ. ის სხლტება და სწორედ ამიტომ არის აქ ქვა გაფხაჭნილი. შენს კვალზე მითხარი, პატარა ძმობილო.

– აქ ერთ თუ ორ გადატეხილ რტოსა და დიდ ტოტს ვხედავ, – დაბალი ხმით თქვა მაუგლიმ, – დავიყვირო ახლა? ოჰ, ახლა ნათელია: მე, პატარაფეხა, მივდივარ ხმაურით, რათა დიდფეხამ გაიგონოს ჩემი ხმა.

მაუგლი კლდეს მოშორდა და ხეებში შევიდა. თანდათან უწევდა ხმას, რადგან პატარა ჩანჩქერს უახლოვდებოდა.

– მივდივარ... შორს... იქით... სადაც წყლის ხმა ფარავს... ჩემს... ხმას... აქ... ვიცდი. შენს კვალზე რას იტყვი, ბაგირა დიდფეხავ?

ავაზა აქეთ-იქით მოძრაობდა, რათა დიდფეხა კვალის მიმართულება გაერკვია, შემდეგ შესძახა:

– კლდის უკანა მხრიდან მუხლზე ხოხვით გამოვდივარ და თან წვეტიან ნივთს მივათრევ. ვერავის ვხედავ, გავრბივარ, სწრაფად მივრბივარ. კვალი ნათლად ჩანს. ჩვენ-ჩვენს კვალს მივყვეთ. გავრბივარ!

ბაგირა აშკარა რომ სჩანდა, იმ კვალს გაჰყვა, მაუგლი კი – გონდისას. ერთხანს ჯუნგლში სიჩუმე ჩამოწვა.

– სადა ხარ, პატარაფეხავ? – დაიძახა ბაგირამ.

მარჯვნიდან, დაახლოებით ორმოცდაათი იარდის სიშორიდან მოისმა მაუგლის ხმა.

– უხ! – აღმოხდა ავაზას და მაგრად ჩაახველა, – გვერდიგვერდ გარბიან, ერთმანეთს უახლოვდებიან...

ასე გაირბინეს მაუგლიმ და ბაგირამ ნახევარი მილი. ერთმანეთს შორის მანძილს ინარჩუნებდნენ. მაუგლიც ბა-

გირასავით თავდახრილი გარბოდა. უცებ ბიჭმა შესძახა:

– ისინი შეხვდნენ. წარმატებულ ნადირობას გისურვებ. შეხედე! აქ, კლდეზე მუხლისჩოქა იდგა პატარაფეხა და რასაკვირველია, დიდფეხაც აქვეა.

მათ წინ, დაახლოებით ათი იარდის მოშორებით, კლდის ნანგრევებზე ეგდო ზურგსა და მკერდში გონდის ფრთიანი ისრით განგმირული ადამიანი.

– არც ისეთი ბებერი და სულელი ყოფილა ტუუ, პატარა ძმობილო! – მშვიდად წარმოთქვა ბაგირამ. – აქ, სულ მცირე, ერთი მკვდარია!

– მიჰყევი! მაგრამ სად არის სპილოს სისხლისმსმელი, წითელთვალა ეკალი?

– შესაძლოა, პატარაფეხას აქვს. აი, კვლავ ერთი ფეხია.

ახლა მხოლოდ მსუბუქი კაცის ნაკვალევიღა ჩანდა. ალბათ, სწრაფად გარბოდა, თან მარცხენა მხრით ტვირთი მიჰქონდა. კვალი მშრალ ბალახს მიჰყვებოდა და მდევართა მახვილი თვალისთვის ნათლად შესამჩნევი იყო.

ხმა არცერთს არ ამოუღია, სანამ კვალმა ისინი ხევში ჩამალულ ბანაკის ჩაფერფლილ კოცონთან არ მიიყვანა.

– აი, კიდევ! – წამოიძახა ბაგირამ და გაქვავებული შედგა.

იქვე ეგდო ნაცარში ფეხებჩაყოფილი პატარა, წვრილი გონდის გვამი. ბაგირამ გაკვირვებით შეხედა მაუგლის.

– ეს ადამიანი ბამბუკის ჯოხით მოუკლავთ, – ერთი თვალის შევლებით დაასკვნა ბიჭმა, – მე მსგავსი საგნით კამეჩებს ვმწყემსავდი, როცა ადამიანთა ხროვაში ვმსახურობდი. კობრების მამამთავარო, ვწუხვარ, რომ მასხრად აგიგდე. კარგად გცნობია ადამიანთა მოდგმა – ისე, როგორც მეც უნდა მცოდნოდა. ხომ ვამბობდი, რომ ადამი-

ანები გასართობად ხოცავენ ერთმანეთს?

– რასაკვირველია, ისინი წითელი და ლურჯი ქვებისთვის ანადგურებენ ერთმანეთს. – მიუგო ბაგირამ, – გახსოვდეს, რომ მე მეფის გალიაში ვცხოვრობდი, უდეიპურში.

– ერთი, ორი, სამი, ოთხი კვალი, – თქვა მაუგლიმ, თან ნაცარს აკვირდებოდა, – ოთხი ნაკვალევი ფეხსაცმლიანი ადამიანისაა. ისინი გონდებივით სწრაფად ვერ დადიან. რა ჯანდაბა უნდოდათ პატარა შეშისმჭრელთან? შეხედე, ისინი საუბრობდნენ, ხუთივე ერთად მდგარან, სანამ მას მოკლავდნენ. ბაგირა, დავბრუნდეთ, კუჭი დამიმძიმდა და ისე ადი-ჩადის, როგორც ტოტის ბოლოში დაკიდებული მოლაღურის ბუდე.

– არ იქნება წარმატებული ნადირობა, თუკი ახლა შევწყვეტთ. მომყევი! – მიმართა ავაზამ, – რვა ფეხსაცმელი შორს ვერ წავიდოდა.

მთელი ერთი საათის განმავლობაში ხმაამოუღებლად მისდევდნენ ოთხი ადამიანის განიერ ნაკვალევს.

ნათელი, ცხელი დღე იყო. უცებ ბაგირამ თქვა:

– კვამლის სუნს ვგრძნობ.

– ადამიანებს ჭამა უფრო ეხერხებათ, ვიდრე სირბილი, – მიუგო მაუგლიმ, რომელიც ჯუნგლის დაბალ ბუჩქნარში მიძუნძულებდა.

– აი, კიდევ ერთი, რომელიც ვეღარ შეჭამს, – საოცარი ხმით წამოიძახა ბაგირამ.

ბუჩქის ძირას ჭრელი ტანსაცმლით სავსე ბოხჩა ეგდო, მის გარშემო კი ფქვილი იყო დაყრილი.

– ესეც ბამბუკის ჯოხით გამოასალმეს სიცოცხლეს, – თქვა მაუგლიმ. – შეხედე, ეს ის თეთრი მტვერია, ადამი-

ანები რომ ჭამენ. ამ კაცს საჭმელი წაართვეს და თვითონ კიდევ ძერა ჩილის საკბილოდ დააგდეს.

– ეს მესამეა! – თქვა ბაგირამ.

– ახალგაზრდა, დიდ ბაყაყებს წავუღებ კობრების მამამთავარს და გავასუქებ, – თავისთვის ჩაილაპარაკა მაუგლიმ. – სპილოს სისხლისმსმელი თვითონ სიკვდილი ყოფილა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერაფერი გავიგე.

– მომყევი! – უთხრა ბაგირამ.

ნახევარი მილის გავლის შემდეგ ყვავი კოუს სამგლოვიარო სიმღერა შემოესმათ იალღუნის[1] წვეროდან, რომლის ჩრდილშიც სამი გვამი ეგდო. ნახევრად ჩამქრალი ცეცხლი ხრჩოლავდა შუაგულში. რკინის ფირფიტის ქვეშ გაშავებული, დამწვარი ხმიადი იდო. ცეცხლთან ახლოს კი, მზის შუქზე ლალ-ფირუზით მორთული ანკუსი ბრწყინავდა.

– ეს ნივთი სწრაფად მოქმედებს. ყველაფერი აქ სრულდება, – თქვა ბაგირამ, – ესენი როგორ დაიხოცნენ, მაუგლი? არანაირი ნიშანი არ ეტყობათ.

ჯუნგლის ბინადარი გამოცდილებით იმდენ რამეს სწავლობს, რამდენიც ექიმებმა იციან შხამიანი მცენარეებისა და მათი ნაყოფის შესახებ. მაუგლიმ შეისუნთქა ცეცხლის კვამლი, მერე გაშავებულ ჰურს ჰატარა ნაწილი მოატეხა, გასინჯა და უკან გადმოაგდო.

– სიკვდილის ვაშლი, – ჩაახველა მან, – ალბათ, ჰირველმა გაურია საჭმელში გონდის მკვლელებს.

– მართლაც რომ საუცხოო ნადირობაა! სიკვდილი სიკვდილს მისდევს ფეხდაფეხ, – თქვა ბაგირამ.

---

[1] იალღუნი – იგივე თამარიხი, ზაფხულმწვანე, იშვიათად მარადმწვანე ბუჩქი ან მომცრო ხე; აქვს ძალიან ჰატარა და ხშირი ფოთლები, წვრილი ყვავილები. იზრდება მდინარის ჰირას.

ჯუნგლში ლემას[1] „სიკვდილის ვაშლს“ ან ეკლიან ვაშლს ეძახიან. ის ყველაზე სწრაფად მოქმედი საწამლავია მთელ ინდოეთში.

– ახლა რა ვქნათ? – იკითხა ავაზამ, – მე და შენ ხომ არ დავხოცოთ ერთმანეთი ამ წითელთვალებიანი მკვლელის გამო?

– ამ ნივთს ლაპარაკი თუ შეუძლია? – ჩურჩულით წარმოთქვა მაუგლიმ. – მგონი, არასწორად მოვიქეცი, როცა ის მოვისროლე – ჩვენ ორ შორის ცუდს ვერაფერს იზამდა, რადგან ჩვენ არ ვნატრობთ იმას, რასაც ადამიანები ნატრობენ. აქ თუ დავტოვებთ, დარწმუნებული ვარ, ისე სწრაფად გააგრძელებს ადამიანთა ხოცვას, როგორც ძლიერ ქარში ცვივა კაკალი. მართალია ადამიანები არ მიყვარს, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, ერთ ღამეში ექვსი კაცის სიკვდილი.

– და რა მოხდა? ისინი ხომ ადამიანები არიან. ერთმანეთი დახოცეს და ამით დიდად ისიამოვნეს. – თქვა ბაგირამ. – იმ პირველმა, პატარა შეშისმჭრელმა კარგად ინადირა.

– ისინი მაინც ლეკვები არიან; ლეკვი კი დახრჩობასაც არ მოერიდება, ოღონდ მთვარის შუქს უკბინოს წყალში. მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. – თქვა მაუგლიმ, რომელიც ყველაფრისმცოდნე ადამიანივით საუბრობდა. – არასდროს მოვიტან უცნაურ საგნებს ჯუნგლში, სულ რომ ყვავილებივით ლამაზი იყოს. ეს, – ფრთხილად აიღო მან ანკუსი, – კობრების მამამთავარს დაუბრუნდება. პირველ რიგში, ჩვენ უნდა გამოვიძინოთ, მაგრამ არა ამ მძინარე-

[1] ლემა – შხამიანი მცენარე, რომელსაც აქვს ეკლები.

თა მახლობლად. ეს ნივთი უნდა დავფლათ, რომ არ გაიქცეს და კიდევ ექვსი არ გამოასალმოს სიცოცხლეს. ამომითხარე ორმო ამ ხის ძირში.

– მაგრამ, ჰატარა ძმობილო, – უთხრა ბაგირამ და მინიშნებული ადგილისაკენ გაემართა, – გეუბნები, რომ ეს არ არის იმ სისხლისმსმელი ნივთის ბრალი. უბედურება ადამიანებშია.

– სულერთია, – მიუგო მაუგლიმ, – ღრმად ამოთხარე ორმო. გაღვიძებისთანავე ამოვიღებ და უკან წავიღებ!

ორი ღამის შემდეგ, თეთრი კობრა მგლოვიარე, დარცხვენილი, გაძარცული და მარტოსული იჯდა ბნელ სარდაფში, როცა უეცრად კედლის ნაპრალში ბზრიალით შევარდა ფირუზის ანკუსი და ოქროს მონეტებით მოფენილ იატაკზე ხმაურით დავარდა.

– კობრების მამამთავარო! – შესძახა მაუგლიმ (ის ფრთხილობდა და კედლის იქით დარჩა), – შენსავე მოდგმაში მოიძიე მოწიფული ახალგაზრდა, რომელიც დაგეხმარება მეფის განძის დაცვაში, რომ მაქედან ვერცერთი ადამიანი ვერ გავიდეს ცოცხალი.

– აჰ-ჰა! მაშ, დაბრუნდი? ხომ გითხარი, რომ ეს ნივთი სიკვდილი იყო. როგორ მოხდა, რომ შენ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ? – წაიჩიფჩიფა ბებერმა კობრამ და დიდი რუდუნებით შემოეხვია ანკუსის ტარს.

– ვფიცავ ჩემს გამომსყიდველ ხარს, რომ არ ვიცი! ამ ნივთმა ერთ ღამეში ექვსი ადამიანი იმსხვერპლა. აღარასოდეს გამოუშვა გარეთ.

პატარა მონადირის სიმღერა

ფარშავანგი ირხევა, მაიმუნი ყვირის,
ძერა სწრაფად ეშვება ვაითა და ვიშით,
ჯუნგლში ჩრდილი დალანდეს და გაისმა ხმები:
პატარა მონადირევ, ეს არისო შიში!

ყველას მზერა მიიპყრო მოარულმა ჩრდილმა
ირგვლივ ისმის ჩურჩული და უწყვეტი ვიში,
ამწუთას ჩაიქროლა ისე ახლოს ცხვირთან,
იცოდე მონადირევ, რომ ეს არის შიში!

მთაზე მთვარე აცოცდა, შუქი ჰფინა კლდეებს,
და მიწაში ღრმად მოსჩანს სველი კვალის ფენა,
ეს არის, მონადირევ, შიში, ალბათ, ხვდები! –
ირგვლივ ისმის ჩურჩული, მძიმე სუნთქვა, ქშენა.

მშვილს გავარდა ისარი და გააპო სივრცე,
კაჭკაჭის ხმამ დაფარა ირგვლივ ტყე და ტევრი,
ძალას ვერ ვგრძნობთ ხელებში, გაგვიფითრდა სახე,
ეს შიშია, არ უნდა საუბარი ბევრი!

ქარიშხალი მოვარდა ღრუბლებიდან, მძიმე,
საყვირის ხმა დაუფარავს ქოთქოთმა და ვიშმა,
ირგვლივ ჩხუბი არ წყდება, ხე გახეთქა მეხმა,
პატარა მონადირევ, შენც შეგიპყრო შიშმა?!

ნიაღვარმა წალეკა მიდამო და არე,
ელვამ გადაანათა ხეობებს და დირეს,
ყელი გაშრა, დაგუბდა, პირს ვერ ვაღებთ, ვერა,
ეს შიშია, იცოდე, ჩვენო მონადირევ!

წითელი ძაღლი

ჩვენი თეთრი, უცხო ღამე, მოქრიალებს სწრაფად,
მოიძიეთ, იეშმაკეთ, ინადირეთ ჩქარა!
განთიადის სურნელება გვატკბობს, დილის ნამიც
ბურუსშია გახვეული, დროს არ ჰკარგავს წამით.
ყველა ჩვენი მეგობრისთვის, ირმებისთვის ღამით
ვიმოქმედოთ, ვიმუშაოთ, შევეშველოთ რამით.
თუ გვინდა, რომ ბუნაგებში დავიძინოთ ტკბილად,
ახლა უნდა ვიბრძოლოთ და ვინადიროთ ფრთხილად!

მაუგლის ცხოვრების ყველაზე საინტერესო ხანა მას შემდეგ დაიწყო, რაც მან სოფელს ჯუნგლი შეუსია. ისეთ განწყობაზე იყო, როგორზეც ადამიანები ვალის გადახდისას არიან ხოლმე. ჯუნგლელები მისი მეგობრები იყვნენ და ეშინოდათ კიდეც მისი. ყველაფერი ის, რაც მაუგლიმ გააკეთა, ნახა და გაიგონა სხვადასხვა ტომში, მარტომ ან ოთხ მეგობართან ერთად ხეტიალისას, ძალიან გრძელი ამბები გამოვიდოდა. ამიტომ ვერასოდეს გაიგებთ, როგორ შეხვდა მაუგლი მანდლელ ცოფიან სპილოს, რომელმაც მთავრობის საგანძურისკენ მიმავალი, ვერცხლის ფულით დატვირთული, თერთმეტ ურემში შებმული ოცდაორი ხარი გამოასალმა სიცოცხლეს და ბრჭყვიალა რუპიები მტვერში მიმოფანტა; როგორ ებრძოდა ბიჭი ჩრდილოეთის ჭაობებში ნიანგ ჯაკალეს მთელი ღამის განმავლობაში, და როგორ გადაემტვრა დანა მხეცის სქელტყავა ზურგზე; როგორ იპოვა ახალი და უფრო გრძელი დანა გარეული ტახის მიერ განგმირული კაცის კისერზე. როგორ გაჰყვა იმ ტახის კვალს და მოკლა იგი დანის სამართლიანი საფასურის

გამო; დიდი შიმშილობის დროს როგორ მოხვდა ირმებთან, რომელთა აღელვებულმა ჯოგმაც კინაღამ ფეხქვეშ გაქელა იგი; როგორ გადაარჩინა მდუმარე ჰატი ორმოში ჩავარდნას და სარზე წამოცმას; როგორ გაება თვითონ მეორე დღეს ავაზებისათვის დაგებულ ეშმაკურ ხაფანგში, რომლის უშველებელი ხის ძელები ჰატიმ დაანაკუწა; როგორ წველიდა მაუგლი გარეულ კამეჩებს ჭაობში და როგორ...

მაგრამ, ახლა ერთი ამბავი უნდა გიამბოთ.

დედა და მამა მგელი დაიხოცნენ. მაუგლიმ უზარმაზარი რიყის ქვა მიაგორა გამოქვაბულის კართან და სამგლოვიარო სიმღერით დაიტირა ისინი. ბალუ ძალიან მოხუცდა, ხოლო ფოლადის ნერვებიანი და რკინის კუნთებიანი ბაგირა კი, თითქოს კვლავინდებურად მოხერხებულად ნადირობდა. აკელას რუხი კანი სიბერისგან რძისფერი გაუხდა, ნეკნები ეტყობოდა, მოძრაობა უჭირდა და მისთვის მაუგლი ნადირობდა. ახალგაზრდა მგლები, სიონიის ხროვის შვილები კი, ცხოვრობდნენ ბედნიერად, მრავლდებოდნენ და როდესაც უწინამძღვროდ დარჩენილი ხუთი წლის მგლების რიცხვმა ორმოცს მიაღწია, აკელამ მოუხმო მათ და უთხრა, კანონს დამორჩილებოდნენ და ერთი მათგანის ხელმძღვანელობით ენავარდათ თავისუფალი მოდგმის შესაფერისად.

ამ საქმეში მაუგლი არ ჩარეულა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, მან უკვე იგემა მწარე ნაყოფი და ის ხეც იცოდა, რომელიც ამ ნაყოფს ისხამდა. მაგრამ როცა ფაომ, ფაონას ვაჟმა (მისი მამა აკელას მეთაურობისას რუხი მდევარი იყო), ჯუნგლის კანონის თანახმად, ხროვის წინამძღოლობა მოიპოვა და ვარსკვლავიანი ცის ქვეშ კვლავ გაისმა ძველი შეძახილები და სიმღერები, მაუგლიმ წარსული

გაიხსენა და საბჭოს კლდესთან მივიდა; მის საუბარს ხროვა ჩუმად უსმენდა და ელოდებოდა, როდის დაასრულებდა ლაპარაკს. მაუგლი აკელას გვერდით იჯდა კლდეზე, ფაოს ზემოთ. ეს იყო წარმატებული ნადირობისა და კარგი ძილის დრო. ვერცერთი უცხო ვერ ბედავდა ჯუნგლის იმ ნაწილში შეჭრას, რომელიც მაუგლის მოდგმას ეკუთვნოდა – ასე ეძახდნენ მის ხროვას. ახალგაზრდა მგლები სუქდებოდნენ და ძლიერდებოდნენ. საბჭოში უამრავი ლეკვი მოჰყავდათ გასასინჯად. მაუგლი ყოველთვის ესწრებოდა ამ პროცესს და ახსენდებოდა ის ღამე, როცა შავმა ავაზამ შიშველი ბავშვი ხროვაში შეიყვანა. გაბმულ შეძახილზე – „დააკვირდით, კარგად დააკვირდით!“ – მუდამ გული უფანცქალდებოდა. ისე კი, მაუგლი თავის ოთხ ძმასთან ერთად დადიოდა ჯუნგლში, ყოველ ახალ საგანს სინჯავდა, ეხებოდა, აკვირდებოდა და შეიგრძნობდა.

ერთხელ, ბინდისას, მაუგლი მშვიდად მიძუნძულებდა, რათა აკელასთვის ნანადირევი ირმის ნახევარი მიერთმია. ოთხი სიცოცხლით სავსე და მხიარული მგელი უკან მისდევდა. უცებ ისეთი ყვირილი მოესმა, როგორიც შერ-ხანის ავბედითი დღეების შემდეგ აღარ გაუგონია. ამას ჯუნგლში „ფიელს“ უწოდებენ – ასე გაჰკივის ტურა, როცა ის მონადირე ვეფხვს უკან მიჰყვება ნასუფრალის მოლოდინში, ან როცა დიდი ნადირობაა გაჩაღებული. თუ შეძლებ, წარმოიდგინო ერთმანეთში არეული სიძულვილი, გამარჯვება, შიში და სასოწარკვეთა, მაშინ მიხვდები, რა არის „ფიელი“, უცებ რომ ატყდა, მერე მინელდა და ბოლოს სადღაც შორს, უაინგუნგის გაღმა გადაიკარგა. მგლებს ბალანი აეშალათ და იღრინებოდნენ. მაუგლიმ დანას გადაუსვა ხელი და სისხლგაყინულივით შედგა:

– აქ ვერცერთი ზოლიანი ვერ გაბედავს ნადირობას, – თქვა მან.

– ეს მისი ხმა არ არის, – გამოეხმაურა რუხი ძმობილი. – სადღაც დიდი ნადირობაა. ყური დაუგდე!

ისევ გაისმა – ხან ქვითინის, ხანაც ხითხითის მსგავსი ხმაური; იფიქრებდით, ტურას ადამიანის ნაზი ტუჩები აქვსო. მაუგლიმ ღრმად ამოისუნთქა და საბჭოს კლდისკენ გაემართა. გზად აჩქარებულ მგლებს გადაეყარა. ფაო და აკელა ერთად მოკალათებულიყვნენ კლდეზე, მათ ქვევით კი დანარჩენები დაძაბულად ისხდნენ. დედები და ლეკვები თავიანთი ბუნაგებისკენ მიძუნძულებდნენ. როცა „ფიელი" გაისმის, სუსტების გარეთ ყოფნა აღარ შეიძლება.

ღამის წყვდიადში აღარაფერი ისმოდა, გარდა უაინგუნგის ხმაურისა და ბუყბუყისა. საღამოს ნელი სიო არხევდა ხეების კენწეროებს. უცებ მდინარის გაღმიდან მგლის ხმა მოისმა. ეს მგელი, როგორც ჩანდა, მგლების ხროვას არ ეკუთვნოდა, რადგან ისინი ყველანი იქ იყვნენ. ხმა გაბმულ, სასოწარკვეთილ ყეფაში გადაიზარდა.

– აბიური წითელი ძაღლი! – იძახდა ვიღაც. – აბიური წითელი ძაღლი! აბიური წითელი ძაღლი! აბიური წითელი ძაღლი! – გაისმა დაღლილი ფეხის ხმა და წრეში გამხდარი, გვერდებდასისხლიანებული მგელი შევარდა, რომელსაც უმოქმედოდ ება მარჯვენა ტორი და დუჟი გადმოსდიოდა. ის ქშენით გაწვა მაუგლის ფეხებთან.

– წარმატებულ ნადირობას გისურვებთ! ვინ არის შენი მეთაური? – სერიოზული სახით შეეკითხა ფაო.

– წარმატებული ნადირობა! მე უონტოლა ვარ. – გაისმა ახალმოსულის ხმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი განდეგილი მგელი იყო, თვითონ ზრუნავდა საკუთარ თავზე და

ლეკვები და ძუ მგელი განმარტოებულ ბუნაგში ჰყავდა. ასე უამრავი მგელი იქცევა სამხრეთში. უონტოლა ნიშნავს ყველა ხროვისგან განდგომილ მგელს. მერე ძლივს ამოისუნთქა და იქ მყოფებმა დაინახეს, აქეთ-იქით როგორ აქანებდა მას საკუთარი გულისძგერა.

– ვინ მოდის? – იკითხა ფაომ. ამ შეკითხვას სვამს ყველა ჯუნგლელი „ფიელის" გაგონებისას.

– წითელი ძაღლები მოდიან, დეკანის წითელი ძაღლები, მკვლელი წითელი ძაღლები. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოემართებიან და გზად ყველაფერს ანადგურებენ. ახალმთვარეობისას ოთხნი ვიყავით: ჩემი მეწყვილე და ჩვენი სამი ლეკვი. დედა მათ ასწავლიდა ბალახიან ველებში ირმებზე ნადირობას, ისე, როგორც გაშლილ ადგილებში მცხოვრებებს გვჩვევია. შუაღამისას ისინი ჯერ კიდევ ერთად ხმაურობდნენ, განთიადზე კი ბალახში ვიპოვე – ოთხივე დახოცილი... ოთხივე ცოცხალი მყავდა ახალი მთვარისას. შემდეგ სისხლის აღება გადავწყვიტე და წითელ ძაღლებს შევებრძოლე.

– რამდენი იყვნენ? – სწრაფად შეეკითხა მაუგლი. ხროვამ დაიღრინა.

– არ ვიცი. სამი მათგანი განვგმირე, მაგრამ ბოლოს ირემივით გამიგდეს წინ... მე სამი ფეხითღა მივრბოდი. შემხედე, თავისუფალო მოდგმავ!

დასახიჩრებული, სისხლშემხმარი ტორი წინ გამოსწია. გვერდებზე საშინელი და ღრმა ნაკბენები ემჩნეოდა, ყელი კი დაფლეთილი ჰქონდა.

– ჭამე! – უთხრა აკელამ და მაუგლის მოტანილი ხორცი გაუწოდა. უონტოლა მაშინვე მივარდა ხორცს.

– ამას არ დაგივიწყებთ, – თავმდაბლად თქვა მან, როცა

შიმშილი მოიკლა. – თავისუფალო მოდგმავ, ცოტათი მოვ-ძლიერდები და მეც ვინადირებ. ჩემი ბუნაგი, რომელიც ახალი მთვარისას ჯერ კიდევ სავსე იყო, ახლა ცარიელია და ამისთვის სამაგიერო ბოლომდე ჯერ არ გადამიხდია.

ფაოს ესმოდა, როგორ აკრატუნებდა იგი მენჯის ძვალს. მან მოწონების ნიშნად ჩაიბურდღუნა:

– ეგ ყბები დაგვჭირდება... წითელი ძაღლები ლეკვე-ბიანად მოდიან?

– არა, არა, ყველა წითელი მონადირე დიდი და ღონიე-რია. ისინი დეკანის ხვლიკებით იკვებებიან.

უონტოლას ნათქვამიდან გამომდინარე აშკარა იყო, რომ დეკანის წითელი მონადირე ძაღლები სანადიროდ დაიძ-რნენ. ხროვამ იცოდა, რომ თვით ვეფხვიც კი დანებდე-ბოდა წითელ ძაღლებს. ისინი მოურიდებლად დაჰქრიან ჯუნგლებში, ანადგურებენ და ანაკუწებენ ყველაფერს, რაც გზად შეხვდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ტანით მგლე-ბზე ბევრად პატარები არიან და ვერც ეშმაკობით შეედ-რებიან, მათზე ღონიერები და ბევრად მეტნი არიან. წი-თელი ძაღლები ხროვად მაშინ თვლიან თავიანთ შემად-გენლობას, როცა რაოდენობრივად ასს მიაღწევენ; არადა, ორმოცი მგელი უკვე დიდ ხროვას წარმოადგენს.

მაუგლი ხეტიალისას ხშირად მისულა დეკანის ბალახ-იან დაბლობამდე; უნახავს, როგორ ეძინათ, ერთობოდ-ნენ და იქექებოდნენ უშიშარი წითელი ძაღლები თავიანთ ბუნაგებში – ფუღუროებსა და ბუჩქებში. მაუგლის ეზიზ-ღებოდა ისინი, რადგან თავისუფალ მოდგმას არაფრით ჰგავდნენ; არც გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და, გარ-და ამისა, თითებს შუა ბალნიანები იყვნენ, მაშინ, როცა მაუგლისა და მის ამხანაგებს სუფთა ფეხები ჰქონდათ.

მაუგლიმ ჰატისაგან იცოდა, რა საშინელიც იყო წითელი ძაღლების მონადირე ხროვა. თვით ჰატიც კი არ ეკარებოდა მათ სიახლოვეს. ისინი სულ წინ მიიწევდნენ მანამ, სანამ ყველაფერს არ გაანადგურებდნენ.

აკელაც, ასე თუ ისე, იცნობდა წითელი ძაღლების მოდგმას, ამიტომ მშვიდად უთხრა მაუგლის:

– ხროვაში სიკვდილი სჯობს, უწინამძღოლოდ და მარტოსულად დაღუპვას. კარგი ნადირობა მოგველის, თუმცა ჩემთვის ეს უკანასკნელი იქნება, მაგრამ შენ კი, ჰატარა ძმობილო, დიდხანს იცოცხლებ, ისე, როგორც ადამიანებს სჩვევიათ. ჩრდილოეთისაკენ წადი, იქ დაიმალე და, თუ წითელ ძაღლებს თავს დააღწევს რომელიმე მგელი, მოვა და ბრძოლის ამბავს მოგიყვება.

– აჰ! – სავსებით სერიოზულად წარმოთქვა მაუგლიმ, – ჭაობებში წავიდე, ჰატარა თევზები დავიჭირო, ხეებზე დავიძინო ან ბანდარ-ლოგს ვთხოვო დახმარება, კაკალი ვაკნატუნო მაშინ, როცა ჩემი ხროვა იბრძვის?!

– ეს სასიკვდილო ბრძოლაა, – უთხრა აკელამ. – შენ არასოდეს შეხვედრიხარ წითელ ძაღლებს – წითელ მკვლელებს. თვით ბოლიანიც კი...

– აუა! აუა! – ნაბად წარმოთქვა მაუგლიმ, – ერთი ბოლიანი მაიმუნი უკვე მოვკალი. დარწმუნებული ვარ, რომ შერ-ხანიც ტოვებდა ხოლმე თავის მეუღლეს წითელი ძაღლების ხორცის გამო. მომისმინე: იყო ერთი მგელი – მამაჩემი, იყო კიდევ მეორე მგელი – დედაჩემი, იყო ერთი მოხუცი რუხი მგელი (დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდა, ახლა ის სულ მთლად ჭაღარაა), რომელიც ჩემთვის მამაც იყო და დედაც. ამიტომ მე... – მან ხმას აუწია, – მე ვამბობ, როცა წითელი ძაღლები მოვლენ, და თუ ისინი მართლა მოვ-

ლენ, მაუგლი და თავისუფალი მოდგმა გაერთიანდება მათ წინააღმდეგ ბრძოლაში; მე ვამბობ და ვფიცავ ჩემს გამომსყიდველ ხარს, რომელიც ბაგირამ გადაიხადა ჩემში დიდი ხნის წინ და ალბათ, აღარც გახსოვთ... დაე, ხეებმა და მდინარემ გაიგონონ და კარგად დაიმახსოვრონ, თუკი მე დამავიწყდება; მე ვამბობ, რომ ეს ჩემი დანა ხროვისთვის კბილივით იქნება და არა მგონია, ის ბლაგვი იყოს. ეს არის ჩემი სიტყვა, რომელიც ჩემმა პირმა წარმოთქვა.

– შენ წითელ ძაღლებს არ იცნობ, მგლების ენით მოსაუბრე ადამიანო, – უთხრა უონტოლამ. – მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ სისხლი ავიღო, სანამ დამანაკუწებენ. ისინი ნელა მოძრაობენ, გზად ყველას ხოცავენ, მაგრამ ორ დღეში ცოტათი მაინც აღვიდგენ ძალას და სამაგიეროს გადავუხდი. თქვენ კი, თავისუფალო მოდგმის წარმომადგენლებო, გირჩევთ, ჩრდილოეთისაკენ გაემართოთ და იქ ცოტა იშიმშილოთ, სანამ წითელი ძაღლები ჩაივლიან. ამ ნადირობისას ხორცი არ იქნება.

– მომისმინე, – სიცილით მიუგო მაუგლიმ. – თავისუფალო მოდგმავ, ესე იგი ჩვენ ჩრდილოეთისაკენ უნდა წავიდეთ და იქ მდინარის ნაპირზე ნაპოვნი ხვლიკებით და ვირთხებით ვიკვებოთ, რათა წითელ ძაღლებს არ გადავეყაროთ? მათ უნდა გაანადგურონ ჩვენი სანადირო ადგილები და ჩვენ ჩრდილოეთში დავიმალოთ, სანამ წითელი ძაღლები არ ისურვებენ ჩვენი კუთვნილის დაბრუნებას? ისინი ძაღლები არიან, ძაღლის ლეკვები, წითლები, ყვითელმუცლიანები, უბუნაგონი და თათებშუა ბალნით. ექვს-რვა ლეკვს ყრიან ნაგავში – ჩიკაის, პატარა ანცი ვირთხის მსგავსად. უნდა გავიქცეთ, თავისუფალო მოდგმავ, და ჩრდილოეთის ხალხს ვთხოვოთ საკვები?

ხომ იცით გამოთქმა: „ჩრდილოეთი პარაზიტია, სამხრეთი – ტილიანი“, ჩვენ ჯუნგლი ვართ, აირჩიეთ, აირჩიეთ! ეს იქნება ბრძოლა ხროვისთვის, მთელი ხროვისთვის, ბუნაგებისათვის, შვილებისათვის!.. და ამისთვის ჩვენ მზად ვართ! მზად ვართ!

ხროვამ ხმამაღალი ყეფით უპასუხა. ისეთი ხმაური იყო, იფიქრებდით, ღამის სიჩუმეში ხეები წაიქცაო.

– მზად ვართ! – აყვირდნენ მგლები.

– დარჩით ამათთან, – მიმართა მაუგლიმ თავის ოთხ მეგობარს. – თითოეული კბილი დაგვჭირდება. ფაო და აკელა ბრძოლისათვის მოემზადებიან, მე კი წავალ, ძაღლებს დავითვლი.

– ეგ სიკვდილია! – დაიყვირა ნახევრად წამოწეულმა უონტოლამ. – რას დააკლებს ეს უბალნო წითურ ძაღლებს? გახსოვდეთ, რომ თვითა ზოლიანმაც კი...

– შენ მართლა განდგომილი ხარ, – შემოუყვირა მაუგლიმ. – მაგრამ სჯობს, წითელი ძაღლების ხოცვის შემდეგ ვისაუბროთ. ყველას წარმატებულ ნადირობას გისურვებთ!

აღელვებული მაუგლი სიბნელეში გავარდა. თითქმის არ აკვირდებოდა, ფეხს სად დგამდა. უცებ კაას დახვეულ სხეულზე წაბორძიკდა. პითონი იწვა და მდინარის ახლოს ირმების ბილიკს ათვალიერებდა.

– ქშშა! – წამოიძახა გაბრაზებულმა კაამ, – ნუთუ ჯუნგლში მიღებულია გათელვა, ხეტიალი და ღამის ნადირობის ჩაშლა მაშინ, როცა საქმე ასე კარგად მიდის?

– დამნაშავე ვარ, მეგობარო, – უპასუხა მაუგლიმ და თან წამოდგა, – სწორედ შენ გეძებდი, ბრტყელთავავ, მაგრამ, მგონი, ჩვენი ყოველი შეხვედრისას უფრო გრძელდები და ჩემი მკლავისოდენად ფართოვდები. შენნაირი ბრძენი,

მხცოვანი, ძლიერი და ჭკვიანი არავინაა მთელ ჯუნგლში, კაა.

– საით მიჰყვები კვალს? – მშვიდი ხმით ჰკითხა კაამ, – მთვარე მას შემდეგ არც კი დამცხრალა, რაც დანიანი კაცუნა ქვებს მესროდა თავში და ხის კატას მეძახდა, რადგან გაშლილ ადგილას მეძინა.

– აი, ამიტომ გაიფანტნენ ირმები. მაუგლი ნადირობდა და ბრტყელთავა ისე დაყრუვდა, რომ მისი სტვენა ვერ გაიგონა და ირმების გზა არ გაათავისუფლა, – წყნარად უპასუხა მაუგლიმ და პითონის ჭრელ ხვეულებში მოკალათდა.

– ახლა კი იგივე კაცუნა ნაზი, სასიამოვნო სიტყვებით მიმართავს იმავე ბრტყელთავიანს. ეუბნება ბრძენი, ძლიერი და ლამაზი ხარო. ბრტყელთავასაც სჯერა და დასაჯდომ ადგილს უმზადებს იმავე ქვისმსროლელს და... ხომ მოხერხებულად ზიხარ? ნუთუ ბაგირა ოდესმე გაგიმზადებდა ასეთ დასაჯდომს?

კაამ თავისი რბილი სხეულით ნახევრად ჰამაკი მოუწყო ბიჭს. მაუგლიმ პითონის მოქნილი კისერი თავისკენ მიიწია, მხარზე დაიდო და უამბო ყველაფერი, რაც იმ ღამეს ჯუნგლში მოხდა.

– ბრძენის რა გითხრა, – უთხრა ბოლოს კაამ, – მაგრამ ყრუ ნამდვილად ვარ, თორემ „ფიელს" აუცილებლად გავიგონებდი. აღარ მიკვირს ბალახისმჭამელთა აფორიაქება. რამდენი წითელი ძაღლი იქნება?

– ჯერ ზუსტად არ ვიცი. შენკენ გამოვქანდი. შენ ჰატიზე უფროსი ხარ. მაგრამ, ოჰ, კაა, – მაუგლი სიხარულით დაიკლაკნა, –კარგი ნადირობა მოგველის. ძალიან ცოტა ჩვენგანი თუ მოესწრება შემდეგ მთვარეს.

– შენც უნდა ჩაერიო ამ ამბავში? არ დაივიწყო, რომ ადამიანი ხარ. ისიც გახსოვდეს, რომ ხროვამ გაგაძევა. დაე,

თვითონ მგლებმა მიხედონ ძაღლებს, შენ ადამიანი ხარ!

– შარშანდელი კაკალი წელს შავი მიწაა, – მიუგო მაუგლიმ. – მართალია, ადამიანთა მოდგმას ვეკუთვნი, მაგრამ ამაღამ ვთქვი, რომ მგელი ვარ, მდინარე და ხეები დავიმოწმე. მე თავისუფალ მოდგმას ვეკუთვნი, კაა, სანამ წითელი ძაღლები ამ ადგილებს გაივლიან.

– თავისუფალი მოდგმა! – წაიბუტბუტა კაამ. – თავისუფალი ქურდები! და მკვდარი მგლების გულისთვის შენ სასიკვდილო ხლართში ებმები. არაა ეს კარგი ამბავი.

– სიტყვა მივეცი, ხეებმაც იციან და მდინარემაც, რომ სანამ წითელი ძაღლები არ გაივლიან, სიტყვას არ გადავალ.

– გშშ! ეს უკვე სხვა ამბავია. ვფიქრობდი, ჩრდილოეთის ჭაობებისკენ წამეყვანე, მაგრამ სიტყვა, თუნდაც პატარა, შიშველი, უბალნო კაცუნასი, მაინც სიტყვაა. ამას მე, კაა ვამბობ...

– კარგად იფიქრე, ბრტყელთავიანო, შენც არ გაება სასიკვდილო ხლართში. შენგან სიტყვა არ მჭირდება, რადგან კარგად ვიცი...

– მაშ, ეგრე იყოს, – მიუგო კაამ, – არანაირ სიტყვას არ მოგცემ; მაგრამ რას აპირებ, როცა წითელი ძაღლები მოვლენ?

– მათ უაინგუნგი უნდა გადმოსცურონ. ვფიქრობდი, დანით შევგებებოდი მათ მეჩეჩში, ხროვა ზურგს გამიმაგრებდა. ასეთი თავდასხმითა და შეტევით იქნებ უკან გაგვებრუნებინა, ხახას მაინც გავუგრილებდით.

– წითელი ძაღლები არ გაბრუნდებიან და ხახაც გახურებული აქვთ, – მიუგო კაამ, – ნადირობის დასრულებისას არც კაცუნა იქნება და აღარც მგლის ლეკვები, მხოლოდ მშრალი ძვლებიღა დარჩება.

– ალალა! თუ დავიხოცებით, დავიხოცოთ! საუკეთესო

ნადირობა იქნება! მაგრამ მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და წვიმას არ მოვსწრებივარ. არც ბრძენი ვარ და არც ძლიერი. იქნებ შენ უკეთესი გეგმა გაქვს, კაა?

– მე ასობით წვიმა მინახავს, ჰატის ჯერ კიდევ არ ჰქონდა სარძევე ეშვები ამოსული, მე რომ უკვე დიდ კვალს ვტოვებდი მტვერში. პირველ კვერცხს ვფიცავ, ბევრ ხეზე უფროსი ვარ და ყველაფერი მინახავს, რაც ჯუნგლში მომხდარა.

– ხო, მაგრამ ეს ახალი ნადირობაა, – თქვა მაუგლიმ. – აქამდე არასდროს გადაკვეთილა წითელი ძაღლებისა და ჩვენი გზები.

– რაც არის, ის იყო კიდეც. რაც ანი იქნება, სხვა არაფერია, თუ არა დავიწყებულ ჟამთა შემოტრიალება. წყნარად იყავი, სანამ ჩემს წლებს დავითვლიდე.

გველის დაკლაკნილ სხეულში მოთავსებული მაუგლი დიდხანს ათამაშებდა დანას, სანამ მიწაზე უძრავად მყოფი კაა დაბადების დღიდან ნახულსა და გაგონილს იხსენებდა. თითქოს თვალებზე ბინდი გადაეკრა. ხანდახან თავს მარჯვნივ და მარცხნივ აქანავებდა, ისე, თითქოს ძილში ნადირობსო. მაუგლი მშვიდად თვლემდა – მან კარგად იცოდა, რომ არაფერია ნადირობის წინ ძილზე უკეთესი. ამასთან, მას დღისა და ღამის ნებისმიერ დროს შეეძლო დაძინება.

უცებ იგრძნო, როგორ გაიშალა და გაგანიერდა მის ქვეშ კაა. უზარმაზარი პითონი გაიბერა და ისე დაისისინა, იფიქრებდით, ქარქაშიდან ხმალი ამოვარდაო.

– მე ბევრ ცუდ დროს მოვსწრებივარ, – თქვა ბოლოს კაამ. – მინახავს მეტისმეტად დიდი ხეები, ბებერი სპილოები, შიშველი და ხავსიანი ციცაბო კლდეები... შენ კიდევ ცოცხალი ხარ, კაცუნავ?

– ეს ეს არის, მთვარე ჩავიდა, – უთხრა მაუგლიმ. – ვერ გავიგე...

– სშშ! მე კვლავ კაა ვარ. ეს ყველაფერი ცოტა ხანს გაგრძელდა. ახლა მდინარისაკენ გავწიოთ და გასწავლი, როგორ გაუმკლავდე წითელ ძაღლებს.

კაამ ისარივით იბრუნა პირი, უაინგუნგის მთავარი შენაკადისკენ გაემართა და მშვიდობის კლდის ზემოთ ჩაყვინთა. მაუგლი გვერდით მიჰყვებოდა.

– არა, შენ არ შემოხვიდე. მე სწრაფად გავცურავ. აი, ჩემი ზურგი, პატარა ძმობილო.

მაუგლიმ მარცხენა ხელი კისერზე მოხვია კაას, მარჯვენა ძირს დაუშვა, ტანზე მიეკრა და ფეხები გაჭიმა. კაა ისე შეეჭიდა მდინარეს, როგორც მხოლოდ მას სჩვევია. პითონის მიერ გაპობილი წყალი მაუგლის კისერს საყელოსავით ევლებოდა, მისი ფეხები კი ტალღებივით მოძრაობდა კაას ფერდებთან. მშვიდობის კლდიდან დაახლოებით ერთი თუ ორი მილის მანძილზე, უზარმაზარ მარმარილოს კლდეებს შორის, უაინგუნგი მეტად ვიწროვდებოდა ოთხმოცი თუ ასი ფუტის სიმაღლეზე და წისქვილის წყალივით მიექანებოდა ვეებერთელა ლოდებშუა. მაგრამ მაუგლის წყალი არ აწუხებდა. ვერანაირი წყალი ვერ შეაშინებდა მას. შესცქეროდა შევიწროებულ მდინარის ნაპირებს და მოუსვენრად ქშინავდა, ჰაერში მოტკბო-მომჟავო სუნს გრძნობდა, ისეთს, ჭიანჭველების ბუდეს რომ ასდის ცხელ ზაფხულში. მაუგლიმ ინსტინქტურად ჩაყვინთა და დროდადრო, მხოლოდ ჰაერის ჩასასუნთქად სწევდა თავს მაღლა. კაა შეჩერდა, კუდი ორჯერ შემოარტყა ჩაძირულ კლდეს და მაუგლი თავის სხეულის ხვეულებში მოაქცია. წყალი კი გააფთრებით მიექანებოდა ქვევით.

– ეს სიკვდილის ადგილია, – თქვა ბიჭმა, – აქ რატომ მოვედით?

– სძინავთ, – უპასუხა კაამ, – ჰატი გზას ზოლიან ნადირსაც არ დაუთმობს, მაგრამ წითელ ძაღლებს კი – ორივენი უფრთხიან. როგორც ამბობენ, წითელი ძაღლები არავის უთმობენ გზას. და კლდეების პატარა ტომი ვის გაურბის? ჯუნგლის მეუფევ, მითხარი, ვინ არის ჯუნგლის მეუფე?

– ესენი არიან. – წასჩურჩულა მაუგლიმ. – ეს სიკვდილის სამყოფელია. წავიდეთ!

– არა, კარგად შეხედე, მათ სძინავთ. ყველაფერი ისევეა, როგორც მაშინ, როცა მე შენი მკლავის სიგრძეც კი არ ვიყავი.

უაინგუნგის ხეობის დახეთქილ კლდეებში, ჯუნგლის დასაბამიდან ბინადრობდნენ გარეული ინდური ფუტკრები – ფუსფუსა, ცნობისმოყვარე და შავი ფერის. როგორც მაუგლიმ იცოდა, მას შემდეგ, რაც ამ პატარა მწერებმა ნაპრალებში დაიბუდეს და გამრავლდნენ, ყველა კვალი გაქრა. ისინი მშრალი თაფლისგან დამზადებულ, მარმარილოსავით თეთრ ბურთულებს აგროვებდნენ ბნელ გამოქვაბულებში, სადაც ვერც ადამიანი, ვერც მხეცი, ვერც ცეცხლი და ვერც წყალი ვერ შეაღწევდა. ხეობის ორივე ფერდობზე ჩამოშვებული იყო შავი, მბზინავი, ხავერდის ფარდისმაგვარი რაღაც და მაუგლი გაოცდა, როცა ეს რაღაც მილიონამდე მძინარე ფუტკარი აღმოჩნდა. კლდეს დამპალი ხეების ნაფლეთები, ფოთოლწნულები და რაღაც ხავსისმაგვარი მიჰკვროდა. ეს შარშანდელი ფიჭა ან ჩრდილში აგებული ფუტკართა ქალაქები იყო.

მაუგლის მოესმა, როგორ ჩამოცურდა შრიალით თაფლით სავსე ფიჭა, გადატრიალდა და სადღაც ქვევით, სიბნელეში ჩავარდა; როგორ გაისმა ბრაზიანი შრიალი და დაქცეული

თაფლის ბუყბუყი. მდინარის ერთ მხარეს ხუთ ფუტამდე სიგანის ჰატარა რიყე იყო, სადაც, წლების განმავლობაში, უამრავი ნაყარ-ნუყარი დაგროვილიყო. დახოცილი ფუტკრები, ფიჭა, თაფლის გამო მოფრენილი ფრთოსნები – ყველაფერი ეს შავ მტვრად ქცეულიყო.

კაამ კვლავ აღმა გაცურა, სანამ მდინარის სათავეს არ მიაღწია.

– ეს წლევანდელი ნანადირევია, – თქვა მან, – შეხედე!

ნაპირზე ორი ნუკრისა და ერთი კამეჩის ჩონჩხი ეგდო. მაუგლი ხედავდა, რომ არც მგელი და არც ტურა არ მიჰკარებოდა ძვლებს.

– საზღვარი გადმოუკვეთავთ; კანონი არ იცოდნენ, – ჩაიბურდღუნა მაუგლიმ. – და ჰატარა ტომს დაუხოცავს ისინი. წავიდეთ, სანამ გაუღვიძიათ.

– განთიადამდე არ გაიღვიძებენ, – მიუგო კაამ, – ახლა რაღაცას მოგიყვები: უამრავი წვიმის წინ სამხრეთიდან მორბოდა ირემი, რომელიც ჯუნგლს არ იცნობდა, მას მგლების ხროვა მოსდევდა კვალდაკვალ. შიშისაგან დაბრმავებული ირემი ზევიდან გადმოხტა. გაშმაგებული ხროვა მხოლოდ საკბილოს ხედავდა. მზე მაღლა აწეულიყო, ჰატარა ტომი მრავალრიცხოვანი და ძალიან გაბრაზებული იყო. ბევრი მათგანი უაინგუნში გადაეშვა, მაგრამ წყალში ჩახტომამდე გამოესალმა სიცოცხლეს. ისინი, ვინც არ გადახტა, კლდეებში დაიღუპნენ, ირემი კი გადარჩა.

– როგორ?

– ირემი პირველი მიჰქროდა, რათა თავი გადაერჩინა. კლდეზე მაშინ გადახტა, როცა ფუტკარი ჯერ კიდევ არ იყო გონზე მოსული, ხოლო როცა სიტუაცია გააცნობიერეს და მის მოსაკლავად შეგროვდნენ, ირემი უკვე წყალში იყო,

მდევართა ხროვა კი მთლიანად დაიღუპა პატარა ტომის გუნდების ქვეშ.

– ესე იგი, ირემი გადარჩა? – ნელა გაუმეორე შეკითხვა მაუგლიმ.

– ყოველ შემთხვევაში, მაშინ არ დაღუპულა, თუმცა ქვევით არავინ უცდიდა, რომ მისი ძლიერი სხეული წყლისაგან დაეცვა, როგორც ამას ერთი მოხუცი, მსუქანი, ყრუ, ყვითელი ბრტყელთავა გააკეთებდა კაცუნასთვის, რომელსაც თუნდაც დეკანის ყველა წითელი ძაღლი დადევნებოდა კვალდაკვალ. რას იტყვი ამაზე?

კაას მაუგლის ყურთან ახლოს მიეტანა თავი და ასე იყო ცოტა ხანს, სანამ მაუგლიმ ჩასჩურჩულა:

– ეს სიკვდილისთვის ულვაშების დაგლეჯის ტოლფასი იქნება. კაა, შენ მართლაც ყველაზე ბრძენი ხარ მთელ ჯუნგლში.

– ამას ბევრი ამბობს. მომისმინე, თუ წითელი ძაღლები დაგედევნენ...

– დარწმუნებული ვარ, დამედევნებიან. ჰო! ჰო! ენის ქვეშ უამრავი პატარა ეკალი მაქვს მათ კანზე საჩხვლეტად.

– თუ ბრაზით გაშმაგებულები და დაბრმავებულები შენც დაგედევნებიან, მხოლოდ შენს მხრებს უყურე, ისინი, ვინც ზევით არ დაიღუპებიან, წყლისკენ გაემართებიან – აქ ან ცოტა ქვემოთ. პატარა ტომი წამოიშლება და მათ შეესევა. უაინგუნგი გაუმაძღარი წყალია და არც კაა არ ეყოლება მათ, რომ მიეშველოს. ვინც გადარჩება, წყალმარჩხს[1] სიონიის ბუნაგებამდე ჩაჰყვება. იქ კი პირდაღებული ხროვა დახვდება მათ.

– აჰაი! ეუაუა! მაგას არაფერი სჯობს, გვალვიან ზაფ-

[1] წყალმარჩხი – მცირეწყლიანი, თავთხელი (მდინარე).

ხულში წვიმის გარდა. ახლა მთავარი მხოლოდ გაქცევა და გადახტომაა. წითელ ძაღლებს დავენახები, რომ ფეხ-დაფეხ გამომყვნენ.

– გინახავს კლდეები ზემოთ, ხმელეთის მხრიდან?

– რასაკვირველია, არა.

– წადი და ნახე. ნიადაგი სულ დასერილია და ხვრელე-ბითაა სავსე. ერთხელ ძირს დაუხედავად ფეხის დადგმა საკმარისია, რომ დაწყებულ ნადირობას ბოლო მოეღოს. მოკლედ, გტოვებ, მე კი წავალ და მხოლოდ შენი გულისთ-ვის ვამცნობ ხროვას, სად ეძებონ წითელი ძაღლები. შენ გამო, თორემ მე არაფერი მესაქმება არცერთ მგელთან.

როცა კაა მისთვის მიუღებელ ნაცნობობაზე საუბრობდა, ბევრად უფრო არასასიამოვნოდ გამოიყურებოდა, ვიდრე ნებისმიერი ჯუნგლელი, თუ ბაგირას არ ჩავთვლით. კაა მდინარეს ქვევით დაუყვა და მშვიდობის კლდის მოპირდა-პირე მხარეს თავს წაადგა ფაოსა და აკელას, რომლებიც ღამის ხმაურს უგდებდნენ ყურს.

– სშშ! ძაღლებო, – მხიარულად შესძახა კაამ, – წითელი ძაღლები წყალს ჩამოჰყვებიან. თუ არ შეგეშინდებათ, შე-გიძლიათ მეჩეჩთან დახოცოთ.

– როდის მოვლენ? – იკითხა ფაომ.

– და ჩემი ადამიანის ლეკვი სად არის? – დაუმატა აკელამ.

– მაშინ მოვლენ, როცა მოვლენ, – მიუგო კაამ. – დაელო-დეთ და ნახავთ. შენი ადამიანის ლეკვი კი, სიტყვა რომ ჩამოართვი და სასიკვდილოდ გაწირე, ჩემთან არის. და თუ ჯერ ისევ ცოცხალია, ეს არანაირად არ არის შენი დამ-სახურება, გათეთრებულო ძაღლო! აქ დაელოდეთ წითელ ძაღლებს და გიხაროდეთ, რომ მე და ადამიანის ლეკვი თქვენ მხარეს ვიბრძოლებთ.

კაა კვლავ აჰყვა დინებას, ვიწრო ნაპრალს მიადგა და კლდეებს ახედა. ვარსკვლავების შუქზე მაუგლის მოძრავი თავი დაინახა, მერე ზუზუნი გაისმა, რასაც წყალში ჩავარდნილი სხეულის ტყლაშუნი მოჰყვა და ერთი წუთის შემდეგ, მაუგლი კვლავ კაას დახვეულ სხეულში ისვენებდა.

– მაინცდამაინც კარგი ადგილი არ ყოფილა ღამით ხტომისათვის, – თქვა მაუგლიმ მშვიდად, – ორჯერ უფრო შორსაც კი გადავმხტარვარ გასართობად, მაგრამ ეს საშინელი ადგილი იყო: დაბალი ბუჩქები და პატარა ტომით ამოვსებული ღრმა არხები. სამ არხთან უზარმაზარი ლოდები დავაწყე, გამოქცევისას დავაგორებ და განრისხებული პატარა ტომი აიშლება.

– ეგ უკვე ადამიანის საუბარი და მისი მოხერხებაა, – უთხრა კაამ, – შენ ჭკვიანი ხარ, მაგრამ იცოდე, რომ პატარა ტომი მუდამ განრისხებულია!

– არა, ბინდისას ყველა ფრთოსანი ისვენებს ირგვლივ. წითელ ძაღლებს დაღამებისას გავეთამაშები, რადგან დღისით უკეთესად იბრძვიან. ისინი ახლა უონტოლას სისხლიან კვალს მისდევენ.

– როგორც ჩილი არ გაუშვებს მკვდარ ხარს, ისე წითელი ძაღლი არ მოეშვება სისხლიან კვალს, – შენიშნა კაამ.

– მაშინ მე აღმოვუჩენ მათ სისხლის ახალ კვალს – მათსავე კვალს, საჭმელად კი ტალახს მივაწვდი. შენ აქ დარჩი, კაა, სანამ ჩემი წითელი ძაღლებით მოვალ.

– კარგი, მაგრამ ჯუნგლებში რომ მოგკლან, ან პატარა ტომმა გამოგასალმოს სიცოცხლეს მდინარეში გადმოხტომამდე?

– ხვალისთვის ხვალ დავხოცავთ, – გაიმეორა მაუგლიმ ჯუნგლის ანდაზა და დაამატა: – როცა აღარ ვიქნები, სიკვდილის სიმღერა მიმღერე. წარმატებული ნადირობა, კაა!

მაუგლიმ პითონის კისერს ხელი გაუშვა და წყლის დინებას კუნძივით გაჰყვა. მეორე ნაპირთან წყალი მდორედ მიედინებოდა, მშრალზე ავიდა და კმაყოფილებისგან ხმამაღლა გადაიხარხარა. როგორც თავისთვის ამბობდა ხოლმე, მაუგლის არაფერი მოსწონდა იმაზე მეტად, ვიდრე „სიკვდილისთვის ულვაშების დაგლეჯვა" და ჯუნგლში მისი მეუფების აღიარება. ის, ბალუს დახმარებით, ხშირად ძარცვავდა ხეებზე ფუტკრის ბუდეებს და იცოდა, რომ პატარა ტომს ძალიან ეჯავრებოდა. ამიტომაც ნივრის რამდენიმე თავი მოგლიჯა და ქერქით შეკრა. მერე კი დაადგა უონტოლას სისხლიან კვალს, რომელიც სამხრეთისკენ მიემართებოდა, ბუნაგებიდან ხუთი მილის მანძილზე; თან ხეებს შეჰყურებდა და ხითხითებდა.

– მე მაუგლი-ბაყაყი ვიყავი, – თავისთვის ჩაილაპარაკა ბიჭმა, – ახლა ვამბობ, რომ მაუგლი-მგელი ვარ, მაუგლი-ირმამდე მაუგლი-მაიმუნი უნდა ვიყო და ბოლოს მაუგლი-ადამიანი გავხდები, ჰო! – და თავისი ცერი თვრამეტდიუმიანი დანის პირს გაუსვა.

უონტოლას მუქი სისხლის კვალი ხშირ ხეებს მიუყვებოდა ტყეში, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაჭიმულიყო და ფუტკრის კლდეებიდან დაახლოებით ორი მილის მანძილზე მეჩხერდებოდა. ბოლო ხიდან ფუტკრის კლდის ბუჩქნარამდე სულ გაშლილი ადგილი იყო, ისეთი, რომ მგელსაც კი გაუჭირდებოდა დამალვა. მაუგლი ხეებქვეშ დახტოდა, ტოტიდან ტოტამდე მანძილს ზომავდა. ხანდახან ხეზეც ძვრებოდა და ერთი ხიდან მეორეზე საცდელ ნახტომს ახორციელებდა. ბოლოს მიაღწია ერთ გაშლილ ადგილს, რომელსაც, მთელი საათის განმავლობაში ფრთხილად ათვალიერებდა. შემდეგ შემოტრიალდა და უონტო-

ლას კვალს მიაგნო იქ, სადაც დატოვა. მერე მიწიდან რვა ფუტის სიმაღლემდე აზიდულ ერთ ტოტზე აძვრა, მშვიდად მოთავსდა, დანას ფეხის ტერფზე ილესავდა და თავისთვის მღეროდა.

შუადღემდე ცოტა ხნით ადრე, როცა მზე საკმაოდ ათბობდა, მაუგლის ფეხების ბაკუნი შემოესმა და უონტოლას კვალს დადევნებული წითელი ძაღლების საშინელი სუნი იგრძნო. მართალია, წითელი ძაღლი ზომით მგლის ნახევარიც არ არის, მაგრამ მაუგლიმ კარგად იცოდა მისი ფეხებისა და ყბების ძალა. მაუგლიმ მათი წინამძღოლის წაწვეტებული თავი დაინახა. იგი დუდღუნით მიუყვებოდა კვალს. ბიჭმა უცებ ჩამოსძახა: წარმატებულ ნადირობას გისურვებო!

მხეცმა ზევით აიხედა, თანამგზავრებიც შედგნენ მის უკან. უამრავი კუდდაშვებული წითელი ძაღლი კუდებით, მძიმე მხრებით, შევარდნილი გავებითა და გასისხლიანებული პირით, ერთდროულად შეჩერდა. წითელი ძაღლი, ზოგადად, მშვიდ, მაგრამ ტუტუც ტომადაა მიჩნეული საკუთარ მხარეშიც კი.

მაუგლის ქვევით ორასამდე წითელი ძაღლი შეგროვდა. ბიჭი ხედავდა, რომ დამშეული წინამძღოლები გამალებით ყნოსავდნენ უონტოლას კვალს და ხროვის წინ გაგდებას ცდილობდნენ. მაგრამ, მაუგლი ამას ვერ დაუშვებდა. ასეთი სიარულით, წითელი ძაღლები ბუნაგებს დღისით მიაღწევდნენ. მაუგლის კი ხეებქვეშ მათი ბინდამდე შეჩერება სურდა.

– ვისი ნებართვით მოხვედით აქ? – ჰკითხა მაუგლიმ:

– მთელი ჯუნგლი ჩვენ გვეკუთვნის, – უპასუხა ერთმა წითელმა ძაღლმა და თეთრი კბილები გააკრაჭუნა.

მაუგლიმ ღიმილით ჩაიხედა ქვემოთ, მერე დეკანის ვირთხა

ჩიკაის მსგავსად ატიკტიკდა, რითაც წითელ ძაღლებს მიანიშნა, რომ მათ ჩიკაიზე უკეთესებად არ თვლიდა. ხროვა გარს შემოერტყა ხეს. განრისხებული წინამძღოლი უყეფდა და მაიმუნს ეძახდა მაუგლის. ბიჭმა საპასუხოდ შიშველი ფეხი ჩამოსწია და თითები წინამძღოლის თავზე აათამაშა. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ ხროვა განრისხებულიყო. მათ, ვისაც ფეხის თითებს შორის ბალანი ეზრდებათ, არ უყვართ ამაზე მინიშნება. მაუგლიმ მაშინვე ასწია ფეხი, როგორც კი წინამძღოლი ახტა, და ტკბილად მიმართა:

– ძაღლო, წითელო ძაღლო! დაბრუნდი დეკანში და მირთვი ხვლიკები. წადი შენს ძმა ჩიკაისთან, წითელო ძაღლო! ისედაც ყველა თითშუა ბალანი გაქვს! – და მაუგლიმ მეორედაც აუთამაშა მას ფეხის თითები.

– ჩამოდი, თორემ გაშიმშილებთ, უბალნო მაიმუნო! – დაიღრიალა ხროვამ.

მაუგლიც სწორედ ამას ელოდა. მშვიდად გაწვა ტოტზე, ლოყა ხის ქერქს მიადო, მარჯვენა ხელი გაითავისუფლა და წითელ ძაღლებს მოუთხრობდა, თუ რა იცოდა მათ ზნეჩვეულებაზე, მათ მეუღლეებსა და შვილებზე. არაფერია იმაზე უფრო ღვარძლიანი და გესლიანი, ვიდრე მათდამი ზიზღისა და დამცირების გამოხატვა. თუ დაუფიქრდებით, მიხვდებით, რატომაც.

როგორც კაას უთხრა, მაუგლის უამრავი წვრილი ეკალი ჰქონდა ენის ქვეშ. ბიჭმა განგებ ნელ-ნელა გამოიწვია მდუმარე წითელი ძაღლები, რომლებიც ჯერ აღრიალდნენ, მერე აყეფდნენ და ბოლოს აყმუვლდნენ. ისინი ცდილობდნენ, შესაბამისად ეპასუხათ ბიჭის დაცინვაზე.

მთელი ეს პერიოდი მაუგლის მოღუნული მარჯვენა ხელი სამოქმედოდ ჰქონდა გამზადებული, ფეხები კი ტოტზე შემო-

ეხვია. უშველებელი წინამძღოლი რამდენჯერმე ახტა ჰაერში, მაგრამ მაუგლიმ ვერ გაბედა დანის გამოყენება, აცილების შიშით. ბოლოს წითელი ძაღლების ძალიან განრისხებული წინამძღოლი შვიდი თუ რვა ფუტის სიმაღლეზე ახტა და ამ დროს მაუგლიმაც არ დააყოვნა და მისი ხელი ხის გველივით სწვდა კისერში ნადირს. დამძიმებული ტოტი ტკაცუნებდა. მაუგლი კინაღამ ძირს ჩავარდა, მაგრამ დაჭერილის გაშვება არც უფიქრია და დამხრჩვალი ტურასავით ქაჩავდა თავისკენ. მერე მარცხენა ხელი დანას წაავლო, წითელი, აბურძგნული კუდი მოსჭრა და აბიური ძაღლი მიწაზე დაახეთქა. სწორედ ეს უნდოდა მაუგლის. იცოდა, წითელი ძაღლები უონტოლას კვალს მანამ არ გაჰყვებოდნენ, სანამ მაუგლის არ მოკლავდნენ, ან თვითონ მაუგლი არ მოუსწრაფავდა მათ სიცოცხლეს. ბიჭმა დაინახა, წრეში როგორ შეჯგუფდნენ ისინი, როგორ აუთრთოლდათ ბარძაყები, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ იქ დარჩენას აპირებდნენ. მაუგლი უფრო ზევით აცოცდა, კარგად მოიკალათა და დაიძინა.

სამი თუ ოთხი საათის შემდეგ ბიჭმა გაიღვიძა და ხროვა დათვალა. ყველა იქ იყო. პირგამშრალებს ფოლადისფრად უნათებდათ თვალები. მზე ჩადიოდა. ნახევარ საათში კლდეების პატარა ტომიც მოიცლიდა. წითელი ძაღლები კი, ბინდისას კარგად ვერ იბრძვიან.

– არ მჭირდება ასეთი ერთგული დარაჯები, – ზრდილობიანად თქვა მაუგლიმ და ტოტზე წამოდგა, – მაგრამ ეს ყოველვის მემახსოვრება. თქვენ ნამდვილი წითელი ძაღლები ხართ და, ვფიქრობ, უფრო მეტიც! ამიტომ დიდ ხვლიკიჭამიას არ დავუბრუნებ თავის კუდს. არ გეამა, წითელო ძაღლო?

– საკუთარი თათით გამოგფატრავ! – დაიყვირა წინამძღოლმა და სიმწრისაგან ხის ძირი დაფხოჭნა.

– კარგი, მაგრამ დაფიქრდი, დეკანის ბრძენო ვირთხავ, აწი უამრავი პატარა, უკუდო წითელი ძაღლი დაიბადება; წადი სახლში და ყველას გააგებინე, მაიმუნმა დაგმართა. არ წახვალ? მაშინ გამომყევი და ჭკუას გასწავლი.

მაუგლი ბანდარ-ლოგივით დახტუნაობდა ხეებზე. დამშეული ხროვა თავაწეული, ფეხდაფეხ მისდევდა, მაუგლი ატყუებდა წითელ ძაღლებს, თითქოს ვარდებოდა, ისინი კი ერთმანეთს ქელავდნენ იმ განზრახვით, თუ ვინ დაეძგერებოდა ბიჭს პირველი და გაფატრავდა. უცნაური სანახავი იყო ტოტებზე მხტომი ბიჭი, – რომლის დანაც ჩამავალ მზის სხივებზე ელავდა, – და ძირს მოძუნძულე განრისხებული მდევარი. როცა ბოლო ხეზე გადახტა, მაუგლიმ აიღო ნიორი და ფრთხილად წაისვა მთელ ტანზე. წითელი ძაღლები ზიზღით აყვირდნენ.

– მგლის ენით მეტყველო მაიმუნო, ნივრით გინდა შენი სუნი გადაფარო? – ეუბნებოდნენ ისინი. – სიკვდილამდე გამოგედევნებით.

– დაიჭირე შენი კუდი! – ჩასძახა მაუგლიმ და მოჭრილი კუდი გადაუგდო წინამძღოლს. ხროვა ინსტინქტურად შედგა, – ახლა კი, მომყევით სიკვდილისაკენ.

სანამ წითელი ძაღლები ჩანაფიქრს მიუხვდებოდნენ, მაუგლი ხიდან ჩასრიალდა და ქარზე უსწრაფესად გაჩნდა ფუტკრის კლდესთან.

წითელმა ძაღლებმა ერთი საშინლად შეჰყმუვლეს და ძუნძულით დაედევნენ მაუგლის. ბიჭმა იცოდა, რომ აბიური ძაღლები მგლებზე ბევრად ნელები იყვნენ, თორემ ნამდვილად ვერ გაბედავდა გაშლილ ადგილზე ორი

მილის გარბენას. წითელი ძაღლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბიჭს, საბოლოოდ, მაინც ჩაიგდებდნენ ხელში. მაუგლის კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი სურვილისამებრ წარიმართებოდა ყველაფერი. მთელი მისი მონდომება იქითკენ იყო მიმართული, რომ მდევარს ბრაზი არ განელებოდა და ბოლომდე ედიათ; ამიტომ მშვიდი და თანაბარი ნაბიჯით გარბოდა. უკუდო წინამძღოლი ხუთი იარდის დაშორებით მისდევდა. უკან, დაახლოებით, მეოთხედი მილის მანძილზე გაშლილი, სისხლის წყურვილით გონებაარეული და გააფთრებული ხროვა მიძუნძულებდა. მაუგლი მდევრამდე მანძილს სმენით ხვდებოდა და უკანასკნელ ძალას ფუტკრის კლდეებზე გადასახტომად ზოგავდა.

შებინდებისას ჰატარა ტომი დასაძინებლად წავიდა, რადგან ნაგვიანევი ყვავილების პერიოდი გასული იყო. მაუგლიმ შედგა თუ არა ფეხი ფუყე ნიადაგზე, ისეთი ხმა მოესმა, იფიქრებდით, მიწა ბზრიალებსო. ბიჭი ისე სწრაფად გარბოდა, აქამდე რომ არასდროს ურბენია. ფეხი წაჰკრა ქვების ერთ, ორ, სამ გროვას და ბნელ, ტკბილსურნელოვან ხვრელებში ჩაყარა. გამოქვაბულიდან საშინელი გრგვინვა მოისმა. შეამჩნია, როგორ ჩამობნელდა უკან, მერე მდინარე უაინგუნგი და წყალში მოცურავე ბრტყელი, რომბისებრი თავი გამოჩნდა. მაუგლიმ მთელი ძალით ისკუპა. უკუდო წითელი ძაღლი ჰაერში კინაღამ მხარში სწვდა. ძალაგამოცლილი და გამარჯვებული მაუგლი მდინარეში გადაეშვა. სხეულზე ერთი ნაკბენიც არ ჰქონდა, ნივრის სუნმა ჰატარა ტომი შეაჩერა.

ის მალევე აღმოჩნდა კაას ხვეულებში. ფრიალო კლდეებიდან ტყვიასავით ეშვებოდა ვეებერთელა ლოდები –

ეს ფუტკრებდახვეული წითელი ძაღლები იყვნენ. წყალთან შეხებისთანავე ფუტკრები აფრინდებოდნენ, აბიური ძაღლების უსულო სხეულს კი დინება მიაქანებდა. ზევიდან გაიგონებდით გააფთრებულ ყმუილს, რომელსაც კლდის ჰატარა ტომის ფრთების გაუგონარი ზუზუნი ახშობდა. ზოგიერთი წითელი ძაღლი ჩავარდა ხვრელში, რომელიც გამოქვაბულს უკავშირდებოდა და იქ ფიჭებს შორის ეხუთებოდა სული, ზოგიერთს კი, ხეებზე ან კლდეებზე დაცემულს, ფუტკრების ტალღა ანადგურებდა. მაგრამ ფუტკართა ნესტარისგან გამწარებული წითელი ძაღლების უმრავლესობა მდინარეში ხტებოდა. და როგორც კაამ თქვა, უაინგუნგი მართლაც დამშეული წყალი ყოფილა.

კაას ძლიერად ეჭირა მაუგლი, სანამ ის ძალას მოიკრებდა.

– აქ ვეღარ გავჩერდებით, – თქვა მან, – როგორც ხედავ, ჰატარა ტომი აიშალა, ამიტომ, უნდა წავიდეთ!

მაუგლი მიცურავდა და შეძლებისდაგვარად ხშირად ყვინთავდა დანით ხელში.

– ნელა, ნელა, – უთხრა კაამ, – ერთი კბილი ასს ვერ მოკლავს, გარდა კობრას კბილისა. უამრავმა წითელმა ძაღლმა მაშინვე წყალს მიმართა, როგორც კი აშლილი ჰატარა ტომი დაინახა.

– გამოდის, ჩემს დანას მეტი მუშაობა მოუწევს. ფუ! უყურე, ჰატარა ტომი როგორ მოგვდევს! – და მაუგლიმ კვლავ ჩაყვინთა. მდინარე თითქმის დაეფარა გარეულ ფუტკრებს. ისინი საზარლად ბზუოდნენ და ირგვლივ ყველაფერს ნესტარს ასობდნენ.

– სიჩუმისგან ჯერ არაფერი დაზიანებულა, – თქვა კაამ, – წინ გრძელი ღამე გაქვს სანადიროდ. ნახე, როგორ ყმუიან!

წითელი ძაღლების ნაწილმა მალევე შენიშნა თანამებრძოლთა მახეში გაბმა. ამიტომ მაშინვე იქით გადაუხვიეს, სადაც მდინარე ციცაბო ნაპირებში იყო მოქცეული. აბიური ძაღლების ამ ნაწილის გაშმაგებული ღრიალი და მუქარა მათთვის სირცხვილის მჭამელი „ხის მაიმუნის" წინააღმდეგ, პატარა ტომის მიერ დასჯილი წითელი ძაღლების ყვირილსა და ღრიალს შეერთო. ნაპირზე დარჩენა სიკვდილის ტოლფასი იყო და ეს ყველა წითელმა ძაღლმა იცოდა. ამიტომ ხროვა მდინარეს გაჰყვა მშვიდობის კლდის მორევისკენ, მაგრამ განრისხებული პატარა ტომი გასაქანს არ აძლევდა მათ და კვლავ წყალში შესვლას აიძულებდა. მაუგლის ესმოდა უკუდო წინამძღოლის ბრძანება, რომელიც თავის ხროვას გამხნევებისკენ და სიონიის მგლების დახოცვისკენ მოუწოდებდა, მაგრამ მის მოსასმენად დროის დაკარგვა არ უნდოდა.

– სიბნელეში ჩვენ უკან ვიღაც ხოცავს ჩვენებს, – დაიძახა ერთმა წითელმა ძაღლმა, – წყალი შეიღება.

მდინარეში წავივით ჩაყვინთულმა მაუგლიმ, წინ გასწია და წყალქვეშ ხმის ამოუღებლად გამოასალმა ერთი წითელი ძაღლი სიცოცხლეს. გვერდზე გადაბრუნებული სხეულის ამოტივტივებისთანავე წყლის ზედაპირზე მუქი რკალები გაჩნდა. წითელმა ძაღლებმა გაბრუნება სცადეს, მაგრამ დინება ხელს უშლიდათ; პატარა ტომელებიც გახელებით კბენდნენ თავსა და ყურებში. სიონიის ხროვის გამომწვევი ძახილი კი თანდათან ძლიერდებოდა სიბნელეში.

მაუგლიმ ისევ ჩაყვინთა და კვლავ გამოასალმა ერთი წითელი ძაღლი სიცოცხლეს. ატყდა ხმაური – ზოგი ყმუოდა და ამხანაგებს ნაპირზე გასვლას ურჩევდა, სხვები წინამძღოლს დეკანში დაბრუნებას სთხოვდნენ, ზოგიერთი კი

მაუგლის მოუწოდებდა, გამოჩენილიყო და ისე შებმოდა მათ.

– ორი კუჭითა და განსაკუთრებული ხმაურით დადიან საბრძოლველად, – წარმოთქვა კაამ, – დანარჩენი კი შენს ძმებზეა დამოკიდებული იქ, ქვევით. ჰატარა ტომი უკან ბრუნდება დასაძინებლად, ისედაც საკმარისად გვდიეს. მე კი ნამდვილად არ ვაპირებ მგლებისთვის ხელის განძრევას. წარმატებული ნადირობა, ჰატარა ძმობილო, და დაიმახსოვრე, წითელი ძაღლები ქვევით იკბინებიან.

ერთი მგელი სამი ფეხით მორბოდა სანაპიროზე, ისე ხტუნაობდა და გორაობდა, იფიქრებდით, თავის ლეკვებს ეთამაშებაო. ეს განდგომილი უონტოლა იყო. ის ხმას არ იღებდა, მაგრამ წითელი ძაღლების თვალწინ საზარელ თამაშს განაგრძობდა. დიდი ხნით წყალში ყოფნისგან ბეწვებდამძიმებულსა და კუდგაყღენთილ წითელ ძაღლებს ცურვა უჭირდათ. ისეთი დაღლილები და აკანკალებულები იყვნენ, რომ გახევებულები შეჰყურებდნენ მათ წინ მოძრავ ორ აალებულ თვალს.

– არ არის ეს კარგი ნადირობა, – ქოშინით თქვა ერთმა.

– წარმატებული ნადირობა! – შესძახა მაუგლიმ, რომელმაც მორიდებულად ამოყო თავი წყლიდან და გრძელი დანა მთელი ძალით ჩასცა წითელ ძაღლს ბეჭებში, რათა მისი სასიკვდილო ხმა აეცილებინა.

– აქა ხარ, ადამიანის ლეკვო? – გაღმა მხრიდან გამოსძახა უონტოლამ.

– მკვდრებს ჰკითხე, განდგომილო, – მიუგო მაუგლიმ, – განა დინებას არ ჩამოჰყოლია რომელიმე? ამ ძაღლებს პირი ტალახით ამოვუვსე, მოვატყუე და მათი წინამძღოლი უკუდოდ დავტოვე, თუმცა შენთვისაც დარჩა რამდენიმე. აბა, საით გავრეკო?

– დავიცდი, – უთხრა უონტოლამ, – წინ მთელი ღამეა.

სიონიის მგლების ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

– ხროვას შევუტიოთ! მთელ ხროვას!

მდინარის მიქცევამ წითელი ძაღლები სიონიის ბუნაგების პირდაპირ, წყალმარჩხისკენ გაიტაცა. ისინი მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. ნახევარი მილით უფრო ზემოთ მდინარიდან უნდა გამოსულიყვნენ და მგლებისთვის ხმელეთზე შეეტიათ. უკვე ძალიან გვიანი იყო – ნაპირზე აალებული თვალები ჩამწკრივებულიყო. მზის ჩასვლის შემდეგ ჯუნგლში არაფერი ისმოდა, გარდა შემზარავი „ფიელისა". ისე ჩანდა, თითქოს უონტოლა წითელ ძაღლებს ნაპირისკენ ეპატიჟებოდა.

– შემოტრიალდით და მომყევით! – შესძახა წითელი ძაღლების წინამძღოლმა და ხროვა ნაპირისკენ გაუყვა. წყალი აბვირთდა, აქაფდა, უაინგუნგი გათეთრდა და ტალღები ისე ქანაობდა, გეგონებოდათ, წყალს ნავები მიაპობდა. მაუგლი ნაპირისაკენ გაქცეულ, წითელი ძაღლების უწესრიგო ნაკადს მისდევდა და მუსრს ავლებდა მათ.

დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა – ჩხუბი, ხოცვა, შევიწროება და გაფანტვა. ყველგან იბრძოდნენ – წითელ, სველ ქვიშაზე, ხის დახლართულ ფესვებზე, ბუჩქებში და ბალახზე. ახლაც კი თითო მგელზე ორი წითელი ძაღლი მოდიოდა. მაგრამ მგლების მთელი ხროვა გამოსულიყო. არა მარტო მხრიანი და თეთრეშვებიანი მონადირეები მოსულიყვნენ, არამედ მგზნებარეთვალებიანი ლაჰინები – ბუნაგის ძუ მგლებიც კი იბრძოდნენ თავიანთი ლეკვების დასაცავად, ჰატარა ბოკვერებიც კი მედგრად ეკვეთებოდნენ მტერს. მგელმა, როგორც იცით, ყელში ან გვერდში წვდომა

იცის, წითელი ძაღლი კი უფრო მუცლისკენ ჰკბენს. ამიტომ წყალში, როცა აბიურ ძაღლებს თავი ზევით ჰქონდათ, უპირატესობა მგლების მხარეზე იყო, ხმელეთზე კი – წითელი ძაღლებისკენ. მაუგლის დანა ერთნაირი წარმატებით მოქმედებდა ორივეგან. ოთხი ძმობილი მის დასახმარებლად გაემართა. რუხი მგელი მაუგლის მუცელს უფარავდა, სხვები კი – ზურგსა და გვერდებს. მისკენ ყეფით გამოქცეული წითელი ძაღლი მაშინვე ბასრ დანაზე წამოეგებოდა ხოლმე და იქცეოდა. ბრძოლის ჟინით შეპყრობილები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ისინი მოძრავ ბორცვებს ჰგავდნენ, რომელიც პერიოდულად წყლის ბუშტივით სკდებოდა და ოთხ ან ხუთ დასახიჩრებულ ძაღლს ამოისროდა. სხვა ძაღლები ისევ შუაგულისკენ მიიწევდნენ. აქეთ ორი თუ სამი წითელი ძაღლი ერთ მგელს ებრძოდა, იქით მოკლული ლეკვის გააფთრებული დედა აქეთ-იქით ეხეთქებოდა და დაუნდობლად იკბინებოდა.

უცებ მაუგლი წააწყდა აკელას, რომელსაც ორი წითელი ძაღლი ჩამოჰკიდებოდა მხრებზე, მესამესთვის კი თავისი უკბილო ყბები ჩაევლო წელში. მერე მაუგლიმ თვალი მოჰკრა ფაოს, რომელსაც წითელი ძაღლებისათვის ყელში გაეყარა კბილები და ისე მიათრევდა, სანამ ახალგაზრდა მგლებმა არ გამოასალმეს სიცოცხლეს ძაღლი. ბრძოლის ველზე, სიბნელეში აურზაური და ზედახორა იყო. ირგვლივ საშინელი კვნესა, ღრენა, ყეფა და ჟლეტის ხმა ისმოდა. ღამის დადგომასთან ერთად, თავბრუდამხვევი მოძრაობები მატულობდა. წითელი ძაღლები დაშინდნენ. უფრთხოდნენ ძლიერ მგლებთან შეტაკებას, მაგრამ გაქცევაზე ჯერ არ ფიქრობდნენ. მაუგლი გრძნობდა, რომ ბრძო-

ლის დასასრული ახლოვდებოდა და მოწინააღმდეგისთვის მსუბუქი დარტყმითაც კმაყოფილდებოდა. ახალგაზრდები გათამამდნენ. უკვე შეიძლებოდა შვებით ამოსუნთქვა. ახლა წითელი ძაღლი დანის ქნევაზეც კი ფრთხებოდა.

– ხორცი ძალიან ახლოა ძვალთან, – ამოიგმინა უამრავი ჭრილობისაგან სისხლმდინარე რუხმა ძმამ.

– მაგრამ ძვალი ჯერ არ გაბზარულა, – უპასუხა მაუგლიმ, – აუა! ასე ვიქცევით ჯუნგლში! – და დანის წითელი პირი ალივით მოედო გვერდში ერთ წითელ ძაღლს, რომელსაც თავისი სხეულის ქვეშ მოექცია მგელი.

– ჩემი ნანადირევია! – ამოილუღლუღა მგელმა დანაოჭებულ ცხვირში, – მე დამიტოვე!

– ნუთუ კუჭი კვლავ ცარიელი გაქვს, განდგომილო? – ჰკითხა მაუგლიმ.

უონტოლა საშინლად დააფლითათ, მაგრამ მტერს ისე იყო ჩაბღაუჭებული, რომ წითელი ძაღლი მობრუნებასაც ვერ ახერხებდა.

– ვფიცავ ჩემს გამომსყიდველ ხარს, – მწარედ ჩაიცინა მაუგლიმ, – რომ ეს უკუდოა! – და ის მართლაც წითელი ძაღლების წინამძღოლი იყო.

– არაა ჭკვიანური ლეკვებისა და ლაჰინების ხოცვა, – განაგრძო მაუგლიმ ფილოსოფიურად და თან თვალებიდან სისხლს იშორებდა, – თუკი ბუნაგის მამასაც ზედ არ მიაყოლებ. გპირდები, რომ უონტოლა ბოლოს მოგიღებს.

ერთმა წითელმა ძაღლმა თავისი წინამძღოლის დასახმარებლად ისკუპა, მაგრამ სანამ კბილებით უონტოლას გვერდს მიაგნებდა, მაუგლის დანამ მის ყელთან გაიარა, რუხმა ძმობილმა კი მისი დაწყებული დაასრულა.

– აი, ასე ვიცით ჯუნგლში! – თქვა მაუგლიმ.

უონტოლა ხმას არ იღებდა, კბილებს უფრო და უფრო უჭერდა მსხვერპლს. წითელი ძაღლი გაფართხალდა, თავი გადააგდო და მიჩუმდა. უონტოლა ზედ დაეცა.

– ჰუჰ! სისხლის ვალი გადახდილია! – წამოიძახა მაუგლიმ, – იმღერე, უონტოლა!

– აწი ის ვეღარ ინადირებს, – თქვა რუხმა ძმობილმა, – აკელაც კარგა ხანია დუმს.

– ძვალი გადატყდა! – დაიქუხა ფაონის შვილმა ფაომ. – ისინი მიდიან, შეუტიეთ, დახოცეთ, თავისუფალი მოდგმის მონადირენო!

წითელი ძაღლები ერთმანეთის მიყოლებით თითოთითოდ მიიპარებოდნენ ბნელი და სისხლიანი ნაპირიდან მდინარისაკენ, ხშირი ჯუნგლისაკენ, მდინარის აღმა თუ დაღმა, საითაც თავისუფალ გზას ხედავდნენ.

– ვალი! ვალი! – ყვიროდა მაუგლი, – ვალი გაისტუმრეთ! მათ მარტოხელა მგელი მოკლეს, არცერთი ძაღლი არ გაუშვათ ცოცხალი.

თვითონ დანით ხელში მიჰქროდა მდინარისაკენ, რათა გაქცეულ წითელ ძაღლებს დაწეოდა. ამ დროს ცხრა მკვდრის ბორცვიდან აკელას თავი და წინა ტორები გამოჩნდა. მაუგლი მუხლებზე დაეცა მარტოხელა მგლის გვერდით.

– ხომ გითხარი, ეს ჩემი უკანასკნელი ბრძოლა იქნებამეთქი, – მძიმედ წარმოთქვა აკელამ, – კარგი ნადირობა იყო. და შენ როგორ ხარ, პატარა ძმობილო?

– ცოცხალი ვარ, ბევრს მოვუსწრაფე სიცოცხლე.

– ძალიან კარგი. რაკი ვკვდები, დაე, შენ გვერდით მოვკვდე, პატარა ძმობილო.

მაუგლიმ მუხლებზე დაიდო აკელას საშინლად დასახიჩრებული თავი და მკლავები კი დაფლეთილ კისერზე მოჰხვია.

– ბევრმა დრომ განვლო შერ-ხანის ჰერიოდიდან და მას შემდეგ, რაც შენ, ადამიანის შიშველო ლეკვო, მტვერში გორაობდი.

– არა, არა, მე მგელი ვარ! თავისუფალი მოდგმა და მე ერთნი ვართ, – შეჰყვირა მაუგლიმ, – არ მინდა ადამიანად ყოფნა.

– შენ ადამიანი ხარ, ჰატარა ძმობილო, ჩემი მეთვალყურეობით გამოზრდილი ლეკვი. შენ რომ ადამიანი არ იყო, ხროვა წითელ ძაღლებს ვერ გაუმკლავდებოდა. ჩემს სიცოცხლეს შენ უნდა გიმადლოდე, დღეს კი ხროვა გადაარჩინე ისე, როგორც მე გადაგარჩინე ოდესღაც. დაგავიწყდა? ახლა ყველა ვალი გადახდილია. წადი შენს საკუთარ ხალხთან. კვლავ გიმეორებ, ჩემო თვალთა თვალო, ეს ნადირობა დასრულდა, წადი შენს ხალხთან.

– არასოდეს წავალ. მარტო ვინადირებ ჯუნგლში. ეს უკვე ვთქვი.

– ზაფხულს წვიმები მოჰყვება, წვიმებს – გაზაფხული. დაბრუნდი, სანამ გაგაძევებენ.

– ვინ გამაძევებს?

– მაუგლი გააძევებს მაუგლის. დაბრუნდი ხალხში, წადი ადამიანებთან.

– როცა მაუგლი მაუგლის გააძევებს, აი, მაშინ წავალ, – მიუგო ბიჭმა.

– მეტი სათქმელი არ მაქვს, – თქვა აკელამ, – ჰატარა ძმობილო, შეგიძლია წამომაყენო? მე ასევე ვიყავი თავისუფალი მოდგმის წინამძღოლი.

მაუგლიმ ფაქიზად წამოაყენა აკელა და ორივე მკლავი მოჰხვია. აკელამ მძიმედ ამოისუნთქა და დაიწყო სიკვდილის სიმღერა, რომელსაც ხროვის ყველა წინამძღოლი მღერის სიკვდილის წინ. სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა და შორს, მდინარის გაღმა სწვდებოდა. ბოლოს მან შესძახა: „წარმატებული ნადირობა", წამით მაუგლისაგან გათავისუფლდა, ჰაერში შეხტა და თავის უკანასკნელ და უსაშინლეს ნანადირევს დაეცა.

მაუგლი ჩუმად, მუხლებში თავჩარგული იჯდა. დაუნდობელი ლაჰინები გადარჩენილ წითელ ძაღლებს ანადგურებდნენ. ხმაური ნელ-ნელა მიწყდა. მგლები კოჭლობით ბრუნდებოდნენ დანაკარგის დასათვლელად. ხროვის თხუთმეტი წევრი და ექვსი ლაჰინი დაიღუპა მდინარის პირას. გადარჩენილებიდან ყველა ნაიარევი იყო.

მაუგლი ასე იჯდა ცივ განთიადამდე, სანამ ხელებზე ფაოს სველი, წითელი დრუნჩი არ შეეხო. ბიჭი უკან გაიწია და აკელას გამხდარი სხეული გამოაჩინა.

– წარმატებული ნადირობა! – თქვა ფაომ ისე, თითქოს აკელა კვლავ ცოცხალი იყო. შემდეგ სხვებს გასძახა: – იყმუვლეთ, ძაღლებო! მგელი ამაღამ დაიღუპა!

წითელი ძაღლების ხროვის ორასი მებრძოლიდან, – რომლებიც იქადნიდნენ, ჯუნგლში ვერავინ შეგვეჯიბრებაო, – ვერცერთი მათგანი ვერ დაბრუნდა დეკანში ამბის წასაღებად.

ჩილის სიმღერა

დიდი ბრძოლის დასრულების შემდეგ, ამ სიმღერას მღეროდა ჩილი, როცა ძერები ერთიმეორის მიყოლებით ეშვებოდნენ მდინარის ნაპირზე. ჩილი ყველასთან მეგობრობს, მაგრამ, ზოგადად, გულცივი არსებაა, რადგან იცის, რომ ბოლოს თითქმის ყველა ჯუნგლელი მისი ლუკმა გახდება.

მეგობრებო, გამოსულნო ღამით გარეთ,
(ჩილ, მომისმინე, ჩილ!)
მოგიწოდებთ სტვენით, რათა მორჩეთ თარეშსს.
(ჩილ, მესვეურო ჩილ!)
ხომ დამპირდით ახლად ნაშოვნ ნანადირევს,
მეც შეგპირდით, გაჩვენებდით აქვე ირემს,
მაგრამ წყდება ყველა კვალი, ვკუმავთ პირებს!

თარეშისგან მიწას ასდის ბუღი, ალი,
(ჩილ, მომისმინე, ჩილ!)
არ უშვებენ, თუკი სამბურს მოჰკრეს თვალი.
(ჩილ, მესვეურო ჩილ!)
ნადირთ დასცეს შიშისა და თრთოლის ზარი,
არ გაუშვეს არც ირემი და არც ხარი,
მაგრამ აქვე წყდება თითქმის ყველა კვალი.

ვწუხვარ, რადგან ვეღარ გხედავთ ჩემს მეგობრებს,
(ჩილ, მომისმინე, ჩილ!)
აწი ვინღა ანუგეშებს თქვენით ობლებს,
(ჩილ, მესვეურო ჩილ!)
ვეღარ უძლებს ეს გული და თავი ტკივილს,
აწი, ასე დამწუხრებით შემოვივლი
სამყაროს და თქვენს დიდებას ვამცნობ ყველას.

გაზაფხულის დინება

ჯუნგლს უთხარით, რომ ადამიანი ადამიანთან მიდის,
ერთ დროს ჩვენი ძმა, ახლა გვშორდება, დავსევდიანდით, ვტირით.
აბა დაფიქრდით, ისე მითხარით, მოითათბირეთ ყველამ,
ვინ გაბედავს და მას დაგვიბრუნებს, ალბათ, ვერცერთი, ვერა.
ადამიანი თავისიანებს უბრუნდება და ღელავს,
ჩვენთანაც უნდა, რადგან ვუყვარვართ და ამ გრძნობას ვერ
თელავს.
ის უბრუნდება ადამიანებს, გაიგეთ, იყოს სმენა,
ამიერიდან ჩვენ ვეღარ ვნახავთ, აღარ გვექნება ლხენა.

წითელ ძაღლებთან ბრძოლისა და აკელას სიკვდილის მეორე წელს მაუგლი უკვე ჩვიდმეტი წლის იყო, თუმცა ბევრად დიდს ჰგავდა. ძლიერი ვარჯიშის, კარგი კვებისა და ხშირად ბანაობის წყალობით, ის ბევრად ძლიერად და ასაკთან შედარებით უფრო მოწიფულად გამოიყურებოდა. მაუგლის შეეძლო მაღალ ტოტზე ცალი ხელით ნახევარ საათს ჩამოკიდებულიყო; გაქცეული ირემი შეეჩერებინა და თავით დაენარცხებინა; წაექცია ჩრდილოეთის ჭაობებში მცხოვრები ლურჯი გარეული ტახიც. აქამდე მაუგლის მახვილგონიერებით შეშინებულ ჯუნგლელებს, ახლა მისი ძალაც აფრთხობდა და, როცა ბიჭი მშვიდად მიდიოდა თავის საქმეზე, მის ოდნავ ჩურჩულზეც კი ტყის ბილიკები ერთიანად ცარიელდებოდა. მაგრამ მაუგლის თვალები მუდამ უწყინრად გამოიყურებოდა, ბრძოლის დროსაც კი, ბაგირას თვალებივით როდი უელავდა მხოლოდ ოდნავ ინტერესითა და ცნობისმოყვარედ გამოიყურებო-

და და მღელვარებას გამოხატავდა და ეს იყო ის ერთადერთი რამ, რაც თვით ბაგირასაც კი ვერ გაეგო. ერთხელ ჰკითხა კიდეც ამის შესახებ, ბიჭმა გაიცინა და უპასუხა:

– როცა ნადირობისას მსხვერპლი მისხლტდება, ვბრაზდები. როცა ორი დღე მშიერმა უნდა ვიარო, ამაზეც ვბრაზდები. ნუთუ, ჩემი თვალები ამაზე არ მეტყველებენ?

– გშია, – თქვა ბაგირამ, – მაგრამ შენი თვალები არაფერს ამბობენ, ნადირობ, ჭამ თუ ცურავ, სულერთია, შენი თვალები ისევე უცვლელია, როგორც ქვა სველ თუ მშრალ ამინდში.

მაუგლიმ გრძელი წამწამების ქვემოდან ზლაზვნით ახედა ავაზას, რომელმაც, ჩვეულებისამებრ, თავი დახარა. ის კარგად იცნობდა თავის მეუფეს.

ისინი იწვნენ ზევით, გორაკის ფერდობზე, რომელიც უაინგუნგს გადაჰყურებდა, დილის ნისლი კი მათ ქვემოთ თეთრმწვანე ფერად ჩამოწოლილიყო. მზის ამოსვლამ ნისლი წითელ-ოქროსფრად ადღვიბა და სხივები აათამაშა გამხმარ ბალახზე, რომელზეც მაუგლი და ბაგირა ისვენებდნენ. ცივი ამინდები სრულდებოდა, ფოთლები და ხეები მოღუშული და დამჭკნარი იყო, ქარის ყოველ დაბერვაზე ხმელი ფოთლების შრიალი ისმოდა. ერთი პატარა, ქარისაგან აფრიალებული, მარტოსული ფოთოლი გამალებით ეხეთქებოდა ტოტს. ამან გამოაღვიძა ბაგირა, რომელმაც ღრმად ჩაისუნთქა დილის ჰაერი და ჩაახველა. მერე ზურგზე დაწვა და წინა თათებით მოფარფატე ფოთოლი აათამაშა.

– წელიწადი ბრუნდება, – თქვა მან, – ჯუნგლი წინ მიიწევს. ახალი ამბების დრო ახლოვდება. ეს ფოთოლმაც იცის. კარგი ამბავია.

– ბალახი ხმელია, – უპასუხა მაუგლიმ და ერთი ბღუჯა მოგლიჯა. – გაბაფხულის თვალიც კი (პატარა, საყვირის

მსგავსი, ცვილისებრი წითელი ყვავილი, რომელიც ბალახში აქა-იქ იზრდება) დახურულია, და... ბაგირა, ნუთუ, შავ ავაზას შეშვენის ხის კატასავით ზურგზე წოლა და თათების ჰაერში ცემა?

– აუჰ! – თქვა ბაგირამ. როგორც ჩანდა, სხვა რამეზე ფიქრობდა.

– მე ვამბობ, განა უხდება შავ ავაზას პირის ასე მანჭვა და ხველება, ყმუილი და გორაობა? გახსოვდეს, ჩვენ ჯუნგლის მეუფენი ვართ, შენ და მე!

– რა თქმა უნდა, მართალი ხარ. მესმის შენი, ადამიანის ლეკვო.

ბაგირა სწრაფად გადაგორდა, მერე წამოჯდა, შავი გვერდები მტვერში ამოგანგვლოდა (სწორედ მაშინ იცვლიდა ზამთრის ბეწვს). – სწორედაც, რომ ჯუნგლის მეუფენი ვართ. ვინ არის მაუგლივით ძლიერი? მასავით ბრძენი?

ბაგირამ ისეთი უცნაური ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ მაუგლი შეტრიალდა, რათა ენახა, შავი ავაზა ხომ არ დასცინოდა, რადგან ჯუნგლში უამრავი ისეთი სიტყვაა, რომელიც სხვანაირად გამოითქმის და სხვა მნიშვნელობისაა.

– მე ვთქვი, რომ ჩვენ ნამდვილად ჯუნგლის მეფენი ვართ, – გაიმეორა ბაგირამ. – არასწორად მოვიქეცი? არ ვიცოდი, რომ ადამიანის ლეკვი მიწაზე აღარ იწვა. ხომ არ დაფრინავს?

მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილი მაუგლი ხეობას გაჰყურებდა დღის სინათლეზე. სადღაც ქვევით, ტყეში ჩიტი ცდილობდა ხრინწიანი, სუსტი ხმით გაბაფხულის სიმღერის პირველი ნოტები აეყღერებინა. ეს მხოლოდ შესავალი იყო იმ ტკბილხმოვანი ყღურტულისა, რომლითაც შემდეგ აავსებდა მიდამოს, თუმცა ბაგირამ გაიგონა.

– მე ვთქვი, რომ ახალი ამბების დრო მოახლოვდა. – კუდის თამაშით ჩაიბუტბუტა ავაზამ.

– მესმის! – მიუგო მაუგლიმ, – რატომ ცახცახებ, ბაგირა? მზე ჯერ საკმაოდ ათბობს.

– ეს ფერაოა, ალისფერი კოდალა, – თქვა ბაგირამ. – მას არ ავიწყდება თავისი სიმღერა. ახლა მეც უნდა გავიხსენო ჩემი, – და ავაზა თავისთვის აკრუტუნდა და აღიღინდა. დროდადრო უკმაყოფილოდ უგდებდა ყურს ტყის ხმაურს.

– სანადიროც არაფერია, – თქვა მაუგლიმ.

– ჰატარა ძმობილო, ხომ არ დაყრუვდი? – მიუგო ავაზამ, – ეს სანადირო ძახილი კი არა, ჩემი სიმღერაა. საჭირო შემთხვევისათვის ვამზადებ.

– სულ დამავიწყდა, ახალი ამბების დროს იმით გავიგებ, რომ შენ და ყველა დანარჩენი გაიქცევით და მე მარტო დამტოვებთ. – მკაცრად მიუგო მაუგლიმ.

– ნამდვილად, ძმობილო, – დაიწყო ბაგირამ, – ჩვენ ყოველთვის არ...

– მე ვამბობ, რომ კი, – საჩვენებელი თითის აქნევით შეაწყვეტინა მაუგლიმ, – გარბიხართ და მე, ჯუნგლის მეუფე, იძულებული ვხვდები, მარტო ვიარო. განა შარშან ასე არ იყო, როცა ადამიანთა ხროვის მინდვრებში შაქრის ლერწმის მოკრეფა გადავწყვიტე? მორბენალი ვაფრინე – შენ გაგგზავნე ჰატისთან, ვუბრძანე, იმ ღამეს მოსულიყო და ჩემთვის ტკბილი ბალახი დაეგლიჯა ხორთუმით.

– ის მხოლოდ ორი ღამის შემდეგ მოვიდა, – მიუგო ბაგირამ და ოდნავ მოიბუზა. – და შენი საყვარელი ტკბილი ბალახი იმდენი შეაგროვა, რომ ვერცერთი ადამიანის ლეკვი ვერ შეჭამდა, თუნდაც მხოლოდ ეგ მიერთმია წვიმების დროს ყოველ ღამეს. ეს არ იყო ჩემი ბრალი.

– ჰატი არ მობრძანებულა იმ ღამით ხეობებში დანავარდობდა და ღრიალებდა. მისი კვალი სამი სპილოს კვალს ჰგავდა, რადგან ხეებს შორის არ იმალებოდა. მთვარის შუქზე, ადამიანთა ხროვის სახლების წინ ცეკვავდა. მე ის დავინახე, მანაც დამინახა, მაგრამ მაინც არ მომიახლოვდა, არადა, მე ხომ ჯუნგლის მეუფე ვარ!

– მაშინ ახალი ამბების დრო იყო, – მორიდებით მიუგო ავაზამ. – ალბათ, ჯადოქრული სიტყვით არ მიმართე, ჰატარა ძმობილო. მოუსმინე ფერაოს და გამხიარულდი!

მაუგლის თითქოს გადაუარა უხასიათობამ. თვალებდახუჭული, თავქვეშ ხელებამოდებული იწვა ბურგზე.

– არ ვიცი... არც მაინტერესებს, – თქვა ძილმორეულმა მაუგლიმ. – დავიძინოთ. ბაგირა, კუჭი დამიმძიმდა. სასთუმალი მომიწყვე!

ავაზა კვლავ დაწვა და ამოიოხრა, რადგან ესმოდა, როგორ ვარჯიშობდა და იმეორებდა ფერაო გაბაფხულის ახალ ამბავს.

ინდოეთის ჯუნგლში წლის დროები ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდება. გეგონებათ, მხოლოდ ორი დროა – სველი და მშრალი, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით წვიმის ნაკადს, ღრუბლებსა და მტვერს, ნახავთ, რომ ოთხივე დრო თავისი წესით მოქმედებს. გაბაფხული განსაკუთრებით საუცხოოა, რადგან მან მოშიშვლებული მინდვრები კი არ უნდა დაფაროს ახალი ფოთლებითა და ყვავილებით, არამედ უნდა გააძევოს თბილი ბამთრის წყალობით შემორჩენილი მცენარეთა ნახევრად მწვანე ნაშთები და დედამიწა ახალი სამოსელით შემოსოს. მსოფლიოში არსადაა ისეთი გაბაფხული, როგორიც ჯუნგლში.

არის ერთი დღე, როცა ყველა დაღლილია, ჰაერში დატრი-

ალებული მძიმე სუნიც კი ძველი და მოსაბეზრებელია. ამ ყველაფერს გრძნობენ, მაგრამ ვერ ხსნიან. არის კიდევ სხვა დღე, როცა თვალისთვის თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ ყველანაირი სუნი ახალი და საამოა. ჯუნგლელებს ამ დროს წვერები უთრთით, ზამთრის ბალანი კი ბღუჯად ჩამოსდით ტანიდან. შემდეგ, თუ იწვიმებს, ყველა ხე, ბუჩქი, ბამბუკი, ხავსი და სხვა მცენარე ხმაურით იღვიძებს და ამ ყრუ ხმაურში გარბიან დღეები და ღამეები. ეს გაზაფხულის ხმაა – მთრთოლავი გუგუნი, რომელიც არც ფუტკარს ეკუთვნის, არც მდინარეს, არც ხის კენწეროებში მონავარდე ქარს, ეს თბილი, ბედნიერი ქვეყნის ჩქრიალია.

ამ წლამდე მაუგლის ყოველთვის იტაცებდა წელიწადის დროთა მონაცვლეობა. ის მუდამ პირველი ამჩნევდა ბალახის სიღრმეში მოციმციმე გაზაფხულის პირველ თვალსა და ღრუბლებს, რომლის მსგავსიც ჯუნგლში არაფერია. მაუგლის ხმა ისმოდა ყველგან – ნამიან, ვარსკვლავებით განათებულ თუ აყვავებულ ადგილებში. ის ეხმიანებოდა გომბეშოთა გუნდებს, ან ბაძავდა თავდაყირა დაკიდებულ ბუებს, თეთრ ღამეებში რომ გაჰკივიან. მისი ხალხის მსგავსად, მაუგლისთვისაც გაზაფხული იყო ნავარდისთვის საუკეთესო პერიოდი – თბილი ჰაერით გაბედნიერებული, დაბინდებიდან გათენებამდე ოცდაათ, ორმოც, ორმოცდაათ მილს გაირბენდა და უკან აქოშინებული, გაღიმებული და უცნაური ყვავილებით მორთული ბრუნდებოდა. ჯუნგლში ამ ველური ნავარდისას ოთხი ძმობილი მასთან ერთად არ იყო, ისინი სხვა მგლებთან ერთად მღეროდნენ.

ჯუნგლელები გაზაფხულობით ძალიან საქმიანები არიან. მაუგლის ესმოდა მათი ღრუტუნი, ყვირილი და სტვენა. მხეცების ხმა ამ დროს განსხვავებულია წელიწადის

სხვა დროს გამოცემული ხმისაგან. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გაზაფხულს ჯუნგლში ახალი ხმის დროს უწოდებენ.

მაგრამ იმ გაზაფხულს, როგორც ბიჭმა ბაგირასაც უთხრა, მაუგლი შინაგანად რაღაც სიახლეს გრძნობდა. მას შემდეგ, რაც ბამბუკის ყლორტები ყავისფრად დაიწინწკლნენ, მაუგლი სუნთა შეცვლის პერიოდს ელოდა. გათენდა და ეს ამბავი ათასფრად მოელვარე ფარშავანგმა მორმა ხმამაღლა ამცნო ნისლიან ტყეებს. მაუგლის უნდოდა ეპასუხა, მაგრამ სიტყვები კბილებს შორის გაუჩერდა. ფეხის თითებიდან თმის ღერამდე რაღაც გრძნობამ დარია ხელი – ეს იყო ისეთი უსიამოვნო გრძნობა, რომ ბიჭმა ტანს დაუწყო თვალიერება, ეკალი ხომ არ შემერჭოო. მორი ახალი სუნების ამბავს გაჰყვიროდა, შორიდან ფრინველები აძლევდნენ ბანს. უცებ, უაინგუნგის მიმდებარე კლდეებიდან ბაგირას ხრინწიანი, არწივის ყვირილისა და ცხენის ჭიხვინის მსგავსი ხმა მოესმა. ზემოთ, ახლად დაკვირტულ ტოტებში, ბანდარ-ლოგი ღრიალებდა და მიმოდიოდა. მაუგლი, რომელსაც მორისთვის პასუხის გაცემა უნდოდა, ძლივს სუნთქავდა და უსიამოვნო შეგრძნებისგან გახევებული იდგა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა, გარდა ხეებს შორის მოხტუნავე ბანდარ-ლოგისა და კოხტად კუდგაშლილი და ფერდობზე ლამაზად მოცეკვავე მორისა.

– სუნი შეიცვალა! – დაიკივლა მორმა. – წარმატებული ნადირობა, პატარა ძმობილო! რატომ არ მპასუხობ?

– წარმატებული ნადირობა, ძმობილო! – დაუსტვინეს ძერა ჩილმა და მისმა მეწყვილემ. ისინი ერთად დაუყვნენ ქვევით და ცხვირთან ისე ახლოს ჩაუქროლეს მაუგლის, რომ ფრთებიც კი გაჰკრეს.

წამოვიდა გაზაფხულის მსუბუქი წვიმა, რომელსაც სპილოს წვიმას უწოდებენ. წვიმამ ახალი ფოთლები შეარხია, ორმაგი ცისარტყელა გამოსახა და ქუხილით გადაიარა. წუთით გაზაფხულის ხმაური გაისმა და ისევ მიწყნარდა. მალე ყველა ჯუნგლელი ერთხმად ამეტყველდა, გარდა მაუგლისა.

– კარგი საჭმელი ვჭამე, – თავის თავს უთხრა ბიჭმა, – კარგი წყალი დავლიე, არც ყელი მეწვის, როგორც მაშინ, კუს რჩევით, ლურჯწინწკლებიანი ძირნაყოფა რომ ჩავკბიჩე, მაგრამ რაღაც მაწუხებს. ცუდად ვესაუბრე ბაგირას, ჩემიანებსა და სხვა ჯუნგლელებს. ხან მცხელა, ხანაც – მცივა, ამწუთას ვერცერთს ვგრძნობ, მაგრამ რაღაც მაბრაზებს, რასაც ვერ ვხედავ. ჰუჰუ! სირბილის დროა. ამაღამ გადავირბენ ქედებს, გაზაფხულის სირბილით მივადგები ჩრდილოეთის ჭაობებს და კვლავ უკან დავბრუნდები. დიდი ხანია, ძალიან ადვილად ვნადირობ. ჩემს ოთხ ძმობილსაც წავიყვან, თორემ თეთრი მატლებივით დასუქდნენ.

მაუგლიმ მათ დაუძახა, მაგრამ არცერთმა გასცა პასუხი. ისინი ისე შორს იყვნენ, რომ მისი ძახილი ვერ მიაღწევდა მათ ყურამდე; ხროვის მგლებთან ერთად გაზაფხულისთვის დამახასიათებელ – მთვარისა და სამბჰურის სიმღერებს მღეროდნენ. გაზაფხულობით ჯუნგლელები დღესა და ღამეს თითქმის ვერ ანსხვავებენ.

მაუგლიმ ერთი მძაფრად შესძახა, მაგრამ პასუხად მხოლოდ ხის დაწინწკლული კატის დამცინავი „მიაუ" მიიღო. კატა ტოტებს შორის დასუნსულებდა და ფრინველთა ნაადრევ ბუდეებს დაეძებდა. მის კნავილზე ბრაზით აცახცახებულმა მაუგლიმ დანა მოიმარჯვა და ქედმაღლური იერი მიიღო, თუმცა იქ არავინ იყო, ვინც დაინახავდა. მერე ფერ-

დობზე დაეშვა მკაცრი გამომეტყველებით – ნიკაპაწეული და წამწამებდახრილი. არავის არაფერი უკითხავს მისთვის, რადგან ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული.

– დიახ, – ამბობდა მაუგლი, თუმცა გულში იცოდა, რომ საამისო მიზები არ ჰქონდა. – აბა, წითელი ძაღლები მოსულიყვნენ დეკანიდან ან წითელი ყვავილი აბრიალებულიყო, მაშინ ყველა ჯუნგლელი მაუგლისთან მიირბენდა წუწუნით და დიადი სპილოს სახელს უწოდებდნენ. ახლა კი, რადგან გაბაფხულის თვალი წითელია და მორმა გაბაფხულის ცეკვაში თავისი შიშველი ფეხები უნდა გამოაჩინოს, ჯუნგლი ტაბაკივით შეიშალა. ვფიცავ ჩემს გამომსყიდველ ხარს, რომ ჯუნგლის მეუფე ვარ. ჩუმად! აქ რა გინდათ?

ხროვის ორი ახალგაზრდა მგელი ბილიკზე მიძუნძულებდა, რათა გაშლილი ადგილი მოეძებნათ საბრძოლველად (გემახსოვრებათ, რომ ჯუნგლის კანონი ბრძოლას კრძალავს იქ, სადაც, შესაძლოა, ხროვამ დაინახოს). კისრის ბალანი აბურძგნოდათ და მავთულივით გაშეშებოდათ. მრისხანებით შეჰყმუვლეს და შეტაკების მოლოდინში მოიკუნტნენ. მაუგლი წინ გადახტა, კისერში სწვდა ორივეს და, როგორც თამაშის ან ხროვის ნადირობისას სჩვეოდა, მხეცებს უკან გადასროლა დაუპირა. ის აქამდე არასოდეს ჩარეულა გაბაფხულის ბრძოლაში. მგლებმა ისკუპეს, ბიჭი გვერდზე მოისროლეს და მერე უსიტყვოდ გაგორდნენ მიწაზე.

მაუგლი წაქცევისთანავე წამოხტა ფეხზე, დანა მოიმარჯვა და თეთრი კბილები დაკრიჭა. მზად იყო, ორივე მოეკლა ჩხუბის გამო, რადგან მაუგლის სიმშვიდე უნდოდა, თუმცა, კანონის თანახმად, ყველა მგელს აქვს ჩხუბის უფლება. მაუგლი მგლებს გარშემო უვლიდა. პირველი შეტაკების

შემდეგ უნდოდა, დანა ჩაეცა ორივესთვის, მაგრამ ლოდინში თითქოს ძალა გამოეცალა, დანა ჯერ დაუშვა, მერე ქარქაშში ჩააბრუნა და ასე უყურებდა მათ.

– აშკარად შხამი ვჭამე, – ამოიხვნეშა მან ბოლოს, – მას შემდეგ, რაც საბჭო წითელი ყვავილით დავშალე, შერხანი მოვკალი, ხროვის ვერცერთი წევრი ვერ ახერხებდა ჩემს განზე გაგდებას, ესენი ხროვის კუდიანი მგლები არიან, პატარა მონადირეები! ალბათ, ძალა გამომელია და მალე მოვკვდები. ოჰ, მაუგლი, რატომ არ მოკალი ორივე?

ბრძოლა იქამდე გაგრძელდა, სანამ ერთი მგელი არ გაიქცა, მაუგლი მარტო დარჩა დასისხლიანებულ მიწაზე, ხან დანას დახედავდა, ხან კი თავის ფეხებსა და მკლავებს დაჰყურებდა. ბიჭი ისე მოეცვა აქამდე მისთვის უჩვეულო უსიამოვნო გრძნობას, როგორც მორს გაყღენთს ხოლმე წყალი.

მაუგლიმ იმ საღამოს ნაადრევად ინადირა, მაგრამ ძალიან ცოტა ჭამა, რათა გაზაფხულის სირბილისათვის მზად ყოფილიყო.

ბიჭს მარტო ჭამა მოუწია, რადგან ჯუნგლელები სამღერლად და საბრძოლველად წასულიყვნენ.

საუცხოო თეთრი ღამე იყო. დილის მერე მცენარეები ისე გაზრდილიყვნენ, იფიქრებდით, მთელი თვე გავიდაო. ტოტიდან, რომელიც მაუგლიმ ახლა გადატეხა და რომელსაც წინა დღეს ყვითელი ფოთოლი ესხა, წვენმა გამოყონა. ღრმად ჩახვეული ხავსი ნაზად ეხებოდა ფეხებზე, ნორჩი ბალახი ფხაჭნიდა. ჯუნგლის ხმაური ქნარის ხმასავით ისმოდა, მთვარე ანათებდა კლდეებსა და გუბეებს; ხის ღეროებსა და სუროში შეჭრილი მისი შუქი კიაფობდა.

თავისი უგუნებობის დასავიწყებლად მაუგლიმ მხიარული სიმღერა წამოიწყო. მისი მოძრაობა ფრენას უფრო ჰგავდე,

ვიდრე – სირბილს. ჩრდილოეთის ჭაობებისკენ წასასვლელად აირჩია გრძელი ფერდობი, რომლის ფხვიერი მიწაც მის ფეხის ხმას ახშობდა. ადამიანების მიერ აღზრდილი ბიჭი უამრავჯერ წაბორძიკდებოდა მსგავს გზაზე, მთვარის მაცდურ შუქზე, მაგრამ მაუგლის წლობით ნავარჯიშები კუნთები ბუმბულივით მიაფრენდა და ვერც ფეხებში მოდებული დამპალი მორი და უჩინარი ქვა უშლიდა ხელს. როცა ასე სიარული მობეზრდებოდა, სუროს მაიმუნივით მოეჭიდებოდა, წვრილ ტოტებში ახტებოდა და ხეებზე იკვლევდა გზას, სანამ ხასიათშეცვლილი ისევ ქვევით არ ჩამოხტებოდა. გზად ხვდებოდა სველი კლდეებით გარშემორტყმული მყუდრო ნაპრალები, სადაც ღამის ყვავილებისა და აყვავებული სუროს მძიმე სუნისაგან სუნთქვა ჭირდა; მთვარის შუქით თანაბრად განათებული ხეივნები; სველი ტევრები; დამტვრეული კლდეებისგან შექმნილი ბორცვები, სადაც შეშინებული ჰატარა მელიების ბუნაგებს ახტებოდა ხოლმე; ჯერ შორიდან ესმოდა ჯირკზე ეშვების მლესავი გარეული ღორის ჭშინვა; მერე ახლოს გადაანყდებოდა უზარმაზარ ნაცრისფერ ცხოველს, რომელიც მარტო ღრღნიდა და ხლეჩდა ხის წითელ ქერქს, პირიდან ქაფი გადმოსდიოდა და თვალები ცეცხლივით უელვარებდა, როცა რქების შეჯახების ხმას ან ქოშინს გაიგონებდა, გზიდან უხვევდა და გვერდით ჩაუქროლებდა გააფთრებულ სამბჰურებს, რომელთა თავებიდან, – თუ თავებით ეკვეთებოდნენ ერთმანეთს, – წამოსული სისხლი მთვარის შუქზე შავ ლაქად მოსჩანდა. ხან ნიანგ ჯაკალას ხარისებური ხმა ესმოდა. ხან შხამიანთა მოდგმის დაწნულ კვანძს არღვევდა, მაგრამ სანამ ისინი ავნებდნენ, მაუგლი უკვე შორს იყო ჯუნგლებში.

ასე გარბოდა ბიჭი, ხან ყვიროდა, ხან თავისთვის მღერო-

და. იმ ღამით ჯუნგლში ის ყველაზე ბედნიერი იყო, სანამ ყვავილების სუნით ჭაობის სიახლოვე არ იგრძნო. ეს ადგილი კი მისი სანადირო მინდვრებიდან ძალიან შორს იყო.

ადამიანების მიერ აღზრდილი არსება აქაც სამ ნაბიჯში თავითა და ფეხებით ჩაეფლობოდა, მაგრამ მაუგლი ფეხებითაც ხედავდა, რაც უადვილებდა მსუსხავ ბუჩქებზე ხტომას და აღარ საჭიროებდა სახეზე არსებული თვალების დახმარებას. ჭაობის შუაგულისაკენ გაემართა, სირბილით იხვი დააფრთხო და შავ წყალში ჩაკიდებულ ხავსიან ხეზე ჩამოჯდა. ჭაობს ეღვიძა, გაბაფხულობით ფრინველებს ძალიან ფხიზლად სძინავთ, მთელი ღამის განმავლობაში ისინი ჯგუფებად მიმოფრინავდნენ, მაგრამ მაუგლი ყურადღებას არავის აქცევდა, მაღალ ლერწმებში იჯდა, უსიტყვოდ ღიღინებდა, თავის ძლიერ ტერფებს დასცქეროდა, მათში ჩარჩენილი ხიწვები რომ ენახა. თითქოს მთელი თავისი უბედურება ჯუნგლში დატოვა, და ის-ის იყო, მთელი ძალით უნდა ამღერებულიყო, რომ იმ უცნაურმა გრძნობამ კვლავ დარია ხელი, თან ათჯერ უფრო მძლავრად.

ახლა კი შეეშინდა მაუგლის.

– ის აქაც არის, – ოდნავ ხმამაღლა წარმოთქვა მან, – თან გამომყვა. – და თავის მხარს გადახედა, მის უკან ხომ არ იდგა ის უცნაური რამ, – აქ არავინაა!

ჭაობებიდან ღამის ხმები მოისმოდა, მაგრამ არც ფრინველი და არც მხეცი მას არ გამოხმაურებია, უბედურებას ახალი გრძნობა თანდათან უფრო შეიგრძნობოდა.

„შხამი ვჭამე ნამდვილად, – წარმოთქვა შეშინებულმა. – ალბათ, გაუფრთხილებლობით მომივიდა და ძალაც მეცლება. შემეშინდა, თუმცა არა ამის, მაუგლის შეეშინდა, როცა ორი მგელი ჩხუბობდა. აკელა და ფაოც კი დაამშ-

ვიდებდა მათ, მაუგლის კი შეეშინდა. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ შხამი შევჭამე, მაგრამ ჯუნგლში ვის ადარდებს ეს? ისინი მღერიან, ყვირიან, ჩხუბობენ და ერთად დარბიან მთვარის შუქზე და მე... ჰაი-მაი! მე კი ჭაობებში შხამისაგან ვკვდები". – საკუთარი თავი ისე შეეცოდა, ლამის ატირდა, – „და მერე, – განაგრძო მან, – ისინი შავ წყალში მიპოვიან, არა, ისევ ჩემს ჯუნგლში დავბრუნდები, საბჭოს კლდეზე მოვკვდები და ჩემი საყვარელი ბაგირა – თუკი სადმე ველად არ გაჰყვირის – უპატრონებს ჩემს სხეულს, რომ ჩილი ისევე არ მომექცეს, როგორც – აკელას".

დიდი, თბილი ცრემლი დაეცა მუხლზე და უბედურ ბიჭს ბედნიერმა გრძნობამ დაუარა. „როგორც ძერა ჩილმა დაკორტნა აკელა, – გაიმეორა მან, – იმ ღამით, როცა ხროვა წითელი ძაღლებისაგან გადავარჩინე", – მერე ცოტა ხანს გაჩუმდა, მარტოსული მგლის უკანასკნელ სიტყვებზე ფიქრობდა, რომელიც, ალბათ, შენც გახსოვს, მკითხველო. – „აკელამ უამრავი სისულელე მითხრა სიკვდილის წინ, რომ სიკვდილისას ჩვენი შიგთავსი იცვლება. მან თქვა... მაგრამ მე მაინც ჯუნგლს ვეკუთვნი"

უაინგუნგის ნაპირზე მომხდარი ბრძოლის გახსენებით აღშფოთებულმა მაუგლიმ უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლა წამოიყვირა. მისი ხმის გაგონებაზე გარეული ფურკამეჩი წამოიმართა და დაიფრუტუნა: „ადამიანი!"

– უუჰ! – თქვა კამეჩმა მიზამ (მაუგლიმ გაიგონა, როგორ გადაგორდა ის ტალახში), – ეგ არ არის ადამიანი, ეგ მხოლოდ სიონიის ხროვის უბალნო მგელია, ასეთ ღამეებში ის სულ აქეთ-იქით დარბის.

– უუჰ! – თქვა ფურმა და საძოვრად დაღუნა თავი, – ვიფიქრე, ადამიანი იყო!

– ხომ გითხარი, არა-მეთქი, ოჰ, მაუგლი, ხიფათი ხომ არსაიდან გველოდება? – დაიზმუვლა მიზამ.

– ოჰ, მაუგლი, ხიფათი ხომ არსაიდან გველოდება? – დასცინა ბიჭმა, – მიზა მხოლოდ ხიფათზე ფიქრობს, ვის ადარდებს ღამით ჯუნგლში მოუსვენრად მორბენალი მაუგლი?

– რა ხმამაღლა ყვირის! – გაიკვირვა ფურკამეჩმა.

– ასე ისინი ყვირიან, – აგდებულად მიუგო მიზამ, – ვინც ბალახს ჰგლეჯს, მაგრამ მისი ჭამა კი არ იცის.

– ამდენი მაშინ არ გაუბედავს, – ამოიოხრა მაუგლიმ, – როცა წარსული წვიმებისას ტალახიდან ამოვათრიე და ბალახის თოკით ჭაობში ვარბენინე.

მაუგლიმ ხელი გასწია ლერწმის მოსატეხად, მაგრამ კვლავ უკან წაიღო და ამოიოხრა. მიზამ მშვიდად განაგრძო ცოხნა, მაღალი ბალახი ირხეოდა იქ, სადაც ფური სძოვდა.

– აქ არ მინდა სიკვდილი, – გაბრაზებით თქვა მაუგლიმ, – ერთი სისხლისანი მნახავენ – მიზა, ტურა და ღორი. გავალ აქედან და ვნახავ, რა მოხდა. არცერთ გაბაფხულზე ასე არ მირბენია – ერთდროულად მცხელა და მცივა. წამოდექი, მაუგლი!

ბიჭმა ვერ მოითმინა, ლერწმიანში შეიპარა და მიზას დანის წვერი უჩხვლიტა. უშველებელი სველი კამეჩი აფეთქებულ ყუმბარასავით ამოვარდა ტალახიდან. მაუგლიმ გადაიხარხარა და იქვე ჩამოჯდა.

– აბა, მოყევი, მიზა, სიიონის უბალნო მგელი როგორ გწყემსავდა ერთხელ, – შესძახა ბიჭმა.

– მგელი! შენ? – დაიფრუტუნა კამეჩმა და ჭაობი აადგაფუნა. – ყველა ჯუნგლელმა იცის, რომ შენ სოფლელების

საქონელს მწყემსავდი და ისეთივე მოდგმის ხარ, როგორც ისინი, ქვევით – ყანებს იქით მტვერში რომ ყრიან. შენ და ჯუნგლი! არცერთი მონადირე არ იკადრებდა, გველივით მომპარვოდა და ტურასეული ქმედებით ჩემს ფურთან შეევრცხვინე? აბა, ერთი მიწაზე გამოდი და მე... მე... – მიზას პირზე ქაფი მოადგა. მას მთელ ჯუნგლში ყველაზე საშინელი ხასიათი აქვს.

მაუგლი მშვიდად შეჰყურებდა მიზას ქშენასა და თვალების ბრიალს. როცა ტალახის ადგაფუნება შეწყდა, მაუგლიმ ჰკითხა:

– აქ რა სახის ადამიანთა ბუნაგია, მიზა? ეს ჩემთვის ჯუნგლის უცხო მხარეა.

– მაშინ ჩრდილოეთისაკენ წადი, – დაიბღავლა გაშმაგებულმა კამეჩმა, რომელსაც მაუგლიმ კიდევ უფრო უჩხვლიტა დანით, – ეს ძროხების შიშველი მწყემსის ხუმრობაა, წადი და ყველაფერი უამბე სოფელს.

– ადამიანთა ხროვას ჯუნგლის ამბები არ უყვარს, არც ის დააინტერესებთ, შენს ტყავზე ერთი ნაკაწრით მეტი იქნება თუ ნაკლები. მაგრამ წავალ და დავხედავ სოფელს, დიახ, წავალ. ახლა კი წყნარად და მშვიდად იყავი. ყოველ ღამით კი არ მოდის ჯუნგლის მეუფე შენს სამწყემსად.

მაუგლი ჭაობის გაყოლებით წავიდა. იცოდა, რომ იქ მიზა ვერაფერს ავნებდა. მირბოდა და ეცინებოდა, განრისხებული კამეჩი რომ ახსენდებოდა.

– ჯერ კიდევ არ გამომცლია ძალა, – თქვა მან. – ალბათ, შხამს ჯერ ძვლამდე არ მიუღწევია. იქ, ქვემოთ, ვარსკვლავი სჩანს! – და ხელებით თვალებმოჩრდილული დააკვირდა. – ჩემს გამომსყიდველ ხარს ვფიცავ, რომ ეგ წითელი ყვავილია, წითელი ყვავილი, რომლის გვერდი-

თაც ვიწექი სიონიის ხროვაში მისვლამდე! ახლა კი სირბილს შევწყვეტ.

მაუგლი ჭაობიდან გავიდა ფართო მინდორში, სადაც სინათლეები ციმციმებდა. დიდი ხანი იყო, რაც მაუგლი ადამიანებთან აღარ ურთიერთობდა, მაგრამ იმ ღამეს წითელი ყვავილის კაშკაშმა ძალიან მიიზიდა.

– შევხედავ, – თქვა მან, – როგორც ადრე ვაკეთებდი, ვნახავ, როგორ შეიცვალა ადამიანთა ხროვა.

დაავიწყდა, რომ თავის ჯუნგლში არ იყო, სადაც შეეძლო, ყველაფერი გაეკეთებინა, რაც მოესურვებოდა. ფრთხილად გადააბიჯა ნამიან ბალახს და მივიდა იმ ქოხთან, საიდანაც სინათლე გამოდიოდა. სამმა თუ ოთხმა ძაღლმა ყეფა ატეხა, რადგან ქოხი სოფლის განაპირას იდგა.

– ჰო! – წამოიძახა მაუგლიმ. მერე მგლისებური ღრენა აღმოხდა, რითაც ძაღლები ჩაჩუმა და წყნარად დაჯდა. – რაც მოსახდენია, მოხდეს. მაუგლი, რა გესაქმება ადამიანთა ხროვის ბუნაგთან? – და პირზე ხელი მოისვა, გაახსენდა, რამდენიმე წლის წინ სად მოხვდა ქვა, როცა ადამიანთა ხროვამ გააძევა.

ქოხის კარი გაიღო და სიბნელეში თვალებაცეცებული ქალი გამოჩნდა. ბავშვი ატირდა, ქალმა თავი მიაბრუნა და ბავშვს მიუალერსა:

– დაიძინე, ტურა იყო, ძაღლები დააფრთხო. ცოტა ხანში გათენდება.

ბალახში ჩამალული მაუგლი სიცხიანივით აკანკალდა. ეს მისთვის კარგად ნაცნობი ხმა იყო, მაგრამ, ბოლომდე რომ დარწმუნებულიყო, მშვიდად დაუძახა. თვითონვე გაუკვირდა, ისევ ადამიანივით რომ ამეტყველდა.

– მესუა! ო, მესუა!

– ვინ მეძახის? – მთრთოლვარე ხმით იკითხა ქალმა.

– დაგავიწყდი? – მიაძახა ყელგამშრალმა მაუგლიმ.

– თუ მართლა შენ ხარ, მითხარი, რას გეძახდი? თქვი! – კარი ნახევრად მიხურა და ხელი გულზე მიიდო.

– ნატუ! ოჰე, ნატუ! – უთხრა მაუგლიმ. ალბათ, თქვენც გახსოვთ, ეს სახელი მაშინ უწოდა მესუამ, როცა მაუგლი პირველად ესტუმრა ადამიანთა ხროვას.

– მოდი, ჩემო ბიჭო! – შესძახა ქალმა. და მაუგლი განათებული ადგილისკენ გაემართა. მერე მესუას შეხედა, ქალს, რომელიც ძალიან კეთილად მოეპყრო და რომლის სიცოცხლეც გადაარჩინა ადამიანთა ხროვისაგან დიდი ხნის წინ. მესუა დაბერებულიყო, თმა გაჭაღარავებოდა, მაგრამ თვალები და ხმა არ შეცვლოდა. მესუას ეგონა, რომ მაუგლი ისეთივე იქნებოდა, როგორიც ახსოვდა და გაკვირვებული ათვალიერებდა ტანაყრილ ბიჭს, რომელიც კარის წვერს სწვდებოდა.

– ჩემო ბიჭო! – ენის ბორძიკით წარმოთქვა მან და ფეხებში ჩაუვარდა, – მაგრამ ეს ხომ ჩემი შვილი აღარ არის. ეს ტყის ღმერთია! აჰაი!

ზეთის ლამპის წითელ შუქზე მდგარი ძლიერი, მაღალი და მომხიბლავი მაუგლი, მხრებზე დაშვებული შავი, გრძელი თმით, კისერზე ჩამოკიდებული დანითა და თავზე თეთრი ყასმინის გვირგვინით, ადვილად შეიძლებოდა ჯუნგლის რომელიმე ლეგენდარულ, ველურ ღმერთად მიგეჩნიათ. ნახევრად ჩაძინებული ბავშვი საწოლიდან წამოხტა და შიშისაგან შეჰყვირა. მესუა მის დასამშვიდებლად შეტრიალდა, ჩუმად მდგარი მაუგლი კი უყურებდა კოკებს, ქოთნებს, სკივრებსა და იმ ნივთებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახსოვდა.

– რას შეჭამ და დალევ? – წაიჩურჩულა მესუამ. – ეს

ყველაფერი შენია. შენ გიმადლით ჩვენს სიცოცხლეს. მაგრამ ნამდვილად ნატუ ხარ თუ, ტყის ღმერთი?

– მე ნატუ ვარ, – მიუგო მაუგლიმ, – ჩემი ადგილიდან ძალიან შორს ვარ. ეს სინათლე დავინახე და აქეთ წამოვედი, არ ვიცოდი აქ თუ იქნებოდი.

– როცა ჰანჰივარაში ჩავედით, – მოკრძალებულად უთხრა მესუამ, – ინგლისელებს უნდოდათ დაგვხმარებოდნენ იმ სოფლელების წინააღმდეგ, რომლებიც დაწვას გვიპირებდნენ. ხომ გახსოვს?

– რა თქმა უნდა, მახსოვს.

– როცა ინგლისელთა კანონი მზად იყო ჩვენს დასახმარებლად, იმ ბოროტი ხალხის სოფლისაკენ წავედით, თუმცა ვეღარ მივაგენით, აღარსად იყო.

– ესეც მახსოვს! – თქვა მაუგლიმ და ნესტოები დაებერა.

– ჩემმა ქმარმა მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი და იმდენად მოძლიერდა, რომ ჰატარა მამული შევიძინეთ. აქაური მიწა ძველი სოფელივით ნაყოფიერი არ არის, მაგრამ ჩვენ ორს ბევრი არც გვჭირდება.

– ის კაცი სადაა, იმ ღამეს ნაგავში რაღაცას რომ თხრიდა შეშინებული?

– ერთი წლის წინ მოკვდა.

– და ეს? – მაუგლიმ ბავშვზე მიანიშნა.

– ჩემი ვაჟია, ორი წლის წინ დაიბადა. თუ ღმერთი ხარ, ჯუნგლის წყალობა უბოძე, რომ ისეთივე უვნებელი იყოს, როგორც ჩვენ იმ ღამით.

მესუამ ხელში აიყვანა ბავშვი, რომელიც უშიშრად მიიწევდა სათამაშოდ მაუგლის მკერდზე ჩამოკიდებული დანისკენ. მაუგლიმ იარაღს ფრთხილად მოაშორა ჰატარა თითები.

– თუ ნატუ ხარ, რომელიც ვეფხვმა მომტაცა, – განაგრძო მესუამ, – ეს შენი უმცროსი ძმა იქნება, უწყალობე უფროსი ძმის ლოცვა.

– ჰაი-მაი! დალოცვის არაფერი გამეგება. მე არც ღმერთი ვარ, არც მისი ძმა და... ო, დედა, დედა, გული დამიმძიმდა. – თქვა მან ათრთოლებული ხმით და ბავშვი დასვა.

– აბა, რა იქნება! – თქვა მესუამ და ქვაბებთან აფუსფუსდა. – ეს იცის ღამით ჭაობებში სირბილმა. ეჭვგარეშეა, რომ ციებ-ცხელებამ შეგიპყრო. – მაუგლის გაეღიმა იმის წარმოდგენაზე, რომ ჯუნგლში რამეს შეეძლო მისთვის ვნება. – ცეცხლს დავანთებ და თბილ რძეს დაგალევინებ. მოიხსენი ყასმინის გვირგვინი, მძიმე სუნს დააყენებს ამ პატარა ქოხში.

მაუგლი ჩამოჯდა და ხელებში თავჩარგული ლუღლუღებდა. აქამდე განუცდელმა ყველა უცნაურმა გრძნობამ ისე დაუარა, თითქოს მართლა მოწამლული იყო, თავბრუ ეხვეოდა და გული ერეოდა. თბილ რძეს დიდი ყლუპებით.სვამდა. დროდადრო მესუა მხარზე უსვამდა ხელს, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, დიდი ხნის წინ დაკარგული მისი ნატუ იყო თუ ჯუნგლის რომელიღაც საკვირველი არსება, მაგრამ ბედნიერი იყო ცოცხალსა და უვნებელს რომ ჰხედავდა.

– შვილო, – მიმართა მან ბოლოს და თვალები სიამაყით აევსო. – ვინმეს უთქვამს შენთვის, რომ ყველა მამაკაცზე მოხდენილი ხარ?

– ჰა�ა? – წარმოთქვა მაუგლიმ, რომელსაც ამის მსგავსი არაფერი გაეგო.

მესუამ ნაზად და კმაყოფილებით გაიცინა, ბიჭის სახის გამომეტყველება მისთვის საკმარისი იყო.

– ანუ მე ვარ პირველი? მართალია, იშვიათად ხდე-

ბა, თუმცა სამართლიანია, რომ დედა შვილს მსგავს სიტყვებს ეუბნებოდეს. შენ ძალიან ლამაზი ხარ. შენი მსგავსი ყმაწვილი არასოდეს მინახავს.

მაუგლიმ თავი მიაბრუნა, ცდილობდა, თავის ძლიერ მხარზე დაეხედა. მესუას გაეღიმა და მერე იმდენ ხანს იცინოდა, რომ მაუგლიც უნებურად აჰყვა, თუმცა კი უმიზეზოდ. ბავშვი ერთიდან მეორესთან გარბოდა და მათთან ერთად იცინოდა.

– არა, შენ არ უნდა დასცინო შენს ძმას, – უთხრა მესუამ და ბავშვი გულში ჩაიკრა, – როცა შენც ასეთი ლამაზი გაიზრდები, მეფის უმცროს ქალიშვილს შეგრთავ და დიდი სპილოებით ივლი.

მაუგლიმ ვერაფერი გაიგო მესუას ნათქვამიდან. ამდენი სირბილის შემდეგ, თბილმა რძემ შედეგი გამოიღო და დაქანცულს ღრმად ჩაეძინა. მესუამ თვალებიდან თმა გადაუწია, გადააფარა და ბედნიერად იგრძნო თავი. ჯუნგლის ჩვეულების მიხედვით, მაუგლის ის ღამე და მთელი მეორე დღე ეძინა. ინსტინქტურად გრძნობდა, რომ იქ საშიში არაფერი იყო. მერე კი გაღვიძებული ისე წამოხტა, რომ ქოხი შეზანზარდა. სახეზე წაფარებული საბანი მახედ მოეჩვენა. წამოხტა, ხელით დანა მოსინჯა და ჯერ კიდევ ნამძინარევი თვალებით საბრძოლველად მოემზადა.

მესუას გაეღიმა და წინ დაუდო ვახშამი: ნაკვერჩხალზე გამომცხვარი რამდენიმე კვერი, ცოტაოდენი ბრინჯი და მყავე. ეს ყველაფერი საკმარისი იყო საღამოს ნადირობამდე. ჭაობის ნამის სუნი შიმშილსა და მოუსვენრობას ჰგვრიდა. სურდა გაბაფხულის სირბილი ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ ბავშვი არ შორდებოდა. მესუას ძალიან უნდოდა მაუგლის გრძელი, შავი თმა დაევარცხნა. ასეც მოიქცა

და თან გულუბრყვილო, საბავშვო სიმღერებს მღეროდა. მაუგლის თავის ბიჭს უწოდებდა, მერე კი ბავშვისთვის ცოტაოდენ ჯუნგლის ძალის წყალობას თხოვდა. დახურული ქოხის კარის მიღმა მაუგლიმ გაიგონა კარგად ნაცნობი ხმა, და მესუას შიშისაგან აკანკალებული ყბაც შენიშნა, როცა კარის ქვეშ დიდი, რუხი თათი გამოჩნდა და რუხმა ძმობილმა გარეთ შიშის, მოუსვენრობისა და სინანულის ყმუილი ატეხა.

– მანდ დამელოდე! როცა გეძახდით, არ მოხვედით! – დაიყვირა მაუგლიმ ჯუნგლის ენით ისე, რომ თავიც არ მიუბრუნებია. დიდი, რუხი თათი გაქრა.

– ნუ... ნუ მოგყავს შენი მსახურები, – სთხოვა მესუამ, – ჩვენ ყოველთვის მშვიდობიანად ვცხოვრობდით ჯუნგლელებთან.

– ახლაც მშვიდობაა, – მიუგო მაუგლიმ და წამოდგა, – აბა, გაიხსენე ჰანჰივარას გზა იმ ღამით. რამდენი ასეთი გაცილებდათ. მაგრამ ხედავ, გაბაფხულობითაც კი ჯუნგლელებს არაფერი ავიწყდებათ. დედა, მე მივდივარ.

მესუა მორჩილად მოშორდა. ეგონა, ტყის ღმერთიაო, მაგრამ როცა ბიჭმა კარს წაავლო ხელი, მშობლის გრძნობამ დასძლია და მაუგლის კისერზე შემოეხვია.

– დაბრუნდი! – ჩასჩურჩულა მან, – შვილი ხარ თუ არა, მე მაინც მიყვარხარ, შეხედე, ამანაც მოიწყინა.

ბავშვი ტიროდა, რადგან მბზინავდანიანი კაცი მიდიოდა.

– აუცილებლად დაბრუნდი, – გაუმეორა მესუამ, – არც დღისით და არც ღამით შენთვის ეს კარი არ დაიკეტება.

მაუგლის თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირა, ძლივს უპასუხა:

– აუცილებლად დავბრუნდები.

– ახლა კი, – მიუბრუნდა კარის ზღურბლთან მდგარ მორ-

ჩილ მგელს, – ცოტა უნდა გეჩხუბო, რუხო ძმობილო! რატომ ოთხივენი არ მოხვედით, დიდი ხნის წინ რომ გეძახდით?

– დიდი ხნის წინ? ეგ მხოლოდ წუხელ იყო. მე... ჩვენ... ახალ სიმღერებს ვმღეროდით ჯუნგლში. ახლა ხომ ახალი ამბების დროა. დაგავიწყდა?

– მართალია, მართალი!

– და როგორც კი სიმღერები დავასრულეთ, – დინჯად განაგრძო რუხმა ძმობილმა, – შენს კვალს გამოვყევი. ყველას გამოვექეცი და შენს ცხელ ნაკვალევს დავედევნე, მაგრამ შენ როგორ მოიქეცი, ჰატარა ძმობილო? ადამიანთა ხროვასთან ჭამე და გეძინა!

– დაძახებისთანავე რომ მოსულიყავი, ეს არ მოხდებოდა, – უთხრა მაუგლიმ და სირბილს მოუმატა.

– ახლა რა იქნება? – ჰკითხა რუხმა ძმობილმა.

მაუგლის ის-ის იყო, უნდა ეპასუხა, რომ სოფლის ბილიკზე თეთრსამოსიანმა გოგომ ჩამოიარა. რუხი მგელი მაშინვე მიიმალა. მაუგლი შეუმჩნევლად მიეფარა ყანას, მერე კი ქალიშვილს ხელი შეახო და გაუჩინარდა. გოგონამ შეჰკივლა, მოჩვენება ეგონა, შემდეგ კი ღრმად ამოიოხრა. მაუგლიმ თავთავები გადასწია ხელით და მანამდე უყურებდა, სანამ ქალიშვილი თვალს არ მიეფარა.

– ახლა არ ვიცი, – მიუგო რუხ ძმობილს და თვითონაც ამოიოხრა. – რატომ არ მოხვედით, როცა დაგიძახეთ?

– ჩვენ შენ დაგდევთ... ჩვენ შენ დაგდევთ მუდამ! – წაიბუტბუტა რუხმა ძმობილმა და მაუგლის ქუსლი აულოკა, – გამონაკლისი, მხოლოდ ახალი ამბების დროა.

– ადამიანთა ხროვაშიც გამომყვებით? – წასჩურჩულა მაუგლიმ.

– არ გამოგყევი იმ ღამეს, როცა ჩვენმა ძველმა ხროვამ

გაგაძევა? ვინ გაგაღვიძა, ყანაში რომ გეძინა?

– მართალია. და კვლავ გამომყვები?

– განა წუხელ არ გამოგყევი?

– კი, მაგრამ კიდევ, კიდევ გაიმეორებ?

რუხი ძმობილი გაჩუმდა. მერე თავისთვის წაიბუზღუნა:

– შავმა მართალი თქვა.

– რა თქვა?

– ადამიანი ბოლოს მაინც ადამიანთან მიდისო. დედაჩვენმა რაკშამ თქვა...

– ეგ აკელამაც თქვა წითელი ძაღლების ღამეს, – წაიბუტბუტა მაუგლიმ.

– იგივე თქვა ყველაზე ბრძენმა კაამაც.

– რას ამბობ, რუხო ძმობილო?

– მათ ერთხელ უკვე გაგაძევეს ლანძღვითა და ქვების შენით, ბულდეო გამოგზავნეს შენს მოსაკლავად. წითელ ყვავილში უნდოდათ შენი შეგდება. განა შენ არ უწოდებდი მათ ბოროტებსა და უგუნურებს? განა შენ არ შეუსიე მათ ჯუნგლი და შენვე არ მღეროდი მათ წინააღმდეგ უფრო გამწარებული, ვიდრე ჩვენ – წითელი ძაღლების წინააღმდეგ?

– გეკითხები, რას მპასუხობ?

ისინი თან გარბოდნენ და თან საუბრობდნენ. რუხი ძმობილი ცოტა ხანს წყნარად მისდევდა, შემდეგ წამოიძახა:

– ადამიანის ლეკვო, ჯუნგლების მეუფევ, რაკშას ბიჭო, ბუნაგის ძმაო, მიუხედავად იმისა, რომ გაბაფხულზე ცოტა ხნით დაგივიწყე, შენი კვალი მაინც ჩემი კვალია, შენი ბუნაგი ჩემი ბუნაგია, შენი ნადირობა ჩემი ნადირობაა და შენი სასიკვდილო ბრძოლა კი ჩემი სასიკვდილო ბრძოლაა. მე იმ სამის მაგივრადაც გესაუბრები, მაგრამ შენ რას ეტყვი ჯუნგლს?

– ეს კარგად გიფიქრია. შორსმჭვრეტელობასა და ნადირობას მოცდა არ უყვარს. წინ წადი, ყველას საბჭოს კლდისკენ მოუწოდე და მე მათ ჩემს განზრახვას ვამცნობ. მაგრამ შესაძლოა, არ მოვიდნენ – ახალი ამბების დროს დამივიწყონ.

– შენ არასოდეს არაფერი დაგვიწყებია? – უცებ მოუჭრა რუხმა მგელმა და ნავარდით გასწია წინ. მაუგლი მისდევდა და თან ფიქრობდა. სხვა დროს მისი ახალი ამბავი მთელ ჯუნგლს ერთად შეკრებდა; მაგრამ ახლა ისინი ნადირობით, ბრძოლით, ხოცვითა და სიმღერით იყვნენ დაკავებულნი. რუხი ძმა სათითაოდ ეძახდა ყველას:

– ჯუნგლის მეუფე კვლავ ადამიანებთან ბრუნდება! მოდით საბჭოს კლდესთან!

ბედნიერი და აღფრთოვანებული ჯუნგლელები კი პასუხობდნენ:

– ზაფხულის სიცხეში დაბრუნდება. წვიმები ბუნაგისკენ გამოუშვებენ... ჩვენთან ერთად ირბინე და იმღერე, რუხო ძმობილო.

– კი, მაგრამ ჯუნგლის მეუფე კვლავ ადამიანებთან ბრუნდება, – კვლავ იმეორებდა რუხი ძმობილი.

– იიი-იოუა? და ამით ახალ ამბებს რამე დააკლდება? – პასუხობდნენ ისინი.

როცა გულდამძიმებულმა მაუგლიმ მიაღწია იმ კარგად ნაცნობ კლდეს, სადაც ის პირველად წარუდგინეს საბჭოს, მას იქ მხოლოდ ოთხი ძმობილი, სიბერისგან თითქმის დაბრმავებული ბალუ და აკელას ცარიელ ადგილს შემოხვეული ცივსისხლა კაა დახვდნენ.

– შენი კვალი აქ თავდება, კაცუნა? – თქვა კაამ, როცა ბიჭი პირქვე დაემხო და სახე ხელებში ჩამალა, – აბა, შე-

მოსძახე, ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ, შენ და მე, ადამიანი და გველი!

– რატომ არ მოვკვდი წითელ ძაღლებთან ბრძოლისას? – ამოიკვნესა ბიჭმა, – ძალა წამერთვა, მაგრამ შხამი არაფერ შუაშია. დღისით და ღამით ჩემს კვალს ადევნებული ორფეხას ნაბიჯის ხმა მესმის, რომ მივბრუნდები, მგონია, ვიღაც ხეებს უკან მემალება, მაგრამ იქ არავინაა. ვეძახი, მაგრამ არავინ მპასუხობს. თუმცა მგონია, რომ ესმის და არ მპასუხობს. ვწვები, მაგრამ ვერ ვისვენებ. გაბაფხულის სრბოლაც ვერ მამშვიდებს. ბანაობითაც ვერ ვგრილდები. ნადირობაც აღარ მინდა. ბრძოლასაც ვეღარ ვუდებ გულს. წითელი ყვავილი მაქვს სხეულში. თითქოს ძვლები გამიწყალდა... და არ ვიცი, რა ხდება.

– რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი, – მშვიდად თქვა ბალუმ და თავი მწოლიარე მაუგლისკენ მიატრიალა, – აკელამ მდინარის პირას თქვა, რომ მაუგლის ისევ მაუგლი დაებრუნებს ადამიანთა ხროვაშიო. მეც იგივე ვთქვი, მაგრამ ახლა ვინღა უსმენს ბალუს? ბაგირა... სად არის ამ ღამით ბაგირა? მანაც იცის. ეს არის კანონი.

– როცა ერთმანეთს ცივ ბუნაგში შევხვდით, კაცუნავ, მე ეგ უკვე ვიცოდი, – თქვა კაამ და თავისი ძლიერი რკალები ოდნავ შეარხია, – ადამიანი ბოლოს მაინც ადამიანთან მიდის, ჯუნგლმა რომც არ გააძევოს.

ოთხივემ ერთმანეთს გადახედა, მერე გაკვირვებულებმა მაუგლის შეხედეს მორჩილად.

– ესე იგი, ჯუნგლი არ მაძევებს? – ენის ბორძიკით იკითხა მაუგლიმ.

რუხმა და სამმა სხვა ძმობილმა მრისხანედ დაიღრინეს: – ჩვენს სიცოცხლეში მაგას ვერავინ გაბედავს!

მაგრამ ბალუმ შეაწყვეტინა:

– მე გასწავლე კანონი. ჩემი საუბრის დროა, – თქვა მან, – მართალია, მახლობელ კლდეებს ვერ ვხედავ, მაგრამ შორს ვიხედები. პატარა ბაყაყო, შენს კვალს მიჰყევი, შენი ბუნაგი შენს საკუთარ სისხლთან, ხროვასთან და ხალხთან მოიწყე. მაგრამ თუ ფეხი, კბილი, თვალი ან ღამით სიტყვის სწრაფად მიწვდენა დაგჭირდა, გახსოვდეს, რომ ჯუნგლი დაძახებისთანავე შენთანაა, ჯუნგლის მეუფევ.

– იცოდე, შუა ჯუნგლიც შენია, – დაუმატა კაამ, – მე პატარა ტომის სახელით არ ვლაპარაკობ.

– ჰაი-მაი, ჩემო ძმებო!.. – შესძახა მაუგლიმ და სლუკუნით ასწია ხელები, – არ ვიცი, არ ვიცი! არ წავიდოდი, მაგრამ ფეხებს მივყავარ... როგორ მივატოვო ასეთი ღამეები?

– არა, ამოგვხედე, პატარა ძმობილო! – გაუმეორა ბალუმ. – სამარცხვინო არაფერია მაგ ნადირობაში. როცა თაფლი აღარ არის, ვტოვებთ ცარიელ სკას.

– ტყავის გამოცვლის შემდეგ, – დაუმატა კაამ, – მასში თავიდან ვეღარ შევძვრებით. ასეთია კანონი!

– მომისმინე, ჩემო უძვირფასესო, – თქვა ბალუმ. – აქ შენ ვეღარც სიტყვა დაგაბრუნებს და ვეღარც სურვილი. თავი ასწიე! ვინ მისცემს თავს უფლებას, რომ ჯუნგლის მეუფე დაკითხოს? მე ვხედავდი, როგორ თამაშობდი თეთრი კენჭებით, როცა პატარა ბაყაყი იყავი. ასევე გხედავდა ბაგირაც, რომელმაც ახალმოკლული ხარის საფასურით გამოგისყიდა. შენი მიღების დღიდან, ჩვენ ორნიღა შემოვრჩით. შენი დედობილი რაკშა და მამობილი აღარ არიან, მგლების ძველი ხროვაც დიდი ხანია მოისპო. შერ-ხანის ამბავი ყველაზე უკეთ შენ იცი, აკელაც წითელ ძაღლებთან ბრძოლას შეეწირა და, რომ არა შენი მოხერხება და

ძალა, იმ დღეს სიონიის ხროვაც ამოწყდებოდა. მათგან მხოლოდ ძვლებიღა შემორჩა. დიდი ხანი არაა, რაც ადამიანის ლეკვი ხროვას აღარ სთხოვს ნებართვას, ის უკვე ჯუნგლის მეუფეა, რომელიც კვალს იცვლის. ვინ იკითხავს ადამიანის გზა-კვალს?

– მაგრამ ბაგირა და ჩემი გამომსყიდველი ხარი, – მე არ... – სიტყვა ვერ დაასრულა მაუგლიმ, რომ ქვემოთ, ტევრში ღრიალი და ტკაცუნი გაისმა – მოქნილი, ძლიერი და საზარელი ბაგირა უცებ იქ გაჩნდა.

– აი, ამიტომაც არ მოვედი. – თქვა მან და სისხლით მოსვრილი მარჯვენა თათი ასწია, – მართალია, ურთულესი ნადირობა იყო, მაგრამ ახლა ბუჩქებში მკვდარი გდია ორი წლის ხარი, რომელიც გათავისუფლებს, პატარა ძმობილო. ახლა ყველა ვალი გადახდილია. დანარჩენი ჩემი სიტყვა კი იგივეა, რაც – ბალუსი. – და მან მაუგლის ფეხი აულოკა. – გახსოვდეს, ბაგირას უყვარდი! – წამოიძახა და გვერდზე გადახტა, კლდის ძირას კი ისევ შესძახა, ოღონდ უფრო ხმამაღლა: – წარმატებულ ნადირობას გისურვებ ახალ გზაზე, ჯუნგლის მეუფევ! გახსოვდეს, ბაგირას უყვარდი!

– ყველაფერი მოისმინე, – თქვა ბალუმ, – სიტყვაც კი აღარ დარჩა სათქმელი. ახლა წადი; მაგრამ ჯერ ჩემთან მოდი. ო, ჭკვიანო პატარა ბაყაყო, მოდი ჩემთან!

– რთულია ტყავის გამოცვლა, – თქვა კაამ, როცა ბრმა დათვის კისერზე შემოხვეული და მის მხარზე თავჩამოდებული მაუგლი მწარედ აქვითინდა. დათვი კი ულონოდ ცდილობდა მისი ფეხის ალოკვას.

– ვარსკვლავები აღარ კაშკაშებენ, – წარმოთქვა რუხმა ძმობილმა, როცა განთიადის სიო იგრძნო, – დღეიდან სად გვექნება ბუნაგი? ამიერიდან ახალ კვალს უნდა გავყვეთ.

გამოსამშვიდობებელი სიმღერა

აი, ეს სიმღერა ესმოდა მაუგლის, როცა ის კვლავ მიადგა მესუას კარს:

ბ ა ლ უ

მას, ვინც გვაჩვენა ბაყაყი ბრძენი,
დღიდან ნახვისა ყოველთვის ველი,
ბალუს გულისთვის კანონი სრული
უნდა იცოდე, დაუდო გული!

სუფთა იქნება, მწარე თუ ცხელი,
შეინარჩუნე, მიჰყავი ხელი.
არ დაიზარო არცერთი წამით,
ეძებე ყველგან, დღისით და ღამით.

მისი გულისთვის გადადე თავი,
ვისაც კი უყვარს ყველა მოძრავი.
და თუ ხროვისგან კვლავ ტკივილს ელი,
უთხარი მათ, რომ „ტაბაკი მღერის"

და თუკი ხროვა ისევ ავია,
მიმართე: „ვეფხვი მოსაკლავია"
თუ ბასრი დანა მომართულია,
კანონს მიჰყევი, ისე რთულია.

კ ა ა

იცოდე, ბრაზი შიშის ბუდეა,
თუ ღია არ გაქვს, თვალი მრუდეა.
კობრას შხამია დაუნდობელი,

საუბრიდანაც კარგს ნუ მოელი.
თვით ლაპარაკსაც მოაქვს ზიანი,
თუკი არა ხარ თავაზიანი.
მხოლოდ სიგრძეზე გაჭიმე თოკი,
არასდროს დარგო დამპალი ტოტი.
არ დაივიწყო შენი ბუნაგი,
თორემ მიაგნებს ყველა მსუნაგი.

შემოვიარეთ ჩვენ ყველა არე,
გეძებთ მსოფლიოს ოთხივე მხარეს,
ტყეში თუ წყალში, ქარში თუ ხესთან,
ჯუნგლის წყალობა სულ არის შენთან!

ბ ა ბ ი რ ა

მე შევისწავლე გალიის არსი,
ადამიანთა გავიგე ფასი,
გატეხილ კლიტით დავძლიე შიში,
ეს ლეკვი არის ადამის ჯიშის!

ცაში გამოჩნდა ვარსკვლავთა თვალი,
არ აირჩიო ხის კატის კვალი.
ან საბჭო, ანდაც ბუნაგი, ხროვა,
ტურა კაცებთან ზავი არ მოვა.

მხოლოდ დუმილი არგუნე წილად,
როცა გეტყვიან: „მოდი მარტივად".
არ დაეხმარო არავის, როცა
ამით სარგებლობს და უნდა ხოცვა.

ამპარტავნისთვის არ დადო თავი,
მშვიდობა ჰქმენი და დაგმე ავი.
რომ დაგიძახონ, თუნდაც სიმღერით,
სანადირო გზას მაინც მიჰყევი.

და რასაც ხედავ ირგვლივ: ბინდს თუ ნამს,
ემსახურება ირემთა მოძღვარს!
ტყეში თუ წყალში, ქარში თუ ხესთან,
ჯუნგლის წყალობა სულ არის შენთან!

ს ა მ ნ ი

ღამით ნაკვალევს, ალბათ, ქარი სცემს,
ჩვენ კი გავთელავთ შიშის კარიბჭეს.
სადაც კვირტები სულ წითელია,
ბუნაგი იქ გაქვს, მუდამ გელიან.

და დედა გეძებს, ნეტავ სადა ხარ,
გაიგებ მათ ხმას, ვისაც გვიყვარხარ,
განთიადზე კი გაახელ თვალებს
და გადაიხდი შენ შრომით ვალებს.

ჯუნგლელთა გამო მოგაწვა დარდი,
ჭკუას არ ჰკარგავ, მაინც ხარ მარდი.
ტყეში თუ წყალში, ქარში თუ ხესთან,
ჯუნგლის წყალობა სულ არის შენთან!

აი, ასე დასრულდა მაუგლის ამბები.